რ. ქაქულია

ეკონომიური აზრის განვითარების ისტორიისათვის რევოლუციამდელ საქართველოში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი 1972

წიგნში განხილულია ქართველი საზოგადო მოღვაწეების— ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და მიხეილ ჯავახიშვილის რევოლუციამდელი სოციალურ-ეკონომიური შეხედულებები. ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მათ მოსაზრებებს საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ.

Какулия Реваз Шалвович
К истории развития экономической мысли в дореволюционной Грузии
(на грузинском языке)
Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1972

1 ф(с41)
301 (47.922) (092)
ქ 179

1-7-1
169—72 ლდ

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველმა საბჭოთა ეკონომისტებმა განსაკუთრებით ბევრი რამ გააკეთეს მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ეკონომიური აზრის კვლევის საქმეში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წინაპირობების მეცნიერული გაგებისათვის აუცილებელი იყო რუსეთსა და მის განაპირა მხარეებში ფეოდალიზმის რღვევის, კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებების ანალიზთან ერთად, სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა ეკონომიური შეხედულებების, თეორიების და იდეების შესწავლა და მათი შეფასება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე.

ქართული სოციალურ-ეკონომიური აზრის ისტორიის შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი მეცნიერებს: ი. ჯავახიშვილს, ფ. მახარაძეს, ა. წულუკიძეს, ს. ჯუნდაძეს, ფ. გოგიჩაიშვილს, ნ. ქოიავას, პ. გუგუშვილს, ს. ბერაძეს, ვ. ჩანტლაძეს, გ. მეგრელიშვილს, ვ. ბახტაძეს, გ. ჭანუყვაძეს, ი. ანთელავას, ბ. ხასიას, ა. ფანცხავას, გ. თოდუას, შ. მესხიას, დ. გამეზარდაშვილს, ი. მირცხულავას, პ. რატიანს, ი. კრავცოვს, ი. ნორაკიძეს, ე. ჩადუნელს, შ. ქისტაურსა და სხვ.

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია ქართველი საზოგადო მოღვაწე-პუბლიცისტების — ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, გამოჩენილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის მიხეილ ჯავახიშვილის რევოლუციამდელი სოციალურ-ეკონომიური შეხედულებები.

ამ მოღვაწეების ეკონომიურ შეხედულებათა მეცნიერული შესწავლა, რაც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, ეყრდნო-

ბა პირველად წყაროებს. მრავალი საარქივო, ქართული და რუსული პერიოდიკის მასალა პირველად იქნა შესწავლილი და გამოყენებული.

ნაშრომზე მუშაობისას სასარგებლო რჩევებითა და საქმიანი შენიშვნებით დახმარება გამიწიეს პროფესორებმა: ს. ბერაძემ, გ. ჭანუყვაძემ, ვ. ჩანტლაძემ, გ. მეგრელიშვილმა, გ. თოდუამ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას ვუძღვნი.

თავი I

ნ. ნიკოლაძის შეხედულებები ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების შესახებ

ა) ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის გაგებისათვის

მე-19 საუკუნის 50-ანი წლებიდან ღრმა ცვლილებები მოხდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. მრეწველობისა და ტრანსპორტის, ფულად-საკრედიტო მეურნეობათა განვითარებამ შეარყიეს ფეოდალური წარმოების წესი. მასობრივი ხასიათი მიიღო თავადაზნაურობის წინააღმდეგ გლეხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ. ბატონყმობა გადაიქცა საზოგადოებრივი პროგრესის მუხრუჭად, საწარმოო ძალების განვითარების ბორკილად. სწორედ ამ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრის ძირითადი მიმართულება იყო ფეოდალური წარმოების წესის ნგრევისა და კაპიტალიზმის განვითარების საკითხების შესწავლა.

ზემოხსენებულ პერიოდში გამოვიდა სამოღვაწეო არენაზე მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დიდი ქართველი განმანათლებელი ნიკო ნიკოლაძე (1843—1928).

ნიკო ნიკოლაძეს მოღვაწეობა მაშინ მოუხდა, როდესაც საქართველოს ეკონომიური განვითარება კაპიტალისტურ რელსებზე გადავიდა და მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა დრომოჭმულ ფეოდალიზმსა და ახალ, შედარებით პროგრესულ კაპიტალისტურ წარმოებითს ურთიერთობებს შორის. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში წარმატებებს აღწევდა ახალი წარმოების წესი, რომლის განვითარება დაკავშირებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ გაშლასთან. ამ მოძრაობას სათავეში ედგნენ 60-ანი წლების ქართველი განმანათლებლები, რომელთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე იყო.

იმის გამო, რომ ჩვენი კვლევის ობიექტია ნ. ნიკოლაძის ეკონომიურ შეხედულებათა მხოლოდ ერთი მხარე — მისი მოძღვრება ვაჭრობის, ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების შესახებ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებისა და ეკონომისტების მიერ გაწეული მუშაობა აღნიშნულ საკითხზე. უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში დიდი წარმატებებია მიღწეული, თუმცა კი ნათელია, რომ ნ. ნიკოლაძის ეკონომიური საკითხებისადმი მიძღვნილი შრომები მისი შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ამიტომ შეუძლებელია ერთმა მკვლევარმა სრულყოფილი სახით წარმოგვიდგინოს ასეთი დიდი მემკვიდრეობის ანალიზი.

ნ. ნიკოლაძის შემოქმედების მეცნიერულად შესწავლის საქმეში დიდი მუშაობა აქვს გაწეული პროფ. ს. ხუნდაძეს. მან ნაშრომებში: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, აგრეთვე ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველი ტომის წინასიტყვაობაში ჩამოაყალიბა ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა სისტემა და მისი ადგილი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. „ნ. ნიკოლაძე,—წერდა ს. ხუნდაძე, — განახლებული ეპოქის ღვიძლი შვილი იყო; იგი 60-იანი წლების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებმაც ნათლად დაინახეს ძველი ბატონყმური საქართველოს ალსასრული, ნათლად იგრძნეს, რომ საუკუნეობით განმტკიცებული სოციალ-ეკონომიური საფუძვლები ჩვენი ცხოვრებისა ახალი ფაქტორების ზეგავლენით თავშეუკავებლივ ირღვეოდა და ისახებოდა ახალი ცხოვრება, ახალი დამოკიდებულება და ახალი სამოღვაწეო სარბიელი. ნ. ნიკოლაძემ ყველაზე მძლავრად იგრძნო ახალი საქართველოს მშობიარობის პროცესი, ყველაზე ნათლად დაინახა ახალი სოციალური კლასების წარმოშობა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა“ [1].

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს წერილი, იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. XXVII.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ს. ხუნდაძის არასწორი აზრი ნიკო ნიკოლაძის შეხედულებათა ლიბერალურ-ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ. ს. ხუნდაძის ამ არასწორი აზრის ჩამოყალიბების მიზეზს, ვფიქრობთ, მართებულად ხედავს მ. გაფრინდაშვილი ნაშრომში „ქართული განმანათლებლური აზროვნების ზოგიერთი საკითხი სიმონ ხუნდაძის შრომებში“. მისი აზრით, ქართველ განმანათლებელთა მსოფლმხედველობის კლასობრივი ბუნების შესახებ ს. ხუნდაძის შეხედულება სწორად ვითარდებოდა, რომ მისთვის „ხელი არ შეეშალათ“ რაპპელ ვულგარიზატორებს და „იძულებული არ გაეხადათ იგი წამდაუწუმ, ზოგჯერ თითქმის ყოველ ფურცელზე ელაპარაკნა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ლიბერალურ-თავადაზნაურული თუ ლიბერალურ-ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ“ [1].

ქართველ ეკონომისტთა შორის პირველია პროფ. პ. გუგუშვილი, რომელმაც სხვა მრავალ პრობლემებთან ერთად დიდი ადგილი დაუთმო ნ. ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიურ შეხედულებათა ანალიზს. მან ჯერ კიდევ 1941 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული ჟურნალისტიკა“ მოგვცა ნ. ნიკოლაძის, როგორც ქართველი განმანათლებლის, როლი და ადგილი მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. პროფ. პ. გუგუშვილმა შემდგომში კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოადგინა ნ. ნიკოლაძის შეხედულებები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საკითხებზე [2].

პროფ. ვ. ბახტაძეს ქართველ საბჭოთა ეკონომისტებს შორის მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს გაწეული ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ახლებურად განხილვის საქმეში.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ვ. ბახტაძემ ნ. ნიკოლაძის არქივის შესწავლის საფუძველზე მართებულად აღნიშნა, რომ იგი არის „ქართველი პროგრესული ბურჟუაზიის წარმომადგენელი“, „რადიკალიზმის და დემოკრატიზმის იდეე-

[1] საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 190.

[2] იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, 1956; ტ. II, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, 1956.

ბის მებაირახტრე", რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულების თაყვანისმცემელია, მაინც ვერ ამაღლდა მის მსოფლმხედველობამდე" [1].

პროფ. გ. მეგრელიშვილმა დიდი ამაგი დასდო ნ. ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიურ შეხედულებათა სისტემატიზაციის საქმეს. მისი მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობის გამოვლენებასა და შესწავლას მან მიუძღვნა შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი. სამართლიანად აღნიშნავს მ. გაფრინდაშვილი, რომ გაბრიელ მეგრელიშვილი „...პირველწყაროთა უფრო ვრცელი ანალიზის საფუძველზე ცდილობს ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის რევოლუციურ-დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური ხასიათის ჩვენებას.." [2]. გ. მეგრელიშვილს 1960 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის („მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი ეკონომიური აზრი") პირველ ტომში გამოკვლეული აქვს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებიდან ისეთი საკითხები, როგორიცაა ფეოდალიზმისა და მეფის თვითმპყრობელობის, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნიკოლაძისეული კრიტიკა, საგლეხო რეფორმის შეფასება და ნიკოლაძის მოსაზრებანი სოციალისტური წყობილების შესახებ.

პროფ. გრ. თოდუა თავის გამოკვლევებში „მეორე დასის" იდეოლოგთა ეკონომიურ შეხედულებებზე ყურადსაღებ მოსაზრებებს გამოსთქვამს ნ. ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიურ მრწამსზე[3]. იგი ნ. ნიკოლაძეს რევოლუციურ-დემოკრატად მიი-

[1] იხ. ვრცლად, ვ. ბახტაძე, ნიკო ნიკოლაძე. რაზნოჩინული ინტელიგენციის წარმომადგენელი—თსუ შრომების ტ. XXIV და XXX; მისივე—«Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли» (60—90 годы XIX века), 1960.

[2] მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობა, თბ., 1965, გვ. 246.

[3] იხ. გრ. თოდუა, „მეორე დასის" იდეოლოგთა ეკონომიური შეხედულებების წყაროები", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XI; „მეორე დასის" იდეოლოგები პოლიტიკური ეკონომიის საგნისა და ამოცანების შესახებ, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1960, № 7. „ქართველ მესამოციანელთა ეკონომიური მოძღვრების სათაყვანებლად", თბ., 1967.

ჩნევს, რაც რამდენადმე გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. ნიკოლაძის სამოცდაათწლიანი შემოქმედების უბრალო თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ შევამჩნიოთ მისი მსოფლმხედველობის არათანმიმდევრულობა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე მე-20 საუკუნის 20-ან წლებამდე ნ. ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიურმა შეხედულებებმა ღრმა ევოლუცია განიცადეს, რაც ძირითადად განპირობებული იყო საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებით.

პროფ. ი. ანთულავა თავის გამოკვლევებში დიდ ადგილს უთმობს ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის საკითხებს. იგი ბევრი ახალი მასალის მეცნიერულ ბრუნვაში მოქცევით დაასკვნის: „ჭართებული და მისაღებია დებულება მასზე, რომ ნ. ნიკოლაძე მიეკუთვნება რევოლუციონერ-დემოკრატთა ბრწყინვალე პლეადას“[1].

ნ. ნიკოლაძის მკვლევართა შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გ. ზაქარიაძე. მან 1956 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“ შეისწავლა და ახლებური დასკვნები გაუკეთა ნ. ნიკოლაძის შემოქმედების ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. ნიკოლაძის ურთიერთობის საკითხები, ნ. ნიკოლაძე კლასობრივი ბრძოლის, სახელმწიფოს, ომებისა და განიარაღების შესახებ, აგრარული საკითხის ნ. ნიკოლაძისეული განხილვა და სხვ. გ. ზაქარიაძე მართებულად მიუთითებს, რომ „ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობა და იდეოლოგია ჩამოყალიბდა საქართველოს მაშინდელი ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების საფუძველზე. რა თქმა უნდა, მისი მსოფლმხედველობის დაუშრეტელ იდეურ წყაროს წარმოადგენდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნება—გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეები...“ (გვ. 9—10).

ნ. ნიკოლაძის, როგორც დიდი ქართველი მოაზროვნის, სოციოლოგიურ შეხედულებებს იკვლევს პროფ. ვ. დონაძე მონოგრაფიაში „ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები“. ავ–

---

[1] ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1967, გვ. 14 და 69..

ტორი აღნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა ეროვნულ ნიადაგზე, აგრეთვე მასზე დიდი გავლენა ჰქონდა რუს რევოლუციურ დემოკრატებს, სოციალისტურ შეხედულებებს, დასავლეთ ევროპის უტოპიური სოციალიზმის თეორიებს. ვ. დონაძეს სწორედ ამის საფუძველზე გამოჰყავს დასკვნა, რომ ნ. ნიკოლაძის სოციოლოგიური შეხედულებები ყალიბდებოდა მათი გავლენით. ამასთან ერთად ავტორი აღიარებს ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა არათანმიმდევრულ ხასიათს.

საგანგებოდ მართებულად უნდა მივიჩნიოთ პროფ. ვ. დონაძის დებულება მასზე, რომ მიუღებელია იმ ქართველ მკვლევართა შეხედულებები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნიკოლაძის „მსოფლმხედველობა მონოლითურად მთლიანია, ერთი იდეური ნაკადის მატარებელია. ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების მონოლითობაზე მხოლოდ პირობით შეიძლება ლაპარაკი. თვით ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძემ განიცადა ევოლუცია, იმაზე მიგვითითებს, რომ ამ მოაზროვნეში მუდამ იბრძოდა ორი ტენდენცია, ორი მიმართულება, რომ მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი ახალგაზრდობაში უფრო მებრძოლი ხასიათის იყო, ვიდრე XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში“[1].

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური ნაშრომების ანალიზის საფუძველზე შეიძლება მისი მოღვაწეობის სამი პერიოდი გამოვყოთ:

1. გასული საუკუნის 60—70-იან წლებში იგი რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე დგას. „საქართველოში ფეოდალიზმის კრიზისისა და ბატონყმობის გაუქმების პერიოდში ნ. ი. ნიკოლაძე არის ჩერნიშევსკის სკოლიდან გამოსული რევოლუციონერ-დემოკრატი“[2], ამ პერიოდის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია შეურიგებელი ბრძოლა როგორც ფეოდალური, ასევე კაპიტალისტური წარმოების წესის წინააღმდეგ.

---

[1] ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, თბ., 1962, გვ. 14.

[2] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, 1960, т. I, стр. 287.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქართველი განმანათლებლები ემსახურებოდნენ ჩვენში კაპიტალიზმის განვითარებას, ამასთან ერთად იბრძოდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ისინი მიზნად ისახავდნენ ცარიზმის თვითმპყრობელური რეჟიმის მოსპობას და სამართლიანი დემოკრატიული წყობილების დამყარებას. „თერგდალეულები XIX საუკუნის 80-იან წლებამდე იყვნენ რევოლუციონერები, ისინი ეროვნული და სოციალური საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის ერთადერთ საიმედო გზად რევოლუციას აღიარებდნენ“ [1].

ნ. ნიკოლაძე რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების, განსაკუთრებით კი გ. ჩერნიშევსკის მსგავსად, როგორც სოციალისტ-უტოპისტი, ოცნებობდა გლეხური თემის მეშვეობით სოციალიზმზე გადასვლას, ე. ი. მან წამოაყენა გლეხთა რევოლუციის იდეა [2].

ვ. ი ლენინი გ. ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობის ანალიზისას წერდა, რომ „ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრადფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შექმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტ-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა—გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას“ [3].

ვ. ი. ლენინის მიერ გ. ჩერნიშევსკიზე გამოთქმული მოსაზ-

---

[1] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 255.

[2] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 320.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 129—130.

რებები მთლიანად ვრცელდება ნ. ნიკოლაძეზე. მას სურდა სოციალიზმის გამარჯვება გლეხური რევოლუციის გზით.

ყურადსაღებია პროფ. გ. მეგრელიშვილის მიერ გამოთქმული დებულება მასზე, რომ ნ. ნიკოლაძე არა მარტო ქართველი პროგრესული საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო, არამედ რუსი რევოლუციურ-დემოკრატების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელიც [1].

პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძე არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების კრიტიკული დამოკიდებულების მხრივ უფრო შორს მიდიოდა სხვა მოღვაწეებთან შედარებით [2].

კაპიტალიზმის დამკვიდრების ეპოქა „სოციალურ საფუძველს უქმნიდა როგორც დრომოჭმულ ფეოდალურ ურთიერთობათა, ისე ახლად წარმოშობილ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა წინააღმდეგ მიმართულ, უტოპიური სოციალიზმის ფორმაში გამოხატულ რევოლუციურ დემოკრატიზმს“ [3].

ამ პერიოდში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებამ და სამოქმედო ასპარეზზე პროლეტარიატის გამოსვლამ ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატები, მათ შორის ნიკო ნიკოლაძეც „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის პოზიციებზე დააყენა, მათ დაიწყეს ყველა კლასის კეთილდღეობის პროპაგანდა და დაივიწყეს ბრძოლის რევოლუციური გზები.

მე-19 საუკუნის 80—90-იან წლებში ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები ეჭცევა უკანა პლანზე და 80-იანი წლებიდან მისი სოციალისტური შეხედულებები იძენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შინაარსს.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი ცდილობდა ხელი შეეწყო

---

[1] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, стр. 298.

[2] П. Гугушвили, Подготовление крестьянской реформы в Закавказье, сельское хозяйство и аграрные отношения. Тб., 1950, т. II, стр. VIII.

[3] ლ. გორგილაძე, სოციალიზმის ისტორიიდან, გვ. 320.

საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიის განმტკიცებისათვის, რადგან ეს უკანასკნელი მიაჩნდა ქართველი ხალხისათვის მატერიალური და კულტურული სიკეთის მომტანად. მე-2 პერიოდის მსგავსად მის ნაწერებში გაბატონებულია რეფორმისტული ტენდენცია. ამ პერიოდში, როგორც წერს დ. გამეზარდაშვილი, ნ. ნიკოლაძე „არ ეკუთვნოდა რა არცერთ პოლიტიკურ პარტიას ფაქტიურად... შეტი სიმპატიებით ბოლშევიკური პარტიის საქმიანობას ეპყრობოდა და ყველაზე მეტად სჯეროდა მისი გამარჯვებისაც" [1].

ნ. ნიკოლაძე ეკუთვნოდა იმ ბედნიერ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც დიდი ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის, მთელი ერის კეთილდღეობისათვის. 70 წლის მანძილზე ნ. ნიკოლაძის კალამი დაუღალავად ემსახურებოდა თავის ხალხს, სამართლიანი საქმისათვის ბრძოლას. მან დაგვიტოვა უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც ორ ათეულ ტომშიც ვერ მოთავსდება. მეტად ძნელია მოიძებნოს ცოდნის ისეთი დარგი, რომელსაც ნ. ნიკოლაძე არ შეხებია. „არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი საკითხი მაშინდელ საქართველოში, რომლის შესახებ თავისი სიტყვა არ ეთქვას ნ. ნიკოლაძეს და საკუთარი წვლილი არ შეეტანოს ყველა დიდ ეროვნულ წამოწყებაში" [2].

ნ. ნიკოლაძემ შეგნებული ცხოვრების ნახევარი საუკუნე მოახმარა ისეთი პრობლემების შესწავლას, როგორიც იყო: მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრება, ბატონყმობის გაუქმება, გლეხობის ცუდი ეკონომიური მდგომარეობა და მისგან თავის დაღწევის გზები, სოფლის მეურნეობის განვითარება, მუშათა კლასის როლი დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში, საკრედიტო ურთიერთობა და კრედიტის სახეები, ქართველი ერის განათლება და კულტურა, თემი და არტელი, კაპიტალისტური წარმოების წესი და მრავალი სხვა საკითხები. ნ. ნიკოლაძისა-

---

[1] დ. გამეზარდაშვილის წერილი, ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1962., გვ. 66.

[2] ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, თბ., 1962, გვ. 3.

თვის ერთნაირად საინტერესო იყო, როგორც ამას პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს: „ნავსადგურებისა და რკინიგზების მშენებლობა, ტყიბულის ქვანახშირი და ჭიათურის მარგანეცი, ალავერდის სპილენძისა და ბაქოს ნავთობის მრეწველობა, მელიორაციისა და საქალაქო წყალსადენის, მევენახეობისა და მეღვინეობის, ტყის მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის საქმე და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ გამხდარა მისი ენერგიული აქციის, მისი მეთაურობის ობიექტი“ [1].

ნ. ნიკოლაძე მის წინაშე წამოჭრილ ყოველ საკითხს მეცნიერული კეთილსინდისიერებით განიხილავდა და ასევე კეთილსინდისიერად გამოსთქვამდა თავის აზრს.

ბ) ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებათა მოკლე მიმოხილვა

ნიკო ნიკოლაძე სოციალურ-ეკონომიურ საკითხებს განიხილავდა საქართველოს ეკონომიურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირში, გლეხთა კლასის ინტერესებიდან გამომდინარე. იგი ღრმად იყო დაინტერესებული ქართველი გლეხკაცის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით, ცდილობდა საქართველოში მიწის საკითხი მის სასარგებლოდ გადაეჭრილიყო.

სანამ ჩვენს მიერ დასმული საკითხების ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევეხოთ ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებებს საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

მე-19 საუკუნის 30—50 წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩაისახა და ვითარდებოდა კაპიტალისტური წარმოების წესი, რასაც „მოჰყვა ძირეული ხასიათის ცვლილებები სოციალურ ურთიერთობაში, კლასობრივი ძალების განლაგებაში, საზოგადოებრივ აზროვნებაში, სულიერი და მატერიალური კულტურის დარგში და ა. შ.“ [2].

---

[1] ჟურნ., „საქართველოს ეკონომისტი“, 1963, № 9, გვ. 81.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. V, გვ. 5.

ფულად-სჯაქონლო ურთიერთობათა განვითარებით ქართულ სოფელში მასობრივად დაიწყო გლეხთა დიფერენციაცია, რომელიც თავისთავად კაპიტალიზმის გენეზისის პერიოდის თანდაყოლილი ფაქტორია.

კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებამ საგრძნობლად გააძწვავა კლასობრივი ბრძოლა. მშრომელმა მასებმა, რომელთა ეკონომიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, დაიწყეს ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, რაც თანმიმდევრულად ატარებდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათსაც. გლეხობა იყო ის კლასი, რომელსაც შემამუღლეები საუკუნეობით უწევდნენ ექსპლოატაციას. ამიტომაც ამ პერიოდში დღის წესრიგში დადგა გლეხთა საკითხის რადიკალურად გადაწყვეტა.

„დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიანხორციანად ფცქვნიდა მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე, სტუდენტების არეულობა—ასეთ პირობებში უალრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება საჭსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“ [1].

მართებულად მიუთითებდა ნიკო ნიკოლაძე, რომ ყირიმის ომის შემდეგ გლეხთა საკითხი მთავარი გახდა. „1853—1856 წწ. ოსმალეთის ომის დროიდან გლეხთა განთავისუფლების საკითხმა ქართველი საზოგადოების ყოველი ელემენტი ააღელვა;

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 34—35.

ამ საკითხმა თავიდანვე, მისი სოციალური ხასიათის მიუხედავად, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი მიიღო. ამ საკითხის აღძვრას აუცილებლად უნდა ეფორიაქებინა ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები და რადგან გლეხთა საკითხი... საქართველოში იზრდებოდა არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი ძალით განვითარდა და თავისი ბუდიღბალი თანდათან გლეხთა საკითხის ასეთ თუ ისეთ გადაჭრას დაუკავშირა" [1].

კაპიტალიზმის განვითარებითა და ბატონყმური წყობილების თანდათანობით რღვევის პარალელურად ქართველი საზოგადო მოღვაწეები ხმას იმაღლებდნენ გლეხთა განთავისუფლებისათვის, მათ შორის საქართველოში პროგრესული მოვლენების გამარჯვების მედროშედ გამოვიდნენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ისინი „თავიანთ ძალას, ჭკუას... იმისათვის ხმარობდნენ, რომ მოესპოთ ძველი უსამართლობა, ბატონყმობა. ცდილობდნენ ჩამოერთმიათ მათრახი, პალაჩობა ყმებზედ და გამოეყვანათ (ისინი) ქვეყანაზე კაცად" [2].

თერგდალეულთა შეფასებაში ქართველ საბჭოთა მკვლევარებს შორის ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე არ იყო ერთიანი აზრი. მაგრამ მათი პროგრესული მნიშვნელობა დღეს უკვე ეჭვს გარეშეა. სრულიად სამართლიანად მიუთითებენ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" ავტორები, რომ „ახალი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისადმი ნიჰილისტურმა მიდგომამ საბოლოოდ დაუთმო ადგილი მეცნიერულ მიდგომას, ერთხანს გაბატონებული დოგმატიზმიც თანდათანობით იდევნება ისტორიოგრაფიიდან. აქედან დაწყებული დღემდე ახალ ქართულ ლიტერატურას და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის პრობლემებზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან ნაშრომებში მეტ-ნაკლები საბუთიანობითაა ნაჩვენები, რომ XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი არც კონსერვატორები და

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ.. ტ. 1, 1962. გვ. 251—252.

[2] გაზ. „ივერია", 1883, № 4.

რეაქციონერები ყოფილან, არც თანმიმდევარი სოციალისტები, არც თავადაზნაურობის ან ბურჟუაზიის იდეოლოგები, არამედ ისინი იყვნენ პროგრესისტები, პატრიოტები და დემოკრატები, უწინარეს ყოვლისა მშრომელი ხალხის ინტერესთა დამცველნი, რომელთაც იდეურად ცხადყვეს დრომოჭმული წყობილებიდან ახალ საზოგადოებაზე, მოძველებული აზროვნებიდან ახალ მსოფლმხედველობაზე გადასვლის გარდუვალობა" [1].

ნიკო ნიკოლაძისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ისე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც მშრომელი მასების ექსპლოატაციის წყაროა კერძო საკუთრება, რომელსაც მეფის მთავრობა დამცველად მოევლინა. სწორედ ეს ამოძრავებს მშრომელ მასებს შეებრძოლონ არსებულ წყობილებას. ნ. ნიკოლაძე წერს: „საქართველოში... ოფლის მღვრელ მშრომელ მასებთან ერთად ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებიც შრომისგან გაანთავისუფლა წარჩინებულ ან მდიდარ მშობელთაგან დაბადების ბრმა შემთხვევამ. უთანასწორობა საზოგადოებრივი და კერძო დოვლათის და ამ დოვლათზე დამოკიდებული ბედნიერების განაწილების უსამართლობა-ისევე ძლიერია საქართველოში, როგორც სხვა სახელმწიფოებში. მშრომელი ხალხი მარტო ეკონომიურად და პოლიტიკურად კი არ არის დამოკიდებული შრომისგან განთავისუფლებულ ადამიანებზე, არამედ. რაც უფრო აუტანელია, იგი პარიების დამამცირებელ და საშარცხვინო მდგომარეობაშიაც იმყოფება. შრომა პატივისა ან ღირსების მოსახვეჭ უფლებად კი არ ითვლება, არამედ დამცირებისა და სრული არარაობის სათავეა. ძალა-უფლება, სახელი და პატივისცემა თანაზომილია არა შრომასა, ნიჭსა ან დამსახურებასთან, არამედ შთამომავლობასა, ტიტულსა, სიმდიდრესა და საკუთრების რაოდენობასთან" [2]. ნ. ნიკოლაძე შემდეგ აგრძელებს, რომ „არავითარ შრომას... არ ძალუძს „მშრომელი ადამიანების გამოყვანა ამ მოჯადოებული წრიდან", „მან ამ წრეში უნდა იტრიალოს, იცხოვროს და მოკვდეს".

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1970. ტ. V, გვ. 35.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1. 1962, გვ. 259.

ნ. ნიკოლაძე მოუწოდებს ქართველ გლეხობას, რომ ძველებურად ცხოვრება მათ არაფერს არგებს, თავისი ცხოვრების სიმძიმემ, მიუთითებს ავტორი, აიძულა მშრომელები „თანამედროვე ჯვაროსნული ლაშქრობა დაეწყო უმსგავსო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ... ვაივაგლახით ცხოვრება.... პირდაპირ აუტანელია... სჯობს დაიღუპოს იგი, ვიდრე ეფლობოდეს იმ ჭაობში, რომელიც მას ნელ-ნელა სისხლსა სწოვს და ძალ-ღონეს აცლის“ [1].

ნ. ნიკოლაძე მართებულად ასკვნის, „რომ ამ თემის მცირედი გალრმავებაც კი ყოველს საღად მოაზროვნე ადამიანს იმ წყობილების შეცვლის საჭიროების აზრს აღუძრავს, რომელიც დაამყარეს მძარცველებმა, უზურპატორებმა. ეს წყობილება დაფუძნებულია იმ კანონებზე, რომლებიც გამოსცეს ნაძარცვი და დატაცებული სიმდიდრისა და პრივილეგიების შენარჩუნებით დაინტერესებულმა პირებმა“ [2].

ნ. ნიკოლაძის გალაშქრება ბატონყომის წინააღმდეგ ამით არ მთავრდება. იგი ებრძვის იმ წყობილებას, რომელმაც ძარცვა-გლეჯის უფლება მიანიჭა მემამულეებს. მას კარგად ესმის, რომ სახელმწიფო მანქანა ყოველთვის გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავს და ამისათვის საჭიროა არა მარტო არსებული ექსპლოატატორული კლასების მოსპობა, არამედ მისი დამცველი სახელმწიფო ინსტიტუტის — რუსეთის ცარიზმის მოსპობაც.

ნ. ნიკოლაძის ისტორიული დამსახურება რუსეთისა და საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ მან რუსეთის ცარიზმი დაახასიათა როგორც რეაქციული, ანტიხალხური ძალა [3].

ნ. ნიკოლაძემ იცის, რომ რუსეთის ცარიზმი წინააღმდეგია მშრომელი ხალხის და სწორედ ამიტომ იგი არის „უმართებულო საზოგადოებრივი ორგანიზაცია“. საქართველოს რუსეთთან

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, 1962, გვ. 260.

[2] იქვე.

[3] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, стр. 364.

შეერთების პირველი დღიდანვე ის, „ვინც ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდა რუსულ მმართველობას საქართველოში, — მიუთითებდა ნ. ნიკოლაძე 1865 წელს, — მთავრობა ყველას დაუზოგველად უმასპინძლდებოდა და საამისოდ მიმართავდა დახვრეტას, ჩამოლრჩობას, კატორღას და გადასახლებას. მეორე მხრივ, მეფურად ასაჩუქრებდა იმას, ვინც ხელს უწყობდა რუსული ხასიათის კანონების დანერგვას“. . .[1]

ნ. ნიკოლაძეს ქართველი თავად-აზნაურობის პარპაში მუდმივ მოვლენად არ მიაჩნია, რამდენადაც ხალხს, ე. ი. გლეხობას არ ძალუძს ძველებურად „ასაზრდოოს“ ისინი და მათ ფუფუნებით ცხოვრებას „გუნდრუკი უკმიოს“.

„მართლაც, გამოირკვა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ ხალხს არ შეეძლო ესაზრდოებინა და ერჩინა ესოდენ მრავალრიცხოვანი აზნაურობა, რომელსაც მისთვის არაფერი სარგებლობა არ მოჰქონდა, არაფერ სამსახურს არ უწევდა, პირიქით, ძალ-ღონეს სწოვდა, მისი ჯაფისა და შრომის ნაყოფს ითვისებდა, თურმე ამ ხალხს სრულებითაც არ ეხარბებოდა „შესაწირავი კრავის“ მდგომარეობა, თურმე ისიც ოცნებობდა თავისი ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ლაქია-აზნაურობამ და ყოველგვარი კანცელარიების და სამმართველოების მოაზროვნე ლაქიებმა ერთხმად წამოიძახეს. . . „ხედავთ ამ არამზადას! მასაც მოსდომებია ცხოვრება, თითქოს კეთილშობილი იყოს!“[2]. თავად-აზნაურთა მოთხოვნით მეფის მთავრობამ მიმართა რეპრესიებს ქართველი გლეხობის წინააღმდეგ, მაგრამ სწორად მიუთითებს ნიკო ნიკოლაძე—„გლეხთა მოძრაობის დამარცხება არ ნიშნავს იმას, რომ ისინი შემდგომშიც არ აჯანყდებიან. . . 1820 წლის იმერეთის აჯანყების მარცხმა ვერ შეაჩერა გურიის აჯანყება 1841 წელს, კიდევ უფრო ნაკლებად შეაჩერა გლეხთა მოძრაობა 1855—1862 წლებში“[3]. სწორედ ამაში ხედავდა ნ. ნიკოლაძე გლეხთა მამოძრავებელ ძალას ისტორიაში.

ისმება კითხვა: რატომ აქცევდა ნიკო ნიკოლაძე რეფორმის

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 1, გვ. 255.

[2] იქვე, გვ. 256.

[3] იქვე.

წინა ხანის საქართველოში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხებს ასეთ დიდ ყურადღებას? საქმე იმაშია, რომ როგორც ზევით აღინიშნა, საგლეხო რეფორმის წინა პერიოდში საქართველოს მშრომელთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა სისტემატურად უარესდებოდა, ამას ხელი შეუწყო ყირიმის ომმა, სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებამ და მემამულეთა მხრიდან გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერებამ, რამდენადაც ამ უკანასკნელთათვის ცნობილი იყო მოახლოებული საგლეხო რეფორმის განხორციელება. „ჩვენს ხელთ არსებული საბუთები ადასტურებენ, რომ ქართველმა ფეოდალებმა, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მტრულად შეხვდნენ გადაწყვეტილებას ბატონყმობის გაუქმების შესახებ, მაქსიმალურად გამოიყენეს რეფორმამდე დარჩენილი დრო და საგრძნობლად გაადიდეს საგლეხო გადასახადები“ [1]...

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ მეფის მთავრობა ხვდებოდა, რომ ზემოაღნიშნულმა აიძულა საქართველოში დაეჩქარებინა საგლეხო რეფორმა. „მთავრობა ალღოთი ხვდებოდა, რომ „რეფორმის საჭიროება საგრძნობი“ იყო; ამიტომ მან ხელი მიჰყო მის განხორციელებას ზემოდან, რათა შეეფერხებინა მისი განვითარება ქვემოდან“[2].

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძეს სწორად ესმოდა საქართველოში გლეხობის აჯანყების მიზეზები, იგი წერდა: „მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ საქართველოს გლეხთა მოძრაობის მიზეზად მარტო რუსეთის მთავრობის უსამართლობა და აზნაურთათვის დვორიანინობის უპირატესობათა დაკანონება მიგვეჩნია... ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ საკაცობრიო. საქართველოში ამჟამად იგივე ბრძოლა სწარმოებს, რომელსაც რუსეთის, ევროპის და, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ძალღონე ხმარდება: ეს არის მშრომელთა ბრძოლა შთამომავლობისა და კაპიტალის პრივილეგიე-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 227.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ .1, 1962, გვ. 256.

ბის წინააღმდეგ, ე. ი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მიმდინარეობს მშრომელ ღატაკთა სოციალური ბრძოლა მუქთახორა სიმდიდრის წინააღმდეგ“ [1].

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ მეფის რეჟიმს არ შეეძლო სხვა საშუალების გამოძებნა ქართველ გლეხთა დასაშოშმინებლად, თუ არა რეფორმის გატარების დაჩქარება. 1863 წელს მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე იმპერატორ ალექსანდრე II წერდა: „მე როგორც უკვე წინათაც გწერდი, მივაქცევ ამ საგანს მთელს ჩემს ყურადღებას და შევეცდები შეძლებისდაგვარად დავაჩქარო ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. მისი მოგვარება აუცილებელია გადაუდებლად, რადგანაც ურთიერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის მეტად გამწვავებულია მთელს კავკასიის მხარეში, განსაკუთრებით კი აქ და გორის მაზრაში, და ჩვენ იძულებული გავხდით ბევრ ადგილას ეგზეკუცია გაგვეგზავნა. ძალიან ხშირად გლეხები უარს აცხადებენ ისეთი გადასახადების გადახდაზე, რასაც ჩვეულების თანახმად ძველი დროიდან მათი მამები და წინაპრები იხდიდნენ. თავისუფლების მოლოდინში გლეხები ნებას აძლევენ თავს ასეთი ურჩობა ჩაიდინონ“ [2].

ნ. ნიკოლაძემ იცოდა მეფის მთავრობის განზრახვა — დიდი ხნით გადავდო საქართველოში ბატონყმობის გაუქმება. „ფაქტები ყველაზე უფრო მჭევრად მეტყველებენ, — აღნიშნავს იგი, — აღელვებული გლეხების წინააღმდეგ მიმართული ეკზეკუციები ნათლად ადასტურებენ, რომ მთავრობა მართლაც კარგა ხნით აპირებდა ქართველი გლეხების განთავისუფლების გადადებას“ [3].

სამართლიანად მიუთითებს პროფ. გ. მეგრელიშვილი, რომ ნ. ნიკოლაძე არის ერთ-ერთი პირველთაგანი ქართველი სამოციანელებისა, რომელიც ახლებურად მიუდგა გლეხობის, ხალხის საკითხს. მას ხალხი მიაჩნდა ისტორიის შემოქმედად, ისტო-

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 259.

2 იხ. ი. ანთელავა, საგლეხო რეფორმა საქართველოში და მისი მნიშვნელობა, თბ., 1966, გვ. 3—4.

3 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 262.

რიის მამოძრავებელ ძალად, საზოგადოებრივი პროგრესის წყაროდ[1], ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებას ნათელ ხაზად გასდევს დებულება, რომ მშრომელი ხალხის მოძრაობას ყოველთვის ახასიათებს ბრძოლა ისტორიის დამმუხრუჭებლებისა და რეაქციონერების წინააღმდეგ, ძველი, დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, ახალი პროგრესული წარმოების წესის სასარგებლოდ, რომლის დროსაც ადგილი ექნება ხალხთა ძმურ ერთიანობას, თანამშრომლობას.

ნ. ნიკოლაძე ქართველ გლეხობაში ხედავდა პროგრესულ, რევოლუციურ ძალას, რომელსაც შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების წესში გადატრიალების მოხდენა. მართლაც ქართველი გლეხების ბრძოლა სოციალური და კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ აჩქარებდა ფეოდალური წარმოების წესის რღვევას, შეფის რუსეთის პოზიციის შესუსტებასა და რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას.

ნიკო ნიკოლაძე ილაშქრებდა რა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, უპირატესობას ახალ საზოგადოებრივ წყობილებას, კაპიტალიზმს ანიჭებდა, ნ. ნიკოლაძე „. . . კარგად ხედავდა. რომ ბატონყმური საზოგადოებრივი წყობა ეკონომიურად და პოლიტიკურად გამოიფიტა, მას ცხოვრებაში ნიადაგი აღარ ჰქონდა, ხოლო გონებრივი და ზნეობრივი მხრით იგი დაეცა, გადაგვარდა. ამიტომ იგი დასაღუპავად არის განწირული, მისი გადარჩენა არავითარ ძალას არ შეუძლია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოდის ახალი ძალა—კაპიტალიზმის სახით, რომელსაც .. უპირატესობა აქვს ძველ საზოგადოებრივ წყობილებასთან შედარებით“ [2].

მაგრამ ნიკო ნიკოლაძე თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ილაშქრებს არა მარტო ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, არამედ კაპიტალიზმის წინააღმდეგაც. თუმცა ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კაპიტალიზმის ნიკოლაძისეული კრიტიკა არ

---

[1] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, стр. 361.

[2] გ. ზაქარიაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 1955, გვ. 152.

არის თანმიმდევრული და ერთიანი, ამასთან ერთად მას კაპიტალიზმი არ მიაჩნია ისეთ საზოგადოებრივ წყობილებად, რომელსაც ძალუძს ხალხის კეთილდღეობის ამაღლება: „ქვეყნიერებაზე ჯერ კიდევ არაა ისეთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება შეიძლებოდა ჩათვლილიყო დაშაკმაყოფილებლად. უფრო ცივილიზებული და ბედნიერი ხალხები: ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, — სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ,— იტანჯებიან საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის მოუწესრიგებლობით. მათ შეგნებული აქვთ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ უნდა იყოს მარადიული, რომ უნდა მივისწრაფვოდეთ უფრო სამართლიანი წესრიგისაკენ, საზოგადოებრივი მოვალეობისა და უფლებათა უკეთ განაწილებისაკენ“ [1].

მისაღებია კაპიტალიზმის ნიკოლაძისეული კრიტიკის შესახებ გამოთქმული პროფ. გ. მეგრელიშვილის მოსაზრება: „კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივი წყობილების სისტემის შეფასების პრობლემას (ნ. ნიკოლაძე უდგებოდა) მშრომელთა ინტერესების თვალთხედვით, უმნიშვნელოვანესი სოციალური საკითხის კუთხით, საკითხისა კაპიტალიზმის შესაძლებლობაზე მოსპოს მასების სიღატაკე, უზრუნველყოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და მათი კულტურული აღმავლობა“[2], ნ. ნიკოლაძემ იმთავითვე შეამჩნია კაპიტალიზმის მანკიერება— უდიდესი სიმდიდრე უმცირესობის ხელში და უმრავლესობის სიღატაკე, იგი ისეთივე ექსპლოატატორული ბუნებისაა, როგორც მისი წინამორბედი ფორმაციები.

ნიკო ნიკოლაძემ თავის ნაწერებში დიდი ადგილი დაუთმო ბატონყმური წყობილების კრიტიკას და, უნდა ითქვას, რომ იგი ბევრად უფრო შორს წავიდა იმ პერიოდის მოღვაწეებთან შედარებით, „დოკუმენტებით შეიძლება დასაბუთება, — წერს პ. გუგუშვილი, — იმისა, რომ მაგალითად, ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 4, 1964, გვ. 256.

2 Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, стр. 376.

ურთიერთობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების თვალსაზრისით ხშირად შესამჩნევად უფრო შორს მიდიოდნენ, ვინემ ილია ჭავჭავაძე" [1].

ნ. ნიკოლაძემ 1865 წლის 15 ივნისისა და 1 ივლისის გერცენის „კოლოკოლში" (იბეჭდებოდა საზღვარგარეთ) გამოაქვეყნა სტატია „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", რომელშიც იძლევა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის აღწერას საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში. ამ წერილში, აღნიშნავს ს. ხუნდაძე, ნ. ნიკოლაძემ „კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარა თვითმპყრობელობის საგლეხო რეფორმა საქართველოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთ ფართო მოედანი იყო გადაშლილი თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის და ამიტომ მან თავის წერილით სავსებით შესძლო მოწინავე, ახალთაობის ინტელიგენციის აზრის გამოთქმაც აღნიშნულ საკითხზე" [2].

ნ. ნიკოლაძეს ესმოდა, რომ ეს რეფორმა მიმართული იყო არა მშრომელი მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არა მათი კეთილდღეობის ასამაღლებლად, არამედ ძირმომპალი ფეოდალური წარმოების წესის განსამტკიცებლად. საგლეხო რეფორმა მეფის მთავრობამ გაატარა მებატონეების მდგომარეობის გამოსასწორებლად. ნ. ნიკოლაძე გულისტკივილით იმეორებდა „კოლოკოლი"-ს სიტყვებს: „მეფემ ხალხი მოატყუა".

„ახალი „კანონმდებლობანი", რომლებიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლეხთა ყმობა... საბოლოოდ ისპობაო", მიზნად ისახავენ მხოლოდ ახლანდელი „*status quo*"-ს „განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძვლის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას. რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება ყოველად შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ... გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა

---

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, 1956, გვ. 618.

[2] ს. ხუნდაძე, ნარკვევები, თბ., 1941, გვ. 272.

და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება. მემამულე ვალდებული არ არის მიწის გამოსყიდვასაც კი დასთანხმდეს..."[1] შემდეგ ნ. ნიკოლაძე აგრძელებს: „მაშასადამე, თუ მთავრობამ ამ მხრით ვისიმე მდგომარეობა გააუმჯობესა, ყოველ შემთხვევაში არა გლეხებისა, არამედ უფრო თავადაზნაურობისა... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება! კიდევ გამოჩნდებიან სკეპტიკოსები და სასწაულს არ ირწმუნებენ"[2].

ასეთია საქართველოს საგლეხო რეფორმის შეფასება ნ. ნიკოლაძის მიერ და უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის არც ერთი საზოგადო მოღვაწე არ ასულა ამ საკითხის შეფასებაში ნ. ნიკოლაძის დონეზე. „...ეს შეფასება, — აღნიშნავდა ს. ხუნდაძე, — სრულიად სწორი იყო, იგი სწორ ანალიზს უკეთებდა იმ „რეფორმას", რომელმაც ახალი მონობის უღელი დაადგა ქართველ გლეხობას"[3].

ნ. ნიკოლაძემ საზღვარგარეთული თავისუფალი პრესის მეშვეობით ნათლად წარმოგვიდგინა ალექსანდრე მეორის რეფორმის ბუნება, იგი მიუთითებდა, რომ მეფემ აიძულა კავკასიის მმართველობა—„გლეხთა განთავისუფლების თუნდაც რაიმე პროექტი წარედგინა". „მთავრობა ფიქრობდა, — წერდა ნ. ნიკოლაძე,—იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს გლეხებისათვის პირში ბურთი ჩაეჩარა მომავალი განთავისუფლების პერსპექტივით და ამავე დროს არ შეელახა ამ მხარეთა თავადაზნაურობის ინტერესი"[4]. ნ. ნიკოლაძემ ქართველ საზოგადოებას დაანახვა, რომ მეფის მთავრობამ საგლეხო რეფორმა ჩაატარა მშრომელი მასებისაგან საიდუმლოდ, მათი მონაწილეობის გარეშე. საქართველოში გატარებული საგლეხო რეფორმა თა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, გლეხთა განთავისუფლება საქართველოში, თხზ., ტ. I, გვ. 268.

[2] იქვე, გვ. 270—271.

[3] ს. ხუნდაძე, ნარკვევები, გვ. 272.

[4] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 263.

ვისი ხასიათით უფრო თავადაზნაურული იყო, ვიდრე რუსეთში.

ნ. ნიკოლაძე იძლევა 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებების ანალიზს, რომლებმაც „შეავსეს“ ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის პროექტი, სადაც მაქსიმალურად დაცული იყო თავადაზნაურობის ინტერესები და რომელიც დაამტკიცა მეფის ხელისუფლებამ.

თავადაზნაურობის უმრავლესობის პროექტის მთავარი დებულება იყო ყმა გლეხების უმიწოდ განთავისუფლება, მიწა მემამულეთა საკუთრებაში რჩებოდა. იურიდიულად განთავისუფლებულ გლეხს შეეძლო ესარგებლა მათი მიწებით და ძველებურად ეძლია მათთვის რენტა. ე. ი. პროექტის მიზანი იყო არა ბატონყმობის გაუქმება, არამედ მისი შეცვლილი სახით დატოვება.

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ გლეხს მემამულისაგან არც მიწის გამოსყიდვის უფლება ჰქონდა, რადგან „დამტკიცებულ დებულებათა“ მე-9 მუხლის მიხედვით, „გლეხებს მხოლოდ მემამულის თანხმობით შეუძლიათ საკუთრებად შეიძინონ მუდმივ სახმარებლად მილებული მიწის „ნადელი“, როგორც მთლიანად, ისე სამოსახლო ყარმიდამო, ბაღები, მინდვრის მიწები და სხვ. აგრეთვე „ნადელის“ თვითეული, ცალკე ნაწილი“. შემდეგ ნიკო ნიკოლაძე კომენტარს უკეთებს რა ამ მუხლს, მიუთითებს, რომ 1861 წლის 19 თებერვლის დებულების თანახმად გლეხს უნდა გამოესყიდა მხოლოდ თავისი საყარმიდამო მიწა, რაც შეეხება საძოვრებს, იალაღებს, მისი შენარჩუნების უფლება გლეხს დარჩა. „ეს მუხლი აშკარად საუკეთესოა, — მიუთითებს ავტორი, — იმ მუხლთა და დებულებათა შორის, რომლებიც გლეხობის წინააღმდეგაა მიმართული; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეეხება მხოლოდ საკარმიდამო მიწას და არა სახნავი ან სათიბი მიწისა, ან ბაღების გამოსყიდვას“, მაგრამ, აგრძელებს ნ. ნიკოლაძე, გლეხს დიდად არ სჭირდება ეს უკანასკნელი, მისთვის მთავარია პური, პურს კი სახნავი მიწა იძლევა, რომელიც მას არ გააჩნია, „გულშემატკივარმა მთავრობამ და-

აკანონა, რომ გლეხებს უფლება აქვთ შეუთანხმდნენ მემამულეებს სახნავი მიწის საღალოდ აღების შესახებ" [1].

ნ. ნიკოლაძე მართებულად სვამს კითხვას: „რატომ მოხდა, რომ გლეხების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მთავრობამ თავადაზნაურობისა და გლეხობის „ნებაყოფლობით შეთანხმებას მიანდო?" და თვითონვე პასუხობს, იმიტომ, რომ თავადაზნაურობის ინტერესებს დებულებათა ქვემო მუხლები უფრო იცავს, რამდენადაც ისინი ღირსნი არიან „უალრესად საპატიო ადგილი დაიჭირონ დრაკონის კანონმდებლობაში" [2].

მართლაც, სახნავ-სათესი მიწებისათვის გლეხები იხდიდნენ გამოსაღებს, რომელსაც ღალა ეწოდება. ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხი, გამოაცხადეს რა იგი დროებით-ვალდებულ გლეხად, მისთვის „კანონის ძალით" მიცემულ მიწაზე იხდიდა ღალას, რომელიც „ნებაყოფლობით" შეთანხმებაზე იყო დაფუძნებული. თუ კი ასეთ შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, გლეხი ვალდებული იყო მემამულისათვის ეძლია სამი მანეთი ნახევარ დესეტინა საკარმიდამო მიწაში, და თუ ეს მიწა იმყოფებოდა მჭიდროდ დასახლებულ ადგილში ან ქალაქთან ახლოს, მაშინ ნახევარი დესეტინა უნდა შეფასებულიყო უფრო ძვირად, არა უმეტეს 120 მანეთისა, და აქედან იქნებოდა გადახდილი ღალა (5 %-ს რაოდენობით).

ნ. ნიკოლაძე უკეთებს რა ამ მომენტებს ანალიზს, ასაბუთებს, რომ რეფორმამდე ყმა გლეხი უფრო ნაკლებად იყო ექსპლოატირებული, ვიდრე რეფორმის შემდეგ. „აქამდე, ე. ი. ბატონყმობის ეგრეთწოდებულ მოსპობამდე—წერდა ნ. ნიკოლაძე,—მემამულეების მიმართ გლეხები შემდეგ ვალდებულებას ასრულებდნენ; 1. ფულად იხდიდნენ ერთს ან ორ მანეთს, ადგილის მიხედვით; 2. ხარკად ერთ საპალნე ღვინოს, იმდენსავე პურს, ყველაზე დიდი გადასახადის მიხედვით. . . 3. ბატონის ბეგარაზე მუშაობდნენ კვირაში ორს, იშვიათად სამ დღეს. ახალი ბატონყმობა მხოლოდ ხარკს სპობს, ამის ნაცვლად მემამულეების სასარგებლოდ აწესებს: 1. მიწის ნაწარმოებთა ერთ

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. I. გვ. 269.

[2] იქვე.

მეოთხედ და ნათიბის ერთ მესამედს, რაც გაცილებით უფრო საჭიროა მემამულეებისათვის; 2. სამი მანეთის გამოსაღებს სახარმიდამო მიწის ერთ დღიურზე (ნახევარ დესეტინაზე); 3. გლეხთა „ნადელი" ბეგარად არ ითვლება: ა) გადასახადი ან საერთოდ ბეგარა საწვავ მასალაზე და საზოგადოდ ხე-ტყის მასალაზე იმ მამულებში, სადაც... გლეხები მემამულეებისაგან მიიღებენ საწვავსა და საზოგადოდ—ხე-ტყის მასალას; ბ) საერთოდ ყოველგვარი ბეგარა გლეხების კუთვნილ წისქვილებზე, აგრეთვე ფიჩხულზე და სხვა საყანო საგნებზე და სხვ.; 4. კულუხი, რომელიც გადიდებულია... ორჯერ ან სამჯერ წინანდელთან შედარებით" [1].

კანონზომიერია რომ ზემოაღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ნიკო ნიკოლაძე საგლეხო რეფორმის მხოლოდ ზოგადი ანალიზით ვერ დაკმაყოფილდებოდა. მან წამოაყენა აგრარული საკითხის „გადაჭრის პროექტი. ნაშრომში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში" იგი აღნიშნავს, რომ რეფორმის გამტარებლებს დააკმაყოფილათ მშრომელი ხალხის მოთხოვნები. გლეხს „კი მიწა სჭირდება, თავისი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფა, შრომის თავისუფლება და პირადი თავისუფლების და მისი ოჯახის ხელუხლებლობის გარანტია ადმინისტრაციული და ყოველგვარი სხვა თავნებობისაგან, მას სჭირდება ამორჩეული სასამართლო და ბევრი რამ სხვა, რაც თქვენ მას არ მიეცით და არც შეგიძლიათ მისცეთ" [2].

აქედან ნათლად სჩანს, ნ. ნიკოლაძე რომ ჯერ მარიტად სწორ ანალიზს უკეთებს საქართველოში გატარებულ საგლეხო რეფორმას. იგი მართებულად ასკვნის, რომ მთავრობამ ამ ღონისძიებით გააუმჯობესა მემამულეთა და არა გლეხობის, მატერიალური მდგომარეობა. „მეფე ძველი დროის ოთხი საწყისიდან—მიწისა, ცეცხლისა, წყლისა და ჰაერისაგან პირველ ორს თავადაზნაურობას მიაკუთვნებს; ვნახოთ, როგორ არის წყლისა და ჰაერის საქმე. მემამულეს შეუძლია, რომ საერთო სახმარი წყლის ნაცვლად გლეხებს მიუჩინოს ცალკე სახმარი წყალი მათ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 269—270.

[2] იქვე, გვ. 274.

თან ნებაყოფლობითი შეთანხმებით... საერთოდ სახმარებლად დარჩა მხოლოდ ჰაერი, მაგრამ მემამულეებს უფლება აქვთ ახალ კარმიდამოზე გადაასახლონ გლეხები"...[1]

ამრიგად ბატონყმობის გაუქმების შედეგად ყმა გლეხებს პირადი თავისუფლების მეტი არაფერი მიუღიათ, რაც შეეხება თავადაზნაურობას, მათ დამატებითი დახმარება აღმოუჩინეს. განთავისუფლებულ გლეხს დებულებით მიწა ეძლეოდა არა საკუთრებად, არამედ „მუდმივ სარგებლობაში", რისთვისაც მემამულისათვის ისევე უნდა ეძლია, როგორც რეფორმამდე; ამასთან ერთად გლეხს მიწა გარკვეულ ნორმით ეძლეოდა, რომლის ზემოთაც იგი მექანიკურად მემამულის ხელში გადადიოდა.

ვაანალიზებთ რა ნ. ნიკოლაძის მიერ მოცემულ საგლეხო რეფორმის შეფასებას, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ ყბადაღებული რეფორმა იყო გლეხების ყოველად უსინდისო გაძარცვა, წარმოადგენდა „მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას" [2]. როგორც ვხედავთ, ეკუთვნის გარეშეა ნ. ნიკოლაძის შეხედულების სისწორე და სამართლიანობა.

ნ. ნიკოლაძემ რუსეთის მთელ იმპერიას დაანახვა მშრომელი მასების მიმართ მეფის მთავრობის ძალმომრეობა და ცინიზმი. „კოლოკოლში" მძლავრად გაისმა ნ. ნიკოლაძის სიტყვები, რითაც მან ერთხელ კიდევ გააშიშვლა ძირმომპალი მონარქიის ექსპლოატატორული ბუნება: „კაცმა რომ იკითხოს, სადღაა აქ ბატონყმობის მოსპობა? ცარიელი სიტყვით ბევრი რამე შეგიძლიათ ილაქლაქოთ, მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას. აბა, სადაა გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება?.. ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი (სალს აზრს ვინღა დაეძებს) თქვენს, ეგრეთწოდებულს, რეფორმას, როდესაც მემამულე გლეხობის მთელი მიწების მფლობელობაში შეგუავთ, როდესაც გლეხებს წინანდელზე უარესად აბამთ მიწა-

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 274.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

ზე, როდესაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაშრას გლეხს მისი მიწის ნახევარი, როდესაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რაღა შეადგენს თქვენი რეფორმის შინარსს?.. თუ თქვენ ხალხის მოტყუებას არ ფიქრობდით, თუ ყოველივე ეს იმიტომ ჩაიდინეთ, რომ ღრმად დარწმუნებული იყავით — ხალხის უკმაყოფილება დაგხვდებოდათ და თქვენც მომარჯვებული ხიშტებითა და გამზადებული ზარბაზნებით მოსპობდით ამ უკმაყოფილებას, მაშინ რალად გჭირდებათ ცრუ განთავისუფლების მთელი ამ კომედიის გათამაშება?" [1].

ნ. ნიკოლაძე ააშკარავებს მეფის რუსეთის თვალთმაქცობას გლეხობის მიმართ, „საგლეხო რეფორმის პირველი დღიდანვე მთავრობა... ცინიკურად, ურცხვად, საყოველთაოდ გაჰყვირის: გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ მიტომ მინდა, რომ ეს გაუმჯობესება თავადაზნაურთა ინტერესებისათვის არის საჭირო... მთავრობა ჩქარობს გლეხები გაფცქვნას, გამოსწუროს ყველაფერი, რისიც გამოწურვა კიდევ შესაძლებელია" [2].

საგლეხო რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოს ეკონომიური განვითარება სხვა არაფერს ნიშნავდა, თუ არა კაპიტალისტური წარმოების წესის შემდგომ განვითარება-განმტკიცებას. ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას, მიუთითებდა, რომ „შეურნეობის საბატონო სისტემას ძირი გამოუთხარა ბატონყმობის გაუქმებამ. შეირყა ამ სისტემის ყველა მთავარი საფუძველი: ნატურალური მეურნეობა, საბატონო მამულის კარჩაკეტილობა და თვითკმარი ხასიათი... მემამულე უნდა გადასულიყო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაზე, რომელიც დამყარებულია... დიამეტრალურად საწინააღმდეგო საფუძვლებზე. მაგრამ ამგვარი გადასვლა.. არ შეიძლებოდა ერთბაშად მომხდარიყო"... [3]

საგლეხო რეფორმის შედეგად გლეხთა განთავისუფლებამ

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 273—275.

[2] იქვე, გვ. 334—335.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 209.

და ამით მუშახელის დაკარგვამ მთლიანად გამოუთხარა ძირი უშრომლად ცხოვრებას დაჩვეულ მემამულეთა კლასს. ნ. ნიკოლაძე მწარედ დასცინის მემამულეებს, რომლებმაც თავისი ადგილი ვერ იპოვეს საზოგადოებაში.

მიუხედავად მეფის მიერ კანონმდებლობით გაწეული სიუხვისა, მემამულეები, განსაკუთრებით კი წვრილი აზნაურობა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. „თავადაზნაურთა მასამ, — მიუთითებს ნ. ნიკოლაძე, — რომელმაც არ იცოდა ფულის სარფიანად მოხმარება, მათ მცირემიწიანობამ და თვით ამ მემამულეთა მრავალრიცხვიანობამ დიდად გადასწონა კანონმდებლის კეთილი სურვილები. პირველ ხანებში აზნაურებმა წაიქცეფეს უდარდელად, ფლანგეს ხაზინიდან და გლეხებიდან მიღებული ფული და ახლა ჩვენი მემამულეების დიდი უმრავლესობა ორი-სამი კომლი ბეგარავალდებული გლეხის ამარა დარჩა, ხოლო ამით... შორს ვერ წახვალ“ [1].

ნ. ნიკოლაძის აზრით, რეფორმამ დადებითი როლი ითამაშა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, მაგრამ არ შეიძლება საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირფესვიან შეცვლასთან ერთად არ შეიცვალოს „ცხოვრების სხვა პირობები“. აქ ავტორს მხედველობაში ჰყავს თავადაზნაურობა—შრომას დაუჩვეველებმა არ მოინდომეს ხელი მოეკიდათ საქმისათვის, მიეღოთ განათლება, თავისი ძალა გამოეყენებია საზოგადოებრივად სასარგებლო, „თუნდაც არა ბრწყინვალე მოღვაწეობისათვის“. გლეხთა რეფორმამ „ყველა თავისი კეთილმყოფელობის მიუხედავად, თავადაზნაურობის მეურნეობაში მკვეთრი გარდატეხა შეიტანა. კაპიტალების არმქონე, სამეურნეო განათლებასა და მუქთი შრომის ნაყოფს მოკლებული თავადაზნაურობა, — არ შეიძლება უარყოფა, — უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდებოდა“ [2].

ნ. ნიკოლაძის სიტყვები მალე გამართლდა; მემამულეებმა დაიწყეს მიწების გაყიდვა და აღებული ფულის ფლანგვა ქეიფებსა და დროსტარებაში. რაც მათი, როგორც წოდების, საბო-

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 4, გვ. 532.

2 იქვე, გვ. 309.

ლოო მოსპობას ამჟარებდა. მაგალითად, უკვე XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში 14694 თავად-აზნაური (78%) ოჯახზე ფლობდა 1—25 დესეტინამდე მიწას და საშუალოდ მათი წმინდა შემოსავალი შეადგენდა 56 მანეთს, ე. ი. ისინი აღარ ითვლებოდნენ გაბატონებული წოდების წარმომადგენლად [1].

გასული საუკუნის 60—70 წლებში კაპიტალიზმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. კაპიტალისტური მეურნეობისა და საკუთრების განვითარების პარალელურად ფეოდალური მეურნეობისა და საკუთრების ბურჟუაზიული ევოლუცია მიმდინარეობდა. კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ სოფლის მეურნეობაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა კულაკობამ. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ მემამულეებმა რეფორმის შემდეგ მასობრივად დაიწყეს მიწების გაყიდვა, ხოლო მიწის შეძენა ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლებულ გლეხს არ შეეძლო. „მის ახალდაწყებულს, გუშინდელ შრომას არც იმოდენა ძალა აქვს, არც იმდენა ხეირი, რომ გლეხ-კაცს მკვიდრათ შეეძლოს თავისი ოჯახის კეთილდღეობის დაფუძნება... იმას ჯერ კიდევ დიდხანს არ შეეძლება ამ ოჯახისთვის ადგილ-მამულის ყიდვა" [2].

ნ. ნიკოლაძე სვამს კითხვას: მაშ ვის შეუძლია მიწის შეძენა? და თვითონვე პასუხობს, — მიწას იძენენ ნაწილი მსხვილი „ნაბატონარებისა" და ვაჭრები, რომელთა ხელში გადავა „ჩვენი მიწა-წყალი რამდენიმე ხნის შემდეგ". მართლაც საგლეხო რეფორმის შემდეგ ზოგიერთმა ფეოდალმა დაიწყო თავის მეურნეობაში კაპიტალისტური ტიპის წარმოების გამართვა. „მსხვილი და საშუალო თავადაზნაურობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შედიოდა მისი ერთ-ერთი გაბატონებული კლასის სახით. წოდებრივი პრივილეგიები რამდენადმე განასხვავებდნენ მას პლებეური წარმოშობის ბურჟუაზიისაგან, მაგრამ ეს

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. V, გვ. 370.

[2] ნ. ნიკოლაძე, რა გზით შეიძინება მიწა-წყალი?, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1933, ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ. 20.

მარტო რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებს კი არ ახასიათებდა, არამედ კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ ინგლისს და გერმანიასაც კი" [1].

სოფლად იქმნებოდა კულაკების კლასი, რომლებიც ხელში იგდებდნენ რა თავადაზნაურთა მიწებს, ახდენდნენ მათ იჯარით გაცემას და ღატაკი მასების ექსპლოატაციას. „ეს პირები, წერდა ნ. ნიკოლაძე, — მიწა-წყალს მისთვის კი არ ყიდულობენ და ყიდიან, რომ მისი შემუშავება ჰსურდეთ, — არა. მათ შემუშავების თაკი არა აქვთ, არც ამისთანა მცირე საქმისათვის სცალიან. ისინი მიწას იყიდიან იმ განზრახვით, რომ შემდგომში იჯარით, ღალით გასცენ ეს მიწა, მიაჭირარონ ის იმ პირებს, რომელთაც უმიწოდ გაძლება არ შეუძლიათ, ესე იგი გლეხკაცობას, და სამაგიეროდ შემოსავლის წილი მიიღონ" [2].

ნ. ნიკოლაძეს ესმოდა, რომ კაპიტალიზმის განვითარება შეუძლებელია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გარეშე, რომელიც თავის მხრივ აჩქარებს გლეხის სამუშაო ძალის სასაქონლად გადაქცევას. მისი აზრით, ეს მომენტი შეუმჩნეველი ავრეთვე საგლეხო რეფორმის მესვეურებსაც, რომლებიც ფიქრობდნენ „მხოლოდ თავისუფალი საქირაო შრომის შემოღებასა და განვითარებაზე", რომ ფეოდალები ისეთივე როლს შეასრულებდნენ, როგორსაც დასავლეთ ევროპაში — კაპიტალისტები. ნ. ნიკოლაძეს ამ ვითარების ანალიზისას მოჰყავს დობროლუბოვის ცნობილი სიტყვები: „გამოჩნდება სადმე პატარა სტატია, რომელშიაც ამტკიცებენ, ნუ ამუშავებთ ადამიანებს სავსებით მუქთად, საჭიროა ეცადოთ, რაც შეიძლება იაფად დაიქირაოთო ისინი. ყველა აღტაცებულია და გაისმის ყეირილი, რომ ჩვენში ზოგადკაცობრიული საწყისები უკვე ჩინებულად გამომუშავებულა" [3].

ნ. ნიკოლაძე მომავალი კაპიტალისტური საზოგადოების მიმართ არ არის კეთილგანწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი პროგრესულია წარმავალ ფეოდალურ წარმოების წესთან შე-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 370.

2 ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 207.

3 ნ. ნიკოლაძე. თხზ., ტ. 1. გვ., 338.

დარებით: „მაგრამ როგორც კი... მომაელისაკენ თვალს მივაჭცევთ, ოჰ, რა ბნელი და ნაკლულოვანი გვეჩვენება ჩვენ მაშინ ეხლანდელი მდგომარეობა, რამდენს უხეირობას დავინახავთ ჩვენ შიგ... და რამდენი ცვლილება გამოგვიჩნდება მაშინ აუცილებელ საჭიროთ“ [1].

ნ. ნიკოლაძე საგლეხო რეფორმის შემდეგ მოითხოვდა გლეხებს მიწა მისცემოდა, მაგრამ ამასთან ერთად, იგი უპირატესობას მიწის სათემო მფლობელობას ანიჭებს. ნ. ნიკოლაძე იხილავდა რა ახალი თაობის მისწრაფებებს, მათ დავას „რა უფრო სჯობია გლეხობისათვის, მიწის კერძო საკუთრებად მფლობელობა, თუ სათემო მფლობელობაო“, მიუთითებდა: „პოლემიკამ დაამტკიცა ამ უკანასკნელის უპირატესობა; მაგრამ, როდესაც ამ შედეგს მიაღწია, მან დაინახა, რომ უმთავრესი საქმე ჯერ გაკეთებული არ იყო და რომ მიწის კუთვნილება გლეხობისადმი—ფრიად სადაო ყოფილა“ [2]. ამის მიუხედავად ნ. ნიკოლაძე ამხანაგობებს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა, რომლებსაც შეეძლოთ ფეოდალური წარმოების წესის საბოლოოდ განადგურება, კაპიტალისტური ექსპლოატაციის შეზღუდვა.

ნ. ნიკოლაძე ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც „სავსეა ძმობით, ერთობით, თავისუფლებით“, სადაც საფუძველი არ არსებობს ადამიანის ექსპლოატაციისათვის. მისი აზრით, „ხალხის გაღვიძება ისეთი ცვლილებებით უნდა დაიწყოს, რომ ხალხს მამული დედინაცვლად კი აღარ, საყვარელ მზრუნველ დედად მიაჩნდეს, რომ თითოეული კერძო პირი თავის მოძმეში წინააღმდეგსა და მტერს კი არა, ერთგულ მომხრეს, თანამშრომელს ხედავდეს“ [3].

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ ცალ-ცალკე გლეხებს არ შეუძლიათ მემამულის მიწის შესყიდვა, მაგრამ „მათში ამხანაგობა დანერგილი რომ იყოს, მათი მდგომარეობა შემდგომისთვის ერთი ათასჯერ უკეთესი იქნებოდა“. ნ. ნიკოლაძე ურჩევს გლეხებს, ერთად შეიკრან, ამოირჩიონ ერთი სანდო პირი, რო-

[1] გაზ. „დროება“, 1871, № 1.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 347.

[3] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 192.

მელსაც დაეკისრება „ახლო-მახლო რაც მიწები იქნება გასაყიდი მათი დათვალიერება და მორიგება და მათი საყიდელი ფულის და პირობების შენახვა". ნაყიდი მიწა მთლიანად სოფელს რომ ეკუთვნოდეს და „თვითონ სოფელი რომ აძლევდეს იმას თავის გლეხებს სამუშავოთ, — აღნიშნავს ავტორი, — სამი ან ოთხი წლით, ან ათით, როგორც რუსეთშია, ვითომ ათასჯერ უფრო მეტი ხეირი არ იქნება, მიწა-წყალი რომ თვითონ გლეხ-კაცობას და მთელ გლეხკაცობას ჰქონდეს, რომ გლეხობაში ყველანი ერთ პირნი და ერთმანეთის დამხმარებელნი იყვნენ? ვითომ ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე არ იქნება, რომ გლეხკაცობას თავისი შრომის იარაღი—ესე იგი მიწა—ხელში ჰქონდეს და ამის გამო შრომის ნაყოფიც იმასვე რჩებოდეს, მერმე ისე, რომ მის შუა დაჩაგრული და უნაწილო არავინ იყოს" [1].

გ. ზაქარიაძე მართებულად მიუთითებს, რომ ნ. ნიკოლაძე ოცნებობდა სოფლად მსხვილი მეურნეობის მოწყობაზე, სადაც არ ექნებოდა ადგილი ექსპლოატაციას[2]. ნ. ნიკოლაძე წერდა: „სამიწათმოქმედო არტელს აქვს კიდევ ისეთი ხელსაყრელი მხარე, რომელიც მიუწვდომელია, როგორც არსებული თემური მფლობელობის, ისე, მით უმეტეს, მიწის წვრილ კერძო მფლობელობის პირობებში. სხვადასხვა გაუმჯობესებანი, რომელიც ასე ესაჭიროება დღევანდელ მეურნეობას, ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელობისათვის და პირდაპირ წარმოუდგენელია წვრილ მეურნეობებში; არტელებში კი ეს გაუმჯობესებანი, — გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გამოყენება, გაუმჯობესებული მიწის გაპოხიერება და სხვ. შესაძლებელია, რადგანაც მასში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (პირუტყვის გარდა) შესაძლებელია, და კიდევაც უნდა იქნეს, საერთო, მთელი კორპორაციის საერთო საშუალებით შეძენილი. ყოველ კერძო მეურნეობაში მეურნეობის შედეგები დამოკიდებულია მუშახელზე, რომლის ფასი მუდმივ რყევას განიცდის, არტელში კი შრომის ფასი მუდამ ერთნაირია" [3].

---

1 ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. 2, გვ. 209.

2 იხ. გ. ზაქარიაძე, ნ. ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1953, გვ. 229.

3 ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 243—244.

ნ. ნიკოლაძე შემდეგ აღნიშნავს, რომ არტელის წევრებს ეძლევათ საშუალება ისარგებლონ კოლექტიური შრომით, ამ დროს არ ექნება ადგილი მიწის მოუვლელობას, რადგან ეს ზიანს მოუტანს მთელს კორპორაციას. ნ. ნიკოლაძე დიდ იმედებს ამყარებს არტელებზე და ცარიზმის პირობებში აზვიადებს მათ მნიშვნელობას — „გლეხურ ყოფაცხოვრების ისეთ ჰირს, როგორიც არის „ქვეყნის მშვილები" და კულაკები, შრომის და გასამრჯელოს თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ არტელში არავითარი ძალა არ ექნება". [1]

ნ. ნიკოლაძე არტელის ერთ-ერთ დადებით თვისებად მიიჩნევს იმ გარემოებას. რომ არტელი შესამჩნევად შეანელებს გლეხურ მეურნეობაში ოჯახის გაყოფის ფაქტებს, რადგან აღმოიფხვრებოდა ლტოლვა თავი გაინთავისუფლონ „ოჯახური სალტეებიდან", „არტელი...—წერს ნ. ნიკოლაძე, — ხდის ყველა მის წევრს თანასწორუფლებიანათ, მიუხედავად იმისა თანასწორი ძალა და საშუალება აქვთ მათ თუ არა, და ის ხელსაყრელი პირობები: რომელსაც არტელი უქმნის მეურნეობას. უთუოდ გაზრდის წარმოების შემოსავლიანობას... აამაღლებს მატერიალურ კეთილდღეობას იმ ოჯახებისას, რომლებიც შედიან არტელში" [2].

მიწის სარგებლობაში, განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, დამყარდებოდა სრული თანასწორობა, არტელში დახარჯული შრომა და კაპიტალი მათი შედეგებით უზრუნველყოფილ იქნებოდა სრულად, კოლექტიური შრომით ნათესების მოვლისას არტელის წევრები დროს მოიგებდნენ, აგრეთვე შესაძლებელი იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან დაცვა და სხვ.

ნ. ნიკოლაძის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს იმ პერიოდისათვის საერთო არ ჰქონდა სოციალიზმის მოძღვრებასთან, შეზღუდული იყო უტოპიური თვალთახედვით, თუმცა კი დიდად პროგრესული მოვლენა იყო გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის.

---

[1] ნ. ნიკოლაძე. რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 242.

[2] იქვე. გვ. 244.

ნ. ნიკოლაძე მემამულეებისაგან მიწის შესყიდვის სამ გზას იძლევა: 1. ყოველ ცალკეულ გლეხს შეუძლია მოთხოვდეს მიწის მფლობელს თავისი წილი მიწის შესყიდვაზე; 2. რამდენიმე გლეხს შეუძლიათ „შეიკრან" მებატონისაგან თავიანთი ხვედრი მიწა-წყლის შესაყიდველათ" და 3. მთელს სოფელს შეუძლია ერთად შეისყიდოს მთელი საბატონო მიწა. ამ სამი წყაროდან ნიკოლაძე უპირატესობას ანიჭებდა მიწის კოლექტიურად გამოსყიდვას, რადგან მასში ხედავდა იგი გლეხობის მიწით უზრუნველყოფის ერთადერთ რეალურ გზას.

ნ. ნიკოლაძე მიიჩნევდა რა მიწას წარმოების ძირითად საშუალებად, მიუთითებდა, რომ სამიწათმოქმედო შრომა უნდა გახდეს „საერთოდ ყოველგვარი შრომის ორგანიზაციის ნორმად". „სამანუფაქტურო, სამრეწველო, გონებრივი და ყოველგვარი სხვა სახის შრომა უნდა მოეწყოს იმავე საფუძველზე. რაზედაც მოწყობილია სამიწათმოქმედო შრომა, ე. ი. მოეწყოს ეშრომელთა სრულ თანასწორობაზე და მათთვის, როგორც შრომის საშუალების. ისე მისი ნაყოფის მიცემაზე" [1].

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ახალი თაობა ახლებურად იჭილავდა საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებს. თანასწორობის თეორიული პოზიციებიდან უყურებდა სახელმწიფოს იურიდიულ კანონებს და ასკვნიდა: არ უნდა იყოს საზოგადოების ერთი ნაწილი მდიდარი, ხოლო მეორე—ღარიბი. „ახალი წყობილებისათვის, — მიუთითებდა ნ. ნიკოლაძე, — რომელიც საზოგადოების ყველა წევრის სრულ თანასწორობაზე იქნება დამყარებული, საჭიროა მოხდეს მთელი კანონმდებლობის ძირეული გარდაქმნა,—გარდაქმნა იმ კანონმდებლობისა, რომელიც მდიდრებისაგან და მდიდრებისათვისაა შექმნილი: ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი კანონმდებლობა, შექმნილი ხალხის მიერ და ხალხისათვის" [2].

ნ. ნიკოლაძე ახალი თაობის შეხედულებათა პროპაგანდით მხარს უჭერდა ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას საქართველოში. იგი მიუთითებდა, რომ

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 348.

2 იქვე. გვ. 351.

ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები წარმოადგენდნენ ახალ თაობას, რომელმაც მეფის მთავრობის რისხვა გამოიწვია. ნ. ნიკოლაძე სვამდა კითხვას: რა იყო ჩერნიშევსკის და მისი მიმდევრების კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რამაც მთავრობის რისხვა გამოიწვია? და პასუხობდა: „ეს იყო ის, რომ წრე მხარს უჭერდა გლეხების უფლებას მიწაზე, რომ იგი იცავდა სათემო მიწათსარგებლობას — წინააღმდეგ კერძო საკუთრებისა; იგი ცდილობდა საზოგადოებაში საკუთარი თაოსნობის აუცილებლობის შეგნება გაევრცელებინა; იგი ცალკე ინდივიდუმებს პირადი დამოუკიდებლობისა და ადამიანური ღირსების შეგნებას უღვიძებდა; მისი დანაშაული, ბოლოს, ის იყო, რომ ყველაფერზე მაღლა საერთო კეთილდღეობას აყენებდა და ამის გულისთვის დასცინოდა ყოველგვარს მუქთახორობასა და ექსპლუატაციას... იგი ახალგაზრდობას უქადაგებდა: საკუთარი შრომით იცხოვრე. სხვას ნურავის დააწვები კისრად და ნურც სხვას ვისმე მისცემენ ნებას ზურგზე შეგჯდესო“ [1].

ჩერნიშევსკის მსგავსად, როგორც გამოითქვა ვარაუდი, ნ. ნიკოლაძე თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში მოითხოვდა გლეხობას გადასცემოდა მიწა უსასყიდლოდ. პროფ. გ. მეგრელიშვილი აღნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძეს გლეხობისთვის მიწის უსასყიდლო გადაცემა მიაჩნია ეკონომიურ აუცილებლობად, იგი ნათლად და გარკვევით ატარებს იმ აზრს, რომ გლეხობამ კი არ უნდა უხადოს მემამულეებს, არამედ — პირიქით, მემამულეებმა—გლეხობას, რამდენადაც ისინი გლეხებს საუკუნეობით ჩაგრავდნენ. პროფ. გ. მეგრელიშვილი წერს, რომ ნ. ნიკოლაძეს სწამდა, რომ კერძო საკუთრების არავითარ ფორმას არ შეუძლია გლეხობის ძარცვისა და გაღატაკებისაგან დაცვა. იგი მოითხოვდა მიწის ნაციონალიზაციას და თემის ხელში მის გადაცემას[2]. ღრმად პატივცემული პროფ. გ. მეგრელიშვილის აზრი რამდენადმე დასაზუსტებელია. ნ. ნიკოლაძის მოძღვრება საკრედიტო ურთიერთობის საკითხებზე საწინააღმდეგოს მეტ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, 1962, გვ. 359.

[2] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, стр. 395—396.

ყველებს, ნ. ნიკოლაძე ყოველთვის მოითხოვდა, რომ მშრომელ გლეხებს დახმარებოდნენ მიწების შესასყიდავად ფულის შოვნაში, რაც თავისთავად უარყოფს მიწების გლეხობაზე უსასყიდლოდ გადაცემას.

ასეთია ნ. ნიკოლაძის აგრარული პროგრამის ძირითადი დებულებები. მას სურდა და ეს სურვილი არ სცილდებოდა მის მრწამს, რომ ფეოდალური წარმოების წესიდან, კაპიტალისტურის გაუვლელად საქართველოში უნდა გაემარჯვა სოციალიზმს, რა თქმა უნდა, ეს მცდარი და განუხორციელებელი ოცნება იყო.

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ ნაწერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივი განვითარების საკითხების განხილვას. მისი ბევრი დებულება ყურადსაღები და მისაღებია, მაგრამ ზოგიერთი კი ტოვებს ემპირიული მსჯელობის შთაბეჭდილებას. სწორად მიუთითებს პროფ. ვ. დონაძე: „შრომის საშუალებების ან იარაღის წარმოების განვითარება ნ. ნიკოლაძეს საზოგადოების განვითარების დონის მნიშვნელოვან მაჩვენებლად მიაჩნია, მაგრამ წინა პლანზე არ აყენებს მას და არ თვლის განვითარების განსაზღვრულ ფაქტორად. მარქსიზმ-ლენინიზმისათვის კი აქსიომას წარმოადგენს ის ჭეშმარიტება, რომ საზოგადოების განვითარების ისტორია წარმოების განვითარების, საწარმოო ძალთა განვითარების ისტორიაა, რომ ყოველგვარი ცვლილებები წარმოების იარაღების ცვლილებებიდან იწყება, რასაც მოსდევს წარმოების განვითარება მისი ზედნაშენებით და ასე შემდეგ“ [1].

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ფართოდ არის ცნობილი აზრი იმის შესახებ, რომ ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში მთავარი ადგილი საზოგადოების ევოლუციურად განვითარებას უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძე თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე მხარს უჭერდა მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას თავისუფლებისათვის, შემდგომში იგი

---

[1] ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, 1966, გვ. 41—42.

საზოგადოების განვითარებას წარმოგვიდგენდა ევოლუციური გარდაქმნის გზით [1].

ნ. ნიკოლაძეს თავისმა მსოფლმხედველობამ საშუალება არ მისცა მას მხარი დაეჭირა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, იგი შებოჭილია სოციალ-უტოპისტების იდეებით და ამტკიცებს, რომ რევოლუციას შეუძლია წინ წასწიოს საზოგადოების განვითარება ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, „საფრანგეთის რევოლუცია შექმნილი იყო არა ბარიკადებით, არა ვერსალის სასახლის დატყვევებით, არამედ ბევრად უფრო ადრე, როდესაც მონტესკიემ, ენციკლოპედისტებმა, ვოლტერმა, რუსომ და სხვებმა თავიანთ ნაწარმოებებში მთელი იმ წყობილების უკიდურესი წვრილმანებიც კი შექმნეს, რომელსაც უნდა შეეცვალა ძველი უწესრიგობანი და რაც განხორციელდა კონვენტის კოდექსებით“ [2].

ნ. ნიკოლაძე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მთლიანად გადავიდა საზოგადოების ევოლუციურად განვითარების პოზიციებზე. იგი წერდა იმ ადამიანთა გასაგონად, ვინც ზერელედ უკეთებდა ანალიზს ისტორიას, „მას ჰგონია თითქოს იგი ვითარდება ნახტომებით, ძალმომრეობიდან ძალმომრეობისაკენ, გა-

---

[1] მკვლევართა უმეტესობა (ს. გუგუშვილი, ლ. გორგილაძე, ვ. ბახტაძე, გ. მეგრელიშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ე. ხამბახიძე, გ. ზაქარიაძე, და სხვ.) ამ აზრს იზიარებს, მაგრამ ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის მიღებული შეფასება უარყოფილ იქნა ვ. დონაძის მიერ. ვფიქრობთ ამის საფუძველი მას არ გააჩნია: არ გამოდგება ნ. ნიკოლაძის 60-იანი წლების ნაწერები, მით უმეტეს მისი შემდგომი შრომები ამას არ ადასტურებენ. ჩვენ ვეთანხმებით ვ. დონაძეს იმაში, რომ ნ. ნიკოლაძე თაყვანს სცემდა პარიზის კომუნას, საფრანგეთის რევოლუციას, რუსეთის ცნობილ გლეხთა აჯანყებებს და ა. შ., მაგრამ ეს ყველაფერი მას გამოთქმული აქვს ახალგაზრდობის პერიოდში; სულ სხვა. აღნიშნულის საწინააღმდეგო აზრები, აქვს მას გამოთქმული მოღვაწეობის შემდგომ ხანაში. თვით ვ. დონაძე სხვაგან აღნიშნავს, რომ „განვითარების ევოლუციური და რევოლუციური ფორმების შესახებ უკვე სხვა შეხედულებებს ანვითარებს ნ. ნიკოლაძე 1875 წელს დაწერილ წერილში „სოციალური მოძრაობანი“. აქ უკვე შეიმჩნევა ის მობრუნება, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა 1913 წელს დაწერილ ბროშურაში „ჩემ პოლიტიკაზე“. იხ. მისი: ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, 1962, გვ. 51.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, 1964, გვ. 258.

დატრიალებიდან გადატრიალებისაკენ. ომები, რევოლუციები, აფეთქებები, აი რა მოჩანს შეუიარაღებელი თვალით, მაგრამ სინამდვილეში ისტორიულ განვითარებაში გადამწყვეტია არა რევოლუცია, არამედ ევოლუცია"[1] (ხაზი ჩვენია.—რ. კ.). ევოლუციის მეთოდით. — მიუთითებს ს. ნიკოლაძე, — შეიძლება საზოგადოების განვითარება, ისე, რომ მას არ დასჭირდეს ნახტომებითა და წყვეტილებით განვითარება. „ხალხის პროგრესი, მისი თავისუფლების ხარისხი, ოჯახისა და სახელმწიფოს ფორმები დოვლათის, მოვალეობის და ცოდნის თანდათანობითი დაგროვების შედეგს წარმოადგენს"[2].

ნ. ნიკოლაძე როდესაც იხილავდა ახალი თაობის იდეებს და ამოცანებს წერდა, რომ საჭიროა ახალმა თაობამ ხელი აიღოს ბრძოლის ძალდატანებით მეთოდებზე და შექმნას „სამართლიანი საზოგადოება", მას შესაძლებლად მიაჩნდა „სისხლისღვრისა და შეტაკებათა გარეშე" კლასთა ჰარმონიის მიღწევა, რაც საფუძველშივე მცდარი და მიუღებელი იყო. მართებულად მიუთითებს პროფ. დ. გამეზარდაშვილი, როდესაც წერს: „ასეთი წყობილების დროს, ნ. ნიკოლაძის აზრით, თავადაზნაურობის ინტერესებმა ადგილი უნდა დაუთმოს ხალხის ინტერესებს, ანუ უფრო სწორად, „შეედუღოს მათი". ვფიქრობ, აქ იჩენს თავს პირველად ნ. ნიკოლაძის პოლიტიკურ შეხედულებათა სუსტი მხარე. თავადაზნაურობისა და მშრომელი ხალხის ინტერესთა „შედუღების თეორია" რევოლუციური გზის გამრუდებაზე მეტყველებს"[3].

ერთგვარი წინააღმდეგობით ხასიათდება ნ. ნიკოლაძის შეხედულებები საზოგადოების განვითარების გზების შესახებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი უპირატესობას ანიჭებდა საზოგადოების ევოლუციურად შეცვლის გზას. შეიძლება ერთი ქვეყანა დაადგეს პოლიტიკურ გადატრიალებას და იგი მისთვის პროგრესული იყოს, წერდა ნ. ნიკოლაძე, მაგრამ სხვა კონკრე-

---

[1] Н. Николадзе, Полукопеечный сбор, стр. 8, იხ. ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, გვ. 54.

[2] იქვე, გვ. X—XI.

[3] დ. გამეზარდაშვილის წერილი, იხ. ნ. ნიკოლაძე. თხზ., ტ. 1, გვ. 24.

ტულ ისტორიულ ეითარებაში შეიძლება სხვა ქვეყანას აენოს და ზიანი მიაყენოს. რევოლუციას იგი ქინაქინას ადარებს, რომელსაც ერთისათვის სიკეთე მოაქვს, მეორისთვის კი ზიანი. „რევოლუცია —ქინაქინის არ იყოს — ზოგან რგებს, ზოგჯერ ვნებს. საფრანგეთში გამოდგა, ოსმალეთში არა. არ გამოდგა მიტომ, რომ ხალხი დაუმზადებელი ყოფილა ცვლილებებისათვის, მორიგ საქმეებზე ერთი აზრი, ერთი რწმენა მას არ ქონია. ისე აწეწილი ყოფილა შინაურობაში, რომ მთელი თავისი ძალა საურთიერთო ბრძოლაში უნდა დალიოს, ამგვარ ქვეყანას რევოლუცია არა თუ არას რგებს, ერთიანად დაღუპავს“ [1].

ნ. ნიკოლაძის შეხედულება რევოლუციის მომზადების შესახებ სწორი და მისაღებია, მაგრამ მომხდარი რევოლუციების არასწორი შეფასება ნ. ნიკოლაძეს მიუტევებელ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს. ასე შეაფასა მან თურქეთის 1909 წლის რევოლუცია. „როგორც ცნობილია, ამ რევოლუციამ საკმაოდ პროგრესული როლი შეასრულა თურქეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, მისი შეუფასებლობა ნიშნავს ისტორიული ფაქტის უარყოფას, რაც მიუტევებელია მკვლევარისა და პუბლიცისტისათვის“ [2].

მაგრამ თუ ნ. ნიკოლაძე თურქეთის რევოლუციის შეფასებაში შეცდა, სამაგიეროდ სწორი შეფასება მისცა პარიზის კომუნას. მისი გამომწვევი მიზეზებიდან მთავარი ყურადღება მიაქცია ფრანგი ხალხის სოციალურ ჩაგვრას. ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ მშრომელი ხალხის აუტანელმა ჩაგვრამ და ეროვნულმა დამცირებამ აიძულა კომუნარები იარაღით ებრძოლათ საფრანგეთის გაბატონებული კლასებისა და მთავრობის წინააღმდეგ, ამასთან ერთად ნ. ნიკოლაძე გულწრფელად თანაუგრძნობდა დამარცხებულ კომუნარებს, რომელთაც სიმწრითა და სისხლით მოპოვებული თავისუფლება წაართვეს ჯალათებმა.

ნ. ნიკოლაძე 1872 წელს საფრანგეთში ყოფნის შთაბეჭდილებებს ასე იგონებდა: „ის ადგილებიც გავსინჯე, სადაც თორ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე, ქუთაისი, 1913, გვ. 44—45.

[2] გ. ზაქარიაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1955, გვ. 156.

მეტი წლის მებრძოლი მუშები, თექვსმეტი წლის მათი დები და მოხუცი დედ-მამა დახვრიტეს, ერთი სიტყვით გაეიარე ის გზა, რომელზედაც გამწარებულმა და სამი თვის ბრძოლით დაუღლავმა პარიზის ხალხმა უზენაესი გმირობის თვისება—მოკვდომის ცოდნა და სიადვილე — გამოიჩინა" [1].

ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს შორის მნიშვნელოვანია მისი მოსაზრება საქართველოს შემდგომი განვითარების შესახებ—ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად საქართველოს წინსვლა-ძლიერების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებლად მიაჩნდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური თავისუფლების გარეშე.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ნ. ნიკოლაძე იცავდა თანასწორობის, თავისუფლების, ერთობისა და ძმობის „განმანათლებლურ ლოზუნგს, ცდილობდა დაეცვა რადიკალური ეროვნული დემოკრატიის ინტერესები საქართველოს ავტონომიური თვითმმართველობის მოპოვების, საერობო და საქალაქო თვითმმართველობის განმტკიცების, ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების გზით" [2]. მან ეს ლოზუნგები 1905 წლის რევოლუციის პერიოდშიც გაიმეორა და დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნები დაუმკვიდრებდა „თავისუფლებას, თანასწორობასა და ძმობას".

მე-19 საუკუნის დასასრულს, განსაკუთრებით კი მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიმჩნევა, რომ ნ. ნიკოლაძე მემამულეებისა და კაპიტალისტების დამცველი თავადაზნაურული და ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის მიერ შემუშავებულ ე. წ. „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიული თეორიის პოზიციებზე დგება.

ნ. ნიკოლაძე, ა. ჯორჯაძესთან, ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად, „საერთო ნიადაგის" თეორიის მოშველიებით ასაბუთებდა, რომ ქართველმა ხალხმა ძმურად, ხელიხელჩაკიდებული უნდა იბრ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „კრებული", თბ., 1873, № 4, გვ. 194—195.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 521.

ძოლის ეროვნული მრეწველობისა და ვაჭრობის განსავითარებლად, უცხო ხალხის „შემოსევის“ წინააღმდეგ.

ქართველი მარქსისტები ილაშქრებდნენ „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ. პროფ. ლ. გორგილაძე სწორად მიუთითებს, რომ „ქართველმა მარქსისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ე. წ. „შუათანა დასის“ (ბურჟუაზიის) მოტრფიალის ნ. ნიკოლაძისა და მისი სულიერი მემკვიდრის არ. ჯორჯაძის თვალსაზრისი ერის ცხოვრებაში ბურჟუაზიის მეთაურობის შესახებ და დაიცვეს ლენინური შეხედულება საერთო-დემოკრატიულ მოძრაობაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ“ [1].

„საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ გაილაშქრა ა. წულუკიძემ. 1903 წელს დაწერილ ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე“ მან აღნიშნა, რომ ა. ჯორჯაძის ეს თეორია ახალი როდი იყო საერთოდ ეკონომიური მოძღვრების ისტორიაში. საქართველოში ამ თეორიის წარმოშობას ა. წულუკიძე ისტორიულ ასპექტში იხილავს. როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წარმოების წესის დამკვიდრებას, ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველგან თან ახლდა კლასების ურთიერთშეთანხმების აპოლოგია. ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ჩასახვის პერიოდში ფრანგი ეკონომისტი ფრედერიკ ბასტია (1801 — 1850) „ასაბუთებდა“, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება ყველაზე მყარი, საყოველთაო და სამართლიანი ასოციაციაა. რომლის კანონიერი ინტერესები ჰარმონიულად არის შეხამებული ერთმანეთთანაც. თავის ნაშრომში „ეკონომიური ჰარმონიები“ იგი იძლევა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „ინტერესთა ჰარმონიების ახალ აღმოჩენას“. მისი აზრით, შრომისა და კაპიტალის ინტერესებს შორის არათუ ანტაგონისტური წინააღმდეგობაა, არამედ პირიქით, ორივე კლასის შემოსავალი ერთდროულად იზრდება, უფრო მეტიც: მუშათა კლასის შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კაპიტალისტებისა.

---

[1] ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გვ. 382.

ამრიგად, ბასტიას შეხედულებით, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასებს შორის სრული „ჰარმონიაა", კლასობრივ წინააღმდეგობებზე ლაპარაკი მას ფუჭ საქმედ მიაჩნია. ასეთი დებულებების ქადაგება ხელსაყრელი იყო მე-19 საუკუნის 20—50-იანი წლების საფრანგეთის ახლად აღორძინებული სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისათვის.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში გავრცელებული „საერთო ნიადაგის" თეორია ზედმიწევნით ემთხვევა ზემოდასახელებულ მოსაზრებებს.

საქართველოში კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე აღნიშნულ თეორიას ქადაგებდნენ ლიბერალური ხალხოსნები — სტ. ჭრელაშვილი, ვ. წერეთელი. გ. ლასხიშვილი და სხვები. შემდგომში ამ თეორიის დამცველთა ჯგუფს ნოე ჟორდანიაც შეუერთდა.

ა. ჯორჯაძის „ნაციონალ-ბურჟუაზიულ" პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა საქართველოს გაერთიანება, კლასების შეთანხმება, ერთიანი ფრონტით შეტევა ყოველგვარი უცხოურისადმი, არაქართულისადმი. ა. ჯორჯაძისა და სხვა მისთანების ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული შეხედულებები ყველაზე მეტად საშიში იყო საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ინტერესებისათვის. „თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება, — აღნიშნავს ა. წულუკიძე, — აშენებულია ზედმეტ ღირებულებაზე, რომელიც წარმოადგენს უყიდველ შრომას, მუქთათ დასაკუთრებულ მშრომელის ძალას... მეტი შრომა და ნაკლები შრომის ფასი — საწარმოო იარაღის მესაკუთრის სურვილია. ნაკლები შრომა და მეტი შრომის ფასი — მუდმივი წადილია მწარმოებლის; ეს დამოკიდებულება საზოგადოების ორ ელემენტთა შორის კაპიტალისტური წარმოების ნიშნობლივი თვისებაა, მისი არსებობის აუცილებელი პირობაა და ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ამ წინააღმდეგობის განვითარებას მოაწყვავებს. „ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში" „კლასთა ბრძოლის ნიადაგს" თვითვე ქმნის და ბ. არჩილ ჯორჯაძეს ცხოვრება სულაც არ დაეკითხება ამის შესახებ" [1]. ა. წულუკიძემ მარქსის-

ტული მოძღვრების მოშველიებით გააცამტვერა სოციალ-ფედერალისტთა უმწეო უტოპიური „საერთო ნიადაგის“ ყალბი თეორია.

ფ. მახარაძე ალ. წულუკიძესთან ერთად, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა „საერთო ნიადაგის“ თეორიის მიმდევრებს. სტატიაში „საკუთარი სახის დანახვა“ ფ. მახარაძემ მკაცრად გააკრიტიკა ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი: „ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი სისტემატურად მის მიერ არჩეულ გზას მიჰყვება, იგი ვითომ მუშა ხალხის მოსარჩლედ გამოდის, ვითომც კლასობრივ ბრძოლას აღიარებს, რომ დღეს, როცა საზოგადოება დაყოფილია მოწინააღმდეგე კლასებად, შეიძლება, რომ ერთი და იგივე დროს ყველა ამ კლასის ინტერესებს ემსახუროს ერთნაირად. ასეთი სამსახური რომ ბურჟუაზიის სამსახურია, რომ ეს ბურჟუაზიის მოსარჩლეობას ნიშნავს და შაშასადამე, მუშა ხალხის ღალატს, ეს მას როდი სჯერა“ [2].

ქართველი მარქსისტები მიუთითებდნენ, რომ კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია კლასთა ბრძოლის უარყოფა, კლასთა შეხმატკბილებული ცხოვრების მოთხოვნა ძირშივე მცდარია. ა. წულუკიძე აბათილებს ზემოაღნიშნული თეორიის დებულებას, თითქოს მშრომელი ხალხის ჩაგვრას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ფეოდალიზმის ხანაში, ხოლო კაპიტალიზმის დროს კლასთა ჰარმონიულობა სუფევდეს, ხალხი არ იჩაგრებოდეს; „დამტვრეული ფეოდალიზმის ბორკილებიდან ფეხადგმული (ბურჟუაზია) უარეს ბორკილებს აბამს სხვებს (ე. ი. მშრომელ ხალხს)“ [3].

ქართველ მარქსისტთა კრიტიკა—კლასთა „შეხმატკბილებული ცხოვრების“ მოთხოვნაზე — სავსებით შეეხება ნ. ნიკოლაძის შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობასაც.

ლოგიკურად ისმება კითხვა: იცნობდა თუ არა ნ. ნიკოლაძე მარქსიზმის მოძღვრებას? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპა-

---

[1] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თბ., 1927, თხზ., გვ. 147.
[2] ჟურნ. „მოგზაური“, 1905, № 36.
[3] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზ., გვ. 279.

სუბოთ. „...კარგად იცნობდა მარქსიზმს, განიცდიდა მის კეთილმყოფელ გავლენას და სიმპატიით იყო განწყობილი მისდამი, — წერს ვ. დონაძე, — იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველ სამოციანელთა შორის, რომელმაც ქართულ პრესაში დაიწყო წერა მარქსის, მარქსიზმისა და პირველი ინტერნაციონალის ისტორიული დანიშნულების შესახებ" [1].

ნ. ნიკოლაძე არა მარტო კ. მარქსის მოძღვრებას იცნობდა, არამედ გასული საუკუნის 70-იან წლებში საზღვარგარეთ ყოფნისას პირადად გაუცვნია იგი. უფრო მეტიც, კ. მარქსმა ნ. ნიკოლაძეს შესთავაზა ყოფილიყო პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ მას უარი განუცხადა იმიტომ, რომ თითქოს იმდროინდელ ამიერკავკასიაში არ ყოფილიყო სათანადო ნიადაგი მომზადებული ინტერნაციონალის საქმის გასატარებლად.

ნ. ნიკოლაძის სურვილი იყო მარქსიზმის იდეები ფართოდ გაევრცელებინა საქართველოში, და ისეთ პროპაგანდას უწევდა მას, რომ არ შეიძლებოდა განათლებულ პიროვნებას უყურადღებოდ დაეტოვებინა პრესაში მარქსიზმის ნიკოლაძისეული შეფასება. ჯერ კიდევ 1889 წელს ნ. ნიკოლაძე გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" წერდა, რომ ცხოვრების რეალურად შესწავლა მხოლოდ მარქსიზმმა შეძლო, მასზე უკეთესად საზოგადოების ცხოვრების აღწერა ჯერაც არავის მოუციათ.

1894 წელს „მოამბეში" გამოქვეყნებულ წერილში „საფრანგეთის საქმეებზე" დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარქსიზმის დებულებების გადმოცემას. ნ. ნიკოლაძე წერს, რომ მარქსიზმმა ძირეულად შეცვალა მეცნიერების ხასიათი, რომ „მარქსიზმმა მეტად ძლიერი და აღუხოცველი დაღი დაასო ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის გონებით შრომას" [2].

ნ. ნიკოლაძეს მარქსიზმში ყველაზე უფრო მოსწონს მისი ეკონომიური მოძღვრება, „რომელიც ისე სწავლობს და ჰკურნავს საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას, როგორც ექიმი— ავადმყოფს".

---

[1] ვ. დონაძე, პირველი ინტერნაციონალი და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა, თსუ, შრომები, № 113, 1965. გვ. 343.

[2] გაზ. „მოამბე", 1894, № 8.

ნ. ნიკოლაძე კ. მარქსის ნაწერებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ეცნობოდა, მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის „კაპიტალს“ აქცევდა. პროფ. ს. ხუნდაძე მიუთითებდა, რომ ნ. ნიკოლაძე პირველად კ. მარქსის „კაპიტალს“ გასცნობია 1869 წელს, რუსული თარგმანის კორექტურაში [1], მაგრამ ს. ხუნდაძის ეს ცნობა არ არის სწორი, როგორც პროფ. ლ. გორგილაძე წერს, „კაპიტალის“ პირველი ტომის თარგმანი მთლიანად დამთავრებული იყო 1871 წლის ოქტომბრისათვის. ეს აცნობა კიდეც „კაპიტალის“ რუსულად მთარგმნელმა ნ. დანიელსონმა კ. მარქსს წერილით, რომელიც ამავე წლის 17 ოქტომბრითაა დათარიღებული [2].

პროფ. პ. გუგუშვილი მიუთითებს, რომ ნ. ნიკოლაძემ პირველად „კაპიტალი“ წაიკითხა 1872 წელს „რუსული გამოცემის კორექტურაში, ხოლო შემდგომში ფრანგულ ენაზე თარგმნილი „კაპიტალის“ გაცნობისას, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი, ე. ი. მარქსის აზრები მიუღებელია იმდროინდელ საქართველოსათვის“ [3].

ნ. ნიკოლაძეს კ. მარქსი მიაჩნია მუშათა კლასის ბელადად, მის იდეოლოგად. იგი 1876 წელს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ (№ 143) ათავსებს სტატიას, რომელიც მიეძღვნა ბაკუნინის გარდაცვალებას. ამ სტატიაში ნ. ნიკოლაძე მკითხველს მოუთხრობს, ი. ბაკუნინის დამსახურებასთან ერთად, იმ ბრძოლის მიმდინარეობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი ინტერნაციონალის საბჭოში კ. მარქსსა და ი. ბაკუნინს შორის. ნ. ნიკოლაძე მხარს უჭერს რა კ. მარქსის პოზიციას პირველი ინტერნაციონალის ორგანიზაციული აგების პრინციპში, მიუთითებს, რომ ი. ბაკუნინი ამ ბრძოლაში იმიტომ დამარცხდა, რომ კ. მარქსი თავისი საქმიანობით მუშათა კლასს უჭერდა მხარს.

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. საქართველოს სოციალისტური მეცნიერება. 1933, № 1—2.

[2] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, გვ. 190.

[3] П. Гугушвили. Карл Маркс в Грузинской публицистике и общественности. 1963, стр. 102.

ხოლო ბაკუნინს თავისი მოქმედებით „სარგებლობა მოჰქონდა ბურჟუაზიისათვის და არა მუშათა წოდებისათვის“.

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ ნაწერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების საჭირბოროტო საკითხების განხილვას. „ერთი მხრივ, ქვეყნის სამეურნეო და ტექნიკური მდგომარეობის, ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარება და გაუმჯობესება, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების საფუძვლიანი ათვისება, — ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, — არის ის ძალა, რომლის საშუალებით ახალი თაობა ნამდვილ სარგებლობას მოუტანს თავის სამშობლოს“ [1]. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, საგლეხო რეფორმის შემდგომი პერიოდიდან, ქართველი ხალხის წინსკლის გზებს ნ. ნიკოლაძე ბურჟუაზიულ რეფორმებში ხედავდა.

ნ. ნიკოლაძისათვის ცნობილია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც საგლეხო რეფორმის გატარებით გასაქანი მიეცა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებას, ეროვნული კაპიტალის შესაქმნელად საქართველოში საჭირო გახდა კაპიტალისტური ვაჭრობის განვითარება. „ჩვენში ვაჭრობა, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — თითქმის არც კია დაფუძნებული. გამოდის სრულიად უმეცარი კაცი, რომელსაც ათი წელიწადი დუქანში გაუტარებია და მარტო ბაზრული ხერხი უსწავლია, გამოდის ამისთანა კაცი სამოც-სამოცდაათი თუმნით, რომელიც იმის გროშებით შეუგროვებია და მართავს „აღებმიცემობას“, ეს ვაჭრობა კი არა, ღმერთმა იცის რაა? როგორ არ იცის მან, ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებული, აზრიანი, პატიოსანი კაცი ცდილობს შეიტყოს, რა ადგილას იშოვება იაფად რომელიმე საგანი, რა გზით უფრო სახეიროა ამ საგნის გატანა და რა საშუალებით შესაძლებელია ამ საგნის გასაღება... რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ვაჭრობა იმასაც კი უნდა ცდილობდეს, რომ ჩვენი ქვეყნიდან ნაღდი ფულის მაგიერად ისეთი საგნები გაჰქონდეს, რომელთაც ჩვენში გასავა-

[1] დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი ს წერილი, იხ. ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 45.

ლი არა აქვთ, მაგრამ სხვა ადგილებში კი ფასი ადევთ, რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ჩვენში ამისთანა საგნები ძლიერ ბევრია და ჩვენი ქვეყნის სიკეთე იმას ითხოვს, რომ ამ საგნების გასასაღებელი ადგილი და გზა მოსძებნოს ვაჭრობამ" [1].

ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ სწორად ორგანიზებულ ვაჭრობას ქვეყნისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო, „ვაჭრობა ორის გზით ამრავლებს ქვეყნის ქონებას; ერთის მხრივ ბაზარსა შოულობს მოსავლისათვის, და მით წარმოების ასპარეზს თან-და-თან აფართოებს, და მეორეს მხრით — აადვილებს, აიაფებს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ამიტომაც ხეირიანად წარმოებული ვაჭრობა, თუ შემომქმედი არა, მომქმედი ძალა მაინც არის ერის საეკონომიო ცხოვრებაში, და ასეთი ძალაა, ურომლისოდაც წარმოება, შემოქმედი შრომა ქვეყნისა აუცილებლად შემცირდებოდა" [2].

ნ. ნიკოლაძე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სახელმწიფოს ხელში აეღო. ამ მოთხოვნას თავის გამართლება ჰქონდა, სახელდობრ: 70-იანი წლებიდან საქართველოს ექსპორტი სწრაფად იზრდებოდა, რომელმაც დიდ განვითარებას მიაღწია 80-იანი წლებიდან და საგარეო ვაჭრობის ბალანსი აქტიური გახდა. ავტორი რჩევას იძლევა, რომ ამ მდგომარეობის შესანარჩუნებლად საჭიროა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების (განსაკუთრებით — სამთამადნო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო) სწრაფი განვითარება.

საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის, ნ. ნიკოლაძის აზრით, მთავარია მოწინავე საზოგადოებამ შეიცვალოს ვაჭრობაზე საუკუნეობით შემუშავებული არასწორი შეხედულებანი. იგი ასწავლის ახალ თაობას, რომ საჭიროა „ევროპულად ვითვალისწინებდეთ და ვეპყრობოდეთ ვაჭრობას, ღირსეულს პატივს ვცემდეთ მისს ღირსებას, ვცდილობდეთ მისის ნაკლის გასწორებას" [3].

[1] ნ. ნიკოლაძე, ჩვენი ახალგაზრდობა, „კრებული", 1872, № 2.
[2] ჟურნ., „მოამბე", 1894, № 7.
[3] იქვე, № 12.

ნ. ნიკოლაძეს ეროვნულ უბედურებად მიაჩნია უპატიოსნო პირების თავმოყრა ვაჭრობაში, იგი განსაკუთრებით ხმას იმაღლებს ვაჭარ-შუამავლების წინააღმდეგ. მას სჯერა: დადგება დრო, როდესაც ვაჭრობა თავისი რიგებიდან გარიყავს უსინდისო და უპატიოსნო ელემენტებს, „როცა ეს ნათელი იდეალი მთლად და სრულებით განხორციელდება და როცა მწარმოებელსა და მისი ნაწარმოების მომხმარებელს შუა, საზოგადოების გარდა, სხვა შუამავალი არავინ იქნება... საქმის ვითარება ისეთია, რომ უვაჭროდ არც წარმოებაა შესაძლებელი“ [1].

როგორც ვხედავთ ნ. ნიკოლაძისთვის უცხო და მიუღებელია მარქსისტული დებულება, რომ წარმოება არის მთავარი, ურომლისოდაც შეუძლებელია გაცვლის განვითარება. მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მთავარი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ საკუთრივ წარმოება პირველადია სამეურნეო ცხოვრების სხვა მომენტებთან — განაწილებასთან, გაცვლასთან და მოხმარებასთან შედარებით. კ. მარქსი გვასწავლის, რომ „წარმოება ბატონობს როგორც თავის თავზე წარმოების საპირისპირო განსაზღვრაში, ისე სხვა მომენტებზეც. მისგან პროცესი ყოველთვის ხელახლა იწყება. გაცვლა და მოხმარება რომ არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყოს, — ეს თავისთავად ცხადია. იგივე შეიძლება ითქვას განაწილებაზე როგორც პროდუქტთა განაწილებაზე... ამრიგად, განსაზღვრული წარმოება განაპირობებს განსაზღვრულ მოხმარებას, განაწილებას, გაცვლას“[2]...

ნ. ნიკოლაძე ვერ ერკვევა, რომ ვაჭრობაში წესრიგის დამყარება შესაძლებელია შუამავალ–ვაჭრის ინსტიტუტის მოსპობით. პირიქით, ფიქრობს იგი, კაპიტალისტური წარმოებისათვის, თვით მოქმედი კაპიტალისტისათვის შუამავალ–ვაჭრის არსებობა ობიექტურად გამართლებულია, ურომლისოდ მას არსებობა არ შეუძლია. მარქსისტულ–ლენინური პოლიტიკური

---

1 ჟურნ. „მოამბე“, 1894, № 12.

2 კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 279.

ეკონომია გვასწავლის, რომ სავაჭრო კაპიტალი ამცირებს მიმოქცევის დროს, აჩქარებს სამრეწველო კაპიტალის ბრუნვადობას და ადიდებს მოგების წლიურ ნორმას. სავაჭრო კაპიტალი ემსახურება სამრეწველო კაპიტალის კვლავწარმოებას. კ. მარქსი მიუთითებს, რომ სავაჭრო კაპიტალი, „რამდენადაც იგი ბაზრის გაფართოებას შველის და კაპიტალებს შორის შრომის დანაწილებას მოსაშუალებს, მაშასადამე, კაპიტალს შესაძლებლობას აძლევს უფრო დიდი მასშტაბით იმოქმედოს, მისი ფუნქცია ადიდებს სამრეწველო კაპიტალის მწარმოებლურ ძალას და ხელს უწყობს ამ კაპიტალის დაგროვებას. რამდენადაც მიმოქცევის დროს ამოკლებს, იგი ადიდებს ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსებულ კაპიტალთან, მაშასადამე, ადიდებს მოგების ნორმას“ [1].

ნ. ნიკოლაძე ხედავს, რომ გასული საუკუნის 70—80-იან წლებში საქართველოში შეიმჩნეოდა საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება, რომელიც განპირობებული იყო საგლეხო რეფორმის გატარებითა და ფართო სარკინიგზო ქსელის განვითარებით. რკინიგზის ქსელის ზრდა-განვითარება ხელს უწყობდა რიგი სამრეწველო დარგების აღმოცენებასა და მათ შემდგომ გაფართოებას. ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება მართებულია და სწორი. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რკინიგზების მშენებლობასა და მის როლს რუსეთის იმპერიის გონაპირა მხარეების საწარმოო ძალების განსავითარებლად. იგი მიუთითებდა, რომ რუსეთის ბურჟუაზია „. . . იწყებს თავის კოლონიებში გიგანტური რკინიგზების შენებას, ჰქმნის იქ ბაზარს, შეაქვს ახალგაზრდა ქვეყანაში ბურჟუაზიული წყობილების სიმშვენიერენი, იქაც განსაკუთრებული სიჩქარით ზრდის სამრეწველო და სამიწათმოქმედო ბურჟუაზიას, ხოლო მწარმოებელთა მასას მუდამ მშიერ უმუშევართა რიგებში ისვრის“ [2].

ნ. ნიკოლაძეს მთელი გულისყური მიმართული აქვს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების, მისი წიაღისეულის ქართველი ერის საკეთილდღეოდ გამოყენებისაკენ, მას გული სტკი-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, 1959, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 355.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 369.

ვა, რომ ეს სიმდიდრე არ არის ჩაყენებული ხალხის სამსახურში და გამოყენებულია „უცხოელთა საკეთილდღეოდ“. ის ერი, რომელიც არ ცდილობს ქვეყანაში საწარმოო ძალების განვითარებას, ყოველთვის დამონებული იქნება უცხოური კაპიტალის მიერ, „საქართველოს ბუნება დიაღაც მდიდარია, მაგრამ მისი სიკეთე ჯერ ბევრით არაფრით დასტყობია არც ქართველობას, არც არა ქართველებს. როცა რომელიმე ხალხი თავის ქვეყნის ბუნებას გულხელ დაკრეფილი შესცქერის, იმას ჩვენს დროში ის სირცხვილი და ზარალი მოელის, რომ უცხოეთის დაბეგრილ მონად ხდება, უცხოეთიდან ელის და ყიდულობს ის ყოველგვარ საქონელს და მოწყობილობას, იარაღს, სამოსელს, წამალს, მისი შრომისა და შემოსავლის უმეტესი ნაწილი უცხოეთს ამდიდრებს“... [1] თუმცა ნიკოლაძისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს ეროვნული ბურჟუაზია, რადგან მას საამისო კაპიტალი არ აქვს, ხოლო უცხოეთის კაპიტალი სიამოვნებით განავითარებს სხვა ქვეყნის საწარმოო ძალებს, თუ მათთვის მიღწეული იქნება მთავარი მიზანი—ზედმეტი ღირებულების მიღება. ამასთან ერთად ნ. ნიკოლაძე მიუთითებს: „ვინ არ იცის, რომ კაპიტალისტებს სამშობლო არ გააჩნიათ“ [2], ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ავტორის კაპიტალისტური წარმოების წესის ბუნების ცოდნა. მართლაც, კაპიტალიზმმა წაშალა ეროვნული საზღვრები, ბურჟუაზია კაპიტალის დაბანდებისა და ბაზრის პრობლემის საჭიროებისათვის მზად არის პატრიოტიზმის გრძნობა ფეხქვეშ გათელოს. ნ. ნიკოლაძემ იცის, რომ რუსეთის ცარიზმი იბრძვის განაპირა მხარეებში, სახელდობრ ამიერკავკასიაში, თავისი კაპიტალის დაბანდებისათვის, რისთვისაც „პატრიოტიზმს“ უკიჟინებს ბაქოს ნავთის ადგილობრივ მრეწველებს. მოითხოვს, რომ ისინი ებრძოლონ ინგლის-ამერიკის კაპიტალს რუსეთის კაპიტალისტების სასარგებლოდ, ამის გამო ნიკო ნიკოლაძე წერს: „კარგად აქვს საქმე, სხვათაშორის, „პატრიოტს“: „ძარცვავს ყველას და ყველაფერს, შიმშილით კლავს მუშებს,

[1] ჟურნ. „მოამბე“, 1874, № 8, გვ. 123.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 112.

როგორც ბუზებს, სისტემატურად ანადგურებს მთელ საწარმოებს, საკუთარ ქვეყანას დინამიტის ისეთ ნაღმს უდებს ქვეშ, როგორიც ვოლგა-კამის ბანკია; ყველაფრით ხელს უწყობს სამშობლოს სამრეწველო და ფინანსურ დაკნინებას, ქვეყნის გაკოტრებას და, ამავე დროს, თვლიან მაღალხარისხოვან პატრიოტად და თითქმის სიცოცხლეშივე უდგამენ ძეგლს, ხოლო თუ მწერალი ან ორატორი მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას გაბედავს და დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მის ექსპლოატაციას ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის, მაშინ მას მოღალატედ მონათლავენ და განდგომას დააბრალებენ" [1].

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ საქართველო, ისე როგორც მთელი ამიერკავკასია, წარმოადგენდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელდებულო ბაზას, მისი წიაღისეული ავსებდა მათ ოქროს სეიფებს, ხოლო ქართველი ხალხი შიმშილისაგან სულს ლაფავდა. ეროვნული მრეწველობის განვითარებას ხელს უშლიდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ბოროტებანი: ეროვნული კაპიტალის უქონლობა, კონკურენცია და ანარქია, საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონე. „რაც უფრო მეტი დრო გადის, რაც უფრო წინდაწინ მიდის უცხოეთი, მით თან-და-თან ძნელდება ჩვენებური წარმოების და მრეწველობის დაარსება" [2].

საქართველოში ეროვნული მრეწველობის განსავითარებლად ნ. ნიკოლაძეს სურდა გაეტარებინა პროტექციონიზმის ეკონომიური პოლიტიკა. იგი მიუთითებდა, რომ ის სახელმწიფო, რომელიც ადგება საკუთარი მეურნეობის განვითარების გზას, იყენებს ხოლმე მფარველობით პოლიტიკას. „ეს სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ბაჟი ედება ყოველი იმ საქონლის შემოტანას უცხოეთიდან, რომელიც რუსეთში კეთდება" [3].

ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიური ძლიერების მისაღწევად ნ. ნიკოლაძე მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ფაქის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში დიდ

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 6, გვ. 112.

[2] „მ ო ა მ ბ ე", 1894, № 8, გვ. 126.

[3] იქვე, გვ. 129.

ყურადღებას აქცევდა შავი ზღვის აუზში საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისათვის, რომლის საზღვაო ტრანსპორტის ტონაჟი მცირე იყო.

ნ. ნიკოლაძე წინააღმდეგია, რომ ბათუმი გამოცხადებულ იქნას თავისუფალ ნავსადგურად, ანუ „პორტო ფრანკოდ", როგორც ამას მოითხოვს გაზეთი „დროება" და ს. მესხი. ნ. ნიკოლაძე განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლის დებულებით „თავისუფალი ნავსადგური, ანუ პორტო ფრანკო ეწოდება ისეთ პორტს, სადაც ყველა სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს ყოველგვარი საქონელი უბაჟოთ..." [1].

ამ დებულებიდან გამომდინარე, ბათუმის ნავსადგურის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება ხელს შეუწყობს ინგლისს დაიმორჩილოს ამიერკავკასიის ბაზრები და ამ გზით თავისი საქონელი გაასაღოს სპარსეთსა და შუა აზიაში.

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ 1830 წლამდე, ე. ი. ამიერკავკასიაში მფარველობითი ბაჟების შემოღებამდე, ინგლისი დიდი რაოდენობით ასალებდა თავის საქონელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. „ყირიმის ომის შემდეგ, — წერს ნ. ნიკოლაძე,—მას შემდეგ, რაც გაიყვანეს რკინიგზა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ და ყირიმისა და ამიერკავკასიის სანაპიროებს შორის რეგულარული სანაოსნო მიმოსვლა დაწესდა, ამიერკავკასიაში უცხო საქონლის შემოზიდვა თანდათან შემცირდა, ხოლო რუსეთის საქონლის შემოტანა გაიზარდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, გაძლიერდა საქონლის კონტრაბანდული გზით შემოზიდვა; თურქეთთან ჩვენი ტყიანი და მთაგორიანი სასაზღვრო რაიონებიდან, რომელთა საბაჟო ზედამხედველობა იმდენად ძნელია, რომ მისი განხორციელება შეუძლებლად მიგვაჩნია" [2].

ნ. ნიკოლაძის მიხედვით, ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადების შემთხვევაში ინგლისის საქონელი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ბაზრის ხელში ჩაგდების პარალე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 41.

[2] იქვე, გვ. 51.

ლურად, რუსეთის იმპერიას ახლო აღმოსავლეთს ჩამოაცილებს მთლიანად. „...ასეთივე მდგომარეობა შეიქმნება ყარსშიც, ბაიაზეთშიც და ინგლისური საქონელი, ბათუმის, არდაგანის, ყარსის და ბაიაზეთის გზით, დიდი რაოდენობით შეიჭრება სპარსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და წაგვართმევს ამ მნიშვნელოვან ბაზარს, სადაც ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ ჩვენი საქონელი, ვოლგისა და კასპიის ზღვის მეშვეობით, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროების სპარსულ ქალაქებში" [1].

ნ. ნიკოლაძის შორსმჭვრეტელობა აქ რომ ნათლად ჩანს, ფაქტია. იგი რუსული გაზეთის „ობზორის" მეშვეობით ჯერ კიდევ 1878 წ. აფრთხილებდა რუსეთის ხელისუფალთ, რომ ინგლისის მერკანტილისტური პოლიტიკის მქადაგებლის ლორდ ბიკონსფილდის პროექტი — ბათუმის ნავსადგურის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების შესახებ—ართმევს რუსეთს „საუკეთესო სასაზღვრო სამხედრო ნავსადგურებს და შეუძლებელი გახდება აღმოიფხვრას უცხოური საქონლის კონტრაბანდისტული შემოზიდვა და ინგლისი თავისი საქონლით დაიპყრობს ახლად შექმნილ ოლქებს, „ვარაუდობს — გადააქციოს ბათუმი ინგლისური საქონლის საიმედო პუნქტად, რომლის დაცვა, შენახვა და გაფართოება რუსეთის ხარჯზე უნდა მოხდეს. ინგლისს კი ექნება იმის შესაძლებლობა, რომ გააძლიეროს თავისი საქონლის დიდი რაოდენობით გასალება და ყველაფერი ეს განახორციელოს რუსეთის ვაჭრობის საზიანოდ და მის ხარჯზე" [2].

რუსეთის ხელისუფლებისათვის, — მიუთითებს ნ. ნიკოლაძე, — ცხადზე უცხადესი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ლორდი ბიკონსფილდი „რუსეთის ყოველგვარი წარმატების დაუძინებელი მტერია". რუსეთმა, მისი აზრით, უნდა შეინარჩუნოს ბათუმის ნავსადგური, „როგორც საკუთარი სიძლიერის განვითარების მძლავრი საშუალება" [3].

ნ. ნიკოლაძე ანალიზს უკეთებს ინგლის-რუსეთის კავშირ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 52.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 57.

ურთიერთობებს და ასაბუთებს, რომ ინგლისისათვის რუსეთის ძლიერების ზრდა არასასურველია და მის ინტერესებში არ შედის, ხოლო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ინგლისი სრულიად მართალია, „რადგან ყოველი მთავრობის ძირითადი მოვალეობა, საკუთარი ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვაა... მშიერი ველური და მშიერი ევროპელი ერთნაირი უბედურებაა, რომელთაც ჯერ კიდევ საკვები უნდა მისცე... სანამ არ გაძლებიან, არც შრომის უნარი ექნებათ“ [1].

ნ. ნიკოლაძეს ინგლისის მიერ საქონლის გასაღების ბაზრების დაპყრობისა და კოლონიების ჩაგვრის საკითხი მეტად საინტერესოდ აქვს განხილული. იგი წერს, რომ ინგლისი არის სამრეწველო ქვეყანა და მოსახლეობაც ძირითადად მრეწველობაშია დასაქმებული. ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებულია წარმოებული საქონლის გასაღებაზე. „ისტორიული განვითარების მსვლელობამ, — აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, — ინგლისი იძულებული გახადა თავისი ძლიერება ფაბრიკატების გასაღების პროგრესულ ზრდაზე დაემყარებინა. საქონლის გასაღების შემცირება და ფაბრიკების მწარმოებლობის დაქვეითება ინგლისისათვის ისეთივე საშინელი და დაუძლეველი უბედურებაა, როგორც გვალვა ჩინეთსა და ინდოეთში...“ [2] ინგლისი ეძებს საქონლის გასაღების ბაზარს, რათა თავის ხალხს არ დაატყდეს უბედურება. სწორად მოუთითებს ნ. ნიკოლაძე, რომ ეს საკითხი ყოველთვის იყო და არის „ინგლისის ყოველი მთავრობის მიზნების მიზანი... შეინარჩუნოს არსებული ბაზრები და შეიძინოს ახალი, — აი, ინგლისის დიპლომატის ალფა და ომეგა, ინგლისის კეთილდღეობის ყოფნა არ ყოფნის საკითხი“ [3].

ნ. ნიკოლაძე ინგლისის სახელმწიფოს ადარებს შგელს, რომელიც ნთქავს ბატკანს, მაგრამ აბსურდია, უაზრობაა „შევაგონოთ ინგლისს, უარი თქვას საკუთარი ინტერესების დაკმა-

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 157.

2 იქვე, გვ. 158.

3 იქვე.

ყოფილებაზე საერთო კეთილდღეობის სახელით“. ნ. ნიკოლაძეს მეფის რუსეთი შედარებული ჰყავს იმ ბატკანთან, ინგლისი — მგელი საფრთხეს რომ უქმნის. იგი ასკვნის, რომ ბრძოლა ინგლისსა და რუსეთს შორის წარმოებს კაპიტალისტური წარმოების წესის ძირითადი მიზნის — ზედმეტი ღირებულების ამოსაქაჩავად.

ნ. ნიკოლაძე შემდეგ აღნიშნავს, რომ, თუ რუსეთის მთავრობისათვის ბათუმის დასაკუთრება არ არის მნიშვნელოვანი და მას არ სურს ინგლისის მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაშინ მეფის მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ „ეს საკითხი ჩვენი პირადი, ადგილობრივი საკითხიცაა, რადგან შავი ზღვის სანაპიროების სიგრძის ნახევარი კავკასიის სამეფისნაცვალოზე მიდის და ჩვენთვის შავი ზღვა უმთავრესი გზაა რუსეთთან და ევროპასთან დასაკავშირებლად. საიდანაც ყოველგვარ სიკეთესა და დახმარებას ველით ჩ ვ ე ნ ი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“[1] (ხაზი ჩვენია, — რ. კ.).

ნ. ნიკოლაძე მართებულად მიუთითებს, რომ „საკუთარი სავაჭრო ფლოტის უქონლობა უსპობს ჩვენს საფაბრიკო მრეწველობას იაფი ნედლეულით მომარაგების საშუალებას“. ამასთან ერთად აბრკოლებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებას, ძირს უთხრის საგარეო ვაჭრობის ყოველგვარ დამოუკიდებლობას და „თავზე გვახვევს უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიურ დამოკიდებულებას, საიდანაც ბუნებრივად გამომდინარეობს ის ფინანსური სიძნელეები, რასაც ჩვენ ახლა განვიცდით“[2]. ნ. ნიკოლაძეს საზღვაო ტრანსპორტის შექმნა ერთ-ერთ ყველაზე ძნელ ამოცანად მიაჩნია, რაც მოითხოვს ხანგრძლივ და მრავალფეროვან ღონისძიებათა კომპლექსს. რუსეთისათვის საკუთარი, ძლიერი ფლოტი იმითაც არის აუცილებელი, რომ მას აკრავს მრავალი ზღვა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბალტიის ზღვა, მაგრამ კლიმატური პირობების გამო ამ ზღვაზე მიმოსვლა გაძნელებულია. ევროპის სა-

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 6, გვ. 57.

[2] იქვე, გვ. 58.

ხელმწიფოებმა, რომლებიც რუსეთის მეზობლად მდებარეობენ; დიდად გაუსწრეს ამ უკანასკნელს საზღვაო ფლოტის განვითარებაში, საჭირო გახდა ამ მხრივ დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც მხოლოდ რკინიგზის ქსელის განვითარებით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიღწეული, აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე. ხოლო თეთრი ზღვისა და ყირუღოვანი ოკეანის სანაპიროების უკიდურესად მეჩხერი დასახლება და მკაცრი ჰავა, განაგრძობს იგი: „იმდენად აბრკოლებს ამ მხარის პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარებას, რომ საფიქრებელია — ახლო მომავალში ამ ორ ზღვას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა არ ექნება“ [1].

ნ. ნიკოლაძე შემდეგ ახასიათებს კასპიის ზღვის მნიშვნელობას რუსეთის იმპერიისათვის, ამ ზღვის გარშემო ქვეყნების „ნაკლებად შეწყვალისა ზუსტი ტექნიკური მონაცემების ნაკლებობისა და თვით საწარმოო კოლოსალურობის გამო საფიქრებელია, რომ მათი განხორციელება ახლო მომავალში სათუოა“. და ბოლოს, ნ. ნიკოლაძე ახასიათებს შავი ზღვის აუზს, რომელიც ეკვრის სამხრეთ რუსეთის ნაყოფიერ ოლქებს, შესანიშნავი ბუნებისა და წიაღისეული სიმდიდრეებით ცნობილ კავკასიის მხარეს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ რუსეთის ეკონომიკის აღმავლობის მისაღწევად. ავტორს მოტანილი აქვს ციფრები მასზე, თუ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, კერძოდ, ცეილონიდან ზღვებითა და ოკეანეებით რა მანძილია რუსეთის დიდ ნავსადგურამდე. ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ კუნძული ცეილონი შავი ზღვის ნავსადგურებამდე დაახლოებით 5100 მილითაა დაშორებული, ხოლო პეტერბურგამდე 8630 მილით.

ნ. ნიკოლაძე დაასკვნის, რომ „ამგვარად, შორეული აღმოსავლეთის კოლონიური საქონლის მისაღებად უახლოესი ნავსადგურებია სევასტოპოლი და ოდესა. ამიტომ საქონლის ამ ნავსადგურებში გადმოზიდვა უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე იმ ნავსადგურებში, სადაც ახლა ეს საქონელი ჩააქვთ — რუსეთში გადმოსაგზავნად“. შემდეგ, განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, „რადგან ეს საქონელი, გარდა უშუალო მოხმარების საგნებისა... ჩვენი

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 60.

ფაბრიკებისათვის საჭირო ნედლეულსაც შეიცავს — და ამიტომ ამ საქონლის გაიაფება მოსახლეობის აუცილებელ მოთხოვნილებებსაც დააკმაყოფილებს უფრო ხელმისაწვდომ ფასებში, ხელს შეუწყობს მისი კეთილდღეობის ზრდას და, ამავე დროს, შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მწარმოებლებს— მეტი კონკურენცია გაუწიოს უცხოურ ფაბრიკებს, რაც ახლა ჩვენთვის შეუძლებელია იმის გამო, რომ ნედლეულს ძვირად ვყიდულობთ უცხოელებისაგან" [1].

ნ. ნიკოლაძე სწორად აღნიშნავს, რომ შავ ზღვაზე ფლოტის განვითარება რუსეთს მოუპოვებს იმ დამოუკიდებლობას, „რისი უფლებაც მას აქვს თავისი სიძლიერისა და პოლიტიკური მნიშვნელობის გამო".

ნ. ნიკოლაძე მოუწოდებს რუსეთის მთავრობას ყოველი ღონე იხმაროს შავ ზღვაზე ნაოსნობის განსავითარებლად. აქ რუსეთს აუცილებლად სჭირდება საზღვაო სარეწაოთა ფართო ქსელი, რომლისთვისაც სახელმწიფოს სათანადო საშუალებები მოეპოვება, „მაგრამ ყველაფერი ეს არაორგანიზებული, არარეალიზებულია და ამიტომ არ ჩანს. . . ამისათვის კი საჭიროა ბევრი ფული, ბევრი დრო და კიდევ უფრო მეტი ენერგია, რათა ამ წარმატების ელემენტების შედარებითი მნიშვნელობა განვსაზღვროთ სუვოროვის სიტყვებით: დაკარგე ფული — არაფერი დაგიკარგავს, დაკარგე დრო — ბევრი დაგიკარგავს, დაკარგე ენერგია — ყველაფერი დაგიკარგავს" [2].

ნ. ნიკოლაძეს აუცილებლად მიაჩნია, რომ რუსეთის მთავრობამ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი. ამასთან ერთად მომავალში ევროპასა და აზიას შორის ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის დაშყარების საქმეში კავკასიას უდიდესი როლი მიენიჭება. ნ. ნიკოლაძისათვის ცნობილია ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების გადაწყვეტილება გაიყვანონ ინდოეთისაკენ კონტინენტალური რკინიგზა, რაც კიდევ უფრო გაზრდის კავკასიის მნიშვნელობას, თუმცა ევროპის სახელმწიფოები ნაკლებად ისარგებლებენ ამ რკინიგზით სიძვირის გამო. „ამი-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 103—104.

ტომ ტვირთს უფრო იაფი ორთქლის გემებით და უფრო მოკლე გზით ჯერ სკუტაირამდე ან ფოთამდე მიიტანენ და შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ გაგზავნიან, რაც უფრო შეამცირებს ტვირთის რკინიგზით გადაზიდვას მთელს მთაგორიან მცირე აზიაში" [1].

ნ. ნიკოლაძე ყოველივე ამის შემდეგ სამართლიანად ასკვნის: „შავი ზღვა, რომელიც დღეს ორი დიდი გზის ჯვარედინზე, ერთი მხრივ, საზღვაო გზისა—სუეცის არხის გავლით და მეორე მხრივ — სახმელეთო გზისა — კავკასიის ყელის გავლით, მოიპოვებს უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, რომლის მთელი სარგებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთისათვის, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ იგი დროზე მოემზადება ისეთი დიდი მომავლისათვის, როგორიც მას ელის" [2].

ნ. ნიკოლაძის აზრით, შავი ზღვის სავაჭრო და სამხედრო ფლოტის განვითარება „ეს არის გარდუვალი ეკონომიური მოთხოვნილება, რომელიც საჭიროა თვით სანაპიროსა და მისი მოსაზღვრე რუსეთის ოლქების აყვავებისათვის, იმ სახელმწიფო ამოცანისათვის, რომლის მიზანიც წარმოადგენს დამოუკიდებლობა მიანიჭოს მანუფაქტურულ მრეწველობას და განავითაროს საგარეო ვაჭრობა" [3].

ნ. ნიკოლაძე მწუხარებით აღნიშნავს, რომ ხელისუფლებას ყირიმის ომის შემდეგ შავ ზღვაზე ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდება. რუსეთმა ამ ომში დაკარგა ყველაფერი, რაც შექმნილი იყო პეტრე I დროიდან 130 წლის მანძილზე.

პარიზის ტრაქტატით, რუსეთს არ შეეძლო გაემაგრებინა შავი ზღვის სანაპირო, აღედგინა სამხედრო ფლოტი. „დანაშაულად ეთვლებოდა რუსეთს, — აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, — სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების შექმნა, როგორც ფარული სურვილი სამხედრო ფლოტის ყოლისა მომავალში" [4]. მაგრამ, აგრძელებს ნ. ნიკოლაძე, რუსეთის საწარმოო ძალების განვითარება ობიექტური აუცილებლობა გახდა. „ნოვოროსიისკმა,

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 62.

[3] იქვე, გვ. 66.

[4] იქვე, გვ. 63.

ანაპამ, სოხუმმა და ფოთმა განვითარება იწყეს და პატარა ქალაქებს დაემსგავსნენ".

ნ. ნიკოლაძეს პარიზის ტრაქტატი სამარცხვინო დოკუმენტად მიაჩნდა, რომელმაც დააკანონა რუსეთის ეკონომიური განვითარების შეჩერება და ადგილზე გაყინვა. მაგრამ ნ. ნიკოლაძის ჰეშმარიტი ოპტიმიზმი იმაში გამოჩნდა, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია რუსეთში საწარმოო ძალების შეჩერება, რამდენადაც რუსეთი დაადგა განვითარების კაპიტალისტურ გზას. „საგანთა ბუნებრივი ძალა, — მიუთითებს ნ. ნიკოლაძე, — ადამიანთა ყოველგვარ ეშმაკობაზე უფრო ძლიერია და რუსეთის განვითარებას ვერც მეტერნიხების წმინდა კავშირი შეაჩერებს და ვერც პარიზის ტრაქტატი, პალმერსტონთან ერთად. რუსეთი თავის გზით სვლას განაგრძობს და ყირიმის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. . . ამიტომ ბერლინის ტრაქტატსა * და ლორდ ბიკონსფილდის არნახულ დიპლომატიურ წარმატებას, ყოველი ჩვენგანის რწმენით, ჰკუის სასწავლებელი მნიშვნელობაც აქვს. ჩვენ უკვე შევიცნობთ ჩვენს თავს და გამოვასწორებთ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ომმა დაგვანახვა. . ." [1].

ნ. ნიკოლაძის აზრით, ნაოსნობის განვითარებისათვის საკმარისი არ არის მარტო გემების აგება და სანაპიროს მოწყობა. „ამისათვის აუცილებელია ქვეყნის შიდა რაიონებიდან გამოიტანონ საკმაო რაოდენობის საქონელი" [2], ე. ი. აუცილებელია ზღვის სანაპიროს მდებარე რაიონების ეკონომიური განვითარება და ვაჭრობის აღმავლობა. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, შავ ზღვაზე „სამხედრო და დიდი სავაჭრო ფლოტი" განვითარდეს, ამის შემდეგ დაიწყება საზღვაო სარეწების მოწ-

* 1878 წლის 13 ივნისს ინგლისისა და ავსტრო-უნგრეთის მოთხოვნით ბერლინში მოწვეულ იქნა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე ხელმოწერილ იქნა ტრაქტატი, რომელმაც რუსეთის საზიანოდ სერიოზული ცვლილებები შეიტანა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში. რუსეთს გადაეცა ყარსი და არდაგანის რაიონი, ასევე გადაეცა ბათუმი, რომელიც გამოცხადდა თავისუფალ ნავსადგურად. ბერლინის ტრაქტატი მოქმედებდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 179.

[2] იქვე, გვ. 68.

ყობა, თუმცა „ყოველი სარეწაო მხოლოდ მაშინაა ხელსაყრელი, — მიუთითებს ნ. ნიკოლაძე, — როცა სწორად წარმოებს, როცა წარმოების იარაღი დაცულია შემთხვევითი განადგურებისაგან და გააჩნია კაპიტალი, რომელიც უზრუნველყოფს მწარმოებელს იმ დრომდე, სანამ იარაღის ბუნებრივად მოძველებით გამოწვეულ დანაკარგს გადაჭარბებით არ დაფარავს მისი პატრონის ჭარბი შემოსავალი“ [1].

ნ. ნიკოლაძეს სწამს, რომ თევზჭერისა და საკაბოტაჟო ფლოტის შესაქმნელად აუცილებელია შავი ზღვის ნავსადგურების მოწყობა, მისი აზრით, კაპიტალის მფლობელ არც ერთ მეწარმეს ვერ აიძულებ კაპიტალი დააბანდოს იმ დარგში, რომლის შემოსავალი დამოკიდებული იქნება ბუნების პირობებსა და კლიმატზე. ნ. ნიკოლაძე აგრეთვე ასახელებს სხვა მიზეზსაც, სახელდობრ: შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარებას ხელს უშლის გემების მოძრაობა მხოლოდ ჩრდილოეთში. ფაქტია, რომ ოდესაში ჩამოტანილი ინგლისური ქვანახშირი დღემდე კონკურენციას უწევს დონბასის ქვანახშირს, მაშინ, როდესაც დონბასის ბასეინი ოდესას მხოლოდ 100 ვერსითაა დაცილებული, მაგრამ „ქვანახშირის გადაზიდვა ამ მანძილზე“ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. შავ ზღვაზე საკაბოტაჟო გემების ტონაჟის სიმცირე იმითაც აიხსნება, რომ ვერ მოგვარდა გემებისა და ტვირთის დაზღვევის საქმე სამხრეთ სანაპიროებზე ცურვისათვის, ამას ნავსადგურების ცუდი პირობებიც ერთვის.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძის აზრით შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარების ორი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია — ნავსადგურების უქონლობა და სანაპიროს მოუწყობლობა.

ნ. ნიკოლაძეს აღმაშფოთებელ ფაქტად მიაჩნია ის, რომ საზოგადოებას სანავსადგურო ქალაქების მნიშვნელობაზე არასწორი წარმოდგენა აქვს. „სანავსადგურო ქალაქს,—მიუთითებს ნ. ნიკოლაძე, — ჩვენში უყურებენ, როგორც რაღაც განსაკუთრებულს, რომელსაც სხვა არაფერთან კავშირი არა აქვს, და ეს მაშინ, როცა სინამდვილეში ნავსადგურები წარმოადგენენ ბოლო სადგურებს, დიდ ვაგზლებს, სადაც მთავრდება ქვეყნის ში-

[3] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 70.

და გზები და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს საქონლის უფრო შორს გადაზიდვა"[1]. ნ. ნიკოლაძეს სავსებით სწორად მიაჩნია ნავსადგურები სახელმწიფოს შიდა გზების განუყოფელ ნაწილად, ურომლისოდაც ქვეყანა ვერ განვითარდება ეკონომიურად, მისი აზრით, ნავსადგურების აშენება ქვეყნის შიდა ტერიტორიებთან კავშირის გაუმჯობესების გარეშე ან პირიქით, გზების გაუმჯობესება ნავსადგურების მოწყობის გარეშე „თანაბრად არარაციონალურია, ნახევრად გაკეთებული საქმეა და არასოდეს არ მოგვცემს". საჭირო შედეგებს.

ნ. ნიკოლაძის აზრით, შავ ზღვაზე აუცილებელია შორეული ნაოსნობის, კაბოტაჟისა და გემთმშენებლობის განვითარება, რომელთა გარეშე შავი ზღვის ბასეინი არასოდეს არ იქნება ქვეყნის მთავარი არტერია, ნ. ნიკოლაძე ამ მომენტებს არჩევს ცალ-ცალკე და იძლევა მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს მოშავალში ნაოსნობის განსავითარებლად.

ახლო და შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობა ნ. ნიკოლაძის მიხედვით, ხელსაყრელი იქნება მხოლოდ შავი ზღვისა და სუეცის არხის მეშვეობით. ამისათვის საჭიროა შავ ზღვაზე შერჩეულ იქნას სანავსადგურო ქალაქი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „ეს ნავსადგური უნდა იყოს მეტად დიდი და გამოსადეგი მთელი წლის განმავლობაში შორეული ნაოსნობის გემების მისაღებად და ყველაზე ახლო უნდა იყოს სამრეწველო ოლქების ცენტრიდან — მოსკოვიდან — სუეცის არხამდე"[2]. აგრეთვე, დასძენს ნ. ნიკოლაძე, საბითუმო ვაჭრობა მოითხოვს, რომ ეს ნავსადგური მზად იყოს საიმპორტო საქონლის შეუფერხებლად მიღებისათვის.

ნ. ნიკოლაძის აზრით, შავ ზღვაზე ასეთ ნავსადგურად გამოდგება სევასტოპოლი, გაშენებული მოხერხებული ყურეს სიღრმეში და რომლის „უბეები ქმნიან ასევე მოხერხებულ ბუნებრივ აუზებს ყველაზე დიდი გემების დასადგომად, ხოლო ქარგი ჰავა და ნავსადგურის ირგვლივ მდებარე ნოყიერი მიწები სე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6. გვ. 73.

[2] იქვე, გვ. 75.

ვასტოპოლს ჩრდილოეთის სანაპიროს ყველა სხვა ქალაქზე მაღლა აყენებს" [1].

ნ. ნიკოლაძე უყურადღებოდ როდი ტოვებს შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს. მაგრამ მიუთითებს, რომ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისათვის შავი ზღვის აღმოსავლეთის ნავსადგურებს არა აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, თუმცა „ინდოეთისაკენ რკინიგზის გაყვანის შემთხვევაში ამიერკავკასიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიო ვაჭრობაში" [2]. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო იმავე პერიოდისათვის მოუმზადებელი იყოს კაბოტაჟის შესაქმნელად. ნ. ნიკოლაძის აზრით, იგი იქნება მომავალში ჩრდილოეთ სანაპიროს დამატება „კაბოტაჟისა და თევზჭერის განვითარების საქმეში". იგივე შეიძლება ითქვას გემთმშენებლობაზე, „რომლის განვითარებასაც აღმოსავლეთი სანაპირო, რომელიც მდიდარია გემთმშენებლობისათვის საჭირო ძვირფასი ჯიშის ტყეებით, არაჩვეულებრივად ხელსაყრელ პირობებს უქმნის" [3].

ბათუმის შემოერთებამ, ნ. ნიკოლაძის აზრით, ერთი კარგი საქმე გააკეთა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და თურქული ტიპის საკაბოტაჟო გემების მშენებელთა ბევრი გამოცდილი ოსტატი შეიძლება გამოყენებულ იქნას გემთმშენებლობის განსავითარებლად და „კარგ ნიადაგზე დასაყენებლად".

ნ. ნიკოლაძემ 1878 წლის ივლისის თვეში გაზეთ „ობზორში" მოათავსა სპეციალური წერილი, რომელშიც სრულყოფილად გაანალიზა ზემოაღნიშნული საკითხი.

შავ ზღვაზე გემთმშენებლობის გასაშლელად ნ. ნიკოლაძეს თავისი მოსაზრებები გააჩნდა, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის, რომ ეპოვნათ ისეთი ადგილი, სადაც გემთმშენებლობა უზრუნველყოფილი იქნებოდა სამშენებლო მასალებით. იგი წერს, რომ „ქვანახშირის, რკინისა და თუჯის წარმოების მახლობლად რკინის გემებისა და მათთვის საჭირო მანქანების მშენებლობა იაფი დაჯდება, რაც წარმოადგენს რკინისაგან აგებუ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 76.

[2] იქვე, გვ. 77.

[3] იქვე, გვ. 78.

ლი ორთქლის გემების ღირებულების ძირითად ფაქტორს»[1] ასეთ ადგილებად შავი ზღვის ბასეინში მას მიაჩნია ნიკოლაევი — სამხედრო გემთმშენებლობისათვის, ხერსონი—ხის გემებისათვის და ა. შ. როსტოვი, მაგალითად, ეკვრის დონეცკის ქვანახშირის აუზს, სადაც ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება ქვანახშირის მოპოვება, თუჯის გამოდნობა და რკინის დამუშავება.

საინტერესოა, რომ ნ. ნიკოლაძე საკაბოტაჟო და თევზსაჭერი გემების ასაშენებელ ადგილებს შორის უპირატესობას ანიჭებს ბათუმს, მაგრამ სამართლიანად მიუთითებს: ომის შედეგად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ნავსადგურებიდან ხალხი გაიხიზნა, რის გამოც არ მუშავდება გასატანი საქონელი, არ არის მოთხოვნა თევზზე. ნ. ნიკოლაძე იძლევა რჩევას, დავუბრუნდეთ ნაცად მეთოდს და დავიწყოთ ამ კუთხის კოლონიზაცია, მაგრამ იგი იქვე სვამს კითხვას: არის თუ არა ხელსაყრელი პირობები ამისათვის? და ამ კითხვას თვითონვე პასუხობს: „ჩვენში არსებობს კოლონიზაციისათვის არახელსაყრელი პირობები... კერძოდ: ა) ღია, გემებისათვის მიუდგომელი ზღვის ნაპირი, ბ) სანაპირო გზების უქონლობა, ამ პირობებიდან პირველის აღმოფხვრა შეიძლება კაბოტაჟისა და თევზჭერის დაუყოვნებლივ შექმნით, რითაც ჩვენ მივიღებთ მძლავრ საშუალებას ზღვისპირა კოლონიების ხელსაყრელი არსებობისათვის"[2]. ნ. ნიკოლაძე მოუწოდებს მთავრობას გაიღოს საჭირო სახსრები, მომავალში კი გაწეული ხარჯები გადაჭარბებით ანაზღაურდება. ამის შემდეგ საბოლოოდ მოხდება რუსეთის იმპერიის სამხრეთის, კავკასიისა და რუსეთის მთელი მეურნეობის ეკონომიური განვითარების აღმავლობა. აი, ნ. ნიკოლაძის მთავარი მიზანი.

ნ. ნიკოლაძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ყველა იმ საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც დაკისრებული აქვს გახსაზღვროს სახელმწიფოს მთავარი ამოცანები და ამ ამოცანების მიღწევის გზები. „მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საერთო წარ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 80.

[2] იქვე, გვ. 83.

მოდგენა სახელმწიფოს საჭიროებასა და მოთხოვნილებაზე... მათი დაკმაყოფილების საერთო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის რეალურ საშუალებებს, ურომლისოდაც წარმატებებზე ფიქრიც არ შეიძლება", — დაასკვნის ნ. ნიკოლაძე [1].

იმ პერიოდის პეტერბურგის გაზეთები, უთუოდ მთავრობის შეხედულების გათვალისწინებით, მეტად აზვიადებდნენ ბათუმის, როგორც ნავსადგურის, მნიშვნელობას. ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა ამის შესახებ და აღნიშნავდა, რომ საჭიროა ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დაჩქარება. ბათუმი არის ერთერთი ჩვეულებრივი პუნქტი შავ ზღვაზე რუსეთის ვაჭრობის წარსამართავად. „როგორც არ უნდა განვითარდეს ეს ქალაქი,—წერდა ნ. ნიკოლაძე,—სახელმწიფო ადამიანების თვალში ვერ დაჩრდილავს იმ ფაქტს, რომ 80 მილიონიანი რუსეთის მოსახლეობას ვერ ეააკმაყოფილებს მხოლოდ ბათუმის მეშვეობით ვაჭრობა" [2]. ნ. ნიკოლაძის აზრით, ბათუმის დიდ სავაჭრო ნავსადგურად გადაქცევა სასარგებლო იქნება უცხოური კაპიტალისტებისათვის და არა რუსეთისათვის, რამდენადაც ბათუმი გამოცხადებულია „პორტოფრანკოდ", თავისუფალ ნავსადკურად.

მაგრამ ნ. ნიკოლაძე მართებულად აღნიშნავს, რომ ბათუმს რუსეთისათვის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მისი შემოერთებით თურქეთს გამოეცალა სასაზღვრო სიმაგრე. „ბათუმი ჩვენი საუკეთესო საყრდენი პუნქტია შავ ზღვაზე, — წერდა იგი, — სამხედრო კრეისერების ნავსადგური, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისარგებლოთ შავი ზღვით იმდენად მაინც, რამდენადაც ეს საჭიროა ჩვენი მარჯვენა ფლანგის, თურქეთის საზღვარზე სტრატეგიული თავდაცვის ხაზის გასამაგრებლად" [3].

ბათუმის ნავსადგურის სავაჭრო ბრუნვის გასადიდებლად, ნ. ნიკოლაძე მთავრობას ერთხელ კიდევ მოაგონებს დააჩქაროს

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 85.

[2] იქვე, გვ. 568.

[3] იქვე, გვ. 570.

სამტრედია—ბათუმის რკინიგზის გაყვანა და მის ახლო-მახლო ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდა.

ნ. ნიკოლაძე იყო არა მარტო ყოველმხრივ განათლებული საზოგადო მოღვაწე, არამედ დიდი პრაქტიკოსიც. მაგალითად, ნ. ნიკოლაძე ფოთის ნავსადგურის მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის განვითარებისათვის. ფოთი იქნებოდა ნავსადგური, საიდანაც უნდა გასულიყო ქართული მარგანეცი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია [1].

ნ. ნიკოლაძეს დიდად აფიქრებდა თავისი სამშობლოს ჩამორჩენა და მთელ ძალ-ღონეს ერის აღორძინების კეთილშობილურ საქმეს ახმარდა. ნ. ნიკოლაძეს საქართველოს წინსვლის ფაქტორად სხვა ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და აღებ-მიცემობის გაშლა-განვითარება მიაჩნდა. ამ მხრივ, ფოთის ნავსადგურს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა [2].

1894 წლის 25 სექტემბერს ნ. ნიკოლაძე არჩეულ იქნა ფოთის ქალაქისთავად, დაახლოებით 20 წელი განაგებდა ქალაქს. მისი „ხანგრძლივი მეცადინეობით" ფოთი „ფიცრულ სახლებიანი" ქალაქიდან მოწინავე სამრეწველო, სავაჭრო, სანავსადგურო ქალაქი გახდა. ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში არაერთგზის ჩავიდა ნავსადგურის პროექტის საქმეებზე. „ნავ-სადგურის საქმე იმ ლაფში ჩაფლულ ურემის ბედს მომაგონებდა, — იგონებდა ნავსადგურის მშენებლობის უფროსი ინჟინერი მეიერი, — რომელსაც გარს აუარებელი ხალხი დასტრიალებდა სიცილითა და ხარხარით, ხოლო საშველად კი არც ერთს თავი არ შეუწუხებია. ასეთ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ნავ-სადგურის საქმე 1895 წლამდის, ხოლო როცა ამ დროს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე სათავეში ჩაუდგა მას, მისი ბედ-იღბალიც ისე შეიცვალა, რო-

---

[1] ნ. ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობისადმი მიძღვნილია მრავალი შრომა, რომელთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მ. პაპკორიას „ფოთის წარსულიდან", გამოქვეყნებული 1967 წელს, ამ ნაშრომში სრულყოფილად არის დახასიათებული ნ. ნიკოლაძის ღვაწლი, ამდენად ჩვენ აქ მისი მოღვაწეობის ამ მხარეს სრულად არ განვიხილავთ.

[2] მ. პაპკორია, ფოთის წარსულიდან, 1967, გვ. 98.

გორც მკვიდრთა კეთილდღეობას შეეფერებოდა. თუმცა ამ მხნე მუშაკს დიდი აღმართი შეხვდა, მაგრამ იგი არ შეუდრკა არავითარ დაბრკოლებას და ეს ძნელი საქმე ბოლომდის მიიყვანა“ [1].

ნ. ნიკოლაძის უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით ბევრი საშვილიშვილო ღონისძიებანი გატარდა ფოთში: 900-იან წლებში ქალაქში გაყვანილ იქნა ელექტროგანათება; წყალდიდობათა თავიდან აცილების მიზნით მდინარე რიონის გასწვრივ აშენდა ჯებირები; გაყვანილ და აშენებულ იქნა ბევრი არხი და ხიდი; 1898 წელს ამუშავდა პირველი სამკურნალო დაწესებულება; სანიმუშო იყო ქალაქის სანიტარული მდგომარეობა; ქალაქი დაამშვენა საუკეთესო ბაღმა; აშენდა კეთილმოწყობილი სასტუმრო; განვითარდა ქალაქის ტრანსპორტი; გაყვანილ იქნა ცხენის ტრამვაი და სხვ.

ბ) ნ. ნიკოლაძის შეხედულებები ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების შესახებ

ნ. ნიკოლაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების შესახებ საკითხების განხილვას, მას კარგად ესმოდა ეკონომიკაში კრედიტისა და ბანკების მნიშვნელობა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, საქართველოში გატარებული საგლეხო რეფორმის შედეგად, გაძლიერდა ქართველი გლეხების დიფერენცირება და მემამულეთა ხელში ძირითადი საწარმოო საშუალების — მიწის თავმოყრა, რამაც ხელი შეუწყო კაპიტალისტური წარმოების წესის სწრაფ განვითარებას.

რეფორმის შემდგომ პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა კაპიტალისტურ საწარმოთა რიცხვი, ფართო გასაქანი მიეცა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას, რაზედაც კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საზღვაო და სარკინიგზო ქსელის ზრდამ. „გაუგონარი ტემპით იწყო განვითარება მევახ-

[1] ვ. პაჭკორია, ფოთის წარსულიდან, გვ. 116.

შეობამ, რომელმაც კაბალური სესხების გაცემით თავის კლანჭებში მოაქცია უშრომლად შემოსავლის მიღებას დაჩვეული მემამულეთა კლასი და უმიწოდ დარჩენილი გლეხობა“ [1].

მეფის მთავრობა ცდილობდა ყოველგვარი პირობები შეექმნა თავადაზნაურობის დრომოჭმული ბატონობის გახანგრძლივებისათვის. მთავრობის ასეთი პოლიტიკის შედეგად თავადაზნაურობას დიდი სახსრები მოეპოვებოდათ, მაგრამ უყაირათობამ, დროსტარებამ და ფუფუნებით ცხოვრებამ აიძულა ისინი ვაჭარ-მევახშეებისათვის მიემართათ, გაეძლიერებინათ მოიჯარადრე გლეხობის ექსპლოატაცია.

მეფის მთავრობამ მიწების დიდი ფასები დააწესა და გლეხობის უდიდეს ნაწილს მოუსპო მათი შეძენის შესაძლებლობა, ღარიბი გლეხობის სამუშაო ძალა უკვე საქონლად იქცეოდა. გლეხები იძულებული გახდნენ საარსებო საშუალებათა უზრუნველსაყოფად დაეტოვებინათ მამაპაპისეული ადგილები და ქალაქში წასულიყვნენ. ქალაქებში „ფულის საშოვნელად“ გასვლას შედეგად მოჰყვა თვით სოფელშიც მუშახელის ნაკლებობა, სოფელი გახდა მრეწველობისათვის იაფი მუშახელის მიმწოდებელი ბაზარი, ე. ი. შრომის შინა ბაზარი.

ფეოდალიზმის ნაშთების არსებობა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას აფერხებდა, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდიოდა და ქართული სოფელიც ემორჩილებოდა კაპიტალისტური წარმოების წესის კანონებს.

ისევე როგორც რუსეთში, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოითხოვდა მტკიცე ფულის მიმოქცევის შემოღებას, რაც ოქროს მონომეტალიზმზე გადაუსვლელად შეუძლებელი იყო. „ოქროს მონომეტალიზმი ისეთი საშუალება იყო, რომელზედაც თავის დროზე კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი სხვა სახელმწიფოებიც გადავიდნენ“ [2]. მაგრამ რუსეთში „...ოქ-

---

[1] რ. კაკულია, ქართული ეკონომიური აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 11 — 12.

როს მონომეტალიზმის შემოღების წინააღმდეგ გაილაშქრეს მემამულეებმა, გაუფასურებული და გაუფასურების პროცესში მყოფი ქაღალდის ფული ხელს უწყობდა პურის გაზიდვას უცხოეთში, სადაც რუსეთის პური იაფად იყიდებოდა. გაუფასურებული ფულის მიმოქცევის პირობებში მემამულე სულ უფრო და უფრო მეტ ქაღალდის ფულს ღებულობდა თავის პურში და იგი უფრო ადვილად ფარავდა მამულის გირაოს ქვეშ მიღებული სესხის დავალიანებას. „გაუფასურების შედეგად მცირდებოდა მემამულეთა რეალური ვალი. ამ ბრძოლაში ბურჟუაზიასა და მემამულეებს შორის უკანასკნელნი დამარცხდნენ. გადაწყდა ოქროს მონომეტალიზმის შემოღება“ [1].

უურადსაღებია ის გარემოება, რომ საქართველოში ცოტა განსხვავებულ მდგომარეობასთან გვქონდა საქმე: ქართველ მემამულეებს ფული სჭირდებოდათ, მათ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა გლეხობის ძარცვით მიღებული სახსრები, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება გირაოდ ჩაეგდოთ ვაჭარ-მევახშეებისათვის. აღებული სესხის დაფარვა მემამულეთა ძალღონეს აღემატებოდა, რის გამოც დაგირავებული სიმდიდრე მევახშეთა ხელში გადადიოდა. ისშება კითხვა: მეფის მთავრობა ასეთ ვითარებას აქცევდა თუ არა ყურადღებას? რა თქმა უნდა, იგი ზრუნავდა მემამულეთა ინტერესებისათვის და ამით ხელს უწყობდა მთავრობის წევრთა და მოხელეთა „გადარჩენასაც“, რამდენადაც ისინიც მემამულეები და მდიდარი მიწათმფლობელები იყვნენ. სწორედ ამ მიზნით საქართველოში შეიქმნა 1810 წელს პირველი საკრედიტო დაწესებულება — „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო“ (,,Приказ“), რომელმაც დიდი როლი შეასრულა მემამულეებისათვის სესხების გაცემის საქმეში, მაგრამ „იმის შესრულება მაინც ვერ შეძლო, რაც საერთოდ დაკისრებული ჰქონდა საკრედიტო დაწესებულებებს, სახელდობრ მევახშეობის მინიმუმამდე დაყვანა“ [2].

[1] ნ. ქ ო ი ა ვ ა, კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ნაწ. II, 1960, გვ. 142.

[2] რ. კ ა კ უ ლ ი ა, ქართული ეკონომიური აზროვნების ისტორიიდან, გვ 12.

„საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო“ წარმოადგენდა საქველმოქმედო ორგანიზაციას, მაგრამ მას მოგვიანებით ანაბრების მიღებისა და სესხების გაცემის უფლება მიეცა უძრავი ქონების გირაოს ქვეშ. იმის გამო, რომ აღნიშნული საკრედიტო დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა სრულად მემამულეთა მოთხოვნებს, საჭირო გახდა მათი ინტერესების დაცვისათვის შექმნილიყო ახალი დაწესებულება, რომელიც აგრეთვე წინ აღუდგებოდა მევახშეობას.

შეიძლება ითქვას, რომ ეს დაწესებულება ნახევრად საკრედიტო ინსტიტუტი იყო. მას რეფორმის შემდეგ უმოქმედობა დასჩემდა, ადგილს უთმობდა კაპიტალისტურ საკრედიტო დაწესებულებებს. რუსეთის იმპერიაში მეფის მთავრობამ 1859 წელს გაატარა საკრედიტო რეფორმა, რითაც მათ ხელი აიღეს გრძელვადიან საჰიპოტეკო საკრედიტო ოპერაციებზე, ამ სახის საკრედიტო ოპერაციები ამიერიდან უნდა ეწარმოებინა კერძო საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის რუსეთში მრავლად იყვნენ. სახელმწიფომ თავის განმგებლობაში დაიტოვა მხოლოდ მოკლევადიანი კომერციული კრედიტი, რომლის გაცემასაც სახელმწიფო კომერციული ბანკი აწარმოებდა [1]. 1860 წელს მეფის ხელისუფლებამ მოითხოვა „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოს“ შეეწყვიტა საკრედიტო ოპერაციები, მაგრამ იმის გამო, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოში არ არსებობდა სხვა საკრედიტო დაწესებულებანი, მას კრედიტის გაცემის ნება დართეს, ხოლო 1872 წელს „საგანგიო“ ყველგან გაუქმდა.

ფეოდალური ინტერესების დაცვისათვის საკრედიტო დაწესებულებათა მოშველიება არ არის დამახასიათებელი კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი ყველა სახელმწიფოებისათვის. ბატონყმური სახელმწიფოს ერთობლივი ზემოქმედება კრედიტის სფეროში გაელენას ახდენდა მემამულეთა მიწათმფლობელობისა და მეურნეობების ბედზე.

რუსეთში საბანკო-სამიწათმოქმედო კრედიტის გაცემა ხდე-

---

[1] უფრო ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX სს. ტ. II, გვ. 273.

ბოდა მე-18 საუკუნის 50-იან წლებში მემამულე-ბობოლათა სამომხმარებლო „საჭიროებისათვის". რუსეთში ბანკებს თვითონ სახელმწიფო ქმნიდა, რომელიც განუსაზღვრელი რაოდენობით ღებულობდა ანაბრებს და იხდიდა მათ სარგებელს, მიუხედავად საბატონო მეურნეობების არსებობისა და კრედიტზე მათ მცირე მოთხოვნილებათა პირობებში.

სახელმწიფოს განკარგულებაში თავისუფალი ფულადი სახსრების თავმოყრა სასარგებლო იყო მათი მფლობელებისათვის, ამ თანხებს სახელმწიფო გარანტია ეძლეოდა. ბანკებში ფულადი სახსრების კონცენტრაციამ იმ დროისათვის უჩვეულო რაოდენობას მიაღწია (1861 წლის საგლეხო რეფორმის წინ ანაბრები შეადგენდა დაახლოებით 1 მილიარდ მანეთს).

რუსეთის სახელმწიფო ბანკი, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, დაინტერესებული იყო მემამულეებზე გაეცა გრძელვადიანი სესხები და მათი სარგებლით დაეფარა მეანაბრეთა პროცენტი და გარკვეული შემოსავალიც დარჩენოდა. სესხის დაფარვის ვადები გაიზარდა 8-დან 37 წლამდე, იზრდებოდა მათი შეფარდებითი ზომაც ფეოდალური რენტის გადიდების კვალობაზე.

რეფორმამდელ რუსეთში კი კაპიტალისტური სამიწათმოქმედო კრედიტის დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ სესხის გაცემა წარმოებდა ხანგრძლივი ვადით (66 წლით) და განუსაზღვრელი რაოდენობით, მხედველობაში არ ღებულობდნენ სესხის ამღებთა ნამდვილ მეურნეობრივ მოთხოვნილებებს, ხდებოდა მემამულეთა მიერ სესხის პარაზიტული, უსარგებლო მოხმარება. საბოლოო ჯამში საჰიპოტეკო კრედიტი ხელს უწყობდა რუსეთის მემამულური მიწათმფლობელობის გახანგრძლივებას.

—

რეფორმამდელი რუსეთის ეკონომიკის განვითარებას აბრკოლებდა აგრეთვე სახელმწიფოში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების თავმოყრა თვით სახელმწიფოს საკრედიტო დაწესებულებაში — რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკში, რაც ხელს უშლიდა კერძო კომერციული ბანკების განვითარებას. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში ფართო გაქანება ჰპოვა კო-

შერციული ბანკების მიერ გამოშვებულ ობლიგაციებზე დამყარებულმა საბირჟო სპეკულაციამ და სააქციო საზოგადოებებმა, სახელმწიფო ვალების რუსული ფორმა კი გამანადგურებლად მოქმედებდა კერძო ბანკების წყაროებზე და სიმდიდრის ზრდაზე.

ამრიგად, რუსეთი კაპიტალიზმში შევიდა კაპიტალისტური საბანკო კრედიტის არარსებობის პირობებში, მემამულე-მიწათმფლობელთა და სახელმწიფოს მიერ მილიარდობით მანეთის უსარგებლოდ ხარჯვითა და ეკონომიკაში მისი გამოუყენებლობით, რამაც ქვეყანაში დიდად შეაფერხა ახლად დაწყებული რკინიგზებისა და მეურნეობის სხვა დარგების მშენებლობა. საჭირო შეიქმნა კაპიტალისტური საკრედიტო სისტემების შექმნა და მათი დაფინანსება უცხოური სესხებით.

რუსეთის მსგავსად საქართველოშიც, კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების პირობებში, თანდათან იზრდებოდა ფულისა და კრედიტის როლი და მნიშვნელობა. მაგრამ საკმარისად არ იყო განვითარებული კომერციული კრედიტი, რაც მწვავედ იგრძნობოდა.

კაპიტალიზმი მისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტების დაარსებას მოითხოვდა, პირველ რიგში — საკრედიტო დაწესებულებების. თბილისში სახელმწიფო ბანკის განყოფილება გაიხსნა 1866 წელს, ხოლო 1871 წელს შეიქმნა თბილისის კომერციული ბანკი, 1873 წელს — ურთიერთკრედიტის საზოგადოება, 1874 წელს — თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, 1875 წელს — ქუთაისის (მიხეილის) სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ინტენსიურად მრავლდებოდა სხვადასხვაგვარი საკრედიტო დაწესებულებები, მათ შორის უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ბანკის განყოფილებების გახსნა ბათუმსა და ქუთაისში და სხვ. სოფლად ფართო გავრცელება ჰპოვა შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობებმა.

ამ პერიოდის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა აზრით, საქართველოში საკრედიტო დაწესებულებებს იმდენად ექნებოდა მნიშვნელობა, რამდენადაც ის თავადაზნაურობას დააშო-

რებდა მევახშის კლანჭებს, იაფი კრედიტით ხელს მოუმართავდა გლეხობას და ამით ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობა-განვითარებას.

ნ. ნიკოლაძე ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობათა საკითხებს განიხილავდა საქართველოს ეკონომიურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირში, სახელდობრ, იგი ღრმად იყო რა დაინტერესებული ქართველი გლეხკაცის მდგომარეობის გაუმჯობესებით, ცდილობდა საბანკო საქმის საქართველოში „კეთილ ნიადაგზე“ ორგანიზაციას, რამდენადაც ამ საკითხის „მოგვარება“ აგრარული საკითხის გადაჭრის ერთერთ პირობად მიაჩნდა.

ნ. ნიკოლაძისათვის ნათელი იყო, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოში გამწვავდა ეკონომიური მდგომარეობა. ძირითადი მწარმოებელი კლასი — გლეხობა უმიწოდ დარჩა, თავადაზნაურობას კი დღითი დღე ხელიდან ეცლებოდა მამულები. საჭირო გახდა რადიკალური ზომების მიღება. ამ საქმეში განსაკუთრებული როლის შესრულება სწორად ორგანიზებულ და კარგად მოწყობილ ბანკს უნდა დაკისრებოდა.

ნ. ნიკოლაძე ქართველ საზოგადოებას რჩევას აძლევს შეისწავლოს, გაარკვიოს, თუ როგორი არის ბანკის სტრუქტურა და მისი შექმნის ისტორია. ნ. ნიკოლაძემ თავის ნაშრომში ამ საკითხების განხილვას დიდი ადგილი დაუთმო. „საზოგადოთ რომ თქვას კაცმა, „ბანკს“ მარტო იმ ადგილს, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — იმ დაწესებულებას ეძახიან, სადაც ფულების შენახვა და ცოტა ხნით სესხება შეიძლება. იმ ქვეყნებში, საცა დიდი აღებ-მიცემაა გამართული, თითქმის ყოველი მწარმოებელი (ფაბრიკანტი), ყოველი ვაჭარი და მეპატრონე ისეთ მდგომარეობაშია, რომ დღეს ათასი თუმნობითა აქვს ჯიბეში, ხვალ კი ასი გროშიც არა აქვს და ზეგ კიდევ უწინდელზე მეტი შემოუდის. იმისათვის, რასაკვირველია, ძნელია, რომ რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში ფული ჯიბეში უსარგებლოდ ედვას; ათასჯერ უფრო ძნელია მისთვის, რომ დაჭირვების დროს, საკმაო ფული არ მოეძებნოდეს და შოვნაც ეძნელებოდეს. ამის გამო იმ ადგილებში, საცა დიდი აღებ-მიცემაა... მო-

იგონეს ისეთი დაწესებულება, სადაც ფულის პატრონს შეაქვს ფული მოკლე ან გრძელი ვადით, და საიდანაც ფულის მაძიებელს აგრეთვე მოკლე ან გრძელი ვადით ფული გამოაქვს. ამისთანა დაწესებულებას დაარქვეს სახელათ „ბანკი“ [1].

შემდეგ ნ. ნიკოლაძე ახასიათებს ცალ-ცალკე მსესხებელ-გამსესხებელთა უფლება-მოვალეობას, სარგებელის არსებას, მოგების ბუნებას და ა. შ. იგი სწორად მიუთითებს, რომ ისეთ ქვეყანაში, სადაც ადგილი აქვს მაღალგანვითარებულ ვაჭრობა-მრეწველობას, ბანკის ბრუნვაც სწრაფია. „მისი საქმე ჩარხსავით ტრიალებს“, ნდობაც დიდი აქვს საზოგადოებაში.

ნ. ნიკოლაძე კომერციული ბანკის აღწერის შემდეგ იძლევა სამიწათმოქმედო, საადგილმამულო ბანკის ანალიზს. მისთვის ცნობილია, რომ არიან პირები, რომლებსაც სურთ შეიძინონ ახალი ქარხნები, უკეთ განავითარონ თავიანთი ადგილმამული, სჭირდებათ ფული, რომლისთვისაც უნდა დაარსდეს ზემოაღნიშნული ბანკი, რათა გასცეს „ადგილ-მამულის კრედიტი“. „რადგანაც ამ დაწესებულებას ფულებს ესესხებიან ისეთი პირები, რომელთაც კარგი მამული აქვთ, მაგრამ ფულათ-ფული კი ძვირათ ეპოებათ და რომელიც ფულებს იშვიათად და ცოტ-ცოტათ შოულობენ, უეჭველია, რომ იმათზე გავალებული ფულის მოკლე ხანში დაბრუნების იმედი ამ დაწესებულებას არ უნდა ექნეს... ამის გამო, ამგვარი დაწესებულება მარტო მაშინ ხარობს, იმას მარტო მაშინ მოაქვს სარგებლობა და მარტო მაშინ აქვს გრძელი სიცოცხლე, როცა შეუძლია ძლიერ დიდი ხნის ვადით გაავადოს ფული და იმ ფულის დაბრუნებამდე თითონ სული არ ამოძვრეს“ [2]. ნ. ნიკოლაძე საქართველოსათვის უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს, ნაადრევად მიაჩნია კომერციული კრედიტი, რადგან ვაჭრობა-მრეწველობა „მეტის მეტად თოთოა“, „ჩვენი საზოგადოება და ხალხი თუ სასესხ ფულს იშოვის, მალე მის დაბრუნებას ვერ მოახერხებს, და იმას გულდაგული მტერის მეტი არავინ ურჩევს, რომ იმისთანა დაწესებულებებისაგან ან პირისაგან ისესხოს ფული, რომელიც

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 29.

[2] იქვე, გვ. 31.

ორიოდე თვის და ან წლის მეტს ვერ ადროებს, და მერმე ყელში ხელს წაუჭერს“ [1]. მისი აზრით, მოკლევადიანი კრედიტი ბეერისთვის დამღუპველი იქნება.

ბოლოს ნ. ნიკოლაძე დაასკვნის, რომ გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკს დიდი რაოდენობით ფული უნდა გააჩნდეს, კრედიტზე ის დიდი მოთხოვნები რომ დააკმაყოფილოს, რომელსაც საჭიროებს „მიწისმფლობელი ქართველი საზოგადოება“.

ნ. ნიკოლაძემ ნაშრომში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, როგორც უკვე აღინიშნა, შესანიშნავად გადმოსცა რუსეთის იმპერიასა და საქართველოში გლეხთა განთავისუფლების შედეგები. ის წერს, რომ „როცა მთავრობამ გლეხებს მიწა წაართვა და იგი თავადაზნაურობას დაუმტკიცა, მთავრობას ის მაინც უნდა ექნა, რომ რამე დაეკანონებინა გამოსყიდვის შესახებ და ამასთანავე ხელი შეეწყო გლეხებისათვის ფულის სესხებით“ [2]. მაგრამ მთავრობამ ყოველივე ეს გლეხებისა და „მემამულეთა ნებაყოფლობით შეთანხმებას“ მიანდო.

ნ. ნიკოლაძის სტატიაში „ბანკის საქმე ჩვენში“, რომელიც სკანდელის ფსევდონიმით გამოქვეყნდა ჟურნალ „კრებულის“ 1872 წლის მეექვსე ნომერში, სრულყოფილად არის დასაბუთებული ჩვენში სოფლის მოსახლეობისათვის სესხის გაცემის საჭიროება, სულერთია თავადი იქნებოდა ის თუ გლეხი. ცოტა ხნით ადრე „ბანკის საჭიროება ჩვენს ქვეყანაში, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — გვარიანათ საგრძნობი იყო ყველასაგან, მაგრამ ისე ძლიერ კი არა, როგორც ეხლაა. დღეს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა — განსაკუთრებით ფულის საჭიროებაში — მეტის მეტად გაჭირვებული და მოუთმენელია. საითკენაც უნდა მიიხედოს კაცმა ჩვენში, იმას ყოველგან ერთი და იგივე სანაზავი ხვდება. ყოველგან საჭიროა ადგილ-მამულის მოვლა, პატრონობა და განსაკუთრებით მისი შემუშავების გაუმჯობესება; ყველა მხრით საჭიროა ამ საქმისათვის ხარჯი და ხარჯი, და ფული კი, ამ ხარჯისთვის კი არა, აუცილებელი საჭიროების და

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 31.
[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 272.

მოუთმენავი ვალების გადასახდელათაც არსად იპოვება... და ვინც... რამდენიმე თუმანს სასესხებელს იშოვის სადმე, ის თავის თავს ისე ბედნიერათ სთვლის, თითქოს ეს ფული მოეგოს ან ეპოვოს სრულ საკუთრებათ" [1].

ნ. ნიკოლაძის აზრით, მევახშეობა ლახვარს სცემს თავადაზნაურობასა და გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით გლეხთა ის ნაწილი, რომელიც ფულის გასესხებას ეწევა, მსესხებლებს უარეს დღეში აყენებს, ვიდრე კვალიფიციური მევახშეები. „ფულიანი გლეხები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თავისი თემის წევრებს თავის მემამულეებზედ მეტად ავიწროებდნენ და ძარცვავდნენ" [2].

საქართველოში თავადაზნაურობისა და გლეხების მოთხოვნილებებით იყო განპირობებული საკრედიტო ურთიერთობის განვითარება, მაგრამ მეფის მთავრობამ 1859—1860 წლებში გატარებული საკრედიტო რეფორმით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უარი განაცხადა გრძელვადიანი სესხების გაცემაზე და ეს კერძო ბანკების ფუნქციად გამოაცხადა, თვითონ კი მოკლევადიანი კომერციული კრედიტის გაცემის უფლება დაიტოვა [3]. ამას თავისი საფუძველი ჰქონდა: მოკლევადიანი კრედიტი სათმედოა და შედარებით დიდი სარგებელი აქვს, ხოლო ხანგრძლივი ვადით გაცემული სესხი კი ხშირ შემთხვევაში უიმედოთ იყო, ვადაგადაცილებული დავალიანება კოლოსალურად იზრდებოდა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა მეფის რუსეთის ფინანსურ მდგომარეობას. აღნიშნული გარემოება კარგად ესმოდა ნ. ნიკოლაძეს, ამიტომაც ცდილობდა საკრედიტო სისტემის ორგანიზაციამდე გაერკვია ბანკის დამფუძნებელი კაპიტალის წყაროები და მისი სარგებელი. ზემოაღნიშნულ სტატიაში ის ანალიზს უკეთებს ფულის სესხება-გასესხების ოპერაციებს. მისთვის ცნობილია, რომ მევახშეებისაგან აღებული სესხის სარგებელი ისე დიდია, რომ ამ სესხის მეურნეობაში გამოყენება უშედეგო იქნება. იგი წერს: „ფულის სარგე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 22.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 47.

[3] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX ს.ს. ტ. 2, გვ. 273.

ბელზე, ხომ, რაღა ითქმის: ის იმ სიდიდეა, რომ თითქმის არცერთი საქმე არ იხეირებს, თუ მის გასაწყობლათ თავდაპირველშივე იმოდენა სარგებლის ტვირთი უნდა დააწვეს, რომ სხვა ქვეყნებში დიდ უშველებელ სარგებლათ მიაჩნიათ... დღეს მთელი ჩვენი ადგილ-მამულის შემოსავალი ძლივს აუდის ჩვენი საზოგადოების ვალების სარგებლის გადახდას" [1].

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თუნდაც იმიტომ, რომ პოლიტიკური ეკონომიის კანონებით ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი „ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით, თუ მისი შრომის ან მამულის შემოსავლიდან, ვალის სარგებლის გადახდის ვადა იმოდენა კიდევ არ დარჩა, რომ თავის საკვებად ჰყოფნიდეს" [2].

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ, თუ ვალის აღება მეურნეობას წინ არ წევს, არ ზრდის მის შემოსავალს, მაშინ „ვალი კაცის დამღუპველია", ადრე თუ გვიან იგი სესხის ამღებს თავგზას დაუბნევს, „დაუბურდავს მის საქმეს და მეხსავით დაეცემა თავზე გადახდის ვადაზე". აქედან გამომდინარე ნ. ნიკოლაძეს პოლიტიკური ეკონომიის კანონები ობიექტურ კანონებად მიაჩნია, რომელთა შეცვლა არ შეუძლია საზოგადოებას, მოითხოვს დროულად მიხედონ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, რათა შეიცვალოს უკეთესისაკენ საზოგადოების ცხოვრების არსებული მდგომარეობა. „...ჩვენს საზოგადოებას, — წერს იგი, — ამ მოკლე ხანს ან სრული ეკონომიური დაღუპვა ელის, ანდა ნელ-ნელი და მძიმე გამომთელება, ყუათზე და დონეზე მოსვლა, — ესე იგი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება" [3].

ნ. ნიკოლაძე მოითხოვს გამოიძებნოს ისეთი საშუალება, გამოინახოს ისეთი გზები, რომლებიც საჭიროა საქართველოს კეთილდღეობისათვის. მისი აზრით აუცილებელია იმ მეცნიერების შესწავლა და მოშველიება, „რომელსაც მიზნად საზო-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ.23.

[2] იქვე, გვ. 23.

[3] ნ. ნიკოლაძე, ტ. 2, გვ. 29.

გადოების განწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს და სახელად „პოლიტიკური (ანუ სოციალური) ეკონომია ჰქვია“ [1]. იგი საზოგადოებას უხსნის, რომ ეს მეცნიერება არ არის ძნელი, რომ „მისი დარიგების გაგება ყველას არ შეეძლოს და მისი რჩევა აუსრულებელი იყოს“.

ნ. ნიკოლაძე წერს, რომ პოლიტიკურ ეკონომიას მრავალი საშუალება გააჩნია ქვეყნის ეკონომიკის გამოსაკეთებლად, მაგრამ იგი არჩევს მხოლოდ ერთს — კრედიტსა და ბანკებს.

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად ამბობს, რომ არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს მხოლოდ სესხებითა და ვალებით, ესენი ხელს უნდა უწყობდნენ თვით შემოსავლების ზრდას, სწორედ ამიტომ არის საჭირო ბანკი. ამასთან ერთად იგი ქართველ ხალხს აფრთხილებს, რომ „ქვეყანაზე ღმერთს იმისთანა არა გაუჩენია რა, რომ ან ყველაფრით სასარგებლო და კარგი იყოს, ან სულ ცუდი და მავნებელი, საგნის სიკარგე და სიცუდე მომხმარზე და გარემოებაზე ჰკიდია. მაგალითად, დანის მოხმარება კაცს თავის სასარგებლოდაც შეუძლია ოჯახში და თავის მოსაკლავათაც“ [2]. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს, მისი აზრით, ბანკი, რომელიც „...ზოგ საზოგადოებას ფეხზე დააყენებს, ზოგს კი სულ ერთიანათ დაღუპავს და ამოაგდებს. ამის მაგალითები ბევრი მომხდარა ქვეყანაზე“ [3]. საჭიროა აღებული სესხი „ხეირიანად“ იქნას გამოყენებული: „ვალის აღება კარგი და კეთილი საქმეა, თუ კი ფულის სარგებელი მამულის შემოსავლის ნამატს არ გადააჭარბებს“ [4].

მართებულია ნ. ნიკოლაძის მოსაზრება, რომ საკრედიტო დაწესებულებათა ძირითადი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. იგი წერდა: „... ყოველგვარი საკრედიტო დაწესებულების ძირითადი იდეა უნდა იყოს ეკონომიური პროგრესის იარაღი და დააკმაყოფილოს

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. 2, გვ. 30.
[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. 3, გვ. 24.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 25.

ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებები“ [1].

სარგებელზე ნ. ნიკოლაძის შეხედულება ჩვენთვის იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მას მეცნიერული ღირებულება აქვს და სწორად განსაზღვრავს სარგებლის საბაზრო დონეს, რაც სასესხო კაპიტალის მიწოდებასა და მოთხოვნაზეა დამოკიდებული. „სარგებლის დაწესება მარტო ფულის გამსესხებელზე როდი ჰკიდია. რაც უფრო საჭიროა კაცისათვის ფულის შოვნა, და რაც უფრო მეტი კაცისთვის არის ეს საჭირო, მით უფრო დიდი სარგებელი ედება ფულს. აგრეთვე, რაც უფრო მეტი ფულის პატრონებია რომელსამე მხარეში, და რაც უფრო ნაკლებს რიცხვს სჭირია იმ მხარეში ფული, მით უფრო მცირდება სარგებელი“ [2].

ნ. ნიკოლაძე სესხის ამღებთ აფრთხილებს, რომ ბანკისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის ასესხებს ფულს, მისთვის სულ ერთია—„ფულის წყალში გადამყრელი თუ ხეირიანი მომხმარებელი“. „თუ ბანკის მოვალეები საღი პირები არიან, თუ მათი მამული ხეირიან მდგომარეობაშია, და თუ მამულის პატრონებს ფულის დასაფანტავად თვალები გამოჭიმული არა აქვთ, ბანკს დიდი და ადვილი ნდობა ექნება, და ძალიან იაფ ფასად შეეძლება ფულის შოვნა. თუ არა და ბანკიც — გაჭირვებულ კოტრიეით — ფულის პატრონებს დიდ სარგებელს უნდა დაპირდეს, და ეს მომეტებული სარგებელი ვალის ამღებს უნდა ახდევინოს“ [3]. თუმცა საქმე ეხება ფულის „გასესხებას ცალკე პირებს შუა“. მაგრამ სარგებლის შესახებ ეს მეცნიერული დასკვნა, რასაკვირველია, ამით არ კარგავს თავის ღირებულებას. ბანკის ჩამოყალიბების შემდეგ მისი აზრით, სესხზე სარგებელი დაბალი იქნება იმიტომ, რომ ბანკს ფულის მიღების ორი წყარო აქვს. „ჩვენში რომ ბანკი გაიმართება, იმისთანა ბანკს ორი საშუალება აქვს ფულის შესაძენათ: პირველი საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი შემძლე პირე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 371.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 2, თბ., 1960, გვ. 21.

[3] იქვე, გვ. 24.

ბი, ფულის შინ შენახვის მაგივრად, ბანკს აბარებენ თავის ქონებას (თავიანთ კაპიტალს. — რ. კ.), ძალიან მცირე სარგებლით... მეორე საშუალება ბანკისათვის ფულის საშოვნელათ „ობლიგაციებში“ მდგომარეობს“ [1].

საინტერესოა ნ. ნიკოლაძის მრსაზრება ობლიგაციის ბუნებაზე. იგი განმარტავს, რომ ბანკი ფულის გასესხებით აგირავებს მამულებს, მაგრამ ამ სესხის დაბრუნებამდე ბანკს შეუძლია ამ მამულზე უფლება ობლიგაციის მეშვეობით სხვა პირს გადასცეს და აიღოს იმდენივე თანხა, რაც სესხად გაუცია მისი მფლობელისათვის. ობლიგაციებს კერძო პირები იძენენ ბანკის ბილეთივით.

ნ. ნიკოლაძე საზოგადოებას აფრთხილებს, რომ ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მათ ცხოვრებას ძირფესვიანად გარდაქმნის ბანკი: „მარტო ბანკი საზოგადოებას ვერ გააკეთებს, თუ თვითონ საზოგადოებამ წრფელი გულით არ მოინდომა თავისი გაკეთება“ [2].

აქ ერთგვარ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. ნ. ნიკოლაძე სარგებლის საკითხში სუბიექტივისტურ პოზიციებზე დგას. მან არ იცის, რომ სარგებლის დონე არ არის დამოკიდებული „ზოგიერთი შემძლე პირების“ თანხების მოზიდვაზე „ძალიან მცირე სარგებლით“, ამასთანავე თვითონვე ამბობს, რომ ასეთი პირები საზოგადოებაში „ჩირაღდნითაც რომ ეეძებოთ, მაშინაც ვერ ვიპოვით“. რაც შეეხება ობლიგაციებს — მით უმეტეს გამოუსადეგარია, როგორც მშრომელი მასების ექსპლოატაციის დამატებითი საშუალება.

სარგებლის დონეს კ. მარქსი განსაზღვრავს როგორც შეფარდებას გასასესხებელი კაპიტალის მიწოდებასა და მის მოთხოვნას შორის [3]. სხვა დანარჩენი „განსაზღვრა თავისდათავად შემთხვევითია, წმინდა ემპირიული, და მხოლოდ პედანტობას თუ ფანტაზიორობას შეუძლია მოინდომოს, რომ ეს შემთხვევითობა აუცილებლობად დასახოს“ [4].

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 25.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 462.

[4] იქვე, გვ. 458.

ნ. ნიკოლაძეს სურდა, რომ როგორც მემამულეთათვის, ისე გლეხობისათვის იაფი კრედიტის გამცემი ბანკი შექმნილიყო, მაგრამ „... ჩვენებურ საზოგადოებაში კი სწორეთ გაბედვა ქვია ამ საქმის თაობას“ [1].

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ბახტაძე იგონებს, რომ „ნიკო ნიკოლაძე დიდ ენერგიას ხარჯავდა ჩვენში სამრეწველო და საგლეხო ბანკების დასაარსებლად, რომლებიც იაფფასიანი კრედიტის მიცემით დიდ დახმარებას გაუწევდნენ, ერთი მხრით, გლეხკაცობას მიწების შესაძენად და, მეორე მხრით, მრეწველებს ჩვენი ძალზე ჩამორჩენილი მრეწველობის გასავითარებლად და ასაღორძინებლად“ [2].

ნ. ნიკოლაძე ცდილობს შექმნას ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც საქართველოს პირობებს შეესაბამება, სახელდობრ იგი ისეთი ბანკის მომხრეა, რომელიც ქართველ თავადაზნაურობას მისცემს მამულების შენარჩუნების ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი გლეხობის ხელში გადასვლის საშუალებას. ამისათვის ბანკს დიდძალი კაპიტალი უნდა ჰქონდეს და მსესხებელს უნდა შეეძლოს აღებული სესხი ნებისმიერ დროს გადაიხადოს. თვითონ ნ. ნიკოლაძეს ასეთი ბანკის დაარსება რეალურად არ მიაჩნია, რადგან მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „ბანკს ჩარხივით ბრუნვა უყვარს“. ამრიგად ნ. ნიკოლაძეს გრძელვადიანი საჰიპოტეკო ბანკები საქართველოსათვის უსარგებლოდ მიაჩნია.

ნ. ნიკოლაძე მეორე ტიპის ბანკებსაც განიხილავს. ეს ისეთი ბანკებია, რომლებიც საბრუნავ კაპიტალს „ობლიგაციების“ გამოშვებით აგროვებენ. მისი აზრით, სანამ მსესხებელი ვალს გადაიხდის, ბანკს შეუძლია დაგირავებული მამულების საწინდრად ობლიგაციები გამოუშვას და თავისი უფლება კერძო პირებზე გაასხვისოს. ასეთ ბანკებს, რომელთა დაარსებაც შედარებით ადვილია და არც დიდი რაოდენობით თანხებს მოითხოვს — იგი საზოგადოებრივს უწოდებს.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს რუსეთის

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 29.

[2] ეურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1958, № 5, გვ. 56.

იმპერიაში ფართო გაქანება მიიღო საზოგადოებრივმა ბანკებმა, რადგან მათ დაარსებას დიდი თანხები არ სჭირდება და სესხის გაცემაც გაადვილებულია. „რუსეთში და სხვა ქვეყნებში, — წერს იგი, — ამ უკანასკნელ დროს ძალიან ბევრი საზოგადო ბანკები იმართება. ეს გასაკვირველი საქმე არ არის, იმიტომ, რომ ამნაირი ბანკი ძალიან ადვილი დასაარსებელი და ძლიერ სასარგებლოა, როგორც ფულის პატრონისათვის, აგრეთვე ვალის ამღებისათვის: მაგნაირი ბანკი დიდ ფულს არ თხოულობს დასაწყისში, და არც თავის მოვალეებს საქმეს უშვირვებს, როცა ვალის გადახდის დრო დგება; ამ შემთხვევაში იმას ადვილად შეუძლია ხელ-მეორეთ დაგირავების ნება მისცეს გაჭირვებულ მოვალეს“ [1].

ნ. ნიკოლაძის აზრით, საზოგადოებრივ ბანკებს ის უპირატესობაც აქვს, რომ დაგირავებული მამულები რჩება დამგირავებლის განკარგულებაში და შეუძლებელი ხდება მათი ჩარჩვაჭრების ხელში გადასვლა, ამასთან ერთად ღარიბები შედარებით იოლად ღებულობენ სესხად ფულს. „აი, ეს ორი მიზეზი ავრცელებს ქვეყანაზე ამნაირ ბანკებს და აბედვინებს საზოგადოებას ერთმანეთის თავდებათ დადგომას. მართალია, ჰკუიან, წინ დახედულ და გონიერ საზოგადოებისათვის ეს გაბედვა კი არა, ძალიან ნათელი ანგარიშია, მაგრამ ჩვენებურ საზოგადოებაში კი სწორედ გაბედვა ქვია ამ საქმის თაობას“ [2].

საზოგადოებრივი ბანკის სასარგებლობის დასადასტურებლად ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს ვლადიკავკაზში გახსნილი ანალოგიური ბანკის შესახებ მასალები და აღწერს, თუ როგორ უმართავს ხელს ეს ბანკი ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველებს და ატარებს ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებებს.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძეს ისეთი ბანკის დაარსება სურდა, რომლის საშუალებითაც თავიდან იქნებოდა აცილებული მევახშეთა და ვაჭართა მიერ მიწების „დაპატრონება“, ეს მიწები თანდათან შესყიდული იქნებოდა ქართველი გლეხების მიერ,

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 28.

[2] იქვე, გვ. 29.

რომელიც წინ წასწევდნენ როგორც მეურნეობას, ასევე მთელი ხალხის კეთილდღეობასაც.

ნ. ნიკოლაძისათვის ნათელია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში მწვავედ იგრძნობოდა სახსრების ნაკლებობა. „ჩვენს ქვეყანაში, — წერს იგი, — ფული არ არის. ეს, თუმც სამწუხარო ჰეშმარიტებაა, მაგრამ მაინც ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ა. ჩვენს ქვეყანაში რაც ფულია, ის ჩვენ საკუთარ მოთხოვნილებას, ჩვენს ძუძუ-მწოვარ აღებ-მიცემას და ცხოვრებას არ ყოფნის. მაშასადამე, ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აქ, ჩვენ ქვეყანაშივე, იშოვის იმ ფულს, რომელიც სჭირია ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს“[1]. ამიტომ ნ. ნიკოლაძეს ბანკის უპირველეს ამოცანად მიაჩნია „ბანკის გასამართავი“ თანხების გამოძებნა. ბანკის მესვეურებმა უნდა უჩვენონ ფულის გამსესხებლებს, რომ მათ კარგ სარგებელს მისცემენ, მათი ფული არ დაიკარგება „ადგილ-მამულის გირაოთი“ გაცემის გამო. „პოლიტიკური ეკონომიის ენით, — მიუთითებს ავტორი, — ამ საქმეს „ადგილ-მამულის დახურდავება ჰქვია“. ეს იქნება ჩვენი ბანკის პირველი და უმთავრესი საქმე“ [2].

ნ. ნიკოლაძე კატეგორიულად მოითხოვს ბანკის მესვეურებისაგან, რომ მონახონ სახსრების გამოძებნის საშუალებანი, უჩვენებს ფულის დაგროვების გზებს, კერძოდ: 1. კერძო პირებისაგან შემოტანილი ანაბრები; 2. ბანკის მიერ სააქციო, ფასიანი ქაღალდების — ობლიგაციების, გირავნობის ფურცლების და სხვ. გამოშვებითა და მათი რეალიზაციით მოზიდული სახსრები; 3. ბანკის მიერ გასესხებული თანხების სარგებელი; 4. ბანკის სარეზერვო, საფონდო კაპიტალი, რომელიც ბანკს „ხელუხლებლად შენახული უნდა ჰქონდეს მოულოდნელი შემთხვევებისათვის“.

ბანკისათვის სახსრების მოზიდვის წყაროების ჩამოთვლის შემდეგ ნ. ნიკოლაძე დაასკვნის, რომ არც ერთი მათგანი საქართველოს სინამდვილეში რეალური არ არის: „ჩვენებურ

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 3, გვ. 32.

[2] იქვე.

ბანკს, ისეთს, როგორიც სჭირია ჩვენ საზოგადოებას, კერძო პირებისგან შემოტანილი და გასესხებული ფულის შემოსავლის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ეს ყველასათვის ცხადია... დარჩა, მაშ, ქაღალდების გასაღება, რომელიც უნდა მოხდეს ჩვენში კი არა, იმისთანა ადგილებში, სადაც ფული ბლომათ და იაფათ არის. იმისთანა ქვეყნებში ჩვენ და ჩვენ ქვეყანას ძლიერ ნაკლებათ გვიცნობენ და, ამის გამო, უფრო ნაკლებათ გვენდობიან. მაშასადამე, ჩვენ ბანკს ისეთი საშუალება რამ უნდა ჰქონდეს, რომ ერთბაშათ სხვა ქვეყანაში დიდი ან გვარიანი მაინც ნდობა გაიკეთოს, რომ ბლომათ და იაფათ შეეძლოს ფულის სესხვა ან შოვნა და ჩვენსკენ წამოღება“ [1].

ნ. ნიკოლაძე ხედავს, რომ ბანკს „კარგი თვალით არ უყურებენ“. იგი მიუთითებს, რომ ბანკმა გაცემული სესხის საწინდრად უნდა აიღოს ისეთი მამული, რომელზედაც არავის არ ექნება პრეტენზია, ხოლო მემამულე თუ დროზე არ დაფარავს ბანკის ვალს, მისი გაჭირავებული მამული საჯარო წესით გაყიდულ უნდა იქნას. ასე ბანკი არაფერს არ დაჰკარგავს და აქ ყოველივე უნდა „ჩარხივით“ ტრიალებდეს. ნ. ნიკოლაძე მართებულად ასკვნის, რომ ბანკი ხელს უწყობს კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებას და კერძო კაპიტალის გადიდებას.

საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ნ. ნიკოლაძეს თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების გახსნასთან დაკავშირებით, იგი მკაცრად აკრიტიკებს ყველა იმათ, ვისაც სურთ ბანკის სალარო ყოველთვის ღია იყოს. „თითქმის მთელი ჩვენი აზნაურობა ბანკის გასხნას იმიტომ ნატრულობს, რომ მისგან სესხის აღება შეეძლოს, და ვისაც შიგ ორი-სამი თუმანი აქვს დატოვებული, ის ორასი და სამასი თუმნის გირაოს ამზადებს ფულის სასესხებლად“ [2].

ნ. ნიკოლაძე 1876 წელს. გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ წერდა, რომ ქართველი თავადაუზნაურობა დიდ იმედებს ამყარებდა საადგილმამულო ბანკებზე. ეს „გაბატონებული...

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 255.

ილუზიები და მომხიბვლელობა მიზეზია იმდროინდელი აგიტაცია-პროპაგანდისა; ადგილობრივი თავადაზნაურობა დარწმუნებული იყო, რომ საადგილ-მამულო ბანკი უნივერსალური წამალია ჩვენი მხარის ყველა საზოგადოებრივი და კერძო სატკივრის წინააღმდეგ და რომ ბანკის გახსნით ჩვენში გადმოდინდებიან სიუხვის ნაკადულები. ყოველი ამომრჩეველი დარწმუნებული იყო, რომ ბანკი ყელამდე აავსებდა თვით მას და მისი ოჯახის წევრებს. ყველა მის ნათესავსა და შთამომავალს, არა მარტო მეშვიდე, არამედ მეშვიდასე თაობამდეც კი" [1].

ნ. ნიკოლაძე ასეთ ილუზიას აქარწყლებს თბილისის საადგილმამულო ბანკის „ერთწლიანი პრაქტიკის" მასალების მეშვეობით. მას მოტანილი აქვს ციფრობრივი მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელ წოდებაზე რამდენი სესხი გასცა ბანკმა. ამ ციფრებიდან ირკვევა, რომ მიწების დაგირავებით გაცემულია 13 სესხი — 124 ათასი მანეთის, საქალაქო ქონების დაგირავებით 41 სესხი — 341,5 ათასი მანეთის. 38 მოკლევადიანი სესხის უზრუნველყოფაში აღებულია 18 მამული სოფლად, ხოლო ქალაქად—20. აქვე ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქონების დაგირავებით გაცემულ სესხს სარგებელი მოაქვს არა მიწათმოქმედისა და თავადაზნაურობისათვის, არამედ მხოლოდ ვაჭრებისათვის, რომლებიც ღებულობდნენ სესხს საადგილმამულო ბანკებიდან, და შემდეგ აძლევენ მას ასპროცენტიან სესხად წვრილ თავადაზნაურობას [2].

აღნიშნულიდან გამომდინარე ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკს ეწოდოს „თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოება".

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ საკრედიტო საქმის გასავითარებლად არ კმარა „ვესწრაფვოდეთ იაფი კრედიტის მიღებას". იგი საზოგადოებას სამართლიანად აფრთხილებდა: „საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ აღინიშნოს, რომ საკრედიტო კანონებისა და საკრედიტო საქმის განვითარების გახსენება, ანდა შესწავლა სრულიადაც არ ნიშნავს მის სასარგებლო

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 393.

[2] იქვე.

მხარეთა უარყოფას. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენის მხრივ ვაღიარებთ უეჭველ სარგებლობას, რომელიც კრედიტს მოაქვს ჩვენი მხარისათვის, შესაძლებელია ვისწრაფვოდეთ უკეთესისაკენ და ვიღწვოდეთ იმისათვის, რომ ჩვენი იაფი და ხელმისაწვდომი კრედიტი არ გაქრეს ერთ მშვენიერ დილას“ [1]. ნ. ნიკოლაძის აზრით, კრედიტი მაშინ არის სასარგებლო, როდესაც იგი ანვითარებს ქვეყნის საწარმოო ძალებს. „კრედიტი სასიკეთო და სასარგებლოა, როგორც ძალა ქვეყნის მწარმოებლურობის გადიდებისათვის. ის საშუალებაა, და როგორც ყოველი საშუალება პირდაპირ დამოკიდებულებაშია მიზანთან, რომლისკენაც უნდა მივყავდეთ, თუ კრედიტმა ქვეყანას სიკეთე არ მოუტანა და არ გაუმრავლა“, ის თავისთავად მოისპობა. კრედიტის ნაყოფი, ნ. ნიკოლაძის აზრით, „მდგომარეობს მწარმოებლურობის განვითარებაში, ქვეყნის ახალ სიმდიდრეთა შემუშავებაში“ [2].

ნ. ნიკოლაძეს ბანკი და კრედიტი მიაჩნია საქართველოს სახალხო მეურნეობის „გამმართველ“ ძალად, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ვაჭრობის, მრეწველობის განვითარებას და აყვავებას [3]. იგი 90-იანი წლებიდან ბანკის სახით გამოკვეთილად ხედავდა კაპიტალისტურ დაწესებულებას. ნ. ნიკოლაძე 1894 წელს „მოამბეში“ წერდა: „უპირველესი საგანი საადგილ-მამულო ბანკის ზემოქმედებისა მეურნეობაზე და წარმოებაზე ის გახლავსთ, რომ გონიერ მეურნეს გაუადვილოს და გაუიაფოს მეურნეობის გაუმჯობესება... მეორე მხარე საქმისა იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს უფლება და საშვალება ჰქონდეს ხანგრძლივი კრედიტი გაუხსნას იმ ამხანაგობებს თუ სინდიკატებს, რომელნიც შესდგებიან სხვადასხვა წარმოების საერთოდ წასაყვანად, ანდა წარმოების საერთოდ გასაძღოლად“ [4].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეროვნული ბურჟუაზიის დამცველის როლში ნ. ნიკოლაძე უკვე 60-იან წლებშიც

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 164.

[2] იქვე, გვ. 165.

[3] ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1931, გვ. 291.

[4] „მოამბე“, 1894, № 6, გვ. 171—172.

გამოდიოდა, იგი აღნიშნავდა: ბანკის ფულები დაგვეხმარება „მხოლოდ ქარხნების გამართვაში, მამულების გაუმჯობესებაში, ნამუშევრების გასასაღებლად გადატან-გადმოტანაში“ [1].

ნ. ნიკოლაძე შემდეგ აგრძელებს, რომ ქვეყნისათვის მნიშვნელობა არა აქვს ფულის მიმოქცევის ბრუნვადობის დაჩქარებას, რაც არ ქმნის სიმდიდრის ერთ ატომსაც. „არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში არ ხდება უფრო მდიდარი იმისაგან, რომ ფული, რომელიც მევახშეებს ჯიბეში აქვთ, გადავა „კომერციული ბანკის“ ცეცხლგამძლე ყუთებში, იქედან „საურთიერთო-საკრედიტო საკუნძაოებში, შემდეგ კი კერძო პირების ქისებში, შემდეგ ვაჭრებისა და მევახშეების ჯიბეებში და, ბოლოს, ისევე მიაღწევს ბანკებს, რომ ერთხელ, ორჯერ, ანდა ათჯერ განმეორდეს იგივე წრებრუნვა, საზოგადოებრივი ეკონომიის თვალსაზრისით ეს ოპერაცია ისეთივე მწარმოებლურია, როგორც, არც მეტი არც ნაკლები, ფულის ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანა. ამით ქვეყანას არც ერთი გრამი ახალი კაპიტალი, ახალი სიმდიდრე არ შეუძენია“ [2].

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრების თვალსაზრისით ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება მცდარია. საბანკო კრედიტი აძლიერებს, ერთი მხრივ, კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს, ხოლო მეორეს მხრივ, მწარმოებელთა დიფერენციაციის პროცესს. ცნობილია, რომ ბანკები ახდენენ მთელი საზოგადოების თავისუფალი ფულადი სახსრების თავმოყრას და მის სესხად გაცემას, მაგრამ არა ყველაზე და არა ერთნაირი პირობებით. როგორც წესი, საბანკო კრედიტი ეძლევა შედარებით მსხვილ და მყარ წარმოებას, ხოლო წვრილი წარმოება დაკნინებას განიცდის კრედიტის მიუღებლობის გამო. ამრიგად საბანკო კრედიტი აჩქარებს ქალაქისა და სოფლის წვრილ მწარმოებელთა და გლეხთა დიფერენციაციას, სამაგიეროდ აძლიერებს ერთი მუჭა კაპიტალისტების კიდევ უფრო გამდიდრებას.

ფიზიკურად კაპიტალი, წარმოების საშუალებათა სახით, არ

---

[1] გაზ. „დ რ ო ე ბ ა“, 1870, № 19.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 4, გვ. 165.

შეიძლება წარმოების ერთი დარგიდან გადატანილ იქნეს მეორე, უფრო მომგებიან (მოგების მაღალი ნორმის მქონე) დარგში. კაპიტალის გადატანა ხდება, როგორც წესი, ფულადი კაპიტალის სახით. საბრუნავი კაპიტალის ნაწილი, რომელიც გამონთავისუფლებულია ფულადი ფორმით და ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილი (საამორტიზაციო ფონდი) თავს იყრის ბანკში და მისი მეშვეობით გადაიტანება უფრო მომგებიან დარგში, ე. ი. კრედიტის მეშვეობით ხორციელდება კაპიტალისტური წარმოების რეგულატორის — ღირებულების კანონისა და წარმოების ფასის სტიქიური მოქმედება.

კრედიტი არის კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მძლავრი ბერკეტი. კრედიტის შემწეობით მსხვილი კაპიტალისტები თავის განკარგულებაში მოაქცევენ ხოლმე სხვის თანხებს. კრედიტი აფართოებს შესაძლებლობას იმისა, რომ კაპიტალისტებმა კიდევ უფრო გააძლიერონ დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია.

კრედიტი ქმნის მიმოქცევის ხარჯებში ეკონომიის რეალურ პირობებს და ამით აჩქარებს წარმოების პროცესს საერთოდ. სასესხო კაპიტალის გამოყენება ხელს უწყობს კაპიტალისტების კონკურენციის უნარის განმტკიცებას, იზრდება რა ინდივიდუალური მოგება ნასესხები კაპიტალის გამოყენებით მიღებული შემოსავლის ბაზაზე. სასესხო კაპიტალი ოპტიმალურ პირობებს ქმნის კაპიტალისტური წარმოების შემდგომი განვითარებისათვის და ამის საფუძველზე წარმოების ინდივიდუალური დანახარჯების შემცირებისათვის, რაც თავის მხრივ იწვევს კონკურენციის უნარის ამაღლებას.

საკრედიტო სისტემა, როგორც ვხედავთ, საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას და კაპიტალის ზრდას.

ნ. ნიკოლაძის აზრით, საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად უნდა მიმდინარეობდეს „კრედიტის გაიაფება და გამარტივება". მართალია, სასესხო კაპიტალს სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს სავაჭრო კაპიტალის სარგებლის დონეს, მაგრამ ამ უკანასკნელთან ბრძოლა და მისი დამარცხება სასესხო კა-

პიტალს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც სარგებლის ნორმა დაბალია და ხელმისაწვდომია მწარმოებელთათვის.

ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებს რუსეთის იმპერიის საკრედიტო დაწესებულებებს იმის გამო, რომ მიუხედავად დიდი სახსრებისა, სარგებლის დონე „ჩვენში არა თუ კლებულობს, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად მატულობს“. იგი სწუხს, რომ არ ხდება ადგილობრივი რესურსების ათვისება, არავინ არ კიდებს ხელს ახალი საწარმოების გახსნის საქმეს. მას მოჰყავს აგურის ქარხნის მშენებლობის მაგალითი (მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უდრიდა 75 ათას მანეთს), რომელიც დაკონსერვებულ იქნა და გაუქმებული. „ამ საწარმოს რეალიზაცია, — წერს ნ. ნიკოლაძე, — სწორედ მაშინ ვერ განხორციელდა, როცა ბანკებს უამრავი ანაბარები ჰქონდათ და იძულებული იყვნენ ფული ან სატახტო ქალაქების ბანკებში, ანდა სახელმწიფო ბანკებში შეენახათ, რადგან ადგილზე ფულის დაბანდება ვერ მოახერხეს“ [1].

მართლაც, 70-იანი წლების საქართველოში ჯერ კიდევ მცირე იყო მეწარმე-კაპიტალისტთა რიცხვი, თუმცა წარმოების გასამართავად სახსრები საკმარისად მოიძებნებოდა. ავტორი თუმცა საჰიპოტეკო კრედიტის ბუნების გარკვევისას ვერ ამაღლდა ჰეშმარიტი ეკონომიური მოძღვრების დონემდე, სამაგიეროდ კომერციული კრედიტის ანალიზი უფრო სწორად მოგვცა. ასევე სწორად იძლეოდა იგი სააქციო საზოგადოებათა ანალიზსაც. ნ. ნიკოლაძე არ უარყოფს, რომ სააქციო საზოგადოებები გამიზნულია მუშათა კლასის საექსპლოატაციოდ, „თვით აქციონერები, — წერს იგი, — რომელთა მოგება პირდაპირ პროპორციულია საბანკო ოპერაციების სარგებლისა, არ დათანხმდებიან შეიზღუდოს ან გაუქმდეს საკრედიტო დაწესებულებებით საბანკო ოპერაციები მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ოპერაციები ექსპლოატაციას უფრო ემსახურება, ვიდრე მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესებს. რაც შეეხება სამმართველოებსა და საბჭოებს, არც მათგან უნდა ველოდოთ სპეკულაციის განვითარების წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ისინი კიდევ

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 370.

უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი მსგავსი ოპერაციებით იმის გამო, რომ პროცენტული მოგების რაოდენობა დიდადაა დამოკიდებული საბრუნავი თანხების რაოდენობაზე და შემოსავალზე. მოსკოვის სესხის გამცემი ბანკის ისტორიამ დაგვანახვა, რომ ამ სფეროს წარმომადგენლები დანაშაულსაც კი არ ერიდებიან...“ [1]. ნ. ნიკოლაძის სტატიიდან ვრცელი ამონაწერის გაკეთება იმიტომ დაგვჭირდა, რომ სრულად წარმოგვედგინა მისი აზრის მნიშვნელობა მასზე, რომ მუშათა ექსპლოატაციის გადიდების საქმეში დიდ როლს ასრულებს კრედიტი, მაგრამ ნ. ნიკოლაძე შემდეგ, ბურჟუაზიული თვალთხედვიდან გამომდინარე, ასკვნის: საკრედიტო დაწესებულებათა მიერ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციისათვის ხელის შეწყობა განპირობებულია „ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის ზრუნვით, კანონმდებლობათა და მთავრობის ინიციატივით“ [2], რაც, რასაკვირველია, მცდარი და მიუღებელია.

გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოში განვითარდა კრედიტი, მაგრამ „მერე რა, — წერდა ნ. ნიკოლაძე, ამით განა გადიდდა ჩვენი ვაჭრობა? განა განვითარდა ჩვენში მრეწველობა; გაიხსნა ფაბრიკები, ქარხნები, სახელოსნოები? განა გაუმჯობესდა ჩვენი მიწათმოქმედების სისტემა, განა გადიდდა ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება; განა ახლა უფრო მეტი ნედლი, ანდა დამუშავებული პროდუქტები გააქვთ ჩვენი ქვეყნიდან, უფრო ნაკლები უცხოური მანუფაქტურული და საქარხნო ნაწარმოები შემოაქვთ ჩვენს ქვეყანაში? საკმარისია ხმა ამოიღო ამნაირ პატარა კითხვებზე და ჩვენი მკითხველები გიპასუხებენ მხოლოდ უარყოფითის მაჩვენებელ თავის გაქნევით“ [3].

ნ. ნიკოლაძე ასკვნის, რომ ასეთ არამწარმოებლურობას ვერ გაუძლებს საბანკო კრედიტი, იგი განწირულია. ნ. ნიკოლაძე მოუწოდებს მოწინავე ქართველ საზოგადოებას, იბრძოლონ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, რათა თავი-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 370.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 165—166.

დან აიცილონ ფულად-საკრედიტო სისტემის კრიზისი. „უნდა გვახსოვდეს, — წერს იგი, — რომ ყველგან, გამონაკლისის გარეშე, სადაც მწარმოებლობა არ ვითარდება პროპორციულად კრედიტის განვითარებისა და ამ უკანასკნელის ცალმხრივად განვითარება უცილობლად იწვევს ამ კრედიტის როგორც აქტიურ, ისე პასიურ მონაწილეთა განადგურებას“ [1].

ნ. ნიკოლაძის აზრით, კრედიტის გამოყენების ეფექტიანობა მაშინ იზრდება, როდესაც იგი ემსახურება წარმოების განვითარების საქმეს, ამიტომ კრედიტით სარგებლობის უფლება უნდა მიეცეს მეურნეებს, მწარმოებლებს. „კრედიტს თავისთავად არსად არ შეუძლია სარგებლობის მოტანა, თუ მას არ იყენებენ წარმოების გაზრდის და გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებელ საშუალებად. ამიტომ, კრედიტით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ნამდვილ მწარმოებლებს და საქმის წამომწყებთ“[2], ხოლო, „როცა კრედიტის მიღებას უადვილებ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაფერს არ აწარმოებენ, ამით მათ სწრაფი მობილიზაციის და უძრავი ქონების ასევე სწრაფად განიავებას საუკეთესო საშუალებას აძლევთ“ [3].

ჩვენი აზრით, ქართველი საბჭოთა მკვლევარების ერთი ნაწილი არასწორად იხილავს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს კრედიტზე, კერძოდ, მიწის საწინდრით თავადაზნაურობაზე საადგილმამულო ბანკების მიერ სესხის გაცემის საკითხს.

— ნ. ნიკოლაძე იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ჯერ კიდევ 1877 წელს აღნიშნა, რომ თბილისსა და ქუთაისში დაარსებული საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკების წესდების შემქმნელებს გამორჩათ მხედველობიდან გაცემული სესხის საწინდრის, გირაოს საკითხი. სწორია ნ. ნიკოლაძის მოსაზრება იმაზე, რომ ქართველი თავადაზნაურობა სესხს მიღებისთანავე ფლანგავს და დადგება დრო, როცა მათი მამულები საჯაროდ გაიყიდება, ამასთან საქართველოში მიწის ნაკვეთებზე იშვიათად იყო შედგენილი რა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 166.
[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 18.
[3] იქვე.

იმე საკანონმდებლო დოკუმენტი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა გაეანგარიშებინათ დასაგირავებელი მიწის ფასი, რეალური რომ ყოფილიყო გაცემული სესხის უზრუნველყოფა. „ქვეყანაში, — აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, — სადაც უძრავი საკუთრება არავითარი ოქმით არა აქვს დამტკიცებული მის მფლობელს, სადაც მამული ხელიდან ხელში გადადის „მემკვიდრეობით წინაპართაგან“, სადაც მთელი ნათესაობა განუყოფლად სარგებლობს მთელი ერთი მაზრის ნახევარი ან მეოთხედი მიწით და არა აქვთ გაყოფის ოქმები და მსგავსი დოკუმენტები, სადაც საზღვრის გავლება მხოლოდ ახლა იწყებს არეულ-დარეული უფლებების მოწესრიგებას და სადაც თითქმის არავის არ შეუძლია თქვას რას ფლობს და რას არა, ასეთ ქვეყანაში, ვამბობთ ჩვენ, მოქმედების დიდი ასპარეზი არა აქვს ისეთ ბანკებს, რომლებიც სესხს მიწის საკუთრებით უზრუნველყოფენ“ [1]. ნ. ნიკოლაძემ სავსებით მართებულად იწინასწარმეტყველა, რომ ზემოთ აღნიშნულ მომენტებს „პოლოსდაბოლოს აუცილებლად მიეყევართ დაგირავებული მამულების საჯაროდ გაყიდვამდე“ [2].

ეს ციტატა მოწმობს ნ. შველიძის მცდარ აზრს იმაზე, რომ ნ. ნიკოლაძეს „საკმარისად მიაჩნია ბანკის დაფუძნება საზოგადოებრივი ურთიერთობის პრინციპის მიხედვით“ [3].

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ნ. ნიკოლაძის ყველა მოსაზრება მისაღები იყოს. არა. იგი ბურჟუაზიულ შეზღუდულობას ბევრგან არასწორ და მიუღებელ დასკვნამდე მიჰყავს. ასე, მაგალითად, იგი ე. წ. „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიულ ნაციონალისტური თეორიის დამცველია.

ჩვენ არასწორად მიგვაჩნია ბანკის წესდებაში ნ. ნიკოლაძის შემდეგი წინადადების გათვალისწინება: იმის გამო, რომ ქართველი თავადაზნაურობა არ არის დაჩვეული ფიზიკურ შრომას (არცერთ სახელმწიფოში, არასდროს თავადაზნაურო-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 19.

[2] იქვე.

[3] ნ. შველიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 152.

ბა არ ყოფილა ფიზიკურად მშრომელი) მამულები ჯერ უნდა გადავიდეს ვაჭრების, ხოლო შემდგომში გლეხების ხელში. ნ. ნიკოლაძე წერს: „ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი თავად-აზნაურობის ხასიათს, ძალიან კარგათ იცის, რომ ახლო მომავალში საკუთარი მიწების დიდი ნაწილი ხელიდან გამოეცლება ამ წოდებას და გადავა ბურჟუაზიისა და ხალხის ხელში. თუ საქმე ბუნებრივად წარიმართა, გადასვლა მოხდება ნელნელა, მამულები ჯერ ვაჭრობით გამდიდრებულ მოქალაქეების ხელში გადავა, ხოლო შემდეგ მათგან წელმომაგრებულ მესაკუთრე გლეხების ხელში“ [1]. წესდების შედგენისას უყურადღებოდ იქნა დარჩენილი მთავარი საკითხი, რომ გაეადვილებინათ თავადაზნაურობაზე სესხის გაცემა, ისინი „ეცდებოდნენ შეერთებიათ საბანკო ოპერაციები გამოსყიდვის ოპერაციებთან და გლეხთა საზოგადოებებს გაუადვილებდნენ ვადა გადაცილებული მამულების შესყიდვას ბანკისათვის გადასახდელი თანხის განაწილადების და ნაწილ-ნაწილ გადახდევინების მეშვეობით. ამ საქმის ცოტა ენერგიულად და რაციონალურად წარმოების შემთხვევაში, ორი-სამი ათწლეულის შემდეგ, ჩვენი მიწის საკუთრების დიდი ნაწილი დაიყოფოდა და მიწის მეურნეთა ხელში გადავიდოდა, და ამით ყოველგვარი ზიანის გარეშე მიღწეული იქნებოდა ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი რეფორმის განხორციელება...“ [2].

ამრიგად, ნ. ნიკოლაძის მიერ ჩამოყალიბებული საკრედიტო თეორია მის წინამორბედ მოღვაწეთა შეხედულებებთან შედარებით უფრო სრულყოფილია. მას გასული საუკუნის 70-იანი წლების პუბლიცისტურ წერილებში მოცემული აქვს საბანკო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, ესენია:

1. ბანკის კრედიტი მიწის მფლობელებს მაშინ გამოადგებათ, როდესაც ისინი აღებული სესხებით გააუმჯობესებენ მეურნეობის მწარმოებლურობას და მისგან იმაზე მეტ შემოსავალს მიიღებენ, რასაც ადრე ღებულობდნენ. ამ საქმისათვის

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 20.

[2] იქვე.

მარტო სესხის აღება როდი კმარა, საჭიროა მამულის სწორად გაძღოლა-ექსპლოატაციის ცოდნა.

2. ბანკმა სესხის გაცემისას უპირატესობა იმ პირებს უნდა მიანიჭოს, ვინც უშუალოდ ამუშავებს საკუთარ მიწას. მიწის მუშა აღებულ სესხს უფრო მომჭირნედ და რაციონალურად გამოიყენებს, ვიდრე უშუალოდ მემამულე, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწევა. ამით სესხის დაბრუნებითობის პრინციპი გარანტირებული იქნება.

3. რაც უფრო გარანტირებული იქნება გაცემული სესხის დროზე დაბრუნება, მით უფრო მეტჯერ იქნება იგი გამოყენებული წარმოებაში [1].

ამ პრინციპებიდან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს ორი რამ აინტერესებს: ჯერ ერთი, სესხის გაცემისას უპირატესობა გლეხობას მიენიჭოს, ე. ი. იმათ, ვინც თვითონ ამუშავებს მიწას, და მეორეც, ხელი შეუწყონ მემამულეებს მამულის დამუშავების საქმეში.

ნ. ნიკოლაძეს ისეთი ბანკის დაარსება სურდა, რომელიც თავადაზნაურობას მამულებს არ დაუკარგავდა ან, თუ მემამულე ვალს ვერ გადაიხდიდა, მიწა გლეხების ხელში გადასულიყო. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული მიწის ვაჭარ-კაპიტალისტთა ხელში გადასვლა. ნ. ნიკოლაძე წერს: „ვთქვათ, მე ვაპირებ ჩემი მამულის დაგირავებას ბანკში, ვთქვათ კიდევ, მე მყავს ოციოდე მეზობელი ან სახლის კაცი, რომელთაც ეწყინებათ შემდეგში ჩემი მამული რომ ვისმე გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს, ვთქვათ, კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონთ ან სახეიროდ მიაჩნიათ ჩემი სოფლის გლეხკაცობას, რომელთაც მართალია, მისი ყიდვა ერთბაშად არ შეუძლიათ, მაგრამ ყიდვაზე რომ საქმე მივარდეს და რამდენიმე ათი წლით გაუნაწილოს კაცმა მისი ფასის გადახდა, ყიდვის უარს არ იტყვიან და დიდი სიამოვნებით შეიძენენ ამ ჩემს მამულს...“ [2].

ნ. ნიკოლაძე, როგორც დაკვირვებული პიროვნება, ხედავს

---

[1] В. Бахтадзе, Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли (60—90 годы XIX столетия), стр. 119.

[2] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწ. 1933, ტ. 2, გვ. 340—341.

რომ კაპიტალიზმი სწრაფი ტემპით ვითარდება, მიწები ვაჭარ-კაპიტალისტების ხელში გადადის, გლეხობის მდგომარეობა უარესდება და საჭიროა რაღაც გზა უნდა გამოინახოს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასეთ გზად მას ბანკის დაარსება მიაჩნდა. მაგრამ ნ. ნიკოლაძის შეხედულება სინამდვილესაა მოწყვეტილი.

ყურადღების ღირსია ნ. ნიკოლაძის შეხედულება სასოფლო ბანკების შესახებ. რეფორმის შემდგომ პერიოდში ქართველ გლეხკაცობას არც მიწა გააჩნდა და არც რაიმე სახსრები. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ გაზეთ „დროებას“ ბევრჯერ აღუწერია თითქმის უიმედო მდგომარეობა კახელი გლეხკაცობისა, რომელსაც უფულობა და ვალები უკიდურეს გაჭირვებაში აგდებენ. „ბევრჯერ გამოთქმულია ჩვენს გაზეთში აზრი, რომ ამ გასაჭირს, რომელიც მარტო კახეთს კი არა, მთელ საქართველოს სიცოცხლეს უჭირვებს, ჩვენი ხალხი ასცილდება ზოგიერთი საზოგადო ცვლილებებით და — ცოტაოდნათ მაინც — სახალხო, სასოფლო ბანკების დაარსებით და გამრავლებით“ [1]. ნ. ნიკოლაძის აზრით, ასეთი ბანკების დაარსებით შეიძლებოდა ისედაც გაღატაკებული სოფლის მშრომელები ჩარჩ-ვაჭრების ხელში არ ჩავარდნილიყვნენ.

ნ. ნიკოლაძეს ახარებს გაზეთების ცნობები იმის შესახებ, რომ სასოფლო ბანკების გამართვას შეუდგნენ საქართველოს ყველა კუთხეში. „ჩვენი ხალხი, — წერს იგი, — ამგვარი ბანკების სარგებლობის მაგალითს მალე თავისი საკუთარი თვალითაც ნახავს“ [2]. ნ. ნიკოლაძე მიესალმება „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციების განზრახვას — სასოფლო ბანკების ხელმძღვანელთათვის გამოუშვან წესდებები და „სამაგალითო წიგნები“, რომელთა მეშვეობით „წესიერ ნიადაგზე“ დადგება ბანკების მართვა და ანგარიშსწორების საქმე. ამ მაგალითით ყველა სოფელი მოინდომებს გამართოს სასოფლო

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 512.

[2] იქვე.

ბანკები და მათი მეშვეობით განავითარო სოფლის მეურნეობა.

ნ. ნიკოლაძე დაასკვნის, რომ სასოფლო ბანკები მეტად საჭიროა ჩვენი ხალხისათვის, მშრომელებისათვის, „რომელზედაც დამოკიდებულია თუ მთელი ეხლანდელი სიძნელე არა, ძლიერ ბევრი წვრილმანი გაჭირვება და უსიამოვნება. ამ ბანკების შემწეობით ჩვენი ხალხი ცოტაოდნათ მაინც განთავისუფლდება მისი გამღარიბებელი და დამამხობელი მოვალეებისაგან, და სხვა რომ არაფერი იყოს ესეც ბევრია“ [1].

ეს ღონისძიება თავისთავად პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ნ. ნიკოლაძე აქ უყურადღებოდ ტოვებს საკითხს იმ სახსრების წყაროებისა, რომლითაც უნდა ეარსებათ ბანკს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფის მთავრობა არ აწარმოებდა სოფლის მოსახლეობის სესხით უზრუნველყოფას, სახსრები ძირითადად ვაჭრებსა და მრეწველებს ხმარდებოდა, და სოფლად არ მოიძებნებოდა ბანკის შექმნისათვის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი.

ნ. ნიკოლაძე საბანკო ურთიერთობის საკითხებზე თავის შეხედულებებს ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან (ი. ჯავახიშვილი, ბ. ღოღობერიძე, კ. ლორთქიფანიძე, ანტ. ფურცელაძე და სხვ.) მკაცრ პოლემიკურ ჭიდილში ანვითარებდა. ნ. ნიკოლაძეს სწორ, ობიექტურ დასკვნებთან ერთად ჰქონდა შეცდომებიც, რომლებიც ამხილა ილია ჯავახიშვილმა.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ქართველ საბჭოთა მკვლევართა ერთი ნაწილი (ეკონომისტები, ისტორიკოსები, ფილოლოგები და სხვ.) ინტენსიურად იკვლევს თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკების საქმიანობას (ჩვენ სრულებით არ ვცდილობთ უგულვებელვყოთ ამ დარგში 50-იან წლებამდე ქართველ მკვლევართა მიერ ჩატარებული გამოკვლევები).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო ურთიერთობათა შესახებ კვლევა მოითხოვს მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრების სრულყოფილ ცოდნას, ურომლისოდაც შე-

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 513.

უძლებელია სწორი, მეცნიერული დასკვნების გაკეთება. ამ დარგის მკვლევართა ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, საკრედიტო საქმისა და ფულის მიმოქცევის კანონზომიერებათა გაუგებრობით რამდენადმე სცილდება ჰეშმარიტ ვითარებას და გასული საუკუნის ზოგიერთ ქართველი მოღვაწის აზრს წარმოგვიდგენენ სუბიექტივისტური პოზიციებიდან. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართველი საბჭოთა ეკონომისტების გარდა არც ერთი მკვლევარი სწორად არ იძლევა საჰიპოტეკო ბანკების საქმიანობის ანალიზს. ზოგიერთი მკვლევარი არაეკონომისტი ქება-დიდებით იხსენიებს ამ ორი ბანკის მესვეურთ იმისათვის, რომ ისინი მოგებას იყენებდნენ საზოგადოების საჭიროებისათვის, მათ არ ესმით, რომ ბანკი კაპიტალისტური დაწესებულებაა, რომელიც ფულადი კაპიტალით ვაჭრობს და შუამავლად გამოდის კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. კაპიტალისტური ბანკი მოგებას საზოგადოებრივი ინტერესებისათვის არ იყენებს, პირიქით, მან როგორც კაპიტალისტურმა საწარმომ, თავისი მოგება სარეზერვო და საბრუნავი კაპიტალის ზრდა-განვითარებას უნდა მოახმაროს, კონკურენციულ ბრძოლაში რომ არ დამარცხდეს.

მარქსი გვასწავლის, რომ „თუ საკრედიტო სისტემა ჭარბწარმოებასა და ვაჭრობაში უზომო სპეკულაციის მთავარ ბერკეტად გვევლინება — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კლავწარმოების პროცესი, რომელიც თავის ბუნებით ელასტიკურია, აქ უკიდურეს საზღვრამდეა დაძაბული, და დაძაბულია სახელდობრ იმის გამო, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის დიდ ნაწილს გამოიყენებენ მისი არამესაკუთრენი, რომელნიც, ამიტომ, სულ სხვაგვარად ჰკიდებენ საქმეს ხელს, ვიდრე მესაკუთრე, რომელიც, რამდენადაც იგი თვითონ მოქმედებს, ყოველთვის კრძალვით აწონ-დაწონის თავისი კერძო კაპიტალის საზღვრებს“ [1].

საკრედიტო სისტემის სპეკულაციის საგნად გადაქცევა არ არის ვინმეს ნება-სურვილზე დამოკიდებული, იგი ზედმეტი ღირებულების ნაწილის მითვისების საშუალებაა, რომელიც აუცილებლად ისევ საკრედიტო დაწესებულებებს უნდა მოხ-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 1959, გვ. 555.

მარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი განწირულია. სწორედ ეს იყო თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკების დაცემის ერთ-ერთი მიზეზი" [1]. ამ ბანკებში გადადიოდა დაგირავებული მიწები, რომლის გაძღოლის უნარი მათ მეპატრონეებს არ გააჩნდათ და იძულებული იყვნენ სხვაგან გადაეგირავებინათ. ამასთან იმის გამო, რომ სარგებელი არადანიშნულებით გამოიყენებოდა და არ იზრდებოდა საბანკო კაპიტალი, შემცირდა ახალი სესხების გაცემა (გრძელვადიანი სესხების გაცემა 1905 — 1907 წლებში წინა ორ წელთან შედარებით 4,1-ჯერ), აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბირჟებზე ზემოაღნიშნული ბანკების გირავნობის ფურცლების კურსი დაეცა.

როგორც პროფესორი პ. რატიანი აღნიშნავს, „თბილისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკი არ ყოფილა ჩვეულებრივი ტიპის საკრედიტო დაწესებულება. ის, ისევე როგორც ქუთაისის ბანკიც, უაღრესად თავისებური დაწესებულება იყო, რომლის დაარსება და საქმიანობა განსაზღვრა საქართველოს ცხოვრების იმდროინდელმა უაღრესად თავისებურმა პირობებმა" [2]. პ. რატიანი საქართველოს საჰიპოტეკო ბანკების თავისებურებას ი. ჭავჭავაძის სიტყვებით გადმოსცემს. „მისი ნიშნობრივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც კი სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება იმერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავად-აზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთად-ერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესები მოგებით სარგებლობისა

[1] იხ. ვრცლად: რ. კაკულია, ქართული ეკონომიური აზროვნების ისტორიიდან, გვ. 107, 108.

[2] პ. რატიანი. ილია ჭავჭავაძე, თბ., 1965, გვ. 326.

საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“ [1].

შემდეგ პ. რატიანი დაასკვნის, რომ „თბილისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკის თავისებურება გამოიხატებოდა მისი მოგების განაწილების თავისებურ წესში, როცა მთავარ მიზნად კერძო პირების (მისი დამაარსებლების) გამდიდრება კი არ იყო დასახული, არამედ მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო ორგანიზაციების ხელის შეწყობა“ [2].

უნდა ითქვას, რომ თბილისისა და ქუთაისის საჰიპოტეკო ბანკების „თავისებურება“ გაზვიადებულად გვეჩვენება. ამას მოწმობს ჩვენ მიერ შესწავლილი დასავლეთ ევროპის საჰიპოტეკო ბანკების საქმიანობა.

ვ. ი. ლენინი, როდესაც იხილავდა ბანკების როლს, მიუთითებდა, რომ „... მთელ მათს პროგრესებს — იაფ კრედიტს, ტექნიკის გაუმჯობესებებს, ბანკებს და სხვ. — შეუძლიათ მხოლოდ გააძლიერონ და განავითაროს ბურჟუაზია...“ [3]. სხვა ადგილზე ვ. ი. ლენინი წერდა: გლეხებს ატყუებს ყველა ის, „... ვინც მას ჰპირდება სიღატაკისა და გაჭირვებისაგან ხსნას ყოველგვარი კოოპერაციების (კავშირები), რომელთა მიზანია საქონლის იაფად შეძენა და მოგებით გაყიდვაზე საშუალებით, მეურნეობის ყოველგვარი გაუმჯობესების, ყოველგვარი ბანკების და სხვა ამგვარი საშუალებით“ [4].

კ. მარქსი გვასწავლის, რომ საკრედიტო დაწესებულებები აჩქარებენ საწარმოო ძალების განვითარებას და წარმოების ძველი წესის დაშლისათვის ქმნიან საფუძველს. „საკრედიტო სისტემა აჩქარებს მწარმოებლურ ძალთა მატერიალურ განვითარებას და მსოფლიო ბაზრის დამყარებას, — წერდა კ. მარქსი, — რომელთა, როგორც წარმოების ახალი ფორმის მატერიალურ საფუძველთა, განვითარების გარკვეულ დონემდე მიყვანა კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულ ამოცანას

---

[1] პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1965, გვ. 326.

[2] იქვე, გვ. 327.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 275.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 488.

შეადგენს. ამავე დროს კრედიტი აჩქარებს ამ წინააღმდეგობის ძალდატანებით აფეთქებებს, კრიზისებს, და ამით აძლიერებს წარმოების ძველი წესის დაშლის ელემენტებს ... საკრედიტო სისტემის იმანენტური ორადი ხასიათი: ერთი მხრივ — კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელი ძალების განვითარება, სხვისი შრომის ექსპლოატაციის გზით გამდიდრების გაძლიერება, აზარტისა და თაღლითობის უაღრესად წმინდა და კოლოსალურ სისტემამდე და იმ მცირეოდენთა რიცხვის უფრო და უფრო შემცირება, რომელნიც საზოგადოებრივი სიმდიდრის ექსპლოატაციას ეწევიან; მეორე მხრივ, წარმოების ახალ წესზე გარდამავალი ფორმის წარმოქმნა,—ეს ორადობაა სწორედ ის, რაც კრედიტის მთავარ მახარობელ ლოდან დაწყებული ისააკ პერეირამდე მათთვის დამახასიათებელ სასიამოვნო შერეულ ხასიათს აძლევს, ხასიათს თაღლითისა და წინასწარმეტყველისა" [1].

მართლაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული რიგი ქართველი საბჭოთა მეცნიერების შეხედულება (უთუოდ ილია ჭავჭავაძის გავლენით), რომ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების საქმიანობა ს ა ე რ თ ო დ საზოგადოების საკეთილდღეოდ იყო მიმართული. მაგალითად, გრ. გიორგაძე მიუთითებს, რომ „ბანკი იყო ფინანსური ძალა; ამ დაწესებულებაში და მის გარშემო თავს იყრიდა ბევრი მოსამსახურე პირი, ბანკის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები, ზედამხედველი კომიტეტი და მისი წევრები, დამფასებლები და სხვა. ბანკი იძლეოდა სესხს, აარსებდა სტიპენდიებს, იძლეოდა დახმარებას და სხვადასხვა; ბანკს რჩებოდა საჯარო ვაჭრობით გაუყიდველი მამულები, რომელთაც სჭირდებოდა მოვლა-პატრონობა; ბანკი აშენებდა ქ. თბილისში და სხვა ადგილებში შენობებს, იძენდა მამულებს, ინახავდა თავის სასწავლებლებს და ეწეოდა, წლების ფარგლებში, კულტურულ საქმიანობას და ქველმოქმედებას" [2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. I, გვ. 555—556.

[2] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864—1905), თბ., 1928, გვ. 314.

გრ. გიორგაძე სხვა ადგილას მიუთითებდა, რომ „ძირითადი აზრით, ბანკი დაარსებულ იქნა იმისათვის, რომ მას თავისი არსებობით ხელი შეეწყო თავად-აზნაურთა მეურნეობისათვის და ქონებრივად გაემაგრებია ეს წოდება. მაგრამ ცხოვრების ობიექტურმა პირობებმა არსებითად სულ სხვა გზით მიმართეს მისი გეზი: ბანკის საშუალებით თავადაზნაურობამ მაშულები დაჰკარგა და თანდათან მამულები მომძლავრებული ბურჟუაზიის ხელში გადავიდა; თავადაზნაურობა დავალიანდა, ბანკმა ბევრი გააკოტრა“ [1]. სწორედ აღნიშნულის მიზეზის გამო წერს გრ. გიორგაძე, ბანკის ხელმძღვანელობას ოპოზიცია გაუჩნდა.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ი. სტალინმა და ა. წულუკიძემ დამაჯერებლად დაასაბუთეს საბანკო ოპოზიციის წარმოშობის ძირითადი მიზეზი. „საქონლის წარმოების განვითარებამ, — წერდა ი. სტალინი 1904 წელს, — ბატონყმობის გადაჯარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლული ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა — სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას და მასთან ერთად „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს“ [2]. უფრო ადრე, 1899 წელს, ა. წულუკიძე ეხებოდა რა ქუთაისის ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევნების გარშემო ატეხილ ბრძოლას, მიიჩნევდა მას კლასობრივი ინტერესების შეჯახებად, კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებად. „ჩვენ გვგონია, — წერდა იგი, — რომ კლასთა ინტერესების შეჯახება არსებობს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში, უეჭველია ისიც ჩვენთვის, რომ ახლად აღორძინებულმა კლასმა მოიდგა ფეხი შიგ“ [3].

ზოგიერთი შეიძლება შემოგვედავოს ჩვენ იმის გამო, რომ 1969 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ეკონომიური აზროვნების ისტორიიდან“ მოცემული გვაქვს სათავადაზნაურო

---

[1] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864—1905), თბ., 1928, გვ. 317.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 33.

[3] ა. წულუკიძე, თხზ., კრებული, 1927, გვ. 75.

ბანკების გარშემო გაჩაღებული ბრძოლის ასეთივე დახასიათება. ჩვენ მაშინაც, ე. ი. 1969 წელსაც და უფრო ადრეც ვეხებოდით ამ საკითხებს იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა მკვლევარმა კლასობრივი ბრძოლის ჩარჩოებში მოაქცია ნ. ნიკოლაძეც, რაც მიუღებელი და მოკლებულია ჭეშმარიტებას.

ილია ჭავჭავაძეს და ნ. ნიკოლაძეს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება არ შეიძლება კლასობრივი პოზიციებიდან განვიხილოთ. რადგან მისი ძირითადი მიზეზია „ინტრიგა", „ქვეშქვეშობა". „დღევანდელი ნიკოლაძისა და ჭავჭავაძის ბაასი მე მესმის კარგად, — წერდა ა. წერეთელი, — თუ რისიც ბრალია; ვხედავ კარგათ ერთის ოინსა და მეორეს ნაღველს; ეგებ ამ ნაღველში მეც მედგას ფეხი, მაგრამ რა გაეწყობა!.. პირადობას არ უნდა სწირვიდეს კაცი საზოგადო საქმეს, პირადობა უნდა დაუმონოს საზოგადო კეთილს" [1]. ამ შემთხვევაში მტყუანისა და მართალის გარჩევას აზრი არა აქვს, სწორედ ამის გამო წერდა ნ. ნიკოლაძე 1872 წელს ჟურნალში „კრებული": „ვინ არ იცის, რომ ყველაფერში ორი ან სამი კაცი თანახმა იშვიათათა იქნება. განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად გ. წერეთელს, ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ან ს. მესხს?, ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა, ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვადასხვა აზრისა ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს, ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულათ ვმსახურებთ, და თუ წვრილმან საგნებზე ან შემთხვევებზე ერთმანეთის პატივისცემის შეწყვეტის ნებას არ გვაძლევს და ერთმანეთში ბრძოლას როდი გვაწვევინებს, ასე ყოველგან, ყოველ შრომაში. უამისოთ შრომა და ერთად საქმის წაყვანა შეუძლებელია". ნ. ნიკოლაძის მთელი საქმიანობა, ისევე როგორც ილიასი და აკაკისა, მიმართული იყო ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ სწორად მივუდგეთ საზოგადოებრივი მეცნიერების როლის გარკვევას, მათ შორის ეკონომიური მოძღვრებისას, ე. ი. მეც-

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., თბ., 1960, ტ. XI, გვ. 388.

ნიერული კვლევის ამოცანა ის კი არ არის, რომ წვრილმანი საკითხებიდან გამომდინარე გამოიტანოს დასკვნები, არამედ ის, რომ მოვლენათა გარეგანი სახის იქით თეორიული ანალიზის დახმარებით გამოავლინოს სიღრმისეული პროცესები და მოახდინოს მეორეხარისხოვანი ნიშნების უგულებელყოფა. აი სწორედ ამას მოითხოვს ჩვენგან მარქსისტული ფილოსოფიის მეთოდი.

ნ. ნიკოლაძის აღიარება თვითონ არის იმის ნათელი დადასტურება, რომ „შეცდომა ვის არ მოსვლია", მაგრამ ის თუ გამოსწორდა, არ არის მიუტევებელი. „ეს გრძნობა გვაიძულებს, რომ აწი საზოგადო საქმე ხეირიან გზას დაადგება დრო არის მოისპოს ჩვენში ინტრიგის, ქვეშქვეშობის, ჩურჩულის და ღალატის მეფობა" [1]. ამით ნ. ნიკოლაძემ „დაივიწყა" თავისი მცდარი შეხედულებები და მხარში ამოუდგა ი. ჭავჭავაძეს როგორც საბანკო, ისე სხვა საზოგადო საქმეების სწორად წარმართვის საქმეში.

არასწორად მიგვაჩნია ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარის მოსაზრება, თითქოს ნ. ნიკოლაძე საკრედიტო ურთიერთობის სფეროში, წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძისა, იცავს ვაჭარ-მრეწველთა ინტერესებს, რადგან იგი „შთამომავლობით ვაჭრის შვილი იყო". განა შეიძლება ასეთი პოზიციებიდან გავარკვიოთ საზოგადო მოღვაწის საზოგადოებრივი მრწამსი?

ნ. ნიკოლაძის პოლემიკურ წერილებში გამოკვეთილია მისი შეხედულებანი საკრედიტო ურთიერთობის საკითხებზე. თუმცა ისინი ყოველთვის არ არიან რეალური. საესებით მართებულია პროფ. ს. ხუნდაძის მოსაზრება მასზე, რომ „როდესაც ეცნობით ნ. ნიკოლაძის ყველა იმ მომენტებს, რომელსაც იგი აყენებს ბანკის საკითხში, თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ამ გეგმებში წამოყენებულია, როგორც წმინდა უტოპიური ხასიათის დებულებები, ისე რეალური მოსაზრებანი" [2].

ნ. ნიკოლაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში საჰიპოტეკო ბანკის დაარსებისათვის მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევ-

---

[1] გაზ. „შრომა", 1882, № 124.

[2] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. ნარკვევები, 1941, გვ. 290.

და მისი წესდების სწორად შედგენას, რაც გახდა ზემოაღნიშნული განხეთქილების ჩამოვარდნის მიზეზი, რის შედეგადაც იგი დაუპირისპირდა ერთი მხრივ, ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკის შექმნის ინიციატორებს ბ. ღოღობერიძის მეთაურობით, ხოლო მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძეს. „ნ. ნიკოლაძემ, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში თვით იყო საქართველოში საადგილმამულო ბანკების დაარსების ერთ-ერთი აქტიური მებრძოლთაგანი, 1873 წლიდან ერთბაშად აღმართა ხელი ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ" [1].

1873 წელს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის წერილი „საწყალი ბანკი", რომელშიც ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკის დაარსების მესვეურები გაკრიტიკებულია ბანკის წესდების გამო. ნ. ნიკოლაძე წერს, რომ საქართველოში მომრავლდნენ ისეთი „მეცნიერნი", რომლებიც „აპელაციების წერიდან" გადავიდნენ რაღაც „პროექტების" შედგენაზე და მიუტევებელ შეცდომად მიაჩნია რუსეთის ბანკის წესდების გადმოღება ქართული ბანკისათვის, აქ იგი ზოგად ფორმებში აკრიტიკებს ბანკის წესდების პროექტს. „თუ ღმერთმა ჰქნა და ამ პროექტის დამწერმა თავისი აზრით ბანკი გამართა, ჩვენი საზოგადოება დიდ სარგებლობას იმაში მაინც ჰპოვებს, რომ შემდეგისათვის ხეირიანი წესდება ექნება შტოსის თამაშობისათვის, და უწინდელურათ უთავბოლოთ აღარ წააგებს ამ თამაშში: შემდეგში წაგება დამჯდარი, წესიერი და კანონიერი იქნება" [2].

შემდგომ ნ. ნიკოლაძე იქვე განიხილავს ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკის დაარსების ორგანიზაციულ მხარეებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ საზოგადოების აზრით ქუთაისის ბანკის გახსნას შეუძლია თავადაზნაურობის ეკონომიური აღორძინება. „მომავალი ბანკიდამ გაკეთებას და სულის ჩადგ-

---

[1] ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, გვ. 146.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 3, გვ. 155.

მას ელის ჩვენი გაღატაკებული... საზოგადოება. იმან წელი უნდა გაუმაგროს ჩვენ ახლანდელ აზნაურობას, და მომავალი დაუმზადოს შემდეგ თაობას. იმაზე ბრუნავს მთელი მხარის იმედი და იმასვე შეჩერებია, მისგან დახსნას მოელის მთელი ჩვენი ქვეყანა" [1]. მაგრამ, განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, მარტო სურვილი არ კმარა, საჭიროა გაირკვეს შესაქმნელი ბანკის საფუძველი — რა სახსრებზე იქნება იგი აგებული? ფულის გამსესხებლები ბანკს მაშინ ენდობიან, თუ მას ექნება საზოგადოების გარანტია ან თუ „დაწინდებული მამულების ურთიერთ პასუხისგება დაეხმარება ... ჩვენი ბანკი როგორც ათასჯერ დამტკიცებული იყო, უნდა იქნეს საადგილმამულო, დიდ-ვადიანი და ურთიერთი გარანტიის მქონე". ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება საინტერესოა: ჯერ ერთი, ყველა საჰიპოტეკო ბანკი საადგილმამულო უნდა იყოს და მეორე, თუ ბანკი საადგილმამულო იქნებოდა, კრედიტი აუცილებლად გრძელვადიანი უნდა ყოფილიყო. ხოლო რაც შეეხება „ურთიერთ გარანტიას" — რა თქმა უნდა მიუღებელია, მაგრამ ეს არ ამართლებს მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებას, რომ ნ. ნიკოლაძის შეხედულებები საფუძველშივე მცდარი იყო. ამასთან ერთად, საყურადღებოა: ნ. ნიკოლაძე მოითხოვს, რომ ბანკის საქმეს განაგებდნენ მცოდნე პირები და არა გადაგვარებული „წარჩინებულნი", რომლებიც სხვადასხვა ბანკის პროექტების კომპილაციით ცდილობენ ბანკის დაარსებას. ბანკის საქმე, მიუთითებს ნ. ნიკოლაძე, დასაწყისიდანვე გამართული უნდა იყოს, „თუ ჩვენში ბანკი ერთხელვე დასაწყისში ცუდათ წავიდა, ხარკამეჩითაც ვეღარ ააყენებს კაცი ჩვენი ქვეყნის დაცემულ კრედიტს, და დაფუშულ ბანკს" [2].

ერისათვის მზრუნველი პირების გვერდით იყვნენ „დამშეული" დიდგვაროვანი თავად-აზნაურები, რომლებიც ცდილობდნენ ბანკის გახსნით ხელი მოეთბოთ და კარგი თანამდებობები მიეღოთ. სავსებით მართებულად მიუთითებდა გრ. გიორგაძე: იმისათვის, რომ ბანკს შეესრულებინა დაკისრე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 255—256.

[2] იქვე, გვ. 256.

ბული ფუნქციები „ბანკისათვის საჭირო იყო მოსამსახურე პირნი, კარგ ჯამაგირიანი ადგილების დასაჭერად. სამსახური კი— ბევრ ამ წოდების წევრთათვის ცხოვრების სახსრად შეიქნა. რადგან ბევრმა ადგილ-მამული დაჰკარგა და თან დავალიანდა... ამ გარემოებამ წარმოშვა ბანკის გარშემო სხვადასხვა დაჯგუფება და მათ შორის საშინელი, ყოვლად დაუნდობელი და საზღვარს გადაცილებული ბრძოლა“ [1].

ნ. ნიკოლაძემ 1873 წელს კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარა ქუთაისის ბანკის წესდების პროექტის ავტორი ბ. ღოღობერიძე, რომელიც ცდილობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიური პირობებისადმი რუსეთის ცენტრალური მხარეებისათვის მისაღები საჰიპოტეკო ბანკის წესდების ხელაღებით შეხამებას. „რუსეთი მინდორია, — წერს ნ. ნიკოლაძე, — იქ რაც ერთ ალაგას ღირს მიწა, მეორეზეც — ისევე ღირს, და ვინც ერთ ფასს გამოძებნის, — ხარკოვის გუბერნიაში ეს და ეს მამული ამა და ამათ ღირს დესიატინაო, ის ამითვე მთელი ადგილ-მამულების ფასს იპოვის. ჩვენში კი ერთი ქცევა ადგილი რომ ორას მანეთად ღირს, მის გვერდში ისეთი კლდე და ღრეა, რომ გროშსაც არავინ მისცემს იმაში, და მეორე მხრით, ისევ გვარიანი თხილნარი ან ტყე და საბალახო ადგილებია. ასე რომ ერთი ვერსის სივრცეზე თუთხმეტნაირი ფასი ადევს ერთ ქცევა მიწას. მიბრძანდით, და ამ მდგომარეობაში „ნორმალური“ ფასი მოძებნეთ“ [2]. ნ. ნიკოლაძის მოსაზრება მისაღებია. შესაძლებელია, რომ ბანკის საქმის გასამართავად გამოყენებული ყოფილიყო რუსეთის იმპერიის სხვა ბანკების წესდებები, მაგრამ ადგილობრივ პირობებთან შეხამებით. ამის გაუთვალისწინებლობა იყო სწორედ თბილისისა და ქუთაისის საჰიპოტეკო ბანკების გაკოტრების ერთ-ერთი მიზეზი. დაგირავებული მამულების დიდი ნაწილი შეფასდა სუბიექტურად, რის გამოც ისინი საჯარო წესით ვერ იყიდებოდნენ.

ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებდა წესდების პროექტის იმ ნაწილს,

---

[1] გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864—1905). თბ., 1928, გვ. 314—315.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 324.

სადაც ლაპარაკი იყო ქუთაისის ბანკის სახსრებით უზრუნველყოფაზე. იმ პერიოდისათვის ბანკებს არ გააჩნდათ საკმარისი ფული, ბანკები მოითხოვდნენ საზოგადოებრივ გარანტიას ან დაგირავებული მამულების ურთიერთთავდებობის უზრუნველყოფას. ნ. ნიკოლაძე ბ. ღოღობერიძეს ურჩევდა აეხსნა თავადაზნაურისათვის აღნიშნული მდგომარეობა: „ითხოვე მაინც, აუხსენი, იდავე და ეს დაწინდრებული მამულების ურთიერთთავდებობა ხომ მაინც დაგრჩებათ“ [1]. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბანკისათვის სახსრების მოსაზიდავად საზოგადოებრივი გარანტიის დაწესება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების პირობებში რთული საქმეა, მაგრამ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, მაშინ, როდესაც საქართველო დაადგა კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების გზას და ფართო გასაქანი მიეცა სასაქონლო-ფულად ურთიერთობას, ფული არც ისე ადვილად იშოვებოდა. რასაკვირველია, ისეთი ნიჭისა და ცოდნის მქონე პიროვნება, როგორიც ნ. ნიკოლაძე იყო, დაიწყებდა გამოსავალის ძებნას.

საკრედიტო ურთიერთობის განვითარების ისტორიაში ცოტა როდია ისეთი ფაქტი, რომ ბანკის მიერ მოზიდული სახსრების მეპატრონების გარანტიის როლში გამოსულან სახელმწიფო ან ბანკირები. კრედიტის ნდობის საკითხი კაპიტალისტურ სამყაროში იყო და არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული საკრედიტო საქმის განვითარება.

კ. მარქსი კრედიტის ანალიზისას იძლევა ბურჟუაზიული ეკონომისტის ტუკის მოსაზრებას, რომ „თავისი უმარტივესი გამოსახულებით კრედიტი წარმოადგენს კარგად თუ ცუდად დასაბუთებულ ნდობას, რომლის გამო ერთი პირი მეორეს ანდობს კაპიტალის გარკვეულ თანხას, ფულის სახით ან გარკვეული ფულადი ღირებულებით შეფასებული საქონლის სახით, თანხას, რომელიც განსაზღვრული ვადის გასვლისას ყოველთვის უკან დასაბრუნებელია“ [2].

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 324.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 507.

ყველა ქვეყანაში საკრედიტო საქმის განვითარებას წინ უძღოდა მევახშეობა. მევახშეებს ჰქონდათ დიდძალი თავისუფალი ფული, რომლის გასესხება დიდი სარგებელით ხდებოდა. კ. მარქსი გვასწავლის, რომ „საკრედიტო საქმის განვითარება ხდება როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ“ [1]. სწორედ მევახშეობის გამო უპირდათ ბანკებს თავისუფალი სახსრების მიზიდვა და მისი გამოყენება საჰიპეტეკო კრედიტის განსავითარებლად.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მევახშეებს საკუთარი სახსრების სოფლის მეურნეობაში დაბანდება არ აინტერესებთ. ისინი, ფულს როგორც საკუთრებას დიდი ხნით ვერ იცილებენ, სწორედ ამიტომ მათ სურთ საბანკო კრედიტთან შედარებით მევახშეობის უპირატესი განვითარება. საბოლოო ანგარიშით, ფულის მფლობელებს გარანტია ჰირდება, რომ მათი სახსრები ბანკში საიმედოდ იქნება შენახული და სარგებელსაც მისცემს.

საქართველოში გასული საუკუნის 70-იან წლებიდან უკვე აშკარად იგრძნობოდა სახსრების ნაკლებობა. ისეთ ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, საჰიპოტეკო კრედიტის გასახსნელად სახსრები უნდა გაეღო სახელმწიფოს ან კერძო პირებს. სახელმწიფო უარს ამბობდა, ხოლო კერძო პირებს სჭირდებოდათ მტკიცე გარანტია, პროცენტები ბანკში შეტანილ ფულზე. ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა: „პირველი საჭირო საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ფული გარეშე თანხის პატრონებისაგან ბლომათ და იაფათ გვეშოვნა. ამისთვის საჭირო იყო საზოგადოებრივი გარანტია, და არა მარტო დაწინდრებული მამულების ურთიერთ თავდებობა“ [2].

ნ. ნიკოლაძეს არ უნდოდა, რომ მამულები გაყიდულიყო. ამან თავი იჩინა ბ. ღოღობერიძესთან პოლემიკის დროსაც. ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებს ამ უკანასკნელის მიერ შედგენილ ბანკის წესდების პროექტის იმ ნაწილს, რომელიც ეხება სესხის დროზე დაუბრუნებლობის შემთხვევაში მამულების საჯარო წესით

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 176.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 324.

გაყიდვას. აქ ნ. ნიკოლაძის შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. მას ეშინოდა, რომ მიწები გადავა „უცხო პირთა“ ხელში. „თუ არ შემოიტანა მეპატრონემ დროზე ფული, გაიყიდება მისი მამული, და ის იქნება და ისო. ვინ არ იცის, რომ ეს შემოტანა გაძნელდება ჩვენში? რითი შველის ამ საქმეში „სააზნაურო ბანკი“ ჩვენს აზნაურობას, ჩვენს საზოგადოებას და ხალხს? რა საშუალებებს ძებნის, როგორ წესს აარსებს ისეთს, რომ ჩვენი ქვეყანა ებრაელებისა და სხვ. ხელში არ ჩავარდეს ამ ოც-ორმოცდა ათი წლის შემდეგ? არაფრით, სრულიად არაფრით. ერთი სიტყვა არაა ამაზე უფ. ბ. ღოღობერიძის პროექტში“

ნ. ნიკოლაძე აქ დასმულ საკითხების ანალიზით არა თუ წინ წავიდა, არამედ ეს მის უკუსვლას მოასწავებდა. იგი გამოუვალ წინააღმდეგობაში ჩავარდა—თუ დაქირავებული მამულების გაუყიდველობის პრინციპს დაადგებოდა, მაშინ დაგირავებას აზრი არ ექნებოდა; თუ დაგირავება მოისპობოდა, მაშინ საჰიპოტეკო კრედიტი დაკარგავდა თავის არსს. ავტორის ზემოაღნიშნული შეხედულება უტოპიზმის ჩარჩოებშია მოქცეული. მართებულად მიუთითებს ნ. შველიძე: „მან მხოლოდ ის აზრი ჩამოაყალიბა გარკვევით, რომ წინააღმდეგი იყო უცხოელთა ხელში ქართველ თავადაზნაურთა მიწების გადასვლისა. აქვე იმაზედაც გააკეთა მინიშნება, რომ საადგილმამულო ბანკს გარკვეული მომწესრიგებლური როლი უნდა შეესრულებინა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ [2].

ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გარშემო დავამ 1876 წელს კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ნ. ნიკოლაძემ 11 აპრილს გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა სტატია „ქუთაისის ბანკის საქმე“, ხოლო ზუსტად ერთი თვის შემდეგ გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ — „საადგილმამულო კრედიტის პრაქტიკა“, რომლებშიც გაკრიტიკებულია როგორც ქუთაისის, ასევე თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 325.

[2] ნ. შველიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, გვ. 148—149.

ბანკების წესდება, ორგანიზაციული სტრუქტურა და ამ უკანასკნელთა მუშაობის ერთი წლის პრაქტიკა. ნ. ნიკოლაძის კრიტიკას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მკაცრად დაჰგმო მისი ზოგიერთი ტენდენციური და მიუღებელი დებულება.

ნიკო ნიკოლაძესა და ილია ჭავჭავაძეს შორის პოლემიკა გაიშალა ძირითადად შემდეგ საკითხებზე: 1. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკების დანიშნულება; 2. საჰიპოტეკო კრედიტის თვისებები; 3. საქართველოს მიწების მომავლის პერსპექტივები.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ზემოთ აღნიშნა, მოითხოვდა ისეთი საზოგადოებრივი ბანკის დაარსებას, რის მთავარი დანიშნულება იქნებოდა მთელი ერის კეთილდღეობის ამაღლება, ამასთან ერთად ბანკის „მეცადინეობით“ მამულები უნდა დარჩენილიყო ქართველთა ხელში და არ გადასულიყო უცხო პირების განკარგულებაში. „ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი, — წერდა იგი, — როგორც ყველა გონიერმა პირმა იცის ჩვენში, ის იყო, რომ ბანკი, თუ ჩვენ არ გვექნა ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენ მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდან წაგვივა და სხვას დარჩებაო. მარტო ამ ჭკვიანმა მოსაზრებამ გაუკვალა ჩვენში გზა ამისთანა მძიმე და უცნობ საქმეს, როგორიც ყოველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაა. მაშასადამე, უმთავრესი მიზანი ბანკის წესდების შემდგენელისა ამაზე უნდა ყოფილიყო მიზმანებული, რომ ჩ ვ ე ნ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი ხ ე ლ ი დ ა ნ არ წ ა გ ვ ი ვ ი დ ე ს და ჩვენვე დაგვრჩეს. ამ უმთავრეს მიზანს აბია მეორე, აგრეთვე მძიმე და საჭირო მიზანი: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას: მისი შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა“ [1].

ნ. ნიკოლაძისათვის ცნობილია ისიც, რომ, თუ ბანკიდან კრედიტის ამღები მიწისმფლობელები ფულს საწარმოო დანიშნულებით არ გამოიყენებენ და ის მათ ფუფუნებას მოხმარდება,

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 4, გვ. 386.

აუცილებელი გახდება დაგირავებული მამულების საჯარო წესით გაყიდვა. „ვინც ჩვენ ეხლანდელ საზოგადოებას იცნობს, იმან კარგად იცის, რომ მამულის დაგირავებას, ვინც კი მოახერხებს, არავინ დაზოგავს, და ბანკიდან გამოტანილ ფულს კი, საწარმოებლად, მამულის გასაუმჯობესებლად, ანგარიშების კარგად გამოსაწყობად იშვიათად ვინმე მოიხმარს. მაშასადამე, ნასესხი ფული დაიფლანგება ტანსაცმელში, სტუმრობაში, თამაშში, ერთი სიტყვით გამოუყენებლად: უმთავრეს ნაწილს სესხის ამღებისა დროზე ფულის შემოტანა გაუჭირდება. ადრე თუ გვიან აუცილებლად საჭირო გახდება დაგირავებული მამულების გაყიდვა, თუ არა ყველასი, უმეტესი ნაწილისა ხომ მაინც“ [1].

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს: თავდაპირველად ბანკი დაარსებული იქნა იმ მიზნით, რომ თავიდან აგვეშორებინა მამულების გაყიდვა ან უკიდურეს შემთხვევაში „მამული მაინც ჩვენებს, ახლობლებს, ჩვენი ქვეყნის კაცებს დარჩენოდათ, და არა გადამთიელებს, მოსულს...“ რომლებიც „დაუზოგველად სარგებლობენ ჩვენი ხალხის და საზოგადოების სისუსტით, დაუზოგველად ჰყვლეფენ და აღარიბებენ იმას“.

ნ. ნიკოლაძე კატეგორიულად მოითხოვს, რომ მამულები დარჩეს ჩვენი ერის წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი წრიდებრივი მდგომარეობისა, რადგან. თუ „უცხო ქვეყნები“ ივაჭრებენ ჩვენი მიწის სიკეთით, მაშინ „ჩვენ საზოგადოებას და ხალხს პროლეტარად გადააქცევენ“. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორი მივიდა ლოგიკურ დასკვნამდე — საკრედიტო საქმე ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციას და პროლეტარიზაციას, რომლისაგან თავის დაზღვევის ნიკოლაძისეული გზა მიუღებელი და ყალბია.

ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებდა რა ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შემდგენელს ბ. ღოღობერიძეს, ასკვნიდა, რომ წესდებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მთელი ხალხის, მშრომელი მასების ინტერესები, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 388.

ინტერესები. ნ. ნიკოლაძე იძლევა კრედიტის გაცემის ორიგინალურ პროექტსაც, რომლის განხორციელება შეუძლებელი იყო.

ნ. ნიკოლაძის მოსაზრებები გაკრიტიკებულ იქნა ილია ჭავჭავაძის მიერ 1876 წლის № 39 გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“. საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ნიკო ნიკოლაძის პიროვნებას, რომლის „გონიერება, მიხვედრილობა“ საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ, განაგრძობს ილია ჭავჭავაძე, „არც მე მივცემ ჩემს თავს ნებას და არც თვით უფ. ნიკოლაძე მომთხოვს, რომ ამ პატივისცემას პირუთვნელობა მსხვერპლად მოვუტანო. საგანი, რომელსაც შეეხება იგი სტატია, ისეთის დიდის მნიშვნელობისა არის, რომ მასზედ მრუდე და უსაფუძვლო აზრების გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში დიდს ვნებას მოუტანს ჩვენს საზოგადო საქმესა... ამის გამო მე ჩემს უწმინდეს ვალად ვრაცხ პირდაპირ აღვუდგე იმ სტატიასა. მით უფრო დიდის გაბედვით ვკისრულობ ამას, რომ მე კარგად ვიცნობ უფ. ნიკოლაძეს, თვით იგი მიმიხვდება, რომ ამ შემთხვევაში მე აღმძრა იმავე ჰეშმარიტების სიყვარულმა და სიკეთის სურვილმა, რომლითაც შეიარაღებული თვით უფ. ნიკოლაძე ეგრე ნიჭიერად იბრძვის ხოლმე“ [1].

მართალია, წერს ი. ჭავჭავაძე, ბანკის დაარსებისას ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ქვეყნის სოციალური და ეკონომიური საჭიროება, მისასალმებელია ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის შეხედულება, მაგრამ, განაგრძობს ილია, „უფ. ნიკოლაძეს რომ აქ გამოთქმული აზრი თვით ეწამა და ეგ აზრი ეხმარა ქუთაისის წესდების საზომად, მაშინ თვით დაინახავდა, რომ იმ წესდების შემდგენელს მაგ აზრისათვის არც ერთის სიტყვით არ უღალატნია“ [2]. ამ ციტატიდან ნათლად ჩანს ი. ჭავჭავაძის სიმპატიები ბ. ღოღობერიძისადმი, რაც იმითაც განპირობებულია, რომ ნ. ნიკოლაძე ქუთაისის ბანკის კრიტიკით ძირს უთხრიდა აგრეთვე თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1956, ტ. VII, გვ. 327.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე, თხზ., ტ. VII, 1956, გვ. 328.

ბანკსაც. სწორად მიუთითებს პროფ. პ. რატიანი, როდესაც იხილავს ნ. ნიკოლაძის ზემოაღნიშნულ პუბლიცისტურ ნაწერებს: „ი. ჭავჭავაძემ ამ წერილებში თბილისისა და ქუთაისის ბანკებისათვის სერიოზული საფრთხე დაინახა და გადასწყვიტა გამოსულიყო ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა წინააღმდეგ“ [1].

ი. ჭავჭავაძემ ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ანალიზისას ჩამოაყალიბა საკუთარი აზრი კრედიტის შესახებ — კრედიტი არის ნდობა, რომლითაც „ფული ერთის ხელიდან მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყვება ხოლმე“ [2].

საინტერესოა ი. ჭავჭავაძის მოსაზრება კრედიტის ეკონომიურ ბუნებაზე და მიზანზე, იგი აღნიშნავს, რომ კრედიტის ეკონომიური საგანია მისი გამოყენება საზოგადოებრივი წარმოების განსავითარებლად. „კრედიტი მხოლოდ ამით შეიქმნება ერთ იმ ეკონომიურ დონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე, კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს. ეს წარმოების გაძლიერება ერთის მხრით ეკონომიური მიზანია კრედიტისა, და მეორეს მხრით მხოლოობითი ეკონომიური სახსარიც არის კრედიტით ნაშოვნი სესხის გადასახადისა“ [3].

ი. ჭავჭავაძე იკვლევს კრედიტის სახეებს და განსაკუთრებით ერცლად იხილავს საჰიპოტეკო კრედიტს.

ი. ჭავჭავაძის აზრით, საჰიპოტეკო კრედიტს სამი თვისება უნდა გააჩნდეს: 1) გრძელვადიანობა; 2) მცირედად, ნაწილ-ნაწილ და თანდათან გადასახადი; 3) მიწით უზრუნველყოფილი“ [4].

---

[1] პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობა და აზროვნება, თბ. 1965, გვ. 379.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 328.

[3] იქვე.

[4] იხ. ი. ჭავჭავაძის მოსაზრებები კრედიტის შესახებ ჩვენს შრომაში „ქართული ეკონომიური აზროვნების ისტორიიდან“, გვ. 27—37; 103—121.

ი. ჭავჭავაძე მიმართავს ნ. ნიკოლაძეს, განა იმიტომ უნდა იქნას უარყოფილი ქუთაისის ბანკის წესდების პროექტი, რომ იგი გადაწერილია სხვადასხვა ბანკის წესდებიდან? „თქვენ რა გინდათ, — აღნიშნავს მწერალი, — საიდამ არის გადმოწერილი წესდება? თქვენ ისა თქვით, ვარგა წესდება თუ არა. არ ვარგაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე. იმიტომ არ ვარგაო, რომ ჯერ ქუთაისის გუბერნია გამიჯნული არ არის, ჯერ უძრავს ქონებაზედ, საკუთრების უფლება გარჩეული არ არისო და კუთვნილებაზედ კანონიერი საბუთი არავისა აქვსო, მაშასადამე ბანკიდამ ფულს თითქმის ჯერ ვერვინ გაიტანსო“ [1]. აქ ორ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება, ჯერ ერთი, ბანკის წესდების შესაქმნელად სხვა, მოქმედ წესდებათა გამოყენება არ არის სათაკილო. ნ. ნიკოლაძის კრიტიკა ილიას მიერ ამ ნაწილში სამართლიანია, მეორე, დიდი მწერლის აზრით, არ არის სწორი ნ. ნიკოლაძის შეხედულება იმაზე, თითქოს ქუთაისის გუბერნიის გაუმიჯნაობა ხელს შეუშლიდა მიწათმფლობელებს სესხის მიღების საქმეში. საკრედიტო საქმის ისტორიაში, განსაკუთრებით საჰიპოტეკო კრედიტის, იშვიათად მოიძებნება ისეთი ფაქტები ი. ჭავჭავაძის მოსაზრებას რომ ამტკიცებდნენ. მით უმეტეს საქართველოში; ფეოდალური წარმოების წესის გადმონაშთების არსებობისას, უდარდელ და უზრუნველ ცხოვრებას დაჩვეული მიწათმფლობელთა მამულები ფეოდალური, იერარქიული კარჩაკეტილობის პირობებში არ იყო გამიჯნული, უფრო მეტიც,მემკვიდრეობით ძირითადად მიწა გადადიოდა. ხშირად მიწის მემკვიდრეობის საკითხი სადავო ხდებოდა. იმდროინდელი სასამართლო ორგანოების უსუსურობის შედეგად საქმე მეტად ჭიანურდებოდა და, რა თქმა უნდა, ასეთ მამულებს თუ მიიღებდა ბანკი გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად, გასაკოტრებლად განწირული იქნებოდა. აქ ი. ჭავჭავაძე წინააღმდეგობაში ვარდება. რადგანაც თვითონაც მას კარგად ესმის, რომ უძრავი ქონების გირაოს ქვეშ სესხის გაცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მფლობელობის საკითხი ეჭვს გარეშე იქნებო-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 331.

და. „მიწის სამოქმედო კრედიტსა სხვა დედაბოძი არა აქვს, თუ არა უძრავი ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს პატრონსა. გამოაცალეთ ეგ ერთადერთი ღედაბოძი და ნახავთ, რა მშვიდობიანად მოუღებთ ბოლოს თვით ბანკსა“ [1].

ნ. ნიკოლაძემ იცის, რომ ქუთაისის გუბერნიაში ფული არ არის, ამასთან ერთად მამულები გაუმჯნავია და მათ მფლობელებს არა აქვთ მტკიცე საბუთი მისი ფლობის შესახებ. გამოსავალს იმაში ხედავს, რომ სესხის გაცემის დროს დასაგირავებელი მამულის მფლობელის ვინაობის დასადგენად მიზანშეწონილია ბანკს მფლობელის მეზობლებმა მისცენ ხელწერილი. ი. ჭავჭავაძე ნ. ნიკოლაძის ამ მოსაზრებას არასწორად მიიჩნევს. „ნუთუ მას არ გაუგია,—წერდა იგი,—რომ მოწმები და მეზობლები თაეისის ეზოს მიწას ჩაიყრიდნენ წაღებში და საცა უნდა წაგეყვანათ. პფიცავდნენ, რომ ჩვენს მიწაზე ვდგევარო“ [2]. ი. ჭავჭავაძის კრიტიკა სამართლიანია, საკრედიტო საქმე არ შეიძლება აგებულ იქნას მოწმეთა ჩვენებაზე. ამასთან ერთად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ფულადი მიმოქცევა და მასზე აგებული საკრედიტო ურთიერთობაც ფრთხილად მოპყრობის ღირსია. ამდენად ი. ჭავჭავაძის მოსაზრება რა თქმა უნდა მისაღებია, ამ პოზიციიდან ნ. ნიკოლაძის შეხედულება უტოპიური და მიუღებელია.

ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეს შორის გაჩაღებული პოლემიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი საკითხი იყო დაგირავებული მამულების მომავლის საკითხი. ნ. ნიკოლაძის აზრით, საჭიროა, რომ მამულები არ ჩაუვარდეთ ხელში სხვა ერის წარმომადგენლებს. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რა ნ. ნიკოლაძის ამ მოსაზრებას, სამართლიანად მიუთითებს, რომ არავის არ შეუძლია ძალა დაატანოს უფულო ქართველობას შეიძინონ საჯარო ვაჭრობით გასაყიდი მამულები. „...უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ ბანკის წესდების შემდგენლის მიზანი იმაზე უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ ჩვენი მამულები ხელიდან არ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 335.

[2] იქვე, გვ. 335 — 336.

წაგვივიდესო და ჩვენვე დაგვრჩესო. როგორ? მამულს გირაოდ აძლევს ბანკსა და თუ პირობა არ შეუსრულე. გინდა, რომ მამული ისევ შენ დაგრჩეს. მაშ გირაო რის გირაოღაა" [1].

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ დაგირავებული მამულების გაუყიდველობა იმ მოტივით, რომ მათი მყიდველები ქართველები არ არიან, სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ბანკის საქმიანობისათვის ძირის გამოთხრას. მიწათმოქმედების განვითარება შეჩერდება, ამით შემცირდება და ბოლოს სულ დაეცემა მიწიდან მისაღები შემოსავალი და აქედან გამომდინარე — ვერ დაიფარება გაცემული სესხი, რითაც ზიანს მივაყენებთ როგორც ბანკს, ისე მეურნეობის განვითარებას.

თვით ამ აზრთა სხვადასხვაობის არსებობა, მწვავე პოლემიკა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს შორის ნათლად ეწმობს იმას, თუ რა რთულ ეროვნულ, სოციალურ და ეკონომიურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი იმდროინდელ საქართველოში.

* * *

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ნ. ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიურმა შეხედულებებმა ევოლუცია განიცადა, რაც განპირობებული იყო საქართველოში კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებითა და ამიერკავკასიის სამთამადნო მრეწველობაში უცხოური კაპიტალის შემოჭრით. ნ. ნიკოლაძე ფოთის ქალაქისთავად 18 წლის მოღვაწეობის მანძილზე დარწმუნდა კრედიტის ბურჟუაზიულ ბუნებაში. ნ. ნიკოლაძე 900-იან წლებიდან ბანკის საქმიანობასა და ფულის მიმოქცევის საკითხებს კაპიტალისტური წარმოების ზრდა-განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მან ახალი დებულებებით შეავსო და განამტკიცა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გამოთქმული მოსაზრება, რომ თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მოქმედების რამდენიმე წლის შემდეგ „ჩვენი მამულების უმეტესი ნაწილი ბანკებს ექნება დაგირავებული, ფული

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 337.

ბანკის მოვალეებს დახარჯული ექნებათ — ამას რაღა ლაპარაკი უნდა" [1].

მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე ნ. ნიკოლაძემ, საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და პრაქტიკული მოღვაწეობიდან გამომდინარე, საჭიროდ ცნო რამდენადმე უყურადღებოდ დაეტოვებინა საჰიპოტეკო კრედიტის საკითხები და საქართველოში კომერციული კრედიტისა და კომერციული ბანკების არსებობა გაემართლებინა. ის წერდა, რომ სამრეწველო კაპიტალიზმის დროს მთავარია სასესხო კაპიტალის სამი ძირითადი მიმართულებით განვითარება: 1. დამზადებული საქონლის მყიდველისათვის საჭიროა კომერციული კრედიტი, ხოლო ფუნქციონერი კაპიტალისტისათვის — საბანკო კრედიტი; 2. მრეწველ კაპიტალისტს აგრეთვე სეზონური წარმოებისათვისაც სჭირდება კრედიტი და 3. მისი გამოყენება სასესხო კაპიტალის საწარმოს ძირითადი ფონდების გასადიდებლად.

მაგრამ ნ. ნიკოლაძემ სრულყოფილად ვერ ახსნა ეს საკითხი: კომერციულ და საბანკო კრედიტს როგორც მრეწველი, ისე ვაჭარი კაპიტალისტები საჭიროების შემთხვევაში ერთნაირად იყენებენ, როგორც ვხედავთ, ამიტომ საკითხის ნ. ნიკოლაძისეული გადაწყვეტა ცალმხრივია.

ნ. ნიკოლაძე დაასკვნის, რომ საჭიროა საქართველოში ფართოდ დაინერგოს ზემოაღნიშნული სახეობის საკრედიტო დაწესებულებები, რომელთა საბრუნავი და სარეზერვო სახსრები ადგილობრივი წყაროებიდან უნდა გამოიხახოს. ნ. ნიკოლაძე კრიტიკულად აფასებს უცხოეთის კაპიტალის როლს და მიუთითებს, რომ აღნიშნული კაპიტალის გაბატონების შედეგად შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა შეფერხდეს და უკიდურესად დამოკიდებული გახდეს. ამას იგი ბევრი ფაქტობრივი მასალით ასაბუთებს [2]. ნ. ნიკოლაძის მიერ კრედიტის როლის ასეთი შეფასება შემთხვევითი არ არის. მას დიდი ამა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. II, გვ. 274.

[2] იხ. კ. მარქსის სახელობის თბილისის სახელმწიფო სახარო ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძის არქივის სპეციალური განყოფილება.

გი მიუძღვის იმერეთის ჭვანახშირისა და მარგანეცის საბადოთა დამუშავება-ექსპლოატაციის, მის საზღვარგარეთ ზღვით გატანის მოწესრიგების საქმეში. ნ. ნიკოლაძე იგნორირებას უკეთებს ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მარგანეცის მეწარმე-კაპიტალისტთა ინტერესებს, მისთვის სამთამადნო მრეწველობის წინსვლა, ამ მრეწველობაში კრედიტის გამოყენება ერთ მიზანს ისახავს: რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს ქართველ ხალხს. მისი აზრით, მრეწველობის განვითარებით გაიზრდება ვაჭრობა, რომელიც „... ორი გზით ამრავლებს ქვეყნის ქონებას: ერთის მხრით ბაზარს შოულობს მოსაელისათვის, და მით წარმოების ასპარეზს თანდათან აფართოებს, და მეორეს მხრით — აადვილებს, აიაფებს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ამიტომ ხეირიანად წარმოებული ვაჭრობა, თუ შემოქმედი არა მოქმედი ძალა მაინც არის ერის საეკონომიო ცხოვრებაში და ისეთი ძალაა, ურომლისოდაც წარმოება, შემოქმედი შრომა ქვეყნისა აუცილებლად შემცირდება“ [1]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძე დიდ შეფასებას აძლევდა ი. ჭავჭავაძის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე და კერძოდ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში მის მუშაობას. „ძველი მოღვაწეების ნაშრომთა შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბობოლებისაგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები. მაგალითად, ყველასაგან ერთნაირად დავიწყებული საადგილ-მამულო ბანკები. ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ... რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871 — 1873 წ. რამდენიმე ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია“ [2]. ნ. ნიკოლაძის ეს აღიარება საბოლოოდ აქარწყლებს იმ შეხედულებებს, რომლე-

[1] ჟურნ. „მოამბე“. 1894. № 12. გვ. 126.

[2] ნ. ნიკოლაძე. თხზ., ტ. I, გვ. 64.

ბიც გავრცელებულია ილიასა და ნ. ნიკოლაძის საკრედიტო აზრთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებით. ნ. ნიკოლაძე არათუ აუგად იხსენიებდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში ილიას მოღვაწეობის და საერთოდ ქართველი ერის წინაშე მის დამსახურებას, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძის შემდგომი საქმიანობა მიჩნეული უნდა იქნას ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელებად.

მართებულად ასკვნის პროფ. ა. სურგულაძე, რომ „ილია ჭავჭავაძემ თავის კეთილშობილურ ბრძოლაში გაიყოლია ამ პერიოდის მოღვაწეთა მთელი თაობა (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. ვოლგაშვილი, ს. მესხი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.). ის მცირედი უთანხმოებანი, რაც საქართველოს მომავლის გაგების საკითხში ამ თაობის ზოგიერთ წარმომადგენელთა შორის არსებობდა, არ გვაძლევს საფუძველს იმისთვის, რომ ეს მოღვაწენი ცალ-ცალკე დასებად დავყოთ და ერთმანეთს დავუპირისპიროთ. ეს იყო ისეთივე ერთიანი ნაკადი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც ერთიანი იყო რაზნოჩინცული ეტაპი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში“ [1].

---

[1] ა. სურგულაძე. ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბ., 1970, გვ. 98.

სერგეი მესხის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართველ სამოციანელთა ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს სერგეი სიმონის ძე მესხს (1845—1883 წწ). იგი სამოღვაწეო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც საქართველოში ტარდებოდა საგლეხო რეფორმა.

1864—1871 წლებში საქართველოში გატარებულ საგლეხო რეფორმას მოჰყვა ფეოდალური წარმოების წესის დაშლა და კაპიტალიზმის განვითარება. საგლეხო რეფორმამ ქართველი გლეხობა მემამულეთა ბატონობისაგან მხოლოდ იურიდიულად გაანთავისუფლა, ეკონომიურად ისინი მაინც მათზე იყვნენ დამოკიდებული, რამდენადაც მემამულეებმა რეფორმის „ობიექტურად" გატარებით გლეხობას საუკეთესო მიწების უდიდესი ნაწილი ჩამოართვეს და თვითონ მიისაკუთრეს. თუ საქართველოში საგლეხო რეფორმამდე „დროებით ვალდებულ" გლეხთა სარგებლობაში იყო 84665 დესეტინა მიწა, რეფორმის შედეგად მათ ჩამოეპრათ 28986 დესეტინა საუკეთესო მიწები" [1].

მაგრამ რეფორმის შედეგად არც მემამულეთა მდგომარეობა გაუმჯობესებულა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიწის მთელი ფართობის 60% მემამულეებს ეკუთვნოდათ. რეფორმამ ისინი უყმებოდ, უგლეხებოდ დატოვა, თვითონ კი მიწების დამუშავება არ შეეძლოთ. რეფორმამ საბოლოო ჯამში დასაბამი მისცა გლეხთა დიფერენციაციას და სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას.

რეფორმის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით გასული

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1957, ნაწ. 1, გვ. 8.

საუკუნის 70-იანი წლებიდან, შესამჩნევად გაიზარდა კაპიტალისტურ საწარმოთა რიცხვი, ფარდა გასაქანი მიეცა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებას, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო საზღვაო, სამდინარეო გზებისა და სარკინიგზო ქსელის ზრდამ. განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდა მევახშეობა. რამაც კაბალური სესხებით თავის კლანჭებში მოაქცია არაშრომით შემოსავლებს დაჩვეული მემამულეთა კლასი და უმიწოდ დარჩენილი გლეხობა.

ზემოაღნიშნულ პროცესს კიდევ უფრო ამწვავებდა რუსეთის ცარიზმი. ფეოდალიზმის გადმონაშთები საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას აბრკოლებდა. მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდიოდა და ქართული სოფელიც ემორჩილებოდა კაპიტალიზმის კანონებს.

ფ. მახარაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ 60—70-იანი წლები ამერკავკასიისა და საქართველოს ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდია. ნათლად გამოიკვეთა კაპიტალის დაგროვებისა და ბაზრის განვითარების ტენდენციები, სოციალური ცვლილებები [1].

სწორედ ამ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს სერგეი მესხს.

მკვლევართა ერთი ნაწილი ს. მესხს მიიჩნევს „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ აქტიურ მონაწილედ, „რადიკალურად მოაზროვნე“ პუბლიცისტად“ [2], მ. გაფრინდაშვილის აზრით, ს. მესხი მიეკუთვნება „რადიკალურ-დემოკრატულ“ მიმართულებას, რომლებიც „ცარიზმის, მსხვილი მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესების გამომხატველი რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ“ [3], გ. თოდუას და გ. აბზიანიძის აზრით, ს. მესხი მიეკუთვნება რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენელთა

---

[1] Ф. Махарадзе. Г. Хачапуридзе. Очерки из истории рабочего и крестьянского движения в Грузии, 1922, стр. 114.

[2] ი. ბოცვაძე, წინასიტყვაობა, იხ. ს. მესხი, თხზ., 1962, ტ. I, გვ. 5.

[3] გ. გაფრინდაშვილი. ქართული გამანათლებლობა, 1966, გვ. 6.

რიცხვს [1], პროფ. ლ. გორგილაძე აღნიშნავს, რომ „თერგდალეულებს გამოეყვნენ ბურჟუაზიული დემოკრატები (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი), რომლებიც პროგრესული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველები იყვნენ. ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაში ისინი ხედავდნენ საქართველოს ეროვნული აღორძინების საფუძველს, ხოლო რესპუბლიკური წყობილების დამყარებისათვის ბრძოლაში ხელმძღვანელ წამყვან ძალად ბურჟუაზიას სახავდნენ [2]. 1958 წელს აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში წერია, რომ „წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატ მოღვაწეთა ჯგუფში, რომელიც იმავე დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფს წარმოადგენდა, შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, დავით მიქელაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკო სიხარულიძე (ურბნელი), მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილი და სხვები“ [3].

ს. მესხის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებებზე ახლებური მოსაზრებები აქვს წარმოდგენილი პროფ. გ. მეგრელიშვილს. მისი აზრით, ს. მესხი მიეკუთვნება ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს: „საკმარისია გავეცნოთ მის წერილებს ეკატერინე მელიქიშვილისადმი, რომ სრულიად ნათელი გახდება ს. მესხის ბურჟუაზიულ-ლიბერალურობა, იმ პერიოდის რევოლუციური დემოკრატიზმის მიმართ მტრული დამოკიდებულება“ [4].

ჩვენს მიერ მოტანილი ქართველ მკვლევართა მოსაზრებე-

---

[1] ჟურნ., „საქართველოს ეკონომისტი“, 1958, № 8, გვ. 25. გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 360—366.

[2] ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1961, გვ. 74.

[3] საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 553—554.

[4] Г. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, 1960, т. I, стр. 277.

ბი ს. მესხის სოციალურ-ეკონომიურ შეხედულებებზე ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება პროფ. გ. მეგრელიშვილის შეხედულებას ს. მესხზე, ვფიქრობთ იგი რამდენადმე დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, 1875 წელს ს. მესხი, ეხებოდა რა მირზოევის საქსოვ ფაბრიკაში მომხდარ მუშების გაფიცვას, წერდა, რომ ამის მიზეზი არის ფაბრიკის ხელისუფალთა მხრივ „მუშების სასტიკათ და უსამართლოდ მოპყრობა და დაჩაგვრა“ [1]. პროფ. ი. ანთელავა მიუთითებს, რომ „....მცდარია ცნობილი თერგდალეულის სერგეი მესხის ბურჟუაზიის იდეოლოგად გამოცხადება“ [2].

ს. მესხი მიეკუთვნება თერგდალეულ განმანათლებელთა იმ მოწინავე პლეადას, რომლებმაც თავიანთი საქმიანობის მიზნად გადააქცივეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ს. მესხი იყო საქართველოში რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

მართებულად მიუთითებს პროფ. ლ. გორგილაძე: „თერგდალეულთა მოღვაწეობით საქართველოში იწყება განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, დემოკრატიული პერიოდი, რომელიც შეესაბამება რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეტაპს, დაახლოებით 1886—1895 წლებს რომ მოიცავს“ [3].

ქართველ განმანათლებლებთა (თერგდალეულთა) მოღვაწეობა ისეთივე თვისებებით ხასიათდებოდა, როგორითაც დასავლეთ ევროპისა და რუსეთის განმანათლებლები. მათზე წერდა ვ. ი. ლენინი ნაშრომში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს განმანათლებელთა სამ დამახასიათებელ თავისებურებებს. ეს არის მტრული დამოკიდებულება ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში, განათ-

---

[1] ს. მესხი, თხზ., ტ. 2, გვ. 121.

[2] ი. ანთელავა, საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1967, გვ. 14.

[3] ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, გვ. 6.

ლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა, და საერთოდ, რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციის იდეების მხურვალე დაცვა, ხალხის მასების, განსაკუთრებით გლეხთა ინტერესების დაცვა, იმის რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა და ა. შ.

ს. მესხის რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებები, მსგავსად ილიასა და აკაკისა, პატრიოტულ-დემოკრატიულ ფორმაში ვლინდებოდა, იგი თანაუგრძნობდა დასავლეთ ევროპის სოციალ-უტოპისტებს, დიდ ყურადღებას აქცევდა დასავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც.

ს. მესხს კარგად ესმის ბურჟუაზიული რევოლუციების ბუნება — „საზოგადო ისტორიაში და განსაკუთრებით საფრანგეთის ისტორიაში ერთი, ყურადღების ღირსი მოვლენაა შენიშნული: ყოველთვის, რევოლუციის შემდეგ, როდესაც მოქანცული, დაღლილი ხალხი რომელსამე ერთს პარტიას მიენდობა და იმას ჩააბარებს თავის ბედის გამგეობას და თავის ქვეყნის მმართველობას, ეს პარტია, ცოტა ხნის შემდეგ, თითქმის იმნაირათვე იწყებს მოქმედებას, იმნაირათვე ართმევს – ხალხს თავისუფლებას, რომლისთვისაც იმან იმდენი სისხლი დაღვარა, როგორც წინანდელი, გადაგდებული მმართველობა. ერთი სიტყვით, რევოლუციის შემდეგ ჯერჯერობით, თითქმის მუდამ რეაქცია, უკან დაბრუნება, ძველი წესების განახლება და ისევ ხალხის. შევიწროება იწყება“ [1]. მაგრამ ს. მესხის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მას რევოლუციაში მშრომელი ხალხის დამარცხება გარდამავალ მოვლენად მიაჩნია. საზოგადოებრივი განვითარება მიაღწევს იმ დონეს, როდესაც რევოლუცია მოსპობს ყოველგვარ უსამართლობას: „რასაკვირველია, ეს კანონი არ არის, იმ დღეს, როდესაც ხალხი თავის ნამდვილ მომხრეებს გაარჩევს პირმოთნე და მოღალატე პირებში, იმ დღეს, როდესაც ხალხი, რევოლუციის მოხთენის შემდეგ, თვითონვე დაესაკუთრება თავის საქმეებს, — იმ დღეს ეს თითქო

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., 1962, ტ. I, გვ. 385.

კანონი მოისპობა და ხალხი იგრძნობს თავის სისხლის ღვრის ნამდვილს სარგებლობას და შედეგს“ [1].

ს. მესხს საფრანგეთის რევოლუციის გამოცდილებით სურდა ქართველი ხალხისათვის დაენახვებინა რევოლუციის სიდიადე, მაგრამ ამისათვის საჭიროდ მიაჩნდა ხალხის მომზადება; „აჩქარებით, თავხედური მოქმედებით საქმე სრულიად გაფუჭდება ... და მომავალსაც დაბრკოლება მიეცემა“. ს. მესხისათვის ცნობილია ისიც, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში რევოლუციური ძალები არ არსებობდა, მაგრამ მისი იდეების პროპაგანდა დიდი საქმე იყო. ამ პერიოდში „რევოლუციონერობა ნიშნავდა არა მოწოდებას აჯანყებისაკენ, არამედ რევოლუციის პრინციპულად აღიარებას, რევოლუციური ძალების მომზადებას. უწინარეს ყოვლისა, იდეურად და შესაძლებელ რევოლუციაში ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნული და კლასობრივი ინტერესების დასაცავად ბრძოლის სურვილს“ [2].

ს. მესხის პუბლიცისტურ ნაწერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივი განვითარების კანონების განხილვას. ს. მესხს სწორი დასკვნა გამოაქვს, რომ არსებული წყობილება ვერ გამოხატავს იმ ძირითადს, რომელზედაც უნდა განვითარდეს პროგრესული წარმოებითი ურთიერთობანი. „კაცობრიობას ისეთი თვისება აქვს, რომ ერთ ადგილზე გაჩერება, ერთ და იმავე ჩვეულებისა და აზრის სამუდამოთ შენახვა იმას არასოდეს არ შეუძლია. ის მუდამ წარმატებაშია, მუდამ წინ მიდის; ერთ უაზრო ჩვეულებას დააგდებს და მის ნაცვლად შემოიღებს მეორეს, უფრო საფუძვლიანს. დღეს ის ჰფიქრობს, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა მეორეს უნდა არჩენდეს, მეორესთვის უნდა შრომობდესო, ხვალ კი მიხვდება, რომ ამნაირათ საზოგადოების დაყოფა უსამართლო საქმეა და მავნებელი ორივესათვის, როგორც მშრომელისათვის, ისე ტყუილა-მჭამელისათვისაც“ [3].

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. I. გვ. 385.

[2] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, I, გვ. 306.

[3] იქვე, გვ. 74.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართველი საზოგადო მოღვაწეთა მსგავსად, ს. მესხი თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართველი თავადაზნაურობის დეგრადაციასა და გლეხობის უმწეო მდგომარეობას და მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვას.

ს. მესხი ნათლად ხედავდა, რომ ბატონყმობის გაუქმებით საქართველოში გლეხის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

საგლეხო რეფორმას გლეხობის განთავისუფლება, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, არ მოჰყოლია, ისინი რეფორმამ უმიწოდ დატოვა. სწორედ ამაზე წერდა ს. მესხი: „თავისუფლებას მოკლებული სიცოცხლე — სიცოცხლე არ არის!

დიახ, უთავისუფლოდ სიცოცხლე არ არის; ვისაც კაცობრიული უფლებები დაუკარგავს, ის ნამდვილი ცხოვრებით არ ცხოვრობს; მაგრამ რას მიქვიან მარტო უფლება, თუ იმით ვერ ეისარგებლებ?

რათ უნდა დამბლათ დავარდნილ ავადმყოფს სეირნობისა და სიარულის უფლება, თუ ის ამ უფლებით თავის დღეში ვერ ისარგებლებს? რაში გამოადგება მუშა გლეხს თავისუფლება, ფუ კი სამუშაოს ვერ იშოვნის, თუ მუდამ იმის შიშით უნდა ცახცახებდეს, რომ ხვალ ულუკმაპუროთ და უსახლკაროთ არ დავრჩეო?“ [1].

ს. მესხი 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ მკაცრად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, რომლებმაც გადაწყვიტეს გლეხის უმიწოდ განთავისუფლება, ეს მისი აზრით ერის დაცემას, განადგურებას გამოიწვევს. ს. მესხი საქმით პროტესტს აცხადებდა მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც საგლეხო რეფორმის გატარებით გლეხი უმიწოდ დატოვა. „ქართველ გლეხს მიწა უნდა ჰქონდეს; უმიწოდ იმის ცხოვრება შეუძლებელია, იმ დღეს, რა დღესაც ჩვენებურ გლეხს მიწა ჩამოერთმევა, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბედს საუკუნოთ უნდა გამოვეთხოვოთ“ [2]. მეფის ცენზურის პირობებში ასეთი ტონით გამოსვლა უდიდეს მოვ-

[1] ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 417.
[2] ს. მესხი, თხზ., ტ. II, გვ. 182.

ლენად უნდა ჩაითვალოს. ეს იყო პროტესტი ცარიზმის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო გლეხთა გათვითცნობიერება.

საგლეხო რეფორმის გატარებით თავადაზნაურობა გარკვეული რაოდენობის ფულის მფლობელიც გახდა, მაგრამ მათმა უყაირათობამ და ფუფუნებით ცხოვრებამ ეს სახსრები მალე ხელიდან გამოაცალათ და ვაჭარ-მევახშეთა საკუთრებაში გადავიდა. თავადაზნაურობა იძულებული გახდა არაპირდაპირი გზით—მიწების ნადელებად გადაცემით—გაეძლიერებინა გლეხობის ექსპლოატაცია. მეფის მთავრობის მიერ მიწებზე მაღალი ფასების დაწესებამ გლეხობის უდიდეს ნაწილს მოუსპო მიწის ნაკვეთების შეძენის შესაძლებლობა. ღარიბი გლეხური მეურნეობა კიდევ უფრო გაჩანაგდა. „სანამ გლეხი საკუთარი მამულის პატრონი დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქნება,— წერდა ს. მესხი,— მანამ ნაბატონრებსა და იმის ნაყმევებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა"[1]. მისთვის ცნობილია, რომ საგლეხო რეფორმით უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი ისევ უწინდელ ბატონზეა დამოკიდებული. ს. მესხი მიუთითებს, რომ განა დღეს „ბევრს ნახავთ საქართველოში ისეთს გლეხს, რომელსაც იმდენი საკუთარი მიწა ჰქონდეს, რომ მებატონესაგან იჯარით, ღალით აღება არ ეჭირვებოდეს?" და თვითონვე პასუხობს: „ასზე ერთს თუ შეხვდებით, ისიც ბევრია. დიდმა უმრავლესობამ კი ძალა-უნებურად უნდა მიმართოს, უნდა სთხოვოს ან თავის ადრინდელ ნაბატონევს, ან სხვა რომელსამე მემამულეს, რომ მიწა მიაქირავოს, ტყეში შეუშვას და სხვ.

და რამდენს აძლევს ამისათვის ღალას? შვიდსაველის მეოთხედს თუ დასჯერდა მემამულე, გლეხს ბედნიერად მიაჩნია თავი" [2].

ს. მესხი ურჩევს მებატონეებს გლეხს მოექცნენ ადამიანურად. „მიიღონ და დაფიქრდნენ იმაზედაც, რომ გლეხის შევიწროება არც იმათ დააყრის სიკეთეს, რომ გლეხის სიღარიბეს თვით იმათ კეთილდღეობაზედაც ექნება უეჭველი გავლენა" [3].

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. II, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 238.

[3] იქვე, გვ. 239.

ს. მესხი განსაკუთრებით მწვავედ გრძნობს იმ ანტაგონიზმს, რომელიც არსებობს მემამულეებსა და გლეხობას შორის და რომელიც საბოლოოდ დაღუპავს თავადაზნაურობას.

ს. მესხს ქართველი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარ პირობად გლეხობის მიწით უზრუნველყოფა მიაჩნია. თავადაზნაურობა უნდა დარწმუნდეს, რომ მიწა მიწის მუშას უნდა ჰქონდეს და არა გაიძვერა ჩარჩ-ვაჭრებს. „თუ ჩვენი მამულის პატრონები, — ასკვნის ს. მესხი, — დარწმუნებული არიან იმ ჰეშმარიტებაში, რომ გლეხკაცებისა და მათი კეთილდღეობა და სიკეთე კუდი-კუდზე არიან გადაბმული, — მაშინ უეჭველია, ისინი გაუადვილებენ გლეხებს ნადელის შესყიდვას და საზოგადოთ მიწა-წყლის საქმეში არ შეავიწროებენ იმათ“ [1].

ს. მესხი აქვე სვამს კითხვას: მაგრამ გლეხმა საიდან იშოვოს ფული მიწის შესასყიდად? თვითონვე პასუხობს: გამოსავალი შეიძლება იყოს სასოფლო ბანკების შექმნა. მაგრამ, — წერდა ს. მესხი, — „ვინ არ იცის, რომ ჩვენ ღარიბ სოფლებს იმდენი თავისუფალი ფული თითქმის არასოდეს არ მოეძებნებათ, რომ თავის აუცილებელ საჭიროებას გადაანარჩუნონ და ბანკს თავნის შესაძგენად შეიტანონ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში სოფლებისათვის ხელის მომართვა, უეჭველია, მხოლოდ მთავრობას შეუძლია, რომელსაც არ გაუჭირდება ყველა სასოფლო ბანკს თუ სამუდამოთ არა, სესხად მაინც მისცეს რამდენიმე ათასი მანეთი“ [2].

სასოფლო ბანკების შექმნის იდეა პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ძნელი განსახორციელებელი.

პროგრესულად უნდა ჩაითვალოს ს. მესხის აღიარება მასზე, რომ მშრომელ გლეხობას ფული არ გააჩნია, მაგრამ ფულით გლეხობის დაკმაყოფილების მესხისეული გზა რამდენადმე უტოპიზმის ჩარჩოებშია მოქცეული. „ჩვენებურ სოფლის ხალხს რომ ფული საშინლად უჭირს, რომ ხანდიხან მანეთში მანეთსა და მეტსაც აძლევს სარგებელს და ამგვარათ თანდათან

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. I, გვ. 65.

[2] იქვე, გვ. 313.

გამოუსვლელ ვალში ვარდება, — ეს ისეთი ნამდვილი საქმეა და ისე კარგათ ვიცით ყველამ, რომ ამაზედ ლაპარაკი არც-კი ღირს. ისიც დიდი ხანია დამტკიცებული ჰეშმარიტებაა, რომ როგორც საზოგადოთ ყველა ხალხს, აგრეთვე ჩვენ ხალხსაც, ამ გაჭირვებაში თითქმის ყველა სხვა საშუალებაზე მომეტებულ სარგებლობას მოუტანს სასოფლო ბანკის გამართვა" [1].

ს. მესხს დადებით მოვლენად მიაჩნია ის, რომ თვითონ სოფლები აცხადებენ სასოფლო ბანკების ჩამოყალიბების სურვილს. „ჩვენი აზრით, — წერს იგი, — ეს გარემოება უეჭველად იმას მოასწავებს, რომ ჩვენი სოფლის ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაშია და უგრძვნია, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ იმას, ცოტა თუ ბევრათ, სასოფლო ბანკი დაეხმარება" [2]. მაგრამ ს. მესხს მიაჩნია, რომ მარტო სურვილი ბანკის შექმნისა „არ კმარა". ამისათვის საჭიროა მცოდნე პირები. მისი აზრით, „ყველა კარგ წამოწყებას მოთავეც უნდა", ურომლისოდაც არც ერთი საქმე ვერ წაიწევს წინ. ს. მესხი წერს: „... თუ ისინი გამართავენ ბანკს, შემდეგში იმათი მიბაძვით სხვა სოფლებიც შეუდგებიან ამ საქმეს და თუ იმათ რაიმე დაბრკოლება მიეცათ, მაშინ უეჭველია, სხვებსაც გაუგრილდებათ გული და ამგვარათ ჩვენი სოფლის ხალხს ერთი თავის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი სახსარი მოაკლდება" [3].

ს. მესხი ხედავს რა გლეხში მშრომელსა და ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელს, აუცილებლად მიაჩნია მათთვის ხელის მომართვა ყველა საქმეში და განსაკუთრებით მიწის საყიდლად ფულის შოვნაში. ფული „ყველას გვეჭირვება, მაგრამ ისე კი არავის, როგორც ამ დროინდელ გლეხსა. ვაჭარმა რომ ფული ვერ იშოვნოს, ამით ქვეყანას არა თუ არა მოაკლდება რა, იქნება კიდეც შეემატოს; ნაბატონარს რომ ფული შემოაკლდეს, მართალია, ცუდია, მაგრამ მაინც არა უშავს რა: თუ ბანკისა და თუ სხვა ღონისძიებით გამოსძებნის. მაგრამ გლეხი კი სულ

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. I, გვ. 356.

[2] იქვე, გვ. 312.

[3] იქვე, გვ. 313.

სხვაა: იმის უფულობა ახლა მთელს ქვეყანას დაეტყობა, მთელ საქართველოსთვის საგრძნობელი იქნება“ [1].

ს. მესხს გლეხის აუტანელი მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, უმიწობასთან ერთად, მიაჩნია ჩარჩ-ვაჭრების მომძლავრება: გლეხის მიერ ჭაპანწყვეტით მოწეულ მოსავალს შემოდგომაზე მრავალი ვაჭარი შეესევა ხოლმე. ს. მესხი აღნიშნავს, „რომ, რაც უფრო მცირე არიან შეძამავლები მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა, ისა სჯობია. რაც უფრო ცოტაა საკუთრივ ვაჭრები, მით უფრო ბედნიერია ქვეყანა. ვაჭარს ამ შემთხვევაში მე იმას ვეძახი, ვინც წარმოებაში არ ურევია, ვინც მწარმოებელისაგან იაფად ყიდვით და მომხმარებელზე ძვირად გაყიდვით თვითონ სარგებლობს, მხოლოდ თვითონ ისქელებს ჯიბეს“ [2].

ს. მესხი 1876 წელს „დროებაში“ მოთავსებულ სტატიაში „თბილისის ბაზარი“ იძლევა ქართველი გლეხის ძარცვის მძიმე სურათს. გლეხები „ყველანი ბაზარში მოდიან, ყველანი ამ თავიანთ ნაწარმოებისაგან აღებულის ფულით მოელიან ხელმწიფისა და ბატონის, მღვდლისა და ერის კაცის ხარჯის გადახდას, ცოლ-შვილის გამოკვებას და შემოსვას. ქალაქის ღარიბ ხალხსაც ამის იმედი აქვს: იცის, რომ სოფელი ქალაქელ ჩარჩზე და საზოგადოთ ვაჭარზედ უფრო იაფად ჰყიდის ხოლმე და ეშურება ბაზარშივე, იქვე, ურემზედვე იყიდოს ყველაფერი, რაც იმის ღარიბ ოჯახს ეჭირება“ [3]. მაგრამ ს. მესხი ხედავს, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ასეთ სურვილს როდი უწერია განხორციელება „ჩარჩები და კინტოები“ ქალაქგარეთ ხვდებიან სოფლელებს და „... ღმერთმა იცის, როგორის ხერხებითა და ხშირად ძალადობითაც ართმევენ და ჰყიდულობენ ხსენებულ საგნებს და მოაქვთ ქალაქში...ნარდად ან თვითონ გაჰყიდიან მომხმარებლებზე ერთი-ორად, ერთი-სამად“ [4].

ს. მესხი არ კმაყოფილდება გლეხობის ძარცვა-გლეჯის აღ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. I, გვ. 181.
[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 87.
[3] იქვე, გვ. 263.
[4] იქვე.

წერით, იგი გვიჩვენებს ამ მდგომარეობის გამოსწორების გზებსაც. მაგალითად, აღნიშვნის ღირსია შემდეგი: დღის მეორე ნახევრამდე აეკრძალოთ ჩარჩ-ვაჭრებს სოფლებისაგან პროდუქტის ყიდვა; ბაზარში ქალაქის მესვეურნი უნდა დადიოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ ვაჭრობის სწორად ორგანიზაციას, მაგრამ „ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ისინი ამგვარ საქმეებში მონაწილენი არიანო...“ [1].

ს. მესხიმ კარგად იცის, რომ სოფლის მშრომელები სასტიკად იტანჯებიან მევახშეებისაგან. მათი „სული და ჭონება ერთის ან ორის წვრილი ვაჭრის, ანუ ფულის მსესხებლის ხელშია, რომელიც აქ ჩასახლებულია, ან რომელსაც ახლო ქალაქიდამ გადმოუწვდია ხელი და მუხრუჭივით წაუჭერიათ სოფლელების ყელში. ჩვენი გლეხის მამულები, განსაკუთრებით კახეთში და ქართლში, სანახევროდ იმათ აქეთ დაგირავებულები და უეჭველია, თუ რამე საშუალება არ მოინახა, ერთ დროს, იქნება მალეც, სრულებით იმათ ხელში გადავა. გლეხი-კაცი ამ ვაჭრის ვალით ყელამდი სავსეა, ეს ვალი წლობით კი არა, საათობით მატულობს“ [2], მევახშეები ისე არიან გათავხედებულნი, „ყოველ შემოდგომას ჩამოივლიან თურმე და კალოზედვე ართმევენ გლეხ-კაცს თავიანთი ნასესხები ფულის სარგებელსა!“ [3].

მევახშეებისა და ჩარჩ-ვაჭართა უღლისაგან გლეხობის დახსნა, ს. მესხის აზრით, შეიძლება „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობების“ დაარსებით. იგი „გაჭირვების დროს... მოუმართავს ხელს ღარიბ მოხელეებსა და ვაჭრებს. ისინი იძულებულნი აღარ იქნებიან ფულიან კაცს მიმართონ და მანეთში ხშირად წელიწადში ნახევარი მანეთი სარგებელი აძლიონ“ [4].

ს. მესხის აზრით, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სოფლის მეურნეობის ინტენსიური და ექსტენსიური განვითარება, იგი განსაკუთრებულ ყუ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 263—264.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 323.

[3] იქვე, გვ. 324.

[4] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 76.

რადღებას აქცევდა ყამირი მიწების ათვისებას, ირიგაციული და მელიორაციულ ღონისძიებათა გატარებას. იმის გამო, რომ ამ სამუშაოების ჩატარებით არ არის დაინტერესებული სახელმწიფო და მიწათმფლობელები, თვით გლეხობამ უნდა იღონოს რაჰე. მისი აზრით, თუ „რამდენიმე სოფლის მცხოვრებლები" ერთმანეთს შეეკვრებიან და „ერთმანეთს პირს მისცემენ", შეიძლება არხების გაყვანა და მით მოსავლიანობის გადიდება. მას მრავალი მაგალითი მოჰყავს იმისა, თუ როგორ გაყავდათ არხები ძველ დროში, დაბალი ტექნიკის პირობებში, როგორ რწყავდნენ მიწებს. „რამდენსამე ერთად შეკრებილს სოფელს ბევრი რამ და დიდი საქმის გაკეთება შეუძლია და თავიანთი თავის სასარგებლოთ ისინი უფრო გულმოდგინეთ იმუშაებენ, უფრო კარგად გაიყვანენ არხებს, ვიდრე უცხო კაცები და კამპანიები".

გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას რამდენადმე ხელს შეუწყობს აგრეთვე გლეხთა სხვადასხვა ამხანაგობების შექმნა. ს. მესხი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შორაპნის მაზრაში გახსნილ საზოგადო პურის მაღაზიას, რაც „ძალიან შესანიშნავ საქმედ მიაჩნია". ამასთან ერთად იძლევა რჩევას, რომ საზოგადო მაღაზიის განსავითარებლად, ამხანაგობაში გაერთიანებულ წევრებისაგან გადასახადები უნდა აკრეფილ იქნას დიფერენციულად, მიწის ნაყოფიერების კვალობაზე: „ღარიბებს, ობლებს და ქვრივებს, რომელთაც არ შეუძლიან წილის შეტანა მაღაზიაში, საზოგადოება შეძლებისდაგვარად უნდა შეეწიოს და მისცეს უზღველად ნამუშევარი" [1]. საზოგადოებას შეუძლია მისცეს ნატურით სესხი იმათაც, ვინც მისი წევრი არ იქნება, მხოლოდ უფრო დიდი სარგებლით მაღაზიაში შემოსული ფულებით შეიძლება დაწესდეს „პატარა ბანკი", წევრების „ხელის გასამართავად" და ბოლოს, „თუ საქმე კარგათ მიდის" გაიხსნას სკოლა „გლეხების შვილებისათვის".

ს. მესხი საზოგადო პურის მაღაზიების მსგავსად, სასარგებ-

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 52.

ლო საქმედ მიიჩნევს ყველისა და ერბოს დამამზადებელი არტელების შექმნას.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას სერგეი მესხი იმაშიც ხედავს, რომ „საჭიროა ვაჭრობასა და მრეწველობაში ქართველი ხალხიც ჩაებას და ხელიდან გამოგლიჯოს ეს საქმე სომეხ ვაჭრებსა და უცხოელ კომერსანტებს, რომლებიც გამდიდრების მიზნით საქართველოსაკენ მოისწრაფვიან“ [1].

ს. მესხი მიუთითებს, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოს საფრთხე ემუქრება: სარგებლობს რა ქართველი ხალხის სიღარიბით, საქართველოსაკენ მოილტვიან უცხოელი კომერსანტები და კაპიტალისტები: „შენიშნულია, რომ როდესაც უცხო ქვეყნები რომელსამე ბუნებით მდიდარს ქვეყანაში მიდიან, იმათი უპირველესი აზრი ის არის, რომ რაც შეიძლება მომეტებული გამოიტანონ ამ ქვეყნიდან, გამოსწოვონ იმას უკანასკნელი ცხოვრების წვეთი და შემდეგ მიატოვონ“ [2].

ს. მესხი აკრიტიკებდა გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ სტატიას „წარმოება და ვაჭრობა კავკასიაში“, რომლის ავტორიც მოუწოდებდა უცხოელებს გაეხსნათ „ხალხთა შორის კანტორა“. იგი წერდა: უცხოელებს „რა ენაღვლება, თუ ამის შემდეგ ეს ქვეყანა უტყეოთ და საზოგადოთ უღონ-ძიებოთ დარჩება და ბუნებით გაღარიბდება. იმას მხოლოდ ამ სიმდიდრით ქვეყნის სარგებლობა ჰსურს და როდესაც შეასრულებს ამ თავის სურვილს და გაზიდავს აქედამ სიმდიდრეს, თვითონაც მიდის გამდიდრებული და კმაყოფილი“ [3].

ს. მესხიმ შეამჩნია მე-19 საუკუნის საქართველოს ეკონომიური განვითარების ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, მაგრამ ვერ შეეძლო გაერკვია მისი გამომწვევი მიზეზები.

მე-19 საუკუნის დამლევს ეკონომიური ჩამორჩენილობისა და მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად საქართ-

---

[1] ი. ბოცვაძე, სერგეი მესხი და 70—80-იანი წლების ქართული პრესა, 1968, გვ. 148.

[2] ს. მესხი, თხზ., ტ. 1, გვ. 278—279.

[3] იქვე, გვ. 279.

ველო იყო კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა სუსტად განვითარებული მრეწველობით. აქ კაპიტალიზმის წარმოებითი ურთიერთობანი გადაჯაჭვული იყო სოფლის მეურნეობის ნახევრად ფეოდალური ურთიერთობის ჩამორჩენილ ფორმებთან. ვ. ი. ლენინმა რუსეთის იმპერიის ეს ძირითადი წინააღმდეგობა ასე განსაზღვრა: „უაღრესად ჩამორჩენილი მიწათმფლობელობა, უაღრესად ველური სოფელი — უაღრესად მოწინავე სამრეწველო და ფინანსური კაპიტალიზმი“ [1].

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად, საქართველო რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალის სანედლეულო ბაზად, მის უბრალო დანამატად იქცეოდა.

ვ. ი. ლენინი გასული საუკუნის 90-იან წლებში აღნიშნავდა, რომ კავკასიის „ეკონომიური“ დაპყრობა „...უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო ეს ეკონომიური დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დასრულებულა“ [2].

წვრილმწარმოებელთა ძარცვა და გლეჯამ, საქართველოში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებამ შექმნეს ნიადაგი კაპიტალისტური წარმოების წესის განსავითარებლად.

ს. მესხს კარგად ესმის კაპიტალიზმის ექსპლოატატორული ბუნება, რომელიც ანადგურებს და აჩანაგებს მშრომელ ხალხს. 1870 წელს სტატიაში — „თბილისი 18 ივნისს“ — წერდა: „ვისაც არ უნდა ჰკითხო, რა წიგნშიაც რომ წაიკითხო, ყველგან და ყველანი ამბობენ, რომ ინგლისი ძლიერ მდიდარი ქვეყანა არისო. მართლაც, იმის უთვალავი ფაბრიკები და ქარხნები და მდიდარი მაღაზიები, შემუშავებული მინდვრები და ბაღები, ერთი შეხედვით აფიქრებინებენ კაცს, რომ ინგლისელები სამოთხეში და სრულის კმაყოფილებით ცხოვრობენო. მაგრამ, შეიხედეთ იმ ქარხანაში, რომელშიაც წელიწადში რამდენიმე მილიონის მაუდი, ჩითი, ქაღალდი ან სხვა რამ კეთდებოდა, ნახეთ რა საცოდავ მდგომარეობაში არიან იქაური მუშა კაცე-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 13, გვ. 556.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

ბი და მუშა ქალები, დაფრენწილი ტანისამოსი, თითქმის ძონძებ შემოსილები, გაყვითლებული პირ-სახით და ჩხირივით, დაღამებამდინ შეუსვენებლივ მუშაობენ. ამდონი შრომა ჯაფისათვის ქარხნის პატრონი, რომელიც ამ მუშების წყალობით მდიდრდება და მილიონებს იგებს, საღამოს აძლევს იმათ, მხოლოდ იმდენს, რამდენიც გამხმარი პურის ნაჭრის საყიდლად ეყოფათ. აწნაირ მდგომარეობაშია მდაბიო ხალხის მომეტებული ნაწილი სიმდიდრით ნაქებ ინგლისში" [1].

აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, როცა ს. მესხი ამ სტატიას წერდა, მისთვის უცნობი იყო კ. მარქსის „კაპიტალი".

ს. მესხისათვის ცნობილია, რომ ფეოდალური წარმოების წესის რღვევასა და კაპიტალიზმის განვითარებას თან სდევს წვრილ მწარმოებელთა, განსაკუთრებით კი გლეხობის დიფერენციაცია, ამასთან ერთად მან იცის, კაპიტალი როგორ ექსპლოატაციას უწევს მუშებს არა მარტო განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, არამედ საქართველოშიც. იგი 1878 წელს „დროებაში" გამოქვეყნებულ სტატიაში სასტიკად ამათრახებს კაპიტალისტ მირზოევს, რომელიც მიტკლის საქსოვ ფაბრიკაში დასაქმებულ მუშებს სისხლს სწოვდა. ი. მირზოევი გაზეთ „ობზორის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში იტყობინებოდა: თავის ფაბრიკაში დასაქმებული 500 მუშა ულუკმა-პუროდ რომ არ დარჩენილიყო, მან არ განახორციელა მექანიზაცია. ამაზე ს. მესხი პასუხობდა: „როგორ მოგწონთ ეს საწყლების შებრალება, რომელთაც ის ლუკმა-პურს აძლევს, რომელთათვის მხოლოდ ამუშავებს თავის ფაბრიკას, რომელთა გულისათვის იმან ტყუილუბრალოთ 120.000 მანეთი ნაღდი მოგება გაუშვა ხელიდამ? საწყალი მირზოევი, სულ მუშებისათვის ცდილობს; ეს ფაბრიკა მხოლოთ იმიტომ გამართა, რომ 500 მუშას „დღიური საზრდო" აღმოუჩინოსს თავისი სარგებლობა სრულებით მხედველობაშიაც არ ჰქონია, სულ მუშებისათვის, სულ მუშებისათვის!" [2].

მიუხედავად იმისა, რომ ს. მესხი ჰგმობდა მშრომელი მასე-

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 64.
[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 382.

ბის ექსპლოატაციას, იგი ვერ იზიარებდა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების იდეას კლასობრივი ბრძოლის მეშვეობით, ამას, უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა: ჯერ ერთი, კაპიტალისტური წარმოების წესი არ იყო სრულყოფილად დამკვიდრებული და მეორე, იგი როგორც ქართველ განმანათლებელთა წარმომადგენელი, ილტვოდა ქართველი ერის საერთო წარმატებების მისაღწევად და არა რომელიმე ერთი კლასის ინტერესებისათვის, რაც რა თქმა უნდა იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა იყო.

ს. მესხი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რკინიგზის ქსელის გაფართოებას. მისთვის ცნობილია, რომ ხალხის ყოფასა და ცხოვრებაზე დიდ გავლენას მოახდენს რკინიგზის გაყვანა. მისი აზრით, „ყოველი გზის მნიშვნელობა და განსაკუთრებით რკინის გზის, იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთზე დაშორებულ მცხოვრებლებს გაუადვილოს მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემა, განაღვიძოს ვაჭრობა და ერთის სიტყვით, შეუმსუბუქოს მათ ყოველგვარი კავშირი“ [1]. ს. მესხის სტატიის ამონაწერიდან ნათლად სჩანს ის გარემოება, რომ იგი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების მომხრეა. „რკინიგზების, სამრეწველო წარმოების, სასოფლო გზების მშენებლობას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და აღებმიცემობის განვითარებას იგი ჩვენი ცხოვრების გადაუდებელ ამოცანად სახავდა, რადგან ამაში ხედავდა საქართველოს ეკონომიური აღორძინებისა და ფართო მშრომელი მოსახლეობის ბედნიერების წყაროს. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ჩვენი ქვეყნის ვაჭრობასა და მრეწველობას თვით ქართველობა მოჰკიდებდა ხელს, შექმნიდა ეროვნულ კაპიტალს, რომელიც ჩვენივე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას მოხმარდებოდა“ [2].

მაგრამ, განაგრძობს ს. მესხი, გზების განვითარება დაჩ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, ფოთი-თბილისის რკინის გზა, თხზ., ტ. 1, გვ. 265.

[2] ი. ბ ო ც ვ ა ძ ე, სერგეი მესხი და 70—80-იანი წლების ქართული პრესა, გვ. 157.

ჭარებს კაპიტალიზმის დამკვიდრებას: „...ჩვენ ვიცით... რკინის გზა როგორ გაუადვილებს აქაურ ვაჭრებს ჩვენი სოფლის ხალხის ოფლით სარგებლობას... „ამასთან ერთად საქართველოს მოედება უცხოური კაპიტალი". ...რკინის გზა უცხო ქვეყნელებს მოჰფენს ჩვენშიო; შეიძლება ამ უცხო ქვეყნელებმა ახალი წარმოება, ახალი ვაჭრობა და რომელიმე ახალი საქმე დაიწყონ ჩვენშიო... მაგრამ ეს ახალი წარმოების დაწყება მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი გლეხისათვის კარგი, როდესაც თვითონ ის მოჰკიდებს ამგვარ საქმეებს ხელს და თუ ჩვენი გლეხის ახლანდელ ეკონომიურ და გონების მხარეს მივიღებთ მხედველობაში დავინახავთ, რომ ეს ნეტარი დრო მალე არ მოვა; მანამ კი ჩვენი ქვეყნის ბუნებითი სიმდიდრით სხვები ისარგებლებენ" [1]. დღეს ნათლად ჩანს ს. მესხის შორსმჭვრეტელობა; როდესაც მშრომელი მასები იჩაგრება გაბატონებული კლასების ექსპლოატაციით, ტექნიკურ პროგრესს მათთვის სიკეთის მოტანა არ შეუძლია.

ასეთივე ყურადსაღებია ს. მესხის მოსაზრება იმაზე, რომ რკინიგზის გაყვანა მოსპობს ქართველი ხალხის კუთხურობას და განცალკევებულობას, ამასთან ერთად „მომეტებულ კავშირსა და ერთობას დაამკვიდრებს მოძმე ხალხებს შორის".

ს. მესხი თავის პუბლიცისტურ წერილებში დიდ ყურადღებას აქცევს კაპიტალისტური საწარმოების შესაქმნელად საჭირო სახსრების გამოძებნის საქმეს. მისთვის ცნობილია, რომ ფუფუნებით ცხოვრებას დაჩვეულ მემამულეთა და „გაძვალტყავებულ" გლეხთა კლასს ამ საქმეში არ შეეძლო ქვეყნისათვის დახმარება გაეწია.

ს. მესხი საქართველოში კაპიტალის სიმცირითა და საქმოსნობის განუვითარებლობით მეტად შეწუხებულია, ქვეყანა, რომელიც ბუნებას დაუჯილდოებია „ყოველგვარი სიმდიდრით", მიშვებულია ბედის ანაბარა, არ არის ჩაყენებული ხალხის სამსახურში. 1875 წელს გაზეთ „დროებაში" ს. მესხი ეხება მინერალური წყლების საკითხს და აღნიშნავს, რომ მოუვლელობით გაჩანაგებულია აბასთუმანი და ბორჯომი, რომ მათ

[1] ს. მესხი, თხზ., ტ. I, გვ. 265—266.

არ შეუძლიათ მოემსახუროს ჩვენს ხალხს. სამწუხაროა, რომ „ერთს მადნის წყალს ქართლში ხუთი პატრონი — ციციშვილები ჰყავსო და ავადმყოფობის მოსვლისთანავე ხუთი კაცი ხელებში ეცემა: არა მე მომეცი აბანოს ფასი და არა მეო"... ავტორი ასკვნის: „ბუნებას ორის ხელით მიუნიჭებია ჩვენთვის ყოველგვარი სიმდიდრე; გვეუბნება გაანძრიეთ ხელი და ისარგებლეთო! მაგრამ ჩვენ კი გულზე დაგვიკრებია ხელები და აუშფოთველად მოველით იმ დროს, როდესაც ამ ჩვენის სიმდიდრით რომელიმე ცხრა მთიდამ გადმოტყორცნილი უცხო ქვეყნელები ისარგებლებს" [1]. ს. ვესხი მტკიცედ მოითხოვს მეამამულეებისგან, რომ მათ ერის ბუნებრივ სიმდიდრეებს მეტი ყურადღება მიაქციონ, მომჭირნეობის მეშვეობით ჩააყენონ ისინი ხალხის სამსახურში.

ს. მესხს ეროვნული კაპიტალს შექმნის ერთ-ერთ წყაროდ მიაჩნია იჯარა და კონცესია, მაგრამ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ იგი ყოველთვის როდია მათი მომხრე, მისი აზრით, მხარდასაჭერია კახელ მემამულეთა განზრახვა, რომ ალაზნის მინდორზე უცხოელ (ფრანგ) კაპიტალისტთა დახმარებით გაყვანილ იქნას არხი. მაგრამ ამ საქმის მოთავეებმა უცხოელებთან ისეთი პირობები უნდა დადონ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართველი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ფრანგებმა „... არხი თავისი ხარჯით გაიყვანონ და რამდენიმე ათი წლის განმავლობაში თვითონ ისარგებლონ ამ არხით, სანამ თავის დახარჯულ ფულებსა და იმის სარგებელს არ ამოიგებენ; შემდეგ კი ეს არხი მიწის მეპატრონეების საკუთრებათ უნდა დარჩეს" [2]. ს. მესხს სჯერა, რომ არხის გაყვანით კახეთის მიწები „კავკასიის ერთი საუკეთესო და მშვენიერი ნოყიერი მხარე შეიქმნება", ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ვეცადოთ, „რომ ამ მხარეში უცხო ქვეყნელებს არ ჩავადგმევინოთ ფეხი, თორემ მაშინ არხის გაყვანა, სარგებლობის მაგიერათ, უეჭველია, უანგარიშო ზიანს მოუტანს არათუ მარტო ალაზნის მხარეს, იქნება მთელს კავკასიასაც" [3].

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 124.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 316.

[3] იქვე.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და უცხოური კაპიტალის მოზღაკვების საწინააღმდეგო საშუალებად ს. მესხს საბანკო კრედიტი მიაჩნია: „ყოველი მხრიდან გვეშუქრება ჩვენ კაპიტალისტების შემოსევა, ისეთი კაპიტალისტებისა. რომელთაც ჩვენი ბუნების გაძარცვა და ჩვენი უკანასკნელი წვენის გამოწოვა ექნებათ თავის მოქმედების მიზნად.—ამისთანა დროს... აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენც, შეძლებისდაგვარად, შევაერთოთ ჩვენი კაპიტალი და ზნეობითი ძალა, და ამნაირად შეერთებულად გავუწიოთ იმათ წინააღმდეგობა და დავიცვათ ჩვენი არსება...“[1]. საბანკო კრედიტის სახეებიდან ს. მესხი უპირატესობას ანიჭებს საჰიპოტეკო კრედიტს. „ჩვენ ისტორიულად მიწის მომუშავე მეურნეობის მიმდევარი ხალხი ვართ და ბანკი და იმის ფულები უმთავრესად ამისათვის, ჩვენი მიწის შემუშავებისათვის უნდა გამოვიყენოთ“ [2].

უნდა აღინიშნოს, რომ ს. მესხი არ იყო სრულად გარკვეული საბანკო კრედიტის ბუნებაში. მისთვის უცნობი იყო ბანკების კაპიტალისტური ბუნება, რომ მათი გამოყენება უფრო დააჩქარებდა თავადაზნაურობის გაჩანაგებას. ბანკი, აღნიშნავს კ. მარქსი, „... წარმოადგენს ყველაზე ოსტატურ და სრულყოფილ პროდუქტს, რომელიც კი კაპიტალისტურ წარმოების წესს საერთოდ შეუძლია წარმოქმნას“ [3]. და შემდეგ: „ილუზიები საკრედიტო და საბანკო საქმის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ... გამომდინარეობს კაპიტალისტური წარმოების წესის და საკრედიტო საქმის, როგორც ერთ-ერთი მისი ფორმის, სრული გაუგებლობიდან“ [4].

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ „... რაც უფრო განვითარდება კრედიტის ევროპულად სწორი ფორმები და გამოიდევნება სოფლის მევახშე, — მით უფრო შორს და უფრო ღრმად უნდა წავიდეს გლეხობის დაშლა“ [5].

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 316.

[2] იქვე, გვ. 426.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 184.

[4] იქვე, გვ. 185—186.

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 202.

ს. მესხს, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, სურდა სწორად ორგანიზებული ბანკის საშუალებით საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება მოეხდინა. მისი აზრით, კრედიტი უნდა მოხმარდეს წარმოების განვითარებას, რომელიც გაზრდის ხალხის კეთილდღეობას. მაგრამ მან იცის, რომ ბანკი არ არის სასწაულმოქმედი, არამედ ერთ-ერთი საშუალებაა „ჩვენი წინსვლისა“. ქვეყანას იგი მაშინ გამოადგება, თუ „საზოგადოება მოახერხებს რიგიანად ისარგებლოს იმ საშუალებით, რომელსაც ბანკი მისცემს... სრული იმედი რომ არ გვქონოდა, რომ ბანკის ფულები გამოადგებოდა ჩვენს საზოგადოებას, დაწერწმუნებული იყავით, ასე გულმოდგინედ არ დავიჭერდით იმის მხარეს, ამდენს არ ვილაპარაკებდით იმის სასარგებლოდ. მაგრამ, მეორეს მხრით, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბანკი და ფულები მხოლოდ საშუალებაა, რომ ბანკს გავმართავთო და გულ-ხელი დავიკრიფოთ, გავკეთდებითო — ამნაირი აზრი არ გაჰოგვადგება“ [1].

ს. მესხი კრედიტის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მოითხოვდა, რომ ბანკიდან სესხი მხოლოდ საქმიან პირებს მისცემოდათ. არავის არ უნდა ჰქონოდა იმედი, რომ ბანკი თავის სალაროებს უქნარებს და „გულხელდაკრეფილებს“ გაუხსნიდა, როგორც დიდი ილია აღნიშნავდა, ბანკი ასეთებს „მუდამ კოპშეკრული და პირგამეხებული დაუხვდება“.

ს. მესხი გაზეთ „დროების“ საშუალებით აფრთხილებდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომლებსაც სურდათ თბილისის საადგილმამულო-სამიწათმოქმედო ბანკი გადაექციათ „მეწველფურად“. განა შეიძლება, მიუთითებს ს. მესხი, ბანკმა აიღოს გირაოდ ისეთი მამული, რომელიც არც შეფასებულია და გაურკვეველიცაა — ის სადმე საწინდრად ხომ არ არის გაცემული. ბანკის მოქმედებას თავისი კანონზომიერებანი გააჩნია: „ბანკი მხოლოთ იმისთვის არის სასარგებლო, ვინც თვითონ მხნეობს, ჰირნახულობს და ვინც ფულების მოხმარება იცის, რომ ბანკი მცონარეებისათვის არ არის გამართული, თუ მუდამ გეხსომებათ, რომ ბანკი ვაჭრული დაწესებაა და არა დავარდ-

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 426.

ნილ-უძლურების თავშესაფარი, მაშინ კარგათ გაიგებთ და აღარც დაემდურებით ჩვენი ბანკის გამგეობას იმისათვის, რომ სიფრთხილითა და წინდახედულობით მოქმედებს" [1].

ს. მესხი ანალოგიურ რჩევას აძლევს ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელებსაც და მოსარგებლეებს. მისი აზრით, ბანკს მაშინ შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას, როდესაც ბანკიდან აღებული კრედიტი „თადარიგიანათ" იქნება გამოყენებული. ბანკიდან აღებული „ყოველი კაპიკი თუ ისევ ადგილ-მამულს და ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებას არ მოხმარდა, უამისოთ ეს ბანკი დამღუპველი იქნება", ხოლო დაგირავებული მიწის ნაკვეთები საჯარო წესით იქნება გაყიდული. ს. მესხი შიშობს, რომ ეს მამულები არ ჩაუვარდეს ხელში „უცხო ქვეყნელებს", კარგი იქნება, „თუ ისევ ჩვენი ქვეყნის ხალხი, განსაკუთრებით ჩვენი გლეხები იყიდიან ამ მამულებს" [2].

ს. მესხი არ იზიარებს დ. ყიფიანისა და ნ. ნიკოლაძის აზრს მამულის გაუყიდველობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ეს სხვა არფერს ნიშნავს, თუ არა ბანკის საქმისათვის ძირის გათხრას, თუ მიწის მფლობელი დარწმუნდა, რომ აღებული სესხის დასაფარავად მიწა არ გაეყიდება, მაშინ იგი კიდევ უფრო მოუხშირებს აღებული ფულის ფლანგვას, რასაც თავის მხრივ ორი უბედურება მოჰყვება: ა) მიწათმოქმედების განვითარება შეჩერდება, მასზე აღებული ფულის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა სულ უფრო შეამცირებს მიწიდან მისაღებ შემოსავალს და აქედან გამომდინარე: ბ) არ დაიფარება ბანკიდან გაცემული სესხი, რითაც ზიანს მივაყენებთ როგორც ბანკს, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ს. მესხი სესხის უზრუნველყოფასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბანკის სარგებლის საქმის მოწესრიგებას. მისი აზრით, ბანკი არ უნდა ეწეწრაფვოდეს მოგებას, რითაც იგი განსხვავებული იქნებოდა რუსეთის იმპერიის სხვა ბანკებისაგან. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ თბილისისა და ქუთაისის

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 40.

[2] იქვე, გვ. 163.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები კაპიტალისტურ დაწესებულებებად არ მიგვეჩნია. ეს ბანკები თავის დროზე პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდნენ საქართველოს ცხოვრებაში. ათეულ ათასობით მანეთი დაეხარჯა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, ქართული დრამატული საზოგადოებების, საბავშვო დაწესებულებების. უპატრონოთა თავშესაფრების. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის, ქართული თეატრის, ქართული გიმნაზიის მოვლა-პატრონობისათვის, წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფულადი დახმარებისათვის და სხვა ღონისძიებათა გასატარებლად [1].

დაარსებიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე ქართველი ხალხის „საზოგადო საჭიროებისათვის“ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს სულ გაუღია 2 მილიონამდე მანეთი.

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობის დაწყება. ბანკის გამგეობის კრების დადგენილების საფუძველზე 1898 წელს 20 ათას მანეთად შესყიდულ იქნა თავად სოლომონ ბებუთოვის მამული, ხოლო გიმნაზიის მშენებლობისათვის ბანკის მიერ გაღებულ იქნა 1300 ათასი მანეთი, რაც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის 90%-ს შეადგენდა. ასე აშენდა დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.

მსგავს ღონისძიებათა დასაფინანსებლად ქუთაისის (მიხეილის) სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს გაღებული აქვს 1 მილიონზე მეტი თანხა.

ამრიგად, საქართველოში საჰიპოტეკო ბანკების დაარსებით ქართველი თავადაზნაურობა ვერ გადაურჩა დაღუპვას, გასული საუკუნის მიწურულს ბანკების საქმეები ფაქტიურად უკვე ვაჭარ-მრეწველებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. ამ დროი-

---

[1] იხ. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 394.

სათვის მათი დამფუძნებელი თავადაზნაურობა არათუ სარგებლობდა ბანკის სიკეთით და თავის მდგომარეობას იუმჯობესებდა, არამედ სულს ღაფავდა ბანკიდან აღებული ვალების გამო და ახალ სესხებზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ; თბილისის ბურჟუაზია სესხის მიღებასთან ერთად, საჯარო ვაჭრობის წესით იძენდა თავადთა და აზნაურთა მამულებს. გამართლდა ს. მესხის ვარაუდი, რომ ბანკებს ხელში ჩაიგდებდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

მაგრამ საჰიპოტეკო ბანკებმა როგორც უკვე აღინიშნა, დიდი როლი შეასრულეს საზოგადოებრივი საქმიანობის განსავითარებლად. სწორედ ამის შესახებ წერდა ქართველი საზოგადო მოღვაწე კ. აბაშიძე: „ისტორიული მდგომარეობა ჩვენი იმგვარად მოაწყო ბედმა, რომ ერთად-ერთი საზოგადო საქმე, რომელსაც რაიმე პრაქტიკული კეთილი შედეგი მოჰყვა, ჩვენი ბანკებია; არა გვაქვს სხვა ისეთი დაწესებულება, რომ ჩვენს საზოგადო საქმეს განაგებდეს. ჩვენ კრებებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს არავის თვალში. ამ კრებათა თხოვნა-ვედრება დარჩენილია ხოლმე ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ჩვენი ბანკები კი წარმოადგენენ ერთ საერო დაწესებულებას, რომელსაც რეალური ძალა და ნიადაგი აქვს და ამიტომ მათი დაწესება უნდა ჩაითვალოს ერთ უდიდეს პრაქტიკულ და ნაყოფიერ საქმედ, რომელიც შექმნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა ჩვენში“ [1].

ს. მესხი სრულყოფილად არ იყო გარკვეული საერთოდ საკრედიტო სისტემის შინაგან ბუნებაში, ერთია სურვილი მთელი ქართველი ერის, მათ შორის თავადაზნაურობისა და განსაკუთრებით გლეხობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოყვანისა, მაგრამ სულ სხვაა ამ სურვილის განხორციელების სწორი გზის მიგნება. ქართველი გლეხების კრედიტით უზრუნველყოფის საქმეში ს. მესხი ვერ სცილდება იმ დროს გავრცელებულ წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს, იგი უყურადღებოდ ტოვებდა მთავარს, კერძოდ იმას, რომ კრედიტი ემსახურება კაპიტალისტური წარმოების განვითარებას, აჩქა-

[1] გაზ. „ი ვ ე რ ი ა“, 1899 წ., 21 თებერვალი.

რებს გლეხობის დიფერენციაციას და ფეოდალური წარმოების წესის გადმონაშთების მოსპობას.

ს. მესხი, ჩერნიშევსკის მსგავსად, იცავდა დასავლეთ ევროპის სოციალისტ-უტოპისტების შეხედულებებს, იგი რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების მოვლენათა საფუძვლიანი შესწავლისა და რუსეთის პროგრესულ შეხედულებების საფუძველზე, სხვა დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად ანვითარებდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს.

ს. მესხი იზიარებდა რა სოციალისტ-უტოპისტების თვალსაზრისს, ამბობდა, რომ საქართველოში მოსახლეობის სიღარიბის მიზეზია სიმდიდრის არათანაბარი განაწილება. მშრომელი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მისი აზრით, აუცილებელია ყველა ეწეოდეს სასარგებლო შრომას და „ყოველი კაცი თვითონვე სარგებლობდეს ამ თავისი შრომით და ამასთან, რასაკვირველია, ჰქონდეს საგანი, რომელზედაც ის თავის შრომას აძლევდეს“ [1].

ს. მესხი თაყვანს სცემს დიდ სოციალისტურ-უტოპიხტ რობერტ ოუენს და პროგრესულ მოვლენად მიაჩნია მის მიერ შექმნილი „სამართლიანი საზოგადოება“. იგი 1875 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში ანალიზს უკეთებს რ. ოუენის მოღვაწეობას. იგი წერს: „ეხლანდელი საზოგადოება ორ დიდ ბანაკად, ორ ნაწილად არის გადაქცეული. ერთი ნაწილი ძალიან ცოტას მუშაობს, ცოტას რასმე აკეთებს, მაგრამ მაინც შეძლებული, მდიდარი და კმაყოფილია...

მეორე ნახევარი კაცობრიობისა მოუსვენრად შრომობს, ოფლსა ღვრის, დაუღალავად ეძებს ლუკმა-პურს, მაგრამ მაინც სულ ღარიბია და მშიერი...“ [2].

ს. მესხის აზრით, სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყანაში გამოჩნდებიან ხოლმე ისეთი დიდი პიროვნებები, რომლებიც რწმუნდებიან ასეთი საზოგადოების „უსაფუძვლობაში“ და აკრიტიკებენ მას, ცდილობენ მის „საბოლოოთ მოსპობას და საუკეთესო წესის დადგენას“. ასეთ პიროვნებად ს. მესხს

[1] ს. მესხი. თხზ., ტ. 1. გვ. 160.
[2] ს. მესხი. თხზ., ტ. 2. გვ. 98.

მიაჩნია რობერტ ოუენი, რომელმაც ნიუ-ლენარკის ფაბრიკაში ჩამოაყალიბა „სამართლიანი საზოგადოება“, მოისპო მეპატრონესა და მუშებს შორის უნდობლობა, მოისპო სიზარმაცე, ლოთობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებები, მაგრამ რ. ოუენის „საზოგადოებამ“ უსახსრობის გამო დიდხანს ვერ იარსება, ოუენის წამოწყებული საქმე დავიწყებას მიეცა. ს. მესხი დიდი თანაგრძნობით ასკვნის: „ნუ გაგიკვირდებათ თუ ამ დიდმა კაცმა თავის განზრახვა ვერ შეასრულა: ევროპაში მუშა ხალხს იმდენი და ისეთი ნაირი დამჩაგვრელები ჰყავს, რომ იმათი კლანჭებიდან ვისიმე განთავისუფლება ერთი კაცისათვის შესაძლებელი არ არის. მაგრამ რობერტ ოუენმა თავისი კვალი დააჩინა“ [1].

ს. მესხი თავის უტოპიურ შეხედულებებში ორიგინალური არ არის. იგი ცდილობს „სამართლიანი შრომითა“ და სხვადასხვა ასოციაციების მეშვეობით უზრუნველყოს ადამიანთა კეთილდღეობა. ს. მესხზე სავსებით ვრცელდება ე. ი. ლენინის მოსაზრება, რომელიც მას გამოთქმული აქვს ნ. ჩერნიშევსკის შესახებ. ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევარფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შექმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად [2].

ს. მესხის აზრით, მთელი ქვეყნის მშრომელთა მდგომარეობის გამოსწორება არის პოლიტიკური ეკონომიის ამოცანა. პოლიტიკური ეკონომიის კანონები და კატეგორიები ს. მესხს წარმოდგენილი აქვს მარადიულად, განუვითარებლადაც. ე. ი. მან ვერ გაიგო ის, რომ ეს კატეგორიები ადამიანთა წარმოებით ურთიერთობებს გამოხატავენ. ეკონომიური კატეგორიები და კანონები მას მიაჩნია სტატიკურ მოვლენად, „რომელსაც ემორ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 104.

[2] ი. ბ ო ც ვ ა ძ ე, სერგეი მესხი და 70—80-იანი წლების ქართული პრესა, გვ. 133.

ჩილებიან ცვალებადობაში მყოფი საზოგადოებრივი ურთიერთობანი“ [1], რამაც განაპირობა, მისი აზრით, სიმდიდრის უთანაბრო განაწილება, წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის.

ს. მესხი იძლევა შრომისა და სამუშაო ძალის ღირებულების თავისებურ განმარტებას, იგი ვერ სცილდება ლასალის „რკინის კანონის“ ბურჟუაზიულ-ვულგარულ თეორიას. ამ თეორიიდან გამომდინარე, ს. მესხი ასაბუთებს, რომ მშრომელი ადამიანის ხელფასი „არც მატულობს და არც კლებულობს“. „კაცობრიობის ცხოვრება იმნაირათაა ახლა გამართული, რომ მუშა ხალხს საზოგადოთ თითქმის სწორედ იმდენი დღიური ქირა ეძლევა თავის შრომისათვის, რამდენიც იმის აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ საჭიროა, ხანდახან მოხდება, რომ მუშას ამ თავის აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებელ ქირაზე ცოტა მომეტებული ეძლევა, მაგრამ ამაზე უფრო ხშირათ ისეთი შემთხვევები მოხდება, რომ ისევე მუშა თავისი შრომით თითქმის ვერ აკმაყოფილებს ყველა თავის ბუნებით მოთხოვნილებას მაგრამ საზოგადო კანონი ისევე რჩება, რომელიც ზევით მოვიყვანეთ...“.

ს. მესხს ლასალის ზემოაღნიშნული „კანონი“ აქვს მხედველობაში როდესაც წერს „...სტატისტიკაში არის კიდევ ერთი კანონი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ დღიური ქირის მომატება და მოკლება დიდი ხნობით შეუძლებელი საქმეა“ [2].

ისმება კითხვა: რამ განაპირობა ს. მესხის მიერ ლასალის თეორიის უყოყმანოდ მიღება? ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ არც საქართველოში და არც რუსეთში არ არსებობდა მუშათა კლასი თავისი კლასიკური ფორმით და ს. მესხს ქართველი გლეხის არსების გარკვევით ამ საკითხის ჭეშმარიტ გადაწყვეტას ვერ მოვთხოვთ.

ს. მესხი, ნ. ჩერნიშევსკის ეკონომიური მოძღვრებიდან გამომდინარე, იცავს შრომითი ღირებულების თეორიას, იძლევა შრომის როლს წარმოებაში. მისი აზრით, შრომის მწარმოებ-

---

[1] ი. ბოცვაძე, სერგეი მესხი და 70—80-იანი წლების ქართული პრესა, გვ. 133.

[2] ს. მესხი, თხზ., ტ. 1, გვ. 146.

ლურობა არის ხალხის, საზოგადოების კეთილდღეობის საწინდარი. მან იცის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი შრომობს და ქმნის საქონელს, „იმას მოჰყავს ყოველგვარი მოსავალი, სნავს, სთესავს, ჰკერავს, ქსოვს“ და აწარმოებს ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც საჭიროა საზოგადოების წინსვლა-კეთილდღეობისათვის.

ს. მესხს სწორედ ასეთი შრომა მიაჩნია მწარმოებლურ შრომად. საზოგადოების მეორე ნაწილს ს. მესხი „საზოგადოების მომხმარებელ“ ნაწილს უწოდებს. ამასთან ერთად, მისი აზრით, შეიძლება მწარმოებელიც მომხმარებელი იყოს. საზოგადოებაში განა ყოველი მომხმარებელი მწარმოებელია? არა! „ბევრს ნახავთ ისეთ პირებს, — ამბობს ს. მესხი, — რომელნიც სჭამენ, სმენ, იცმენ, იხურავენ, ერთი სიტყვით ხმარობენ სხვის ნაწარმოებ ნივთებს, მაგრამ თვითონ კი არაფერს არ აწარმოებენ, არაფერს არ აკეთებენ“ [1].

ს. მესხს „ეკონომიურ ჭეშმარიტებად“ მიაჩნია ის ფაქტი, რომ, რაც უფრო მეტია საზოგადოებაში მწარმოებელი, „ანუ მშრომელი... მით ეს ქვეყანა და საზოგადოება უფრო ბედნიერი და წარჩინებულია ყოველი მხრითა ... რომელთა შრომა და ნაწარმები საგნები პირდაპირ გამოსადეგია საზოგადოებისათვის“. მისი აზრით, კაცობრიობა მაშინ მიაღწევს „სრულ ბედნიერებას“, „როდესაც ყოველი ადამიანი იმდენს მ ო ი ხ მ ა რ ს თავის ცხოვრებისათვის, რამდენსაც თვითონ მოიწევს, რამდენსაც იმუშავებს. სანამ ერთი ნაწილი საზოგადოებისა მუშაობს, ოფლს ღვრის და მეორე კი გულ-ხელდაკრეფილი, შუხლმოკეცილი ზის და ამ მშრომელის ნაოფლარს სჭამს, მანამ ამ საზოგადოების კეთილდღეობა შეუძლებელი საქმეა. ეს არის ეკონომიური კანონი, ეკონომიური ჭეშმარიტება“ [2].

ს. მესხი შრომის დაყოფით: „მწარმოებლურ“ და „უნაყოფო შრომად“ მიჰყავდა შრომის მწარმოებლურობის, როგორც ისტორიული კატეგორიის, გაგებამდე, თუმცა იგი სრულყოფილად ვერ გადაწყვიტა.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 103.

[2] იქვე, გვ. 104.

მიხეილ ჯავახიშვილის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებები

900-იანი წლების ქართული სოციალურ-ეკონომიური აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს. მისი პუბლიცისტური წერილები ნათლად ასახავს რუსეთის იმპერიაში, კერძოდ, საქართველოში კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებას. მას ერთნაირად აინტერესებს კაპიტალისტური ფულის მიმოქცევა, ეკონომიური კრიზისები, კაპიტალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის არსი და სხვ. აღნიშნული საკითხების შესწავლით XX საუკუნის გარიჟრაჟზე, მ. ჯავახიშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს ეკონომიური აზრის ისტორიის ობიექტურად გარკვევის საქმეს.

მიხეილ ჯავახიშვილის სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე დაწერილი წერილები „ძვირფას მასალას წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვინც ცდილობს შეისწავლოს მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია“ [1].

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი (ადამაშვილი) დაიბადა 1880 წლის 8 ნოემბერს ბორჩალოს მაზრის სოფ. წერაქვში. შომავალმა მწერალმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო პრივოლნოეს და ჯელალოღლის რუსულ სკოლებში. 1893 წელს იგი მშობლებმა მიაბარეს წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლაში, შემდეგ სწავლას აგრძელებს ყირიმის მებაღეობისა და მეღვინეობის სასწავლებელში, რომლის კურსის დაუმთავრებლად, მშობლების ადრე გარდაცვალების გამო, 1901 წელს დაბრუნდა საქართველოში.

---

[1] გ. ნატროშვილის წერილი. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 507.

მ. ჯავახიშვილი 1902 წელს მოეწყო სამუშაოდ ალავერდის სპილენძის ქარხანაში, სადაც ერთი წლის მანძილზე ეცნობოდა მუშათა აუტანელ ცხოვრებას და 22 წლის ახალგაზრდა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი ანადგურებს მშრომელ ხალხს როგორც ეკონომიურად, ასევე სულიერადაც. მ. ჯავახიშვილი ალავერდის სპილენძის ქარხანაში მუშების სასტიკ პირობებს გაეცნო და გამოაქვეყნა 1904 წელს სტატია სათაურით „ორიოდე დღე ალავერდის მადანში".

აღნიშნულ სტატიაში ნათლად ჩანს მწერლის მრწამსი, მის მთელ შემოქმედებას წითელი ზოლივით რომ გასდევს, ბრძოლა იმ უსამართლობის წინააღმდეგ. რომელიც კაცობრიობას მოუტანა კაპიტალისტური წარმრების წესმა.

1903 წლიდან მ. ჯავახიშვილი საცხოვრებლად გადმოდის თბილისში. 1904 წელს მუშაობას იწყებს გაზეთ „ივერიის" რედაქციაში და ითვლება მის ფაქტიურ რედაქტორად. მას შემდეგ, რაც 1905 წელს გაზეთ „ივერიას" სათავეში ჩაუდგა ფ. გოგიჩაიშვილი, მწერალი რედაქტორობს გაზეთს „გლეხი". მთავრობის საწინააღმდეგო მასალების გამოქვეყნებისათვის მას დაპატიმრება ემუქრებოდა და 1906 წელს გარბის შვეიცარიაში, ხოლო 1907 წელს გადადის პარიზში. აქ სორბონის უნივერსიტეტში ისმენს ლექციებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. „1907 წ. პარიზში გადავედი და იქაურ უნივერსიტეტში ლიტერატურას, ხელოვნებას და პოლიტიკურ ეკონომიას ვსწავლობდი". სწორედ სორბონის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის შესწავლამ განაპირობა მწერლის შემდგომი მოღვაწეობა ამ დარგში.

მ. ჯავახიშვილი 1909 წელს სხვისი პასპორტით, არალეგალურად ბრუნდება საქართველოში და ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას, მაგრამ მალე მას პატიმრებენ და ერთი წელიწადი იმყოფებოდა მეტეხის ციხეში. განთავისუფლების შემდეგ მას საქართველოში ცხოვრება აუკრძალეს. 1912 წელს კავკავში მ. ჯავახიშვილი დაქორწინდა და მალე დანიშნულ იქნა ამიერკავკასიაში დაზღვევის საზოგადოების რწმუნებულად. შემდეგში მუშაობდა მის მიერ დაარსებულ სავაჭრო სამრეწველო პალატაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მ. ჯავახიშვილს საშუალება ეძლევა ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. სწორედ ამის შემდეგ შეძლო მან თავისი ნიჭი ჩაეყენებინა ქართველი ერის სამსახურში. ზედიზედ იქმნება მისი კლასიკური მხატვრული ნაწარმოებები.

მ. ჯავახიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეს.

ა) კაპიტალიზმის განვითარების და მუშათა კლასის მდგომარეობის საკითხები მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში

მ. ჯავახიშვილის 900-იანი წლების ნაწერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მშრომელი ხალხის ცხოვრებას, მან ნათლად დაინახა კაპიტალისტური წარმოების წესის უარყოფითი მხარეები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა კლასის სასტიკ ექსპლოატაციას, მათ აუტანელ ცხოვრებას.

მ. ჯავახიშვილი XX საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში: „ორიოდე დღე ალავერდის მადანში". „მილიტარიზმი", „მთავრობა", „რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან დღევანდლამდის", „სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში", „სინდიკატები და ტრესტები" და სხვ. საქმის ღრმა ცოდნით იძლევა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის იმპერიაში მუშათა კლასის ექსპლოატაციის მძიმე სურათს.

მ. ჯავახიშვილი წერილში „ორიოდე დღე ალავერდის მადანში" მიუთითებს, რომ მეწარმეებისა და მეპატრონეების უყურადღებობის შედეგად ალავერდის სპილენძის საბადოთა ტექნიკური აღჭურვილობა რუტინულ დონეზეა, რაც კიდევ უფრო აუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას წარმოებაში. ავტორი ხედავს, რომ მუშების საპირისპირო მხარეზე მდგომი კაპიტალისტ-მეწარმეები მხოლოდ მოგებაზე ზრუნავენ,

მათი ინტერესები დიამეტრულად ეწინააღმდეგება მუშების ინტერესებს. მეწარმეები მუშებს ისეთ აუტანელ მდგომარეობაში აყენებენ, რომ უდროო სიკვდილისათვის არიან განწირული. ისინი მათ ართმევენ საარსებო საშუალებებთან ერთად ჯანმრთელობასაც. მ. ჯავახიშვილი წერს, რომ „მაღალსა და ძლიერ დაქანებულ კლდის ძირში შორიდანვე დაინახეთ მაღაროს შავი და შიშის მომგვრელი პირი, რომლიდანაც ჩვენს მიახლოებისთანავე ხვნეშითა და ქაქანით გამოვიდა მთლად ოფლში გაწურული ცხენი. უკან ჯოვარით დატვირთული ორი ვაგონეტკა ება, გვერდით რაღაც გამოურკვეველ ფერის ნაფლეთებში გამოხვეული, მუხლებამდე შავ ტალახში ამოსვრილი, სულ მთლად შავი და მჭვარტლში ამოგანგლული მუშა მოსდევდა, რომელმაც სისხლივით წითელი და მისუსტებული თვალები შემოგვანათა და ისევ თავის ცხენს გაჰყვა“ [1]. აქვე აღწერილი მაღარო ჯოჯოხეთს მოგვაგონებს: სინათლე არ არის, ყოველივე სიბნელეს მოუცავს, ჰაერი სინესტითა და მჭვარტლით იყო გაჟღენთილი, მუშები ტალახსა და წყალში არიან ჩაფლულნი, კლდეში დაბალი და უსწორმასწორო ხვრელებია გამოთხრილი, სადაც ჰაერის უკმარისობა შეიმჩნეოდა, სოროსავით დაბალ თაღებიან მაღაროში „ორი, ტალახით შეგლესილი, ტანისამოს ჩამოგლეჯილი, ჭვარტლით შეთხუპნილი და ორად მოხრილი მუშა კოჭებამდის წყალში იდგა და თავის მძიმე, აუტანელსა და საშინელ საქმეს აკეთებდა. ერთ მუშას ხელში ეჭირა მოკლე ლომი, რომელიც კედელზე მიებჯინა. მეორე დიდ, ათ გირვანქიან ჩაქუჩსა სცემდა, ყოველ დარტყმას გულიდან ამონაკვნეს ოხვრას ატანდა, ყოველ-წუთის შემდეგ ჩაქუჩს ძირს უშვებდა და შუბლიდან წურწურით ჩამონადენ ოფლს იწმენდავდა“ [2]. მწერალი მიუთითებს, რომ იქ არ არსებობს შრომის ელემენტარული პირობები, ერთგან, სოროსავით პატარა წყლიან ორმოში ერთი ოთხად მოკეცილი მუშა „ლომით კედს უჩიჩხინებდა“.

მ. ჯავახიშვილი წერს, რომ მაღაროში სამუშაო დღე 11 —

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 24—25.

[2] იქვე, გვ. 26.

12 საათს აღწევს და დღიური გამომუშავება არ აღემატება 80 კაპიკს, მაშინ, როდესაც ადრე, იმავე სამუშაოსათვის მუშებს 2 მანეთამდე ეძლეოდათ.

აი, რა მოუთხრო მ. ჯავახიშვილს ერთმა მუშამ. „დღეში 10—12 საათს ვმუშაობთ, ფეხთ ჩვენ არ გვაცვია. ქუდი ჩვენ არ გვახურავს, ტანისამოსი არა გვაქვს, მთელი წლის განმავლობაში ერთი გოჯი სისქე ტალახი გვაცხია. ტანთ ვერ ვიბანთ, რადგან ამ ოხერ მაღაროებში წელიწადში მხოლოდ დღე-ნახევარი გვაქვს დასვენება... ვთხოვ ფასი მოგვიმატონ, არაფერი არ გამოდის, დღეში ერთ საათსა ვარ დღის სინათლეზე. საცაა დავბრმავდები“...

მუშები „ცოცხლად-მკვდრებსა და სულთ მობრძავებს“ ჰგავდნენ; „ყველა მაღაროში მომუშავეს ერთი განსაკუთრებული ბეჭედი აჯდა: რის გამოც მომუშავე ავადმყოფს ჰგავდა. მძიმე და საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ეს თითქოს საფლავიდან ამოსული ჩონჩხები, რომელნიც ჩვენ წინ აჩრდილივით მიიპარებოდნენ, შუბლქვეშიდან მოელვარე თვალებით თითქოს შურით უკმაყოფილოდ გვათვალიერებდენ“ [1].

მ. ჯავახიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ შრომითი პირობების აღწერით, იგი ეხება აგრეთვე მუშების ყოფას. მეწარმეები სრულიად არ ფიქრობენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, უპირატესად სოფლებიდან „საშოვარზე“ ჩამოსული გლეხები, ჩაეფლობიან რა წარმოების ჯურღმულებში, მათი თავშესაფარი მხოლოდ ზემოაღწერილი მაღაროებია. მათი ბინები შემოიფარგლება „პაწაწინა, უიატაკო და ნესტიანი ოთახისაგან“, სადაც შეიძლება იცხოვროს მხოლოდ ერთმა კაცმა, მაგრამ ასეთ ოთახში ხშირად 10—10 კაცი ცხოვრობს. „ღარიბი ქართველი გლეხის საჭმელი გაცილებით სჯობია აქაურ მუშის საჭმელს. სპარსელი მუშა ერთ ნატეხ პურითა და ხახვით, ანაც ნივრით კმაყოფილდება. წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ იგემებს ხორცს. ქართველი და რუსი მუშა შედარებით სპარსელთან უფრო კარგად იკვებება, მაგ-

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 32.

რამ ცხელ საჭმელს თვეში ერთხელზე მეტად არ ეღირსება“ [1].

მაგრამ მუშების ასეთი მდგომარეობა სრულებითაც არ აინტერესებს მეწარმეებს. მუშების ექსპლოატაცია სულ უფრო არაადამიანურ ფორმებს ღებულობს: „საზოგადოდ, ქარხნის დირექციის გულგრილობა მუშებისადმი დაუჯერებელია, საკვირველია! ამ ქარხანაში პროლეტარიატის ექსპლოატაცია უზომოა. ქარხნის ადმინისტრაცია მახვილად ადევნებს თვალყურს მუშებს მხოლოდ მაშინ, როცა მუშა შრომობს და მუშაობს. სხვაფრივ მზრუნველობას არ იჩენს“ [2]. ავტორი აღნიშნულ მიზეზს ხედავს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის ძირითად მიზანში — რაც შეიძლება მეტი ზედმეტი ღირებულება ამოქაჩონ წარმოებაში დასაქმებული მუშებისაგან.

მ. ჯავახიშვილი, კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრებიდან გამომდინარე, ასკვნის: მექარხნეთა გამდიდრების გამო „ბედშავი მუშა“ ემორჩილება სახელმწიფოს იმ კანონებს, რომლებიც „სქელჯიბიანის“ ნებასურვილით არის გამოცემული. მექარხნე მუშას დღეში ხუთ-ექვს მანეთს გამორჩება, მას კი 10—12 საათის განმავლობაში 60 კაპიკს აძლევს; მუშების აუტანელი მდგომარეობისაგან დასახსნელად საჭიროა „აწყოსა და მომავალს მივაქციოთ ყურადღება“, გამოვააშკარავოთ სისხლის მწოველთა „ფანდები“ და ვებრძოლოთ მჩაგვრელებს. მწერალს სწამს, რომ მუშათა ექსპლოატაციის მოსპობა თვით მუშების საქმეა. იგი ვ. ლიბკნეხტის სიტყვებით მიმართავს მშრომელ ხალხს: „ღონდ შეერთდით და თქვენის ფრთების ერთის შემოქნევით გაარღვევთ ყველა მახეს“.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველოს მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის, მისი ყოფის ისეთი სრულყოფილი დახასიათება, როგორიც მოგვცა დიდმა მწერალმა, მანამდე არავის მოუცია, ამაშია მისი უდიდესი დამსახურება.

მ. ჯავახიშვილისათვის ცნობილი იყო მარქსისა და ენგელსის მოძღვრება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. თხზ., ტ. ა., გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 34.

შესახებ. როდესაც მწერალი კაპიტალისტ-მეწარმეებს მუშათა კლასის მკვლელებს უწოდებს, იგი ამით ეხმაურება ფ. ენგელსის კლასიკურ ნაშრომს „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში". „თუ საზოგადოება,—წერს ფ. ენგელსი,—ასეულ პროლეტარს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ისინი უეჭველად უდროო, არაბუნებრივი სიკვდილისათვის არიან განწირულნი, სიკვდილისათვის, რომელიც ისევე ძალადობითია, როგორც ხმლისაგან ან ტყვიისაგან სიკვდილი. თუ ის ათასობით ადამიანს აუცილებელ საარსებო პირობებს ართმევს, ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომელშიც მათ არ შეუძლიათ სიცოცხლე... ეს ისეთივე მკვლელობაა, როგორც ცალკე პირის მკვლელობის აქტი" [1].

მ. ჯავახიშვილი მუშათა კლასს მოუწოდებს იბრძოლონ თავიანთი ბედისათვის, მაგრამ რეფორმებსა და „ევოლუციებს" არ შეუძლიათ მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ამ საქმეში მთავარია მუშათა კლასის მოძრაობა, მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. მ. ჯავახიშვილი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ რევოლუციური ბრძოლა განწირულია დასამარცხებლად, თუ არ არის მომწიფებული სათანადო ეკონომიური პირობები, თუ მუშათა კლასს, შეგნების დონის ზრდის კვალობაზე, არ ხელმძღვანელობს მოწინავე მუშათა ნაწილისაგან შექმნილი პარტია.

ეხებოდა რა ინგლისში ჩარტისტული მოძრაობის დამარცხების მიზეზებს, მ. ჯავახიშვილი სწერდა: 1906 წელს „მუშათა მოძრაობა არის პირდაპირ შედეგი იმ ქვეყნის ეკონომიური განვითარების, სადაც ეს მოძრაობა არსებობს. ჩარტისტების მძლავრი მოძრაობა აღმოცენებული იყო იმ დროის ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობიდან, მაშასადამე ამ მოძრაობის შესუსტების და მოსპობის მიზეზებიც ამავე ეკონომიურ მდგომარეობის შეცვლას უნდა მივაწეროთ" [2].

მ. ჯავახიშვილი თავის პუბლიცისტურ ნაწერებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ხალხთა შეკავშირებას მეფის

---

[1] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბ., 1935, გვ. 98.

[2] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 189.

თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი 1906 წელს ანალიზს უკეთებდა რა სახელმწიფო სათათბიროს თვალთმაქცობას, წერდა: „სახელმწიფო სათათბიროს არ ძალუძს ზემოთმოტანილი საკითხების მოგვარება, საჭიროა რუსეთის მუშებისა და გლეხების ძმურად შეკავშირება, შეერთება და ძალადობის გამოყენებით მიწისა და თავისუფლების მოპოვება. „თუ ხალხმა უკან არ დაიხია, ყველამ ერთმანეთს პირი მისცა, ერთმანეთს ხელი გაუწოდა და შეერთებული ძალით იერიში მიიტანა მთავრობაზე, ის მაშინვე იარაღს დაჰყრის და ხალხს ყველაფერს დაუთმობს“ [1]. ავტორი შემდეგ განაგრძობს: „საჭიროა ერთობა, ძმობა, ვაჟკაცობა და მაგარი გული, თორემ სიმხდალით, ლოდინით, თხოვნით და დაქსაქსვით ვერაკინ ვერაფერს მიიღებს“ [2].

მ. ჯავახიშვილის ყურადღების ცენტრშია საქართველოში 900-ანი წლების მუშათა მოძრაობის სწრაფი განვითარება, რომელმაც რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ახალ ალმავლობას მიაღწია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტ-მეწარმეთა წინააღმდეგ მუშათა საგაფიცო მოძრაობა გადაიზარდა პოლიტიკურ დემონსტრაციებში, რასაც მუშათა კლასის პოლიტიკურად აღზრდის საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მუშათა პოლიტიკური დემონსტრაციები „საინტერესოა იმით, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ ერთბაშად ითრევს მოძრაობაში მცხოვრებთა აუარებელ მასას, ერთბაშად აცნობს მას ჩვენს მოთხოვნილებას; ქმნის იმ ნაყოფიერ ფართო ნიადაგს, რომელზედაც თამამად შეგვიძლია ვთესოთ თესლი სოციალისტური იდეებისა და პოლიტიკური თავისუფლებისა“ [3].

მ. ჯავახიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა, მნიშვნელოვანი პუბლიცისტური წერილები მიუძღვნა 1905—1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას. მასში იმ-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 123.

[2] იქვე.

[3] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 26.

დროინდელი თვალთხედვით სრულყოფილად არის გადმოცემული რევოლუციური მოძრაობის დაწყება-განვითარებისა და დამარცხების აქტუალური საკითხები. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ჯავახიშვილი ამ რევოლუციაში ვერ ხედავდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, ბოლშევიკების ხელმძღვანელ როლს, უგულვებელყოფდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის აუცილებლობას რევოლუციაში და სხვ.

მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავს საქართველოს სოფელში რევოლუციის განვითარებას და სამართლიანად აღნიშნავს, რომ აქ გლეხთა რევოლუციურმა ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო.

მწერალი 1906 წელს სტატიაში „გლეხი და მემამულე" შესანიშნავად გადმოგვცემს სოფლად რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას. მ. ჯავახიშვილი ეხება ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართველი გლეხკაცის ცხოვრებას და აღნიშნავს, რომ იგი ბატონყმობის გადმონაშთებისა და ცარიზმის უსამართლობის შედეგად ულმობელ ჩაგვრას განიცდის, რაც სოფლებში რევოლუციურ ცეცხლს აღვივებს. მოძრაობის ტალღა იზრდება და გლეხები დღითი დღე რევოლუციონერდებიან. უფრო გაბედულად და თავგანწირულად ეკიდებიან საერთო საქმეს, მედგრად იბრძვიან [1]. გლეხები სწვავენ მემამულეების სახლკარს, ჩეხავენ მათ ტყეებს, ხნავენ მიწას, თიბავენ მინდვრებს, იტაცებენ საქონელს. კეტებითა და ნაჯახებით უხვდებიან გლეხები კაზაკებსა და ჯარისკაცებს, რომლებსაც მთავრობა ჰგზავნის მათ წინააღმდეგ. ყველგან გამწვავდა მემამულეებისა და გლეხების დამოკიდებულება.

ჩაგვრაზე დამყარებული გლეხებსა და მემამულეებს შორის საუკუნოვანი ურთიერთობა დაირღვა. მწერალი მიუთითებს, რომ დღეს, რევოლუციის ქარცეცხლიან ეპოქაში „სამუდამოდ გაჰქრა გლეხების მორჩილება და მოთმინება". თუ ადრე ისინი იოლად იტანდნენ შიმშილს, დამცირებას და ფიზიკურ შეურაცხყოფას, „ახლა სულ სხვაა". ახლა გლეხები უყენებენ პირობას მემამულეებს, აწესებენ იჯარის ფასს და სამუშაო ქირას.

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. 6, გვ. 131.

თუ ისინი მშიერნი არიან, სტეხავენ მემამულის ბეღელს და მიაქვთ პური, თუ მემამულე უზომო საიჯარო ფასს ადებს თავის მიწას, გლეხები ძალით ხნავენ მიწას და არაფერსაც არ აძლევენ.

გლეხებს არა სურთ ძველებურად ცხოვრება, ისინი ხელს ჰკიდებენ იარაღს და რევოლუციურ ბრძოლაში ებმებიან. უნდა გადაიჭრას ერთი მთავარი საკითხი — მემამულეებს ჩამოერთვათ მიწა და მის დამმუშავებლებს — გლეხებს გადაეცეს. გლეხების ჩაგვრა და უუფლებობა, აღნიშნავს მ. ჯავახიშვილი, „... იქნება კიდევ, სანამ მიწა არ ჩამოერთმევა მემამულეებს", მაგრამ დღეს, განაგრძობს იგი, მეფის მთავრობაც მემამულეების მხარეზეა, მას მათი ინტერესების დაცვა სურს, რამდენადაც „ჩვენი მეფე არის ყველაზე მდიდარი კაცი მთელ ქვეყანაზე. მარტო იმას და იმის ოციოდე ნათესავს მთელ რუსეთში აქვთ სამოცი მილიონი დესეტინა მიწა, ე. ი. ათჯერ მეტი მთელ საქართველოზე" [1], შემდეგ მწერალი სვამს კითხვას; „საიდანა აქვს მეფეს ამდენი მიწა და სიმდიდრე?" და თვითონვე უპასუხებს: „საიდან და ხალხის ზურგიდან; ხალხის ოფლიდან, ხალხის ნამუშევარიდან" [2]. მისი აზრით, ამიტომ არის, რომ გლეხობამ დაიწყო ბრძოლა, რომ „ძირს დასცენ მთავრობა,. დაამარცხონ მემამულეები და მთელი მიწა გადასცენ მიწის მუშებს" [3].

მ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიაში მშრომელთა რევოლუციის დასაწყისი გახდა 1905 წლის 9 იანვრის ამბები, როდესაც პეტერბურგში მეფის ჯალათებმა დახვრიტეს მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა მეფეს წარუდგინეს პეტიცია მათი აუტანელი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ. „ამ დღეს, — ჩაწერილია თეზისებში „რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი", პეტერბურგში დახვრიტეს მშვიდობიანი დემონსტრაცია მუშებისა, რომლებიც მეფესთან მიდიოდნენ პეტიციით თავიანთ საჭირო-

---

[1] მ. ჯავახიშვილი, ტ. 6, გვ. 124.

[2] იქვე, გვ. 125.

[3] იქვე, გვ. 132.

ებათა შესახებ. ათასზე მეტი კაცი მოკლულ იქნა, რამდენიმე ათასი დაიჭრა: მეფის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ამ სისხლიანი ბოროტმოქმედებით იგი შეძლებდა მუშათა და გლეხთა მასების დაშინებას და ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის ზრდის შეჩერებას. მაგრამ ამ სასტიკი ღონისძიებით მან მხოლოდ მოსპო ხალხში გულუბრყვილო რწმენა „მამა-მეფისადმი". პროლეტარიატმა სამოქალაქო ომის გაკვეთილი მიიღო" [1].

საქართველოში, თბილისში, 1905 წლის იანვრის საყოველთაო გაფიცვის პარალელურად, დაიწყო გლეხთა გამოსვლები. აჯანყდნენ ოზურგეთისა და სენაკის მაზრის გლეხები, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს მთავრობის დაწესებულებებთან და მოითხოვდნენ მემამულეებისათვის მიწის ჩამორთმევას, გადასახადების გაუქმებას და ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას. სწორედ ამის შესახებ მიუთითებდა რსდმპ (ბ) III ყრილობაზე მ. ცხაკაია: „მიწის სივიწროვე, საიჯარო გადასახადების ზრდა, დიდი სახელმწიფო გადასახადები, დრამატული ბათუმის ამბები, სოფლების, ქალაქის უმაყოფილო მუშებით ავსება და 1901 წლის მოუსავლიანობა — აი მოკლედ ის მიზეზები, რამაც გააღვივა გლეხებში „წინააღმდეგობის სურვილი". ამნაირად დაიბადა მათში იდეა ბრძოლისა" [2].

ისევე როგორც რუსეთში, აღნიშნავს მ. ჯავახიშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოშიც დამარცხდა. 1907 წლის 3 ივნისს მეფის მთავრობამ სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და გამოსცა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც იცავდა მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. მთავრობამ ამით უარყო ფაქტიურად 17 ოქტომბრის მანიფესტის ყოველი მუხლი.

მ. ჯავახიშვილს რამდენადმე სრულყოფილად აქვს მოცემული 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების მიზეზები, რომელთაგან განსაკუთრებით

[1] 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 4—5.
[2] Третий съезд РСДРП, протоколы, М., 1959, стр. 176.

აღნიშნავს ღირსია ის სუსტი კავშირი, რომელიც არსებობდა მუშათა და გლეხთა კლასს შორის. ამასთან ერთად გლეხობის დიდ ნაწილს მაინც ჰქონდა იმედი, რომ სათათბიროს მეშვეობით შეიძლებოდა მიწის მიღება. მწერალი მიუთითებს, რომ რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მას უდიდესი ძნიშვნელობა ჰქონდა მშრომელი მასების გათვითცნობიერების საქმეში, „სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს, აღნიშნავს მ. ჯავახიშვილი, — ჩვენ არასდროს არ გვქონია სათათბიროს იმედი, ამიტომ მისმა დათხოვნამ სულაც არ შეგვაწუხა, ჩვენ მხოლოდ ჩვენ ნაცად ერთობისა და ძმობის იმედი გვქონდა და დღესაც ამ ერთობის იმედით ვცხოვრობთ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ საბოლოო ბრძოლის დღე გვიახლოვდება და ამიტომ საბრძოლველად ვემზადებით. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს, საიდანღაც ჭახა-ჭუხი ისმის და აღმოსავლეთიც ცეცხლის ფერად შეიღება.

საცაა მზე უნდა ამოვიდეს! დიაღ, უნდა ამოვიდეს და ჩვენც მზად ვართ გაწმენდილნი და საბრძოლველად მომზადებულნი ამაყად დაუხვდეთ სიკვდილს, რომელიც მოგვიტანს მიწას და თავისუფლებას“ [1].

თუ რამდენად მართებული იყო მ. ჯავახიშვილის მიერ გაკეთებული დასკვნები 1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების მიზეზებზე, მეტყველებს „რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წლის“ თეზისებიდან მოტანილი ამონაწერი: „რევოლუციის დამარცხების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ვერ მოხერხდა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების გამოსვლების ერთიან რევოლუციურ ნაკადად გაერთიანება. მუშებისა და გლეხების კავშირი რევოლუციაში ჯერ კიდევ მტკიცე არ იყო, გლეხობა მოქმედებდა ძალზე დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, არასაკმაოდ მტკიცედ; გლეხთა მნიშვნელოვანი მასები ესერების გავლენას განიცდიდნენ: მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა ყველაზე დიდი რევოლუციური გამოსვლები მოხდა მაშინ, როცა მეფის მთავრობამ უკვე მოახერხა რუსეთის სამრეწველო ცენტრებში რევოლუციის ძირითადი კე-

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 135—136

რების ჩახშობა, გამოდიოდა რა მემამულეთა წინააღმდეგ, გლეხთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა მეფის წინააღმდეგ ბრძოლას, მას სწამდა, რომ შესაძლებელი იყო მეფის ხელით მიწის მიღება. ამან განსაზღვრა ქცევა არმიისა, რომლის უმრავლესობა მეფეს ეხმარებოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობაში, საკმაოდ ერთსულოვნად არ მოქმედებდნენ მუშებიც. რომელთა ცალკეული რაზმები დაგვიანებით ჩაებნენ საერთო ბრძოლაში. პროლეტარულ პარტიაში ერთიანობის უქონლობა, მენშევიკების გამცემლური მოქმედების შედეგად, თიშავდა მუშათა კლასის რიგებს და ამით ასუსტებდა მას როგორც რევოლუციის ხელმძღვანელ ძალას. ყოველივე ამის გამო პროლეტარიატმა მაშინ ჯერ კიდევ ვერ შეძლო მთლიანად შეესრულებინა რევოლუციის ნამდვილი ბელადის როლი და გამარჯვებამდე მიეყვანა რევოლუცია.

რევოლუციის ჩახშობაში თვითმპყრობელობას დაეხმარნენ უცხოელი იმპერიალისტები" [1].

მ. ჯავახიშვილი არა მარტო საქართველოსა და რუსეთის მუშათა და გლეხთა კლასის მოძრაობას განიხილავს, არამედ თავის ნაწერებში დიდ ადგილს უთმობს დასავლეთ ევროპის მშრომელი კლასების რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებათა პროპაგანდას, რითაც იგი ხელს უწყობდა ქართველი ხალხის რევოლუციური შეგნების ამაღლებას. მ. ჯავახიშვილი სტატიებში: „ბელგიის მუშათა პარტიის ისტორიიდან", „გლეხთა მოძრაობის ისტორია დასავლეთ ევროპაში", „თანამედროვე ავსტრია და მისი სახელმწიფოებრივი იდეა", „სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში", „ჩარტისტთა მოძრაობა", „მიწისმფლობელობა ახალ ზელანდიაში", „აგრარული რეფორმები ირლანდიაში" და სხვ. საქმის ღრმა ცოდნით გვიხატავს პროლეტარიატისა და გლეხობის უუფლებო მდგომარეობას, მათ ბრძოლას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

მ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა დასავლეთ ევროპის მოღვაწეთა სოციალური ურთიერთობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა ქართულად თარგმნას, მათ შორის აღნიშვნის

[1] 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 14.

ლირსია ვილჰელმ ლიბკნეხტის ცნობილი შრომა „ობობა და მწერი“, კ. მარქსის შვილიშვილის ჟან ლონგეს — „სოციალისტური მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში“ და სხვ.

ისმება კითხვა: რამ განაპირობა ასეთი ნაწერების ქართულ ენაზე გავრცელება? აქ ორი აზრი არ არსებობს, 1905--1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში საქართველოს მშრომელ ხალხს სულიერი საზრდო სჭირდებოდა, რომელსაც, მწერლის რწმენით, ასეთი ნაწერები მისცემდნენ.

მ. ჯავახიშვილს სპეციალური შრომა აქვს მიძღვნილი ინგლისის ჩარტისტული მოძრაობისადმი. ამ საკითხის შესასწავლად მას გამოუყენებია ინგლისელი ისტორიკოსისა და მკვლევარის ც. ბორკჰაიმის თხზულებანი.

მ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს ჩარტისტული მოძრაობის საწყისებს, აღნიშნავს, რომ თვითონ სიტყვა „ჩარტი“ ნიშნავს ქარტიას, პეტიციას, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ინგლისის მუშათა კლასის მოთხოვნები. მწერლის აზრით, „ჩარტისტული მოძრაობის მიზანი იყო მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებით მუშათა კლასის ეკონომიური განთავისუფლება“ [1].

ყურადსაღებია მ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმაზე, რომ მანქანების დანერგვამ, მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ „შეასაფერისა ცვლილება მოახდინა მუშათა კლასის გონებრივს შემეცნებაში“. მართებულად უნდა მივიჩნიოთ იმდროინდელი ინგლისის სხვადასხვა პარტიების ავტორისეული შეფასება, რომ თავადაზნაურულ, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს არ შეუძლიათ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება. „მოკლე ხანში ინგლისმა ხელთ იგდო ყველა ზღვები და ამასთან ერთად... ბაზარი. ინგლისის მრეწველობა საოცარი სისწრაფით გაიზარდა და განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მანქანები მოიგონეს, საქონელს ასეთი გასავალი ჰქონდა, რომ მუშებს სინათლით ეძებდნენ და ხელფასმაც ძალიან აიწია. ასეთ დროს შეუძლებელი იყო პოლიტიკურ ბრძოლაზე

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 182.

ფიქრი"[1]. მაგრამ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ჭარბწარმოების ეკონომიურმა კრიზისმა „თავი შეახსენა" ეკონომიურად ძლიერ ქვეყნებს, საფრანგეთმა და გერმანიამ კაპიტალისტური წარმოების სწრაფი განვითარების შედეგად საგარეო ბაზარზე საქონლის გასაღებაში კონკურენცია გაუწიეს ინგლისს. „გაჭირვებამ, უსაქმობამ და შიმშილმა სწრაფად შეჰქმნა ძლიერი არმია პროლეტარიატისა, რომელიც ისევ პოლიტიკას ეცა და პოლიტიკური რეფორმები მოითხოვა. მთავრობა ხელს არ იღებდა რეპრესიებზე და ამით ხელს უწყობდა უკმაყოფილების ზრდას და რევოლუციური მოძრაობის განვითარებას" [2].

მ. ჯავახიშვილი ღრმად იყო დაინტერესებული მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას — მან შეძლო გაერკვია ინგლისში კაპიტალიზმის განვითარების საკითხები. მ. ჯავახიშვილს ესმის, რომ „მანქანების გამოგონებამ, მრეწველობის განვითარებამ და კაპიტალისტურმა წარმოებამ სწრაფად შეცვალა ინგლისის ცხოვრება... სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა ქალაქს. პროლეტარიატის არმია ისევე სწრაფად იზრდებოდა, როგორც ბურჟუაზიის ძალა. კლასთა წინააღმდეგობა და სხვადასხვაობა მათი ინტერესებისა თანდათან აშკარა ხდებოდა".[2]

მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს ცნობილია, რომ ბურჟუაზიას მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების საქმეში მხარს უჭერს სახელმწიფო, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტები ხელს უწყობენ მუშათა სარეზერვო არმიის შექმნას. მაგრამ დროთა ვითარებაში სწორედ ამ კანონების მოქმედებით გაძლიერდა ინგლისში მუშათა მოძრაობა, ე. წ. ჩარტისტული მოძრაობა.

შემდეგ მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დიდძალ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ცდილობს გაარკვიოს ამ მოძრაობის დამარცხების მიზეზები. იგი მიუთითებს, რომ პურის ბაჟების გაუქმებით, ინგლისის კოლონიებიდან ოქროს მოდინებითა და

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 182—183.

[2] იქვე, გვ. 183.

[3] იქვე, გვ. 184.

ჩარტისტული მოძრაობის ლიდერთა უპრინციპობით მუშათა კლასმა იწვნია რიგით ახალი დამარცხება, თუმცა ჩარტისტული მოძრაობის ნანგრევებზე აღმოცენდა ინგლისის თანამედროვე პროფესიონალური კავშირები და ტრედ-იუნიონიზმი, რომ ლისაც არ შეუძლია საბოლოოდ და სრულად გააუმჯობესოს მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა.

ამასთან ერთად, მ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩარტისტული მოძრაობის ნანგრევებზე აღმოცენებულ პროფკავშირებსა და ტრედ-იუნიონებს მუშათა კლასის დარაზმვის საქმეში შეუძლია ბევრი კარგი ღონისძიებების გატარება, სწორი და მართებულია. ფ. ენგელსი წერდა, რომ „ტრედ-იუნიონების მოღვაწეობის შედეგია ის, რომ ხელფასის კანონს იცავენ წინააღმდეგ მეწარმეთა სურვილისა; რომ წარმოების რომელიმე კარგად ორგანიზებული დარგის მუშებს შესაძლებლობა ეძლევათ მიაღწიონ, თუნდაც დაახლოებით, იმ სამუშაო ძალის სრული საფასურის მიღებას, რომელსაც ისინი მიაქირავებენ ხოლმე თავიანთ მყვლეფელს; რომ სახელმწიფო კანონების წყალობით სამუშაო დღე შემოფარგლული რჩება და დიდად არ აშარბებს იმ მაქსიმალურ ხანგრძლივობას, რომლის ზემოთაც სამუშაო ძალა ნაადრევად იფიტება. მაგრამ ეს ყველაფერია, რაც მიღწევის იმედიც კი შეიძლება ჰქონდეთ ტრედ-იუნიონებს მათი დღევანდელი დარაზმულობისას, ისიც მხოლოდ გაბუდებული ბრძოლის ფასად, დიდძალი ენერგიისა და სახსრების ხარჯვის შედეგად“ [1]. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების შეფერხება ეკონომიური კრიზისების შედეგად, მიწასთან ასწორებს ტრედ-იუნიონთა მიერ მიღწეულ წარმატებებს და ისინი ხელახლა იწყებენ ბრძოლას; მუშათა კლასი მაინც რჩება ჩაგრულ კლასად, „დაქირავებულ მონათა კლასად“, როგორც უწოდებდნენ მათ ჩარტისტები. ფ. ენგელსი ანალიზს უკეთებდა რა ტრედ-იუნიონთა მოღვაწეობას, დაასკვნის: „...ტრედ-იუნიონების მთელი მოღვაწეობა იმ სახით, რა სახითაც დღეს წარმოებს, წარმოადგენს არა საბოლოო მიზანს,

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ, თბ., 1959, გვ. 535—536.

არამედ საშუალებას, ფრიად საჭირო და ქმედით საშუალებას, მაგრამ მაინც ერთ-ერთ საშუალებას მრავალთაგან, რომელსაც მივყავართ უფრო მაღალი მიზნისაკენ: დაქირავებული შრომის მთელი სისტემის მოსპობისაკენ" [1]. ფ. ენგელსი მოუწოდებდა ინგლისის მუშათა კლასს, აღადგინოს ჩარტიზმის საბრძოლო ტრადიციები, თავი დაანებოს ტრედ-იუნიონისტური მოძრაობის თაყვანისცემას, შექმნას დამოუკიდებელი მასობრივი რევოლუციური პარტია.

რევოლუციამდელი ქართული ეკონომიური აზრის ისტორიაში მ. ჯავახიშვილი იყო პირველი ქართველი პუბლიცისტი, რომელმაც რამდენადმე ერთიანი სახით და სრულყოფილად წარმოუდგინა მოწინავე ქართულ საზოგადოებას გლეხთა მოძრაობის ისტორია დასავლეთ ევროპაში.

მ. ჯავახიშვილის აზრით, გლეხთა მოძრაობის მიზეზი იყო და არის „გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა და ეკონომიური დაქვეითება". გლეხი მაშინ იწყებს ბრძოლას, როდესაც მას არ ძალუძს ძველებურად ცხოვრება და ბატონის განუსაზღვრელი მოთხოვნების დაკმაყოფილება, თუმცა მას არა აქვს შეგნებული, შეძლებს თუ არა იგი დასახული მიზნის მიღწევას სწორია თუ არა მის მიერ ბრძოლის არჩეული გზა.

მ. ჯავახიშვილი გლეხთა მოძრაობის გამოკვლევას იწყებს ფეოდალიზმის ჩასახვის ეპოქიდან, მას უყურადღებოდ არ რჩება მეხამე საუკუნეში გალების ქვეყანაში მომხდარი გლეხთა აჯანყებაც კი. პუბლიცისტი ცდილობს გაარკვიოს გლეხთა მოძრაობის ისტორიისათვის ერთი მეტად ნიშანდობლივი მომენტი: თუ მონათმფლობელობის რღვევისა და ფეოდალიზმის ჩამოყალიბების პროცესში გლეხთა აჯანყებებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა, ფეოდალიზმის ხანის აყვავების დროს მათი გამოსვლები მნიშვნელოვნად შემცირდა. მ. ჯავახიშვილის აზრით, მონათმფლობელობასთან შედარებით ფეოდალიზმი პროგრესული მოვლენა იყო, რომელმაც შეცვალა წინა ფორმაციისათვის დამახასიათებელი ჩაგვრის ულმობელი მეთოდები.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ, თბ., 1959, გვ. 539.

მაგრამ დროთა მსვლელობაში ფეოდალიზმის მიერ დაკანონებულმა ჩაგვრის ახალმა ფორმებმა ისევ დღის წესრიგში დააყენეს გლეხთა გამოსვლების საკითხი. „მე-12 საუკუნიდან ეკონომიურმა განვითარებამ მიწას პირვანდელი მნიშვნელობა ჩამოართვა და გლეხთა მდგომარეობა გააუმჯობესა. ვაჭრობა გავრცელდა, ფული ხმარებაში შემოვიდა, ბატონყმობის მუხრუჭი მოეშვა. ქალაქების რიცხვმა იმატა და მასთან ერთად ყმების რიცხვმაც იკლო. ამავე დროს გლეხობამ თანდათან შეგნებულად დაუწყო ცქერა თავის საჭიროებას და მიხვდა, რომ მათსა და ფეოდალებს შორის ინტერესთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა არსებობდა. ამრიგად ინტერესთა წინააღმდეგობა ხშირად იძლეოდა გლეხებისა და ბატონების შეტაკების სურათს და თუ ამ დროს შესაფერი აგიტაციაც უსწორებდა, ეს შეტაკება თითქმის ყოველთვის გლეხთა აჯანყებით მთავრდებოდა“ [1].

მ. ჯავახიშვილი ნაშრომში, გლეხთა მოძრაობის ანალიზის პარალელურად, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციის, მოსპობის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ ფეოდალიზმის რღვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია „ქალაქის ვაჭრებისა და მრეწველობის“ განვითარება: „ბატონყმობა ვაჭრობას და მრეწველობას ხელს უშლიდა. ქალაქელ მრეწველებს კი მხოლოდ ბაზრის მოპოვება და მუშახელის შოვნა უნდოდათ“.[2]

ახლად ფეხადგმული ბურჟუაზია, სარგებლობდა რა სახელმწიფოს მხარდაჭერით, ყურადღების გარეშე სტოვებდა მშრომელი გლეხობის მოთხოვნებს, „სანამ გლეხები ცეცხლითა და მახვილით არ დასწვრდნენ ხოლმე თავიანთ საჭიროებასა და მოთხოვნილებებს“ [3]. აღნიშნული დებულების დასადასტურებლად მ. ჯავახიშვილი იხსენებს 1324 წელს ფლანდრიაში ზანეკინისა და სიგერიას მეთაურობით გლეხთა გამოსვლებს, საფრანგეთის 1358 წლის აჯანყებას (ჟაკერია), გერმანიის 1391 წლის

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. ბ, გვ. 97.

[2] იქვე, გვ. 98.

[3] იქვე, გვ. 98.

გლეხთა აჯანყებას, შვეიცარიის გლეხების 1513—1514 წწ. ამბოხებას და სხვ.

მ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას, რატომ მარცხდებოდა ისტორიის ასეთ დიდ მონაკვეთში ყველა აჯანყება? და თვითონვე პასუხობს: „მთავარი მიზეზი გლეხთა დამარცხებისა ის იყო, რომ ისინი ვერ კავშირდებოდნენ და ერთ ძლიერ გაწვრთნილ რაზმს ვერ ადგენდნენ“ [1].

მ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი მოსაზრებების შემდეგ არ შეიძლება გაზიარებულ იქნას მისი შეხედულება მასზე, რომ „ხალხი მაშინ კი არ ახდენს რევოლუციას, როცა მისი დაბეჩავება, დამონება და გაჭირვება უკიდურესობამდის ადის, არამედ მაშინ, როცა ხალხი გაჭირვების შემდეგ უკეთეს ცხოვრებას იგებს, ან მაშინ, როცა უკეთეს ცხოვრებას შეჩვეული გაჭირვებაში ვარდება“ [2]. ისტორიას არ ახსოვს ამის მსგავსი არც ერთი ფაქტი. ვ. ი. ლენინი ფ. ენგელსისადმი მიძღვნილ სტატიაში წერდა: „ენგელსმა პირველმა თქვა, რომ პროლეტარიატი არ არის მხოლოდ დატანჯული კლასი: რომ სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც პროლეტარიატი იმყოფება, შეუჩერებლად მიაქანებს მას წინ და აიძულებს იბრძოლოს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის“[3].

საწარმოო ძალების განვითარება განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურზე მოითხოვს წარმოებით ურთიერთობათა განსაზღვრულ ტიპს. თუ წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამება საწარმოო ძალების ხასიათს, ისინი ამ უკანასკნელის განვითარებას ხელს უწყობენ. განსაზღვრული პერიოდის შემდეგ არსებული წარმოებითი ურთიერთობანი ძველდებიან, არ შეესაბამებიან საწარმოო ძალების განვითარების მოთხოვნებს და იქცევიან მათი განვითარების ბორკილებად. იქმნება ობიექტური აუცილებლობა წარმოებით ურთიერთობათა შესაცვლელად. არსებული წარმოებითი წესის ეს ცვლილება წარმოადგენს თვისობრივ ნახტომს. იმ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნე-

---

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 104.

[2] იქვე, გვ. 105.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 10.

ბულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე. კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წარმოადგენს სოციალური რევოლუციების მატერიალურ საფუძველს, რომელიც ანადგურებს. სპობს ძველ წარმოებით ურთიერთობებს და ცვლის მას ახლით. „თავიანთი განვითარების გარკვეულ საფეხურზე,— გვასწავლის კ. მარქსი,— საზოგადოების მატერიალური მწარმოებლური ძალები ეჯახებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილებად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა“.[1]

მ. ჯავახიშვილის მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნას იმის გამოც, რომ ფეოდალურ-ბატონყმური წესების რღვევის პარალელურად სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი, რაც ზრდიდა მემამულეთა მოთხოვნას ფულზე და აძლიერებდა სოფლის მშრომელთა ექსპლოატაციას.

ბ) იმპერიალიზმის თეორიის საკითხები მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტურ წერილებში

მ. ჯავახიშვილი სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში. მ. ჯავახიშვილი არის პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავის პუბლიცისტურ ნაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო იმპერიალიზმის ბუნების გარკვევას.

წერილი „სინდიკატები და ტრესტები“, რომელიც 1906 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში“, დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენთვის, რამდენადაც მასში მ. ჯავახიშვილი ცდილობს (ჯერ კიდევ 1906 წელს) მოგვცეს კაპიტალიზმის უმაღლესი სტადი-

---

1 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 10.

ის—იმპერიალიზმის დახასიათება. მისთვის ცნობილია, რომ იმპერიალიზმმა თავისუფალი კონკურენცია მონოპოლიების ბატონობით შეცვალა. „უწინდელ ვაჭრობა-მრეწველობის ერთადერთმა რეგულატორმა—თავისუფალმა კონკურენციამ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და მის ალაგას ახალი რეგულატორი გაჩნდა: ტრესტი, კარტელი და სინდიკატი — აი ეს არის ეხლანდელი ვაჭრობის ახალი რეგულატორი“ [1]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალი კონკურენცია და მონოპოლიები არასოდეს არ ყოფილა ეკონომიკის რეგულატორი.

შ. ჯავახიშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ თავისუფალი კონკურენციიდან მონოპოლიებზე გადასვლა ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებისა და წარმოების კონცენტრაციის შედეგია. „ეხლანდელ ადამიანის საწარმოო ძალამ,—აღნიშნავს ის,—საოცარის სისწრაფით წაიწია წინ უმთავრესად იმის გამო, რომ ტექნიკა განვითარდა, წარმოება შეჯგუფდა და საქონლის გადატან-გადმოტანაც გაადვილდა“ [2].

შ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მონოპოლისტურამდელ ეპოქაში კაპიტალისტ-მეწარმის ქარხანაში დამზადებული საქონელი ბაზარზე იყიდებოდა, მაშინ, როდესაც თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ფიქტიური კაპიტალი. „უწინ ბაზარში იყიდებოდა მხოლოდ რეალური საქონელი, იყიდებოდა მხოლოდ ის, რაც თვალით ჩანდა, ან რაც მომავალში მაინც შეადგენდა რეალურ საქონელს. . . ეხლა კი ბაზარში იყიდება ისეთი და იმდენი საქონელი, რომელიც სრულიად არ არსებობს. სავაჭრო ხელშეკრულებაში დაწვრილებით არის აღნიშნული რაოდენობა საქონლისა, მისი ფასი, ჩაბარების დრო და სხვ. მაგრამ ნამდვილი საქონლის რაოდენობა, ნამდვილად არსებულის ან მოსალოდნელ საქონლისა, გაცილებით ნაკლებია დატრიალებულ საქონლის რაოდენობაზე“ [3].

შ. ჯავახიშვილი აღნიშნავს რა მუშების ექსპლოატაციის

---

[1] შ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. 6, გვ. 238.

[2] იქვე, გვ. 239.

[3] იქვე, გვ. 237.

გაძლიერებას, მოჰყავს ასეთი მაგალითი: „რუსეთში გაკეთებული შაქარი ადგილობრივ გირვანქა 17—18 კაპ. ღირს, ინგლისში კი რუსეთიდან გატანილი იგივე შაქარი ორჯერ და სამჯერ უფრო იაფად იყიდება" [1]. მწერალი ასკვნის, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა გამოწვეულია კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებაში თვისობრივი ცვლილებების გამო, თავისუფალი კონკურენციის მონოპოლიების ბატონობით შეცვლით.

როგორც ვხედავთ, მ. ჯავახიშვილი ამ მომენტში მთავარ ყურადღებას საწარმოო ძალების განვითარების თავისებურებას აქცევს. „ასეთ ცვლილების მიზეზის ასახსნელად უეჭველად მხედველობაში უნდა მივიღოთ და თვალი უნდა გადავავლოთ შრომას ისტორიას უკანასკნელი ორი ათასი წლის განმავლობაში. ამ ისტორიაში ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ უკანასკნელ ხანებში საოცარი სისწრაფით გაიზარდა და განვითარდა წარმოება" [2]. იგი მიუთითებს, რომ თუ წინათ ამა თუ იმ ნივთის გაკეთებას დიდი დრო და მუშახელი ჭირდებოდა, დღეს იგივე საქონელი მზადდება დროის მცირე მონაკვეთში, შრომის ნაკლები დანახარჯითა და უფრო ხარისხიანად. მწერალს მოჰყავს მაგალითი ჰომეროსის ეპოქიდან, როცა ძველ საბერძნეთში 25 კაცისათვის საჭირო ხორბლის დასაფქვავად 24 საათის განმავლობაში მუშაობდა თორმეტი კაცი, დღეს კი, მიუთითებს ავტორი, „ამერიკაში ორთქლის წისქვილებზე ერთი კაცის ზედამხედველობით დღეში იმდენი ფქვილი მზადდება, რომ იგი საკმარისია 4000 კაცის გამოსაკვებად" [3].

მ. ჯავახიშვილისათვის ცნობილია, რომ კაპიტალისტურ მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის შედეგად გაიზიდა საწარმოები. ახალი საწარმოო ძალების თავისებურებათა გამო საჭირო იყო წარმოების მსხვილი ფორმების განვითარება. კაპიტალისტებს შორის კონკურენციამ გამოიწვია კაპიტალისტური წარმოების კონცენტრაცია, კონკურენციულ ბრძოლაში რომ არ დამარცხებულიყვნენ. საწარმოო სიმძლავრეების მნიშვნელო-

---

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6. გვ. 239.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 239.

ვანი ნაწილი, დასაქმებულ მუშათა დიდი რაოდენობით, დამზადებული საქონელი თავს იყრის უმსხვილეს მონოპოლიურ გაერთიანებათა ხელში. მონოპოლიათა წარმოშობამ უფრო ინტენსიური გახადა კაპიტალის ბრუნვა. „ეხლა ყველაფერი შეიცვალა, — წერდა მ. ჯავახიშვილი, — ამქრების ადგილი ფაბრიკამ და ქარხანამ დაიჭირა, სადაც თავს იყრის აუარებელი ხალხი და რომლისთვისაც საჭიროა დიდი თანხა, მეორე მხრით რკინის გზებისა და ტელეგრაფისა და ტელეფონის გამოგონებამ გააიაფა მისვლა-მოსვლა და საქონლის გადატანა. ამის გამო განვითარდა კაპიტალის დატრიალება და მოძრაობა, რაც უწინდელ დროს არ იყო“.[1]

პწერალი კაპიტალის მოძრაობის დაჩქარების პარალელურად არკვევს კაპიტალის გატანის საკითხებს უცხო ქვეყნებში, რასაც კაპიტალისტები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. ეკონომიურად ძლიერ სახელმწიფოებს კაპიტალი გააქვთ უფრო სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, „რუსეთში აუარებელი ფაბრიკა-ქარხანა და რკინის გზები აშენებულია ფრანგებისა, ბელგიელებისა, ინგლისელებისა და გერმანელების ფულით. ინგლისელების მილიარდები მთელ ქვეყანაზეა დაბანდებული“.[2]

ავტორის აზრით, მონოპოლიური გაერთიანებანი არათუ აუმჯობესებენ მუშათა ეკონომიურ ყოფას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობენ მათ გაუგონარ ექსპლოატაციას. კაპიტალის გატანას სუსტად განვითარებულ ქვეყნებში განაპირობებს იაფური მუშების სიმრავლე, რომლებიც მძაფრი ექსპლოატაციის ობიექტი ხდება. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში საქონლის წარმოება კაპიტალისტებს უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე თვით საკუთარ ქვეყანაში.

მ. ჯავახიშვილი შემდეგ ასკვნის, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარება დიდ ბოროტებას წარმოადგენს მშრომელი მასებისათვის. მისთვის ცნობილია იმპერიალიზმის იმანენტური თავისებურებაც — მონოპოლიური ქვეყნის შიგ-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 239.

[2] იქვე.

ნით საქონელზე მაღალი ფასების შენარჩუნების მიზნით სუსტად განვითარებულ ქვეყანაში საქონელს უფრო იაფად რომ ყიდიან, ან პირიქით, რაც ფასების მერყეობაზეა დამოკიდებული. ტრესტების ზრდა და განვითარება მეტად საშიში ეკონომიური მოვლენაა, სახელდობრ, „შინაურ მოხმარებაში საქონლის ფასების არაჩვეულებრივი აწევა და გარეთ კი, პირიქით, მათი დაწევა, ყველა სამართლიან პროტესტს აცხადებს და კითხულობს, რისგან არის, რომ აქვე, ჩემი ხელით გაკეთებულ საქონელს მე უფრო ძვირად ვყიდულობ, ვიდრე ცხრა მთას იქით გადაკარგული ინგლისელი და ამერიკელიო" [1].

საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის შეხედულება მონოპოლისტურ გაერთიანებათა შესახებ. მან იცის, რომ ამ გაერთიანებათა მიზანი დიდი მოგების მიღებაა, რასაც ისინი ზოგიერთი სახეობის პროდუქციის წარმოებისა და გასაღების დიდი ნაწილის ხელში ჩაგდებითა და მასზე მონოპოლიური ფასების დაწესებით აღწევენ. მწერალი ცდილობს მონოპოლიათა ძირითადი ფორმების განსაზღვრაც მოგვცეს, თუმცა ეს განსაზღვრა ხშირად დაუსაბუთებელია. მაგალითად; „სინდიკატი (ტრესტი) არის მრეწველთა კავშირი, რომელსაც მიზნად აქვს წარმოება ბაზრის მოთხოვნილებას შეუფარდოს და საქონლის ფასი არ დასცეს" [2]. მ. ჯავახიშვილი არ არის სწორი, როდესაც სინდიკატებსა და ტრესტებს აიგივებს და სხვ.

მ. ჯავახიშვილი არ კმაყოფილდება მონოპოლისტურ გაერთიანებათა ფორმების უბრალო გადმოცემით, არამედ იგი მიუთითებს, რომ „სხვადასხვა ქვეყანაში სინდიკატები და ტრესტები სხვადასხვა ფორმას იღებენ. ზოგან სინდიკატებს მიზნად აქვთ რომელიმე ქვეყანაში ერთნაირი ფასი დაწესონ ამა თუ იმ საქონელზე, ზოგან სინდიკატები ამა თუ იმ ქვეყანას რაიონებად ჰყოფენ და ყოველ რაიონში ესა თუ ის მრეწველი აცხადებს მონოპოლიას თავის საქონელზე" [3]. მ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მონოპოლიური გაერთიანებები გადამწყვეტ როლს

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6. გვ. 241

[2] იქვე, გვ. 240.

[3] იქვე.

ასრულებენ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში.“... ამერიკაში სინდიკატები წარმოადგენენ უზარმაზარ დაწესებულებას, რომელიც ხშირად ხელთ იგდებს ხოლმე რომელიმე საქონლის მონოპოლიას მთელ ქვეყანაზე. ამერიკის ნავთის ტრესტმა, განთქმულ მილიარდერის როკფელერის მეთაურობით, ხელთ იგდო თითქმის მთელი ამერიკის ნავთის წარმოება და მთელი ქვეყანა თავის ბაზრად გადააქცია, ასევე მოიქცნენ ამერიკის შაქრის ქარხნების პატრონები და ასევე მოიქცა ამერიკელი მილიარდერი პირპონტ მორგანი, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ უზარმაზარი გემების მწარმოებელი ტრესტი დააარსა და ლამის არის ხელში ჩაიგდოს ამერიკის საზღვაო ვაჭრობა“ [1].

მ. ჯავახიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს მონოპოლიათა განვითარების საკითხებსაც. მას შეტად საინტერესო ციფრობრივი მონაცემები აქვს მოტანილი. „გერმანიაში, — აღნიშნავს იგი, — 1880 წელს ირიცხებოდა მხოლოდ 13 სინდიკატი, 1890 წელს — 119, 1891 წელს — 137, ხოლო 1900 წელს — 290, ესე იგი ოცი წლის განმავლობაში სინდიკატთა რიცხვმა 22-ჯერ იმატა. 1902 წელს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ირიცხებოდა 350 სინდიკატი, რომელთა კაპიტალი უდრიდა 60 მილიარდ მანეთს“ [2].

მ. ჯავახიშვილი ეხება ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების ბუნებას და აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმმა საქონლის გატანა შეცვალა კაპიტალის გატანით, ანუ „კაპიტალის დატრიალებითა და მოძრაობით“, რომლის დროსაც ხდება დიდძალი საქონლის წარმოება. მისთვის ცნობილია, რომ არსებობს წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის. კაპიტალიზმის დროს წარმოების პირობები არ ემთხვევა რეალიზაციის პირობებს. კაპიტალიზმის მამოძრავებელი ძალაა მეტი მოგების მიღება, ამიტომ ხდება წარმოების ინტენსიური განვითარება. მაგრამ წარმოების შესაბამისად არ ვითარდება მოხმარება. პროლეტარიატის მდგომარეობის გაუარესება ამცირებს მოთ-

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 240.

[2] იქვე, გვ. 240—241.

ხოვნას პროდუქციაზე. „თანამედროვე მრეწველობამ არ იცის ზომა და საზღვარი წარმოებისა, — წერს მ. ჯავახიშვილი, — რაც ხშირად მოსდევს ვაჭრობასა და მრეწველობის კრიზისი, რომელიც ხშირად დიდ უბედურობით თავდება ხოლმე მრეწველობისათვისაც და მუშებისთვისაც" [1].

მ. ჯავახიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისების დამანგრეველი ძალა იზრდება კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ მისთვის კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მარტო ჰარბწარმოების ეკონომიურ კრიზისებს კი არ ამწვავებს, არამედ ხელს უწყობს პოლიტიკურ კრიზისსაც: „ეს გარემოება ხელს უწყობს კლასობრივ წინააღმდეგობასა და ბრძოლის განვითარებას" [2].

მ. ჯავახიშვილი სამართლიანად ჰიუთითებს, რომ რუსეთის მთავრობის მოთხოვნა მასზე, რომ სამრეწველო კრიზისებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ქალალდის ფულის ემისია—მცდარია, პირიქით, ეს ხელს უწყობს კრიზისის კიდევ უფრო გამწვავებას. „ეკონომიური ცხოვრება, — აღნიშნავს მწერალი, — „უქაზებს" არ ემორჩილება. როცა სამრეწველო კრიზისი ჩამოვარდა (იგულისხმება 900-იანი წლების ეკონომიური კრიზისი. — რ. კ.), სახელმწიფო ბანკი ახალ ქალალდის ფულის გამოცემას ვერ ბედავდა და მრეწველთა შერყეულ საქმეების გამოსაკეთებლად ძალაუნებურად ოქროს ფულს ხარჯავდა" [3].

მ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას: „რით შეიძლება კრიზისების მოსპობა?" და თვითონვე უპასუხებს, რომ „თავისუფალი კონკურენციის პერიოდში ეს შეუძლებელია, მაგრამ იმპერიალიზმის დროს მონოპოლიები კრიზისების რიცხვს ამცირებენ, შეთანხმებით მოქმედებენ მუშათა ორგანიზაციებთან და ამით ცოტათი მაინც ხელს უწყობენ ვაჭრობა-მრეწველობის წესიერ მიმდინარეობას" [4]. როგორც ვხედავთ, მწერალი უგულებელ-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. 6, გვ. 239.

[2] იქვე, გვ. 192—193.

[3] იქვე, გვ. 58.

[4] იქვე. გვ. 241.

ყოფს იმ ფაქტს, რომ მონოპოლიების ბატონობა არათუ ვერ სპობს კონკურენციას, წარმოების ანარქიასა და კრიზისებს, არამედ კიდევ უფრო ამწვავებს მათ. იგი ვერ გაერკვა კრიზისების ეკონომიურ ბუნებაში, არ ესმის, რომ კრიზისები კაპიტალიზმის დროს გარდუვალია, რამდენადაც წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგთა მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის არსებული წინააღმდეგობა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობაა და ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისების მთავარი მიზეზია.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ კაპიტალიზმის დროს, სულერთია თავისუფალი კონკურენციის თუ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქა იქნება, კრიზისები გარდუვალია — ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისები დაფუძნებულია წინააღმდეგობაზე წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის, ეს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობაა.

კაპიტალიზმის დროს წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი ვლინდება შრომის კოლექტიურ ხასიათში. შრომის განსაზოგადოების პირობებში მიმდინარეობის წარმოების სულ უფრო გადაქცევა საზოგადოებრივ პროცესად. მაღალგანვითარებულ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მიზეზით მყარი კავშირი მყარდება კაპიტალისტური წარმოების ცალკეულ დარგებს შორის. ე. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბაზაზე „მრავალი დაქუცმაცებული საწარმოო პროცესი წარმოების ერთ საზოგადოებრივ პროცესში ერთდება“ [1].

ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისები გამოხატავენ საწარმოო ძალების ხასიათისადმი კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა შეუსაბამობას, კრიზისები იწვევენ წარმოების საშუალებათა დიდი ნაწილის უმოქმედობას, რის გამოც მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს. „კრიზისების უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ შედეგს წარ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 197.

მოადგენს საზოგადოების საწარმოო ძალთა მასის გამოუყენებლობა და ნგრევა, რაც მოწმობს იმას, რომ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი აშკარა კონფლიქტში მოვიდნენ საწარმოო ძალთა განვითარებასთან" [1].

იმპერიალიზმის ეპოქაში კრიზისები გამანადგურებლად მოქმედებენ მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებაზე. თუ XIX საუკუნეში წარმოიშვა რვა ეკონომიური კრიზისი, მომდინარე საუკუნის 60 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ცხრა კრიზისს, რომელთაგან ოციანი წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა შეარყია მთელი კაპიტალისტური სამყარო. მონოპოლისტური კაპიტალიზმი არათუ ასუსტებს ჭარბწარმოების ეკონომიურ კრიზისებს, არამედ, პირიქით, ქმნის პირობებს მათი გაღრმავებისათვის. მონოპოლიები აფართოებენ რა განუსაზღვრელად წარმოებას, აძვირებენ საქონელს და მუშების ხელფასის გადიდების წინააღმდეგი არიან.

აქედან გამომდინარე მ. ჯავახიშვილის მოსაზრება მონოპოლისტური კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარების შესახებ ძირშივე მცდარი და მიუღებელია. მაგრამ მწერლის მოსაზრებას არავითარი საერთო არა აქვს მონოპოლისტური კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარების თანამედროვე ბურჟუაზიულ კონცეფციებთან. 1906 წელს, როდესაც მ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმპერიალიზმის შესახებ, მონოპოლისტურ კაპიტალიზმს არ მიუღწევია თავისი განვითარების კლასიკურ დონემდე. ამასთან მაშინ მსოფლიო კაპიტალისტური მრეწველობა აღმავლობას განიცდიდა, ჭარბწარმოებების ეკონომიური კრიზისის საკითხი არ იდგა ისე მწვავედ, რაც გახდა საფუძველი კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარების ჯავახიშვილისეული კონცეფციისა. მ. ჯავახიშვილი ვერ ჩაწვდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის შინაგან ბუნებას. სულ სხვა ნიადაგზეა აღმოცენებული თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიები კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარების შესახებ, რომლებიც უგულებელყოფენ რა კრიზისების ძირითად მიზეზს, ცდილობენ „დაამტკი-

---

[1] ე. ი. ბ რ ე გ ე ლ ი, საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოება, ეკონომიური კრიზისები, თბ., 1970, გვ. 135.

ცონ" კაპიტალიზმის გარდუვალობა, თითქოს ამერიკისა და დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები წარმოადგენენ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს". სადაც კრიზისები მოისპო და ისტორიას ჩაბარდა.

ბ) ეკონომიკის მილიტარიზაციის საკითხი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში

ყველა ქვეყნისა და ყველა დროის საზოგადოებრივი აზრი დააყენებდა ხოლმე კაცობრიობის საჭირბოროტო საკითხებს და მას შეძლებისამებრ განიხილავდა გამომდინარე იმ სოციალური ჯგუფის ინტერესებიდან, რომლის იდეოლოგიასაც იგი წარმოადგენდა.

სწორედ ასეთი საკითხების რიცხვს მიეკუთვნება ომები და ეკონომიკის მილიტარიზაცია. ანტაგონისტურ საზოგადოებაში ეკონომიკა ყოველთვის იყო ის ბაზა, რაზედაც წარმოიშვება ხოლმე კლასებსა და სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობა (ომებიც). მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ კაპიტალიზმის პირობებში ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციასა და მის ეკონომიკას შორის მეტად მჭიდრო კავშირი არსებობს, რომ თანამედროვე ომებში მთავარი ფაქტორია ეკონომიკა.

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ომებისა და ეკონომიკის მილიტარიზაციის პრობლემები ყურადღების ცენტრში იდგა. ამ საკითხებით დაინტერესდა მ. ჯავახიშვილიც, რომელმაც თავის პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში მათ დიდი ადგილი დაუთმო. იგი წერდა: „ფეოდალიზმის ნანგრევებზე აღმოცენებულმა აბსოლუტიზმმა თავისი ტახტი მუდმივი ჯარის დაარსებით გაამაგრა. გავიდა რამდენიმე საუკუნე, აბსოლუტიზმს ბოლო მოეღო და იმის ტახტზე ბურჟუაზიამ მოიკალათა" [1], რომლის არსებობა ჯარის გარეშე შეუძლებელია. თანამედროვე კაპიტალიზმის არსებობა თავის შინაარსშივე გულისხმობს ეკონომიკის მილიტარიზაციას.

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 106.

ექსპლოატაციის სფეროს გაფართოება და ზედმეტი ღირებულების გადიდება, სუსტად განვითარებული ქვეყნების დაკაბალება და ბაზრებისათვის ბრძოლა იწვევს არმიების ზრდასა და სამხედრო წარმოების გაუგონარ განვითარებას. „თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებას, — აღნიშნავს მ. ჯავახიშვილი, — სულ ახალ-ახალი ბაზარი დაჰჭირდა და ბურჟუაზიამაც ეს ბაზარი აფრიკისა, აზიისა და სხვა ჩამორჩენილ ხალხთა შორის იპოვნა. გაჩნდა კონკურენცია, ჯიბრი, ქიშპობა და ბაზრების ტაცობა. საჭირო გახდა ძველი ბაზრების შენარჩუნება და ახლების მოძებნა. საჭირო გახდა სტრატეგიული გზების — ზღვებისა და ოკეანეთა უზრუნველყოფა, რაიც: რასაკვირველია, მხოლოდ ფიზიკური ძალით შეიძლებოდა“ [1].

სწორედ ეს ძალაა დიდი არმიები და სამხედრო მრეწველობა. ექსპლოატაციის შესანარჩუნებლად კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სჭირდებათ სამხედრო მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატური განვითარება, უკომლისოდაც მისი არსებობა შეუძლებელია. სამხედრო მრეწველობა მეურნეობის სწორედ ის დარგია, სადაც ტექნიკური პროგრესი ყველაზე ადრე შეაღწევს ხოლმე. შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოს ეკონომიკის მილიტარიზაცია, თუ საამისო კაპიტალი არ არსებობს. სამხედრო-სამრეწველო კაპიტალის დაგროვების სპეციფიკა გამოიხატება სამხედრო წარმოების თავისებურებაში, რომელიც ვითარდება კომპლექსურად და აქვს სპეციალიზაციის მაღალი დონე. ამაზე მიუთითებს მ. ჯავახიშვილი, როდესაც აღნიშნავს: ჯარის „შესანახად საჭირო ხარჯი თანდათან მატულობს და იარაღის ტექნიკაც საოცარი სისწრაფით ვითარდება“ [2].

სამხედრო-სამრეწველო კაპიტალის დაგროვებაში უდიდესი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს, ხოლო ხარჯები საბოლოო ანგარიშით მშრომელ მასებს აწვება.

ომები უდიდეს მატერიალურ ზარალს იწვევენ, ანადგურე-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 106.

[2] იქვე.

ბენ ქვეყნის საწარმოო ძალებს, სპობენ ჭრავალი თაობის შრომის შედეგებს და შეიწირავენ მილიონობით ადამიანებს.

ყოველი ქვეყნის არმია, როგორც წესი, შედგება მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებისაგან, ამასთან ერთად სამხედრო ტექნიკასაც ისინი ქმნიან. „რამდენიმე მილიონი ახალგაზრდა, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი რამის გაკეთება შეეძლო თავის ოჯახში, კაცობრიობისათვის და ქვეყნიერებისათვის, მუდამ საომარ იარაღებს უდგას გვერდით და ნაყოფიერ საზოგადოებრივ შრომისათვის დაკარგულია“ [1].

მწერალს დიდ ბოროტებად მიაჩნია რამდენიმე მილიონი თავისუფალი მოქალაქის არმიაში გაწვევა, რომელსაც მოაშორებენ „ოჯახს, მშობლებს, ...განათლებას, სინათლეს დაუხშობენ ყოველგვარ ინიციატივას, მოუსპობენ პიროვნების განვითარების სურვილს, რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედებენ მექანიკურად, შთაუნერგავენ მონურ მორჩილებას... ეტყვიან: ახლა წადი, მაგრამ არაფერი დაივიწყო და, როცა საჭირო იქნება „მეფისათვის“ სიკვდილი, მოდი და შენი სიცოცხლე ჩვენ ჩაგვაბარეო“ [2].

ომები იწვევენ მშრომელთა ისედაც აუტანელი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას. ეხებოდა რა რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობას, მ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ ომს ხალხი თავიდანვე არ უჭერდა მხარს, რადგან იგი ასეულ ათასობით კუნთმაგარ ახალგაზრდობას უდროო სიკვდილს უმზადებდა, ხოლო ქვეყანას ეკონომიურად ანადგურებდა. „როცა ერთი მეფე მეორეს შეეკამათება, ან ერთი ქვეყნის ბურჟუაზია მეორე ქვეყნის ბურჟუაზიას მუშტრის წართმევას დაუპირებს, მეფის ერთი ბრძანებით სახელმწიფოს ყოველი კუთხიდან, ყოველ ქალაქიდან და ყოველ სოფლიდან რამდენიმე ასი ათასი ცოლშვილიანი და უცოლშვილო ცხვრის ფარასავით იკრიბება სადმე მანჯურიაში, ან სადმე ცხრა მთას იქით, იქ იხოცებიან, იჟლიტებიან, სახიჩრდებიან და მათხოვართა არმიას ამრავლებენ“ [3].

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 106.

[2] იქვე, გვ. 107.

[3] იქვე.

რუსეთ-იაპონიის 1904—1905 წლების ომი გამოიწვია იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებამ და იმ დიდ სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახებამ, რომლებიც ისწრაფოდნენ კორეის დასაპყრობად, ჩინეთის გადასანაწილებლად და წყნარი ოკეანის რაიონში თავიანთი გავლენის სფეროების განსამტკიცებლად. ამ ომმა ცხადყო რუსეთის სამხედრო მანჭანისა და ცარიზმის სიდამპლე, „იქ, შორეულ მანჯურიის მინდვრებში და ცუსიმის სრუტის ტალღებში ულმობელმა აუცილებლობამ სამარე გაუთხარა რუსეთის თვითმპყრობელობას და შიგ მისი დიდება, თავმოწონე ფლოტი და „ქრისტეს მოყვარული“ ჯარი გაანადგურა. 1904 წელს, 26 იანვარს იაპონელების ძიერ ნასროლი პირველი ნაღმი „ცესარევიჩს“ კი არ მოხვდა, არამედ რუსეთის პოლიტიკურ შენობას...“ [1].

მწერალს ეკონომიკის მილიტარიზაციისა და ომების გამომწვევი მიზეზების ანალიზიდან გამოყავს დასკვნა, რომ ეცემა მუშათა რეალური ხელფასი, იზრდება უმუშევრობა, ყოველდღიურად უარესდება გლეხობის მდგომარეობა. მაგრამ სამაგიეროდ კოლოსალურად დიდდება კაპიტალისტთა მოგება, რაც იწვევს კლასთა ბრძოლის გამწვავებას, წინააღმდეგობის ზრდას მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის.

„მილიტარიზმი კაცობრიობის ორგანიზმს საშინელ მუწუკად აზის. მარტო ევროპას განუწყვეტლივ რამდენიმე მილიონი სალდათი უდგია ფეხზე. მარტო ევროპა ამ გაწვრთნილ მანჭანაზე წელიწადში რამდენიმე მილიარდს ხარჯავს, ყოველ დღე ახალ-ახალ თოფ-ზარბაზნებს აკეთებს და მთელ ქვეყანას ციხეებითა, ფორტებითა, სანგრებითა და თხრილებით ავსებს“ [2]. ამასთან ერთად მილიტარიზმი, მწერალის აზრით, ტექნიკური რევოლუციის მეშვეობით „ახალ-ახალ გაუმჯობესებულ იარაღებს იგონებს და ყოველი ახალი და გაუმჯობესებული სისტემის იარაღი ერთ დღეში კაცობრიობას კიდევ რამდენიმე მილიარდს ახარჯვინებს“. ამას თან სდევს ხელახალი შეიარაღება, ხოლო ძველი იარაღი გამოუსადეგარი ჯართი ხდებოდა. მ. ჯავა-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 111.

[2] იქვე, გვ. 107.

ხიშვილი დასცინოდა რა მეფის რუსეთის მესვეურთ, წერდა: „რუსეთმა ძველი სისტემის თოფები საწოლის ფეხებად გადააკეთა და 80 მილიონად ახალი შეიძინა". რუსეთ-იაპონიის ომში ყოველდღიურად საშუალოდ იხარჯებოდა დაახლოებით 3 მილიონამდე მანეთი, მარტო ერთი (1904 წ.) რუსეთს დაუჯდა 2 მილიარდი მანეთი ოქროთი. ყველა ამ ხარჯებს პირდაპირი თუ არაპირდაპირი გადასახადების შეშვეობით მშრომელები იხდიდნენ [1].

მ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ომი და მილიტარიზმი იწვევს მუშათა კლასის რიცხოვრივ ზრდას და აქედან გამომდინარე იქმნება „მშრომელი სალხის შეგნება". იზრდება ის ძალა, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს მთელს იმ წესწყობილებას, რომლის შვილიც მილიტარიზმია. მაგრამ ეს ძალა ჯერ არსად ისე ძლიერი არაა, რომ დღესვე შეეძლოს მილიტარიზმის მოსპობა. თანამედროვე, კაპიტალისტური წარმოების დაუნგრევლად მუდმივი ჯარის გაუქმება არ შეიძლება. ვინ იტყვის, რომ კერძო საკუთრების მოუსპობლად მილიტარიზმის შეჩერება შეიძლებაო!.. მუდმივი ჯარი და კაპიტალისტური წარმოება ერთ მთლიანსა და განუშორებელ ორგანიზმს შეადგენენ. ერთი მეორის ნაშობია, ერთი მეორით ცხოვრობს და უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ" [2].

მწერალი ხაზს უსვამს, რომ რუსეთ-იაპონიის ომმა დააჩქარა რევოლუციური მოძრაობის გაფართოება, რომელმაც რუსეთის თვალუწვდენელი იმპერია მოიცვა. ცნობილია, რომ მეფის რუსეთის დამარცხება რუსეთ-იაპონიის ომში ვ. ი. ლენინს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნდა რუსეთის მშრომელი ხალხისათვის. „რუსმა ხალხმა კი არა, — წერდა ვ. ი ლენინი, — არამედ თვითმპყრობელობამ განიცადა სამარცხვინო დამარცხება", ეს ნიშნავს „ისტორიის დაჩქარებას", რაც „...პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის დაჩქარებაა" [3].

---

[1] История Коммунистической Партии Советского Союза, В шести томах, т. 2, М., 1966, стр. 12.

[2] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 108.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 39 და 47.

ქართველი ბოლშევიკები მეფის რუსეთის ომში დამარცხებას ისეთივე შეფასებას აძლევდნენ, როგორც ვ. ი. ლენინი აძლევდა. ერთ-ერთ ბოლშევიკურ პროკლამაციაში აღნიშნული იყო: „მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო, რაც მზადდებოდა თვითმპყრობელობის ბატონობით, რასაც ქმნიდა ბიუროკრატიის აღვირახსნილობა, რაც აუცილებელი ხდებოდა ხალხის, 140 მილიონის დამონებით: თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა დ ა მ ა რ ც ხ დ ა. მისი დამარცხება აუცილებელი იყო“[1]

მ. ჯავახიშვილი შარჭისტულ-ლენინურ მოძღვრების საფუძველზე იძლევა რუსეთ-იაპონიის ომის შედეგების განმარტებას, იგი წერს: „რუსეთ-იაპონიის საზარელმა ომმა რუსეთის ცხოვრებას ზეწარი მოაგლიჯა და შაებნელი სურათი გამოაჩინა. ქონებრივად გაღატაკებული და პოლიტიკურად დამონებული ხალხი ისეთ მძიმე ტვირთს ვეღარ უძლებდა, როგორიც არის თვითმპყრობელობა და მილიტარიზმი, და წელში სწყდებოდა. მთავრობას ეგონა, რომ ხალხი ყოველთვის მოთმინებით აიტანდა შევიწროებას და განაგრძობდა თავის პოლიტიკას. მაგრამ პოლიტიკურმა კოკამ აქ წყალი აღარ მოიტანა, ხალხი აღსდგა და სასტიკი ომი გამოუცხადა თვითმპყრობელობას, რომელიც ვითომ რუსეთის დიდებისა და ბედნიერებისათვის იპყრობდა შორეულ ქვეყნებს და შინ მოგროვილ მილიარდებს გარედ ბზესავით აბნევდა“ [2].

დ) მ. ჯავახიშვილის შეხედულებები რუსეთის იმპერიის ფულის მიმოქცევასა და ფინანსების შესახებ

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო სწორად, საგლეხო რეფორმის შემდეგ, რუსეთში კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება ნიშნავდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის

---

[1] ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წწ., კრებული, გვ. 34.

[2] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6. გვ. 115.

გაღრმავებას. საჭირო გახდა ფულადი ურთიერთობის კაპიტალისტურ ყაიდაზე გადაყვანა, ფულადი სისტემის რეორგანიზაცია, მტკიცე ფულის შემოღება (ოქროს უზრუნველყოფით).

1900 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე რუსეთში მოქმედებდა ფულადი სისტემა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს—1895—1897 წლების ფულის რეფორმის შედეგად შეიქმნა. ეს იყო ოქროს მონომეტალიზმის სისტემა.

ამ მხრივ საინტერესოა 1906 წელს დაწერილი მ. ჯავახიშვილის ნაშრომი „რუსეთის მდგომარეობა ფინანსების მხრივ".

მ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ მეფის მთავრობა რუსეთ-იაპონიის ომითა და საფინანსო სისტემის გაკოტრებით „ფულის მხრივ დიდს გაჭირვებაში არის ჩავარდნილი". იგი ერთმანეთს ადარებს ამ ომს ყირიმის ომთან და აღნიშნავს, რომ „ყირიმის ომი ძალიან სამძიმო იყო". მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომმა სახელმწიფო ეკონომიურად გაანადგურა. მ. ჯავახიშვილი წერს, რომ თუ ყირიმის ომზე სამი წლის განმავლობაში დაიხარჯა 538 მილიონი მანეთი, „ეხლა კი მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ომს თითქმის ერთი მილიარდი მოუნდა... ყირიმის ომისათვის საჭირო ხარჯი თითქმის სულ შინვე იშოვეს, ეხლა კი იაპონიასთან საომრად საჭირო ფული რუსეთმა თითქმის სულ საზღვარგარეთ უნდა იშოვოს" [1].

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II მანიფესტით რუსეთში ბატონყმური წყობილება გაუქმდა. რეფორმას მემამულურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია წარმოგვიდგენდა როგორც „ნებაყოფლობით მსხვერპლსა და მეფის თვითმპყრობელობის „სახელმწიფოებრივი სიბრძნის" გამოვლინებად, სინამდვილეში კი ის იყო იძულებითი აქტი, რომელიც გამოიწვია გაბატონებული წყობილების ყოველმხრივმა კრიზისმა. XIX საუკუნის შუახანებში ამ კრიზისმა კულმინაციას მიაღწია.

მაშინ, როდესაც ევროპის მოწინავე ქვეყნები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციებით განთავისუფლდნენ ფეოდალიზმისაგან, რუსეთში ცხოვრება შუასაუკუნეობრივი

---

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 56.

გზით მიდიოდა, ფეოდალიზმი ექსპლოატაციას უწევდა რუსეთის იმპერიის მრავალეროვან ხალხებს.

ძველი წყობილების წიაღში მწიფდებოდა ახალი, კაპიტალისტური წარმოების წესი.

ახალ საწარმოო ძალებსა და რეაქციულ საზოგადოებრივ წყობილებას შორის კონფლიქტი გარდუვალს ხდიდა სოციალურ, კლასობრივ წინააღმდეგობათა გაღწვაევებას, საჭირო იყო მძლავრი ბიძგი, რათა სოციალური წინააღმდეგობა გამოვლინებულიყო პოლიტიკურ კრიზისში, ასეთი ბიძგის როლი შეასრულა ყირიმის ომმა (1853—1856 წწ.), მეფის ცდას დაეპყრო ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, წინ აღუდგა ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, ვერც რუსეთის ხალხთა რაოდენობამ, ვერც რუსეთის ჯარისკაცისა და მეზღვაურების საბრძოლო თვისებებმა ვერ შეცვალეს ომის ბედი რუსეთის სასარგებლოდ, რადგან მათ წინ აღუდგა ბურჟუაზიული ქვეყნების ეკონომიური და ტექნიკური უპირატესობანი. ომში დამარცხებამ შეასუსტა თვითმპყრობელობა, აბსოლუტიზმის ყოვლისმძლეობა ილუზია აღმოჩნდა. უკმაყოფილებამ ქვეყნის შიგნით გაუგონარი მასშტაბები მიიღო, ჩაგრული ხალხი აღსდგა მეფისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

საგლეხო რეფორმის გატარებამ განსაზღვრა მისი ორგვარი, წინააღმდეგობრივი ხასიათი. თავის ობიექტურ სოციალურ-ეკონომიური შინაარსით იგი იყო ბურჟუაზიული გადატრიალება. ყმა-გლეხებმა იურიდიული თავისუფლება მიიღეს.

მაგრამ „ბატონყმობიდან განთავისუფლება, — აღნიშნავს მ. ჯავახიშვილი,—ხალხს ძალიან ძვირად დაუჯდა. გლეხს ძალაუნებურად, მიწის გარდა, თავის „ხორციცა და სულიც“ უნდა გამოესყიდა. აგერ ორმოცი წელიწადია, რაც გლეხი იხდის თავის დასახსნელად აღებულ სესხის გასასწორებელ გადასახადს. მაგრამ ჯერაც ვერ განთავისუფლებულა ამ გადასახადისაგან. ამასთან აუარებელ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადთა მეოხებით ტყავი სძვრება“ [1].

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მეფის რუსეთის დეფი-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 56.

ცტური ბიუჯეტისათვის სახსრები ძირითადად „განთავისუფლებულ" გლეხს უნდა გაეღო, რაც იწვევდა მათი სიღატაკის კიდევ უფრო გაძლიერებას. „მაგრამ გლეხების თანდათან გაღარიბებას მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა, გადასახადებს ამრავლებდა და ხაზინის შემოსავალს ადიდებდა. 1856 წელს ჩვეულებრივი შემოსავალი 200 მილიონ მანეთს უდრიდა. ამ ბოლო წლებში კი 2000 მილიონამდის ავიდა"[1]. მწერალი სვამს კითხვას: როგორ მოხდა რუსეთს ასეთი დიდი შემოსავალი გაეჩნდა და „იმდენადაც კი ვერ მოემზადა, რომ პაწაწინა იაპონიას გაჰკლავებოდა?", და თვითონვე პასუხობს: „ბიუროკრატია გალატაკებულ ხალხს მილიარდებს ართმევდა", მაგრამ ამ სახსრებს ფლანგავდნენ ფუფუნებით ცხოვრებისათვის. მწერალი ასკვნის, რომ ომის საწარმოებელი სახსრების „საზღვარგარეთ ძებნა" რუსეთის ბიუროკრატიის მოსპობას დააჩქარებს. მ. ჯავახიშვილს შინაგანი რესურსები ამოწურულად მიაჩნია, ქაღალდის ფულის გამოშვება, რასაკვირველია, საქმეს ვერ უშველის. ხოლო „...ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გამო გადასახადთა მომატებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, ამიტომ პირველ შეხედვით თითქოს აუცილებელი უნდა იყოს, რომ ხაზინამ ქაღალდის ფული უნდა გამოუშვას, ამ გზით შინვე იშოვოს სახსარი და თავი დაანებოს გარეშე სესხებს. რომელიც გალატაკებულ რუსეთს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, 7%-ად უჯდება და, თუ ისიც ვიანგარიშოთ, რომ რუსეთი მოვალეა სესხის ნაწილით საზღვარგარეთ საქონელი იყიდოს, გამოვა, რომ გარედ ნასესხებ ფულში რუსეთის ხალხი 10%-საც იხდის" [2].

მ. ჯავახიშვილის აზრით, რუსეთის მთავრობა ამ გზით ომისათვის საჭირო სახსრებს ვერ იშოვნიდა და ამიტომ იგი უცხოურ კაპიტალს მიმართავდა. მაგრამ კაპიტალისტურ მსოფლიოში მისთვის დამახასიათებელი ეკონომიური კანონები მოქმედებდა და რუსეთის მთავრობაც, ძალაუნებურად, იძულებული გახდა მიმოქცევაში ოქროს მონომეტალიზმი შემოეღო. მ. ჯავახიშვილი მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ „უცხოეთის

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 56—57.

[2] იქვე, გვ. 57.

კაპიტალისტებმა თავიანთ სესხის უზრუნველსაყოფად ვითხოვეს, რომ რუსეთს ოქროს ფულის სისტემა შეეხელოო და აღებული სესხი თავის სარგებლითურთ ოქროს ფულით ეპატიებინა"[1], სწორედ ამის დადასტურება იყო 1897 წლის ფულის რეფორმა. მ. ჯავახიშვილი წერს: „ეს რეფორმა იმისათვის იყო საჭირო, რომ უცხოელთა კაპიტალი შემოეტანათ მრეწველობის სხვადასხვა დარგის გასავითარებლად, სახელმწიფოში რკინის გზების გასაყვანად და იმ სახელმწიფო სესხების უზრუნველსაყოფად, რომელთა აღება მთავრობის აზრით, მრეწველობისათვის ხელის შესაწყობად აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა" [2].

სახელმწიფო ბანკი ოქროს მონომეტალიზმის შემოღებით ვერ იყენებდა თავის საემისიო უფლებებს. მ. ჯავახიშვილი სტატისტიკური მონაცემებით ასაბუთებს, რომ ამ პერიოდში დაწყებული სამრეწველო კრიზისის შიშით „სახელმწიფო ბანკი ახალ ქაღალდის ფულის გამოცემას ვერ ბედავდა და მრეწველთა შეკუმშულ საქმეების გამოსაკეთებლად ძალაუნებურად ოქროს ფულს ხარჯავდა"[3], მაგრამ არსებული „ოქროს დაუშრეტელი წყაროს" მიუხედავად უცხოეთის ბირჟაზე მანეთის კურსი სისტემატურად ეცემოდა.

მ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთს ომის საწარმოებლად ფული სჭირდება, სესხებითა და გადასახადებით მისი მიღება კი შეუძლებელია, იმიტომ, რომ „რუსეთში არ არიან საკმაოდ ისეთი დიდი კაპიტალისტები, რომელთაგანაც, თუნდ დიდ სარგებლითაც, შეეძლოს ფულის სესხად აღება"[4], გადასახადების გადიდება კი რევოლუციის საშიშროებას ზრდიდა. ერთი გზაღა დარჩა: სესხების აღება უცხოელი კაპიტალისტებისაგან, მაგრამ, თუ რა მოჰყვება „ამგვარ გამაკოტრებელ კაპიტალს", ყველა გამოიცნობსო. დაასკვნის მ. ჯავახიშვილი.

---

1 მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. 6, გვ. 57.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 58.

4 მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთის მდგომარეობა ფინანსების მხრივ, ტ. 6, გვ. 50.

მწერლის ზემოთ მოტანილი დასკვნა ცხოვრებამ გაამართლა. რუსეთის ძირმომპალი ბიუროკრატია გახდა უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებული, მაგრამ 900-იანი წლების რუსეთის ამბებმა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია შეაშფოთა, მათ სრულებით არ აწყობდათ სახელმწიფო სესხები ეძლიათ რუსეთისათვის რევოლუციური ეპოქის „დაშოშმინებამდე", ამასთან ერთად მოითხოვდნენ ადრე გაცემული სესხების ვადაზე ადრე დაბრუნებას. ავტორს მოჰყავს მაგალითი: 1906 წელს მეფემ კაპიტალისტ შენდელსონს ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი გაუგზავნა სესხის ვადის გაგრძელებაზე მოსალაპარაკებლად. „მთავრობა თავისდა მოულოდნელად ევროპის ბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელში, ბურჟუაზია კი კაპეიკსაც კი არ ენდობა იმ დრომდის, სანამდე რუსეთი არ დამშვიდდება. რუსეთი „დამშვიდდა" და საცაა სათათბიროც შეიკრიბებაო, ეუბნება მთავრობა ბანკირებს, მაგრამ ევროპის ბურჟუაზია კარგად ხედავს ამ დემოკრატიას, რომელსაც მთავრობა სათათბიროს ეძახის. ხედავს და წინდაწინვე უარს ეუბნება სესხზე" [1].

მეფის ბიუროკრატიამ მ. ჯავახიშვილის აზრით, მოინდომა შრომაგანი რეზერვების გამოძებნა, დააპირა 200 მილიონი მანეთის მომგებიანი ბილეთების გამოცემა, მაგრამ საფონდო ბირჟაზე მთავრობის ნდობის დაკარგვის გამო დიდი „შეხლა-შემოხლა" მოხდა, ბილეთების გამოშვების საქმეც ჩაიშალა.

მწერალი დაასკვნის, რომ თვითმპყრობელობის დასასრული მოახლოვდა, „მოსალოდნელი ფინანსური გაკოტრება, ხალხის ეკონომიური დაქვეითება და 23 გუბერნიის დამშევა მთავრობას გაზაფხულზე სახეიროს არას უქადის. ერობათა ანგარიშით დამშეულების გამოსაკვებად საჭიროა ერთი მილიარდი მანეთი, მთავრობას კი ასი მილიონიც ვერ უშოვნია" [2].

მ. ჯავახიშვილმა იცის, რომ, თუმცა რუსეთის ფულის მიმოქცევა, ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებითა და ეკონომიკის დაცემის შედეგად მყარი არ არის, კაპიტა-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 165.

[2] იქვე.

ლისტური სამყარო მას სესხებს კიდევ მისცემს დიდი სარგებლით, „ბურჟუაზია თუნდა ეშმაკს ჩააბარებს თავის კაპიტალს და თან სულსაც მიაყოლებს, ოღონდ დარწმუნებული იყოს, რომ მისი კაპიტალი კარგად შეინახება და კარგ სარგებელსაც მოუტანს“ [1].

ამრიგად, მ. ჯავახიშვილი რევოლუციამდელ ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში პირველად იძლევა 1897 წლის რეფორმის მეცნიერულ ანალიზს, რომელმაც შეცვალა სახელმწიფო ბანკის მიერ ქაღალდის ფულის გამოშვების წესი. სახელმწიფო ბანკს იმდენი საკრედიტო ბილეთის გამოშვება დაევალა, რომ მისი ნახევარი მაინც უზრუნველეყო ოქროთი. „ოქროს ფულის სისტემის დასაცავად, — წერს მ. ჯავახიშვილი, — საზღვარგარეთაც კი სესხულობდნენ ოქროს ფულს და სახელმწიფოში ოქროს შემოსატანად სრულიად მეტსა და შემოსავლიან რკინის გზებსაც კი დაუწყეს კეთება. ქაღალდის ფულს კი ვერ უშვებდნენ, რადგან ეშინოდათ, ეს ზომა უცხოეთის ბირჟაზე ნდობას დაგვიყარგავს და მომავალში ფულის სესხება გაგვჭირდებაო“ [2]. მაგრამ მიუთითებს მწერალი, რომ უცხოეთში უკვე კარგად იციან „რუსეთის საფინანსო სისტემის რყევა და უმედობა“.

1897 წლის რეფორმით სახელმწიფო ბანკის საემისიო უფლებები მტკიცედ იყო ლიმიტირებული ოქროს იმ ზარაგით, რაც სახელმწიფო ბანკის სეიფებში ინახებოდა. ამის გამო რუსეთის ფულადი სისტემა მოუქნელი იყო. აქ მიხეილ ჯავახიშვილის მოსაზრება სავსებით ემთხვევა კ. მარქსის დებულებას, რომელიც წერდა, რომ 1844 წელს რობერტ პილის აქტით დაწესებული ბანკნოტების ემისიის ინგლისური სისტემა, დაფუძნებული ზემოაღნიშნულ პრინციპზე, არის „უვიცი და უაზრო საბანკო კანონმდებლობა“.

მ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ 900-იან წლებში დაწყებული ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისი დიდად გამწვავდა (რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდი) რუსეთის ფულად-საკრედი-

---

[1] მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 110

[2] იქვე, გვ. 58.

ტო სისტემის მდგომარეობით. „რუსეთში არსებულ „ოქროს დაუშრეტელ წყაროს“ მიუხედავად, 1903 წლის შემოდგომაზე, პოლიტიკური გამწვავების ზეგავლენით რუსული მანეთის კურსი ძალიან დაეცა, და ლონდონის ჩეკებიც 6 მანეთით გაძვირდა. 100 გირვანქა სტერლინგში 944 მანეთის მაგივრად, ბირჟაზე 950 მანეთს თხოულობდნენ. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ 1903 წლის ოქროს ფონდი 1058 მილიონ მანეთს უდრიდა, ქაღალდის კი — 630 მილიონს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1897 წლის 29 აგვისტოს „უქასოს“ ძალით, იმ ქაღალდის ფულის უზრუნველსაყოფად ბანკს შეეძლო მხოლოდ 330 მილიონ მანეთის ოქრო ჰქონოდა. იმას კი ზედმეტი 728 მილიონი მანეთის ოქრო ჰქონდა. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთის ბირჟა მაინც უნდობლად უცქეროდა რუსეთს და მანეთის კურსი ნორმაზე ქვეით იწევდა“ [1]. მ. ჯავახიშვილის მოსაზრება მასზე, რომ რუსეთის ფულის მიმოქცევას „საზღვარგარეთის ბირჟა“ უნდობლად უყურებდა, მართებულია, მაგრამ მისი მოტანილი ციფრობრივი მონაცემები დაზუსტებას მოითხოვს. მწერალს გამოყენებული აქვს იმდროინდელი სტატისტიკოსების მიერ გამოქვეყნებული ძალზე გადიდებული ციფრები. სინამდვილეში 1903 წელს რუსეთის სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი შეადგენდა მხოლოდ 769,2 მილიონ მანეთს, ხოლო მიმოქცევაში მყოფი საკრედიტო ბილეთები კი 553.5 მილიონ მანეთს.

* * *

ამრიგად ნაშრომში გამოკვლეულ საზოგადო მოღვაწეების ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და მ. ჯავახიშვილის შეხედულებებში მოცემულია რევოლუციამდელ საქართველოში ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის წარმოშობის შედეგად ქართველი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის ანალიზი.

ნაშრომში განხილული ავტორები იბრძოდნენ ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის, მთელი ერის კეთილდღეო-

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 6, გვ. 58.

ბის მისაღწევად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათთვის საზოგადოებრივი განვითარების არც ერთი საკითხი არ იყო უცხო. აქტიურად მონაწილეობდნენ მათ გადაწყვეტაში და საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ჩვენი ერის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი სოციალურ-ეკონომიურ საკითხებს განიხილავდნენ საქართველოს ეკონომიურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირში, მშრომელი კლასების ინტერესებიდან გამომდინარე.

ისმება კითხვა: რამ განაპირობა ამ სამი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის შეხედულებათა განხილვა ერთ წიგნში? თუ ნ. ნიკოლაძე თავის ნაწერებში იძლეოდა საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხების ანალიზთან ერთად ევროპისა და რუსეთის განვითარების სურათს XIX ს. 70-იანი წლებიდან, ვიდრე მე-20 საუკუნის 20-ან წლებამდე, ხოლო მესხი კიდევ უფრო აღრმავებდა ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრების რიგი საკითხების შესწავლას მე-19 საუკუნის 70—80-ან წლებში, მ. ჯავახიშვილი პირველად ქართულ პუბლიცისტიკაში იძლეოდა ჩვენი საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეკონომიურ განვითარების ძირითად მომენტებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი ცდა გაეანალიზებია კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის — იმპერიალიზმის ბუნება.

ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და მ. ჯავახიშვილის შეხედულებათა შესწავლის ნაშრომში მიზნად დაისახეთ გაღმოგვეცა საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხების ასახვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებებში საგლეხო რეფორმის შემდგომი პერიოდიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი I

ნ. ნიკოლაძის შეხედულებები ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების შესახებ 5
ა) ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის გაგებისათვის . . 5
ბ) ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიურ შეხედულებათა მოკლე მიმოხილვა 14
გ) ნ. ნიკოლაძის შეხედულებები ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების შესახებ 69

თავი II

სერგეი მეხის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებები . . . 122

თავი III

მიხეილ ჯავახიშვილის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებები . 150
ა) კაპიტალიზმის განვითარების და მუშათა კლასის მდგომარეობის საკითხები მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში . 152
ბ) იმპერიალიზმის თეორიის საკითხი მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტურ წერილებში 169
გ) ეკონომიკის მილიტარიზაციის საკითხები მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში 178
დ) მ. ჯავახიშვილის შეხედულებები რუსეთის იმპერიის ფულის მიმოქცევასა და ფინანსების შესახებ . . . 183

რედაქტორი ზ. კილაძე; მხატვარი გ. ესაჯანიშვილი; მხატერული რედაქტორი ნ. ლაფაჩი; ტექნიკური რედაქტორი ც. შველიძე
კორექტორები: ლ. არჩვაძე, ლ. არეშიძე; გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 21/III-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII-72 წ.; ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂, პირ. ნაბეჭდი თაბახი 10,08; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,7; ტირაჟი 1.000 უე 01053 ფასი 0# კაპ. შეკვ. 506.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, მარჯანიშვილის 5.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი. ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.